

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



К 116.007/3

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ



ՎԵՐԿԻԹ  
ԼՎԵՐՆՅԱԿ

საქართველოს  
საბჭოთავო მწიგნობრობის  
საბჭო



წიგნი  
წიგნი

საბჭოთავო მწიგნობრობის  
საბჭოს დასახელებული  
წიგნი

კ 446-007  
3

გამომცემლობა  
„საბჭოთავო საბჭოთავო“  
თბილისი  
1964



ყირიმის მიწა-წყალი უძველეს ლეგენდათა მხარეა. დიდი სამამულო ომის დროს ძველ ლეგენდებს ახალი გაეჯიბრა. იქ მოქმედი საბჭოთა პარტიზანების გმირული ამბები იქცა ლეგენდებად.

ყირიმის მიწა-წყალზე მოძმე რესპუბლიკების ხალხთა შეილებთან ერთად თავდადებით ებრძოდნენ ფაშისტებს ქართველი ვაჟკაცები. მარტო ერთ პარტიზანულ ბრიგადაში, რომელსაც ა. კულიკოვსკი მეთაურობდა, ას ორმოცდაათამდე ქართველი ირიცხებოდა. ზოგი გმირულად დაეცა, ბევრი კი სახელოვნად დაუბრუნდა საქართველოს.

ლადო გიორგის ძე გოჩიშვილი და სანდრო ვასილის ძე ჩახხიანი 1942 წლის იანვრიდან 1944 წლის მაისამდე ყირიმის პარტიზანულ რაზმებში იმყოფებოდნენ. მათ მრავალ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიიღეს მონაწილეობა. სწორედ იმ ბრძოლან დღეთა ამბებია მოთხრობილი ამ წიგნში.

საქმე-2000  
შეგროვებულია

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვრო  
სამსახური

ህወሓት ግንባር



የህወሓት ግንባር  
ግንባር ግንባር  
ግንባር ግንባር

## უ ა ვ ა რ ჯ ე ნ ი

მამინ ლხინი ამო არის,  
რა გარდობდის კაცი ქირსა.

შოთა

სიმფეროპოლიდან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, ტყეში, ფაშისტებმა ცხრამეტი პარტიზანი მოჰკლეს. იქ, ახლა დიდი ობელისკია აღმართული, ობელისკს ორი ქართველი ვაჟკაცის გვარიც აწერია.

1961 წლის ორ მაისს სწორედ იმ ობელისკთან შევეყარეთ თავი ყირიმის მიწა-წყალზე ნაბრძოლმა პარტიზანებმა. ამ ტრადიციადქცეულ დღესასწაულზე საქართველოდან სამნი ჩავედით: სანდრო ჩაჩხიანი, მე და პარტიზან ირაკლი ნოზაძის ვაჟი ნუგზარი.

ერთად ნაომარ-ნაბრძოლი ამხანაგები კვლავ შეეხვდით ერთმანეთს თვრამეტი წლის შემდეგ.

ბევრი რამ შეიცვალა ამ თვრამეტ წელიწადში.

მამინ, ჩვენ რომ ერთმანეთს ვშორდებოდით, ირგვლივ ისევ დენთის სუნი ტრიალებდა, მიწას ახალი ჭრილობები აჩნდა, სულ ახლოს ქვემეხთა ბათქაბუთქი ისმოდა, ყველას თოფი გვეჭირა ხელში, ომი ჯერ არ იყო დამთავრებული...

ახლა მაისის მზე დაგვყურებდა თავს, მშვიდი და გულაუმილ-ვრეველი მზე, ხეები ის-ის იყო იფოთლებოდა და ისმოდა ჩუმი სიმღერა, დიდი სიცოცხლის საგალობელი. ცა და მიწა გაზაფხულის ნეტარი სურნელებით იყო სავსე. ეს სურნელება მზესთან ერთად სულში გვეღვრებოდა, გვათბობდა და გვათრობდა.



დიახ, მათრობელაა გაზაფხულის მზე!

როცა ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, ოცდათორმეტი წლისა ვიყავი, ახლა კი აგერ ნახევარი საუკუნის მიჯნასთან ვიდექი.

— „სულიკოს“ რაზმელებს გაუმარჯოს! — შორიდანვე მოგვაცახხა ქართველებს პარტიზანთა ბრიგადის მეთაურმა ალექსანდრე კულიკოვსკიმ, მოგვეგება, ძმურად გადაგვებვია და ნუგზარს ახედ-დახედა:

— ეს ახალგაზრდა არ მეცნობა, ძმებო. ეგეთი პარტიზანი არ მახსოვს, ღმერთმანი.

— საიდან გემახსოვრებათ, ჩვენ რომ ამ ტყეებში ნადირს დავდევდით, ეს ბიჭი მაშინ უშარვლოდ დატანტალეზდა თავის ეზოში. ბატი რომ სისინით უკან გამოუდგებოდა, შინ თურმე სულ ღრიალით გარბოდა: მიშველეთო. ირაკლი ნოზაძის ვაჟია. ირაკლი ხომ გახსოვთ?

— როგორ არა, როგორ არა, მახსოვს! კარგია, ეს ბიჭი რომ წამოგიყვანიათ. შვილებმა უნდა ნახონ ის ადგილები, სადაც მათი მამები იბრძოდნენ. უნდა გაიგონ, რა მძიმე დღეები გადაიტანეს, რამდენ ჭირ-ვარამს გაუმკლავდნენ.

მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი და გავიხსენეთ ომის ამბები. ბრძოლაში დაცემული გმირების საფლავი გვირგვინებით შევამკეთ. სახელდახელო მიტინგის შემდეგ სანადიმო სუფრა გაიშალა, რა თქმა უნდა, პარტიზანულად, მდელოზე. დავლოცეთ დენტის კვამლით გაურუჯავი მტრედისფერი ცა და ნალმებით გადაუთხრელი, მწვანედ აბიბინებული მიწა, მაისაჲს ცხრათვალა მზე და მშვიდობა.

თვრამეტი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს და ახლა სიმღერამ აახმაურა ის ადგილები, სადაც წინათ ტყვია ავი წივილით დაჰქროდა და ჭურვების დავლავი სიკვდილის ბრაზიან ყეფას ჰგავდა.

ვხედავ: ჩემსკენ ჭრელკაბიანი ქალი გამოვრბის, პირმრგვალი და მსუქანი.

— შენ ვალოდია არა ხარ, გოძიშვილი?

— დიახ, ვალოდია ვარ?! — გაკვირვებული მივაშტერდი ქალს.

მომვარდა, გადამეხვია, ჯვარედინად გადამკოცნა, თავი  
მკერდზე მომადო და ცრემლები წასკდა. კარგა ხანს ვერ  
შეიკავა ტირილი. უზომოდ დელავდა.

ადამიანი ასე გულითადად შემხვდა, დიდი ხნის უნახავ  
დასავით, მე კი ვერ ვიცანი. დავიბენი. არ ვიცოდი, ეს ატი-  
რებული დედაკაცი რით დამემშვიდებინა.

ბოლოს, როგორც იქნა, თვითონ დაწყნარდა, ცრემლი შეი-  
მშრალა, თმაზე ხელი გადაისვა და ღიმილით მკითხა:

— შენ, მგონი, ვერც მიცანი?

კრინტი ვერ დავძარი, მხრები უხერხულად ავიწურე.

— მე რომ დავიჭერი, მეგონა, ფეხზე ველარ დავდგებოდი  
და მიქელგაბრიელი საიქიოს წამათრევდა, შენ ყავარჯენი გა-  
მომითალე, მარჯვედ ჩამავლე ხელი, წამომაყენე და სიცილით  
მითხარი: ნუ გეშინია, მალე ისე ირბენ, ქურციკიც ვერ დაგე-  
წევას. კარგი ყავარჯენი გულითადი მეგობარივითაა, მუდამ  
შენთან მიგულეო. მაშინ ის ყავარჯენი და შენი სიტყვა იმე-  
დად შემიდგნენ მხრებში და ნაბიჯის გადადგმვა გამაბედვინეს.  
ზოგჯერ მგონია, რომ სწორედ იმ ნუგეშიანმა სიტყვამ და  
ყავარჯენმა გადამარჩინეს, თორემ ჭრილობებისგან გამწარე-  
ბულს იმ დღეებში სიცოცხლის იმედი ჩამქრალი მქონდა...

სხაპა-სხუპით მელაპარაკება, მე კი სულ ერთსა ვფიქრობ:  
ვინ არის-მეთქი? სადღა მახსოვს, იმ ომის დროს რამდენის-  
თვის გამითლია ყავარჯენი! ქალი კი არ ჩერდება:

— დაჭრილი თბილისში ჩამიყვანეს. ჰოდა, იქ ჰოსპიტალ-  
ში მოვრჩი, ძვირფასო. ასრულდა შენი სიტყვა. მართალია,  
ქურციკს ვერ გავუსწრებ, მაგრამ სირბილი ნამდვილად შემიძ-  
ლია... ცეკვაც. თუ გინდა, ახლავე ვიცეკვოთ ერთად... ნახე,  
რა ცეცხლი უნთია ანიას ნაჭრილობებზე ფეხებში...

— ანია, ეს შენა ხარ? — ახლა მე გადავეხვიე და გადავ-  
კოცნე, — ძალიან გამოცვლილხარ, დაო!..

— ჰეი, ყმაწვილო, ფრთხილად! — თვალი ჩამიკრა კული-  
კოვსკიმ. — თავი დაიჭირე, სულ ნუ გადაირევი, თორემ ეგერ  
უკვე გიბღვერს ერთი და ამ მშვიდობიანობის დროს იქნებ  
დუელშიც გამოგიწვიოს. ანიას ეგეთი იჭვიანი ქმარი ჰყავს,  
მისი რისხვისაგან ღმერთმა ყველა დაგვიფაროს.

განზე მივიხედე. იქ მართლაც იდგა ერთი შუბლმეკრული  
კაცი, მე მიყურებდა და ქვედა ტუჩს ნერვიულად იკვებტდა.

ანია პოზნიაკოვა რომ დაგვშორდა, ოცდაერთ-ოცდაორი  
წლის ქალიშვილი გახლდათ, მსუქანი, მაგრამ ერთობ ცოცხა-  
ლი. ახლა, იმასთან შედარებით გამხდარი ჩანდა.

— ძლივს არ გიცანი, ანია?! — შვეებით ამოვისუნთქე მე. —  
ხორცი დაგიყრია. ქმრის იჭვიანობა ხომ არ გაწუხებს?

— არა. ბევრი ბავშვი მყავს მოსავლელი და...

— მაინც რამდენი?

— ორმოცდაათზე მეტი.

— აუჰ! რა ჯიშისა ხარ, ქალო?! წელიწადში სამ-სამს აჩ-  
ენდი?!

— საბავშვო ბაღში ვმუშაობ. ისევ ჩემს ხელობაზე, ექთა-  
ნად.

— ჰოო! არ გამიკვირდა!..

ანია პოზნიაკოვა თავის ქმრიანად ჩვენს სუფრას ეწვია.

— სანდრო! — ანია ახლა ჩაჩხიანს მიუბრუნდა. — იცი,  
თბილისის ჰოსპიტალში რომ მიმიყვანეს, მალე გაიგეს — პარ-  
ტიზანიაო და ყველა თავისიანის ამბავს მეკითხებოდა: ესა და  
ეს კაცი ხომ არსად გინახავსო. ჰოდა, ერთხელ მამიდაშენიც  
მეწვია. შენი კარგად ყოფნა რომ გაიგო, ცხრაჯერ გადამკოც-  
ნა. შემდეგ ხშირად მნახულობდა და მოსაკითხიც მოჰქონდა,  
ხან ხილი, ხან თქვენებური ხაჭაპური... ჩემთვისაც მოჰქონდა  
და სხვა დაჭრილებისთვისაც... თვითონ იკლებდა და დაჭრი-  
ლებს კი უმასპინძლდებოდა. კარგი ხალხი ხართ ქართველები.  
კარგი. სიტყვაც გემრიელი იცით და მასპინძლობაც. თუ დრო  
გამოვნახე, მინდა მშვიდობიანი საქართველოც ვნახო.

— მობრძანდით! თქვენ ომის დროს აქ სულ ტყე-ტყე დაგ-  
ვარბენინებდით, ჩვენ კი ბაღებში გასეირნებთ, მეტი რა გინ-  
დათ?

გამხიარულდა სუფრა. გაჩაღდა ცეკვა-თამაში. მე ანია  
საცეკვაოდ არ გამიწვევია. ვატყობდი: მისი ქმარი მართლაც  
იჭვიანობდა და ტყუილუბრალოდ რატომ უნდა გამეხელე-  
ბინა?

საღსალამათ და მხიარულ ანიას რომ ვუცქერდი, ერთ



ფიქრი მიტრიალებდა თავში: ამ თვრამეტ წელიწადში ანია მე დამვიწყებია, ანიას კი სიკვდილის მეტი ვერაფერი დაავიწყებს ჩემს თავს. მერედა, რა სიკეთისთვის? დაჭრილს ყავარჯენი რომ შევაშველე და იმედიანი სიტყვა ვუთხარი?... ყავარჯენის გამოთლა რა არის? თითქოს არაფერი, მაგრამ... რამდენი მტერი მოვკალი, ეს კი არ გაიხსენა ანიამ, არამედ ყავარჯენი რომ გამოვუთალე, ადამიანური სიტყვა ვუთხარი და ფეხზე წამოვაყენე.

ომი მარტო კაცის კვლა როდი იყო, ეს გახლდათ თავისებური გამოცდაც, თუ რამდენად მტკიცედ ცოცხლობდა ადამიანში ადამიანი. გვშიოდა და ერთი თხილის გულს ცხრა ძმავიყოფდით. ზამთრის ყინვა გვთოშავდა და გულის სითბოს არა ვკარგავდით. გვიჭირდა და ჩვენზე გაჭირვებულს ვეშველებოდით და ვანუგეშებდით. სხვადასხვა დედ-მამის შვილები ძმებად და დებად ვიქვეციით. სამშობლოს სიყვარულმა გაგვაერთიანა ჩვენ.

ყავარჯენის გამოთლას ტყეში რა უნდა? თითქოს პატარა ამბავია, სულ უბრალო, ანიასთვის კი რა მნიშვნელოვანი ყოფილა! აგერ, ქალი მიმტკიცებს, იმ ყავარჯენმა გადამარჩინაო. ვინ მოთვლის, ომში რამდენი ეგეთი საქმე გაგვიკეთებია, მაგრამ არ დაგვიმახსოვრებია, წვრილმანად ჩაგვითვლია, მნიშვნელოვანი კი ყოფილა. ალბათ ზოგჯერ ჩვენი ჯარისკაცი სანგარში უბრძოლველადაც რომ იდგა, მაშინაც მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა, ქვეყნის გამარჯვებას იმ წუთებშიც სჭედდა. რაკი ხელში თოფი ეჭირა, ისროდა თუ არ ისროდა, მტერს ეშინოდა მისი და წინ წამოსვლას ვერ ბედავდა. ჰოდა, რაკი იმ სისხლიან წლებში, გაჭირვების უამს გაკეთებული პატარა ამბებიც კი მნიშვნელოვანი ყოფილა, რატომ არ უნდა გავიხსენოთ ჩემი და ჩემი თანამებრძოლების პატარ-პატარა ამბებიც, რაც გულში მიდევს? სამამულო ომში ჩვენი დიდი გამარჯვების გრანდიოზული სურათი იქნებ ამ პატარ-პატარა ამბებში უფრო კონკრეტულადაც ჩანს? ეგება სწორედ ის არის უფრო მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო, რაც მაშინ ჩვენ უბრალო ამბად მიგვაჩნდა, ჩვეულებრივ ამბად, ყოველდღიურ ცხოვრებად?

ანიას რომ არ ეთქვა, ვერასოდეს გავიგებდი, რომ ჩემმა გამოთლილმა უბრალო ჯოხმა, ერთმა მარჯვე ყავარჯენმა, ისე გაამხნევა ადამიანი და სიკვდილის გზაზე მიმავალი სიცოცხლისაკენ შემოაბრუნა. ომის დროს მტერს შუბლში ტყვიას რომ დაახლი, ეს გამარჯვების საწინდარია, მაგრამ ყოფილა სხვა ბევრი რამეც, რაც ომში გასულ ადამიანს ამხნეებს და მტერთან ბრძოლაში ეხმარება.

იქნებ მეც იმ დიდ ომში ერთ პატარა ყავარჯენს ვგავდი, ყავარჯენს, რომელმაც რამდენიმე მომაკვდავი ადამიანი ანია პოზნიაკოვასავით ფეხზე წამოაყენა და კვლავ საბრძოლო მწყობრში დააბრუნა?

ეგება ჩვენი პარტიზანული რაზმიც ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ყავარჯენი იყო, ყავარჯენი, რომელიც ძნელბედობის ქამს დაჭრილ ქვეყანას მხარში შეუდგა და გამარჯვების გზაზე გაიყვანა?

ჰოდა, გავიხსენოთ ის დღეები,

ნატყვიარი დღეები,

ყავარჯნიანი დღეები...

გავიხსენოთ ომის ამბები და მისი საშინელება. გავიხსენოთ წარსული და მომავალს უფრო ფხიზლად შევხედოთ, რომ დედამიწაზე აღარასოდეს გამეორდეს ომი.

ყირიმის მიწა-წყალზე, მთებსა და ტყეებში, ორ წელიწად ნახევარს ვიბრძოდი. იმ მრისხანე ქამს ბევრი ჭირ-ვარამი ვნახე და ცოტა ლხინი. ის დღეები ჩემს გულში კვლავ ცოცხლობენ და ბორგავენ, ცოცხლობენ მზიან-ღრუბლიან მოგონებებად, დაუღვრელ ცრემლად და ყრუ ტკივილად. ზოგი მაშინდელი ტანჯვა და გაჭირვება დღეს სიცილადაც კი მაგონდება ხოლმე. ასე სცოდნია გარდახდილ ჭირს. დრო ბევრ რამეს ცვლის. ხშირად მგონია, იმ ბრძოლების შემდეგ სიცოცხლე უფრო მიყვარს და მეგემრიელება-მეთქი. სულმნათ შოთას მართლაც ბრძნულად უთქვამს: მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსო.

ყირიმის პარტიზანებთან შეხვედრამ ბევრი დავიწყებული ამბავიც გამახსენა, ზოგი რამ კი ახლებურად დამანახვა. ეს მოგონებები გულში არ დაეტია. ფიქრი ფიქრს გადაესცენა,



მოგონება მოგონებას გადაება და გადავწყვიტე, ჩემი ნაფიქრო  
 ნანახი, განცდილი და გულში გადახარშული, სხვისთვისაც ვა  
 მენდო.

სამამულო ომის მონაწილე ბევრი ქართველი იტყვის ალ-  
 ბათ: ეგეთი ამბები ხომ მეც გადამხდა თავსო? მით უკეთესი,  
 თუ ათასი კაცის სათქმელს ვიტყვი.

არსებობს წიგნი „პარტიზანის დღიურები“. მისი ავტორი,  
 ყირიმის პარტიზანთა ერთ-ერთი თავკაცი ივანე გენოვი ამბობს:

„გამარჯვებას ადვილად როდი ვიმკიდით. იყო ყველაფერი:  
 შიმშილიც და სიცივეც, შეცდომებიც და ცალკეულ ადამიანთა  
 ლალატიც“.

ქეშმარიტი სიტყვაა, ასე იყო ნამდვილად. ომში ბევრი  
 რამ ხდება. ყველაფერი დაუფარავად უნდა ითქვას.

მაშ, პარტიზანთა ლხინის სუფრიდან წამოვდგეთ და დავ-  
 უბრუნდეთ იმ დროს, როცა ლხინისთვის არ გვეცალა, როცა  
 ჩვენი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და სიცოცხლის იმედს მაინც  
 არ ვკარგავდით.

## ზღვა აბოზოქრდა

მაშ რისტვის მინდა სიცოცხლე,  
სული რადა მრჩაე პირშია,  
თუკი არ გამოვადგები  
სამშობლოს გასაჭირშია.

ვ ა ძ ა

1941 წლის ზაფხულში, სწორედ იმ დღეს, როცა მასწავლებელ კაცს არდადეგები დამეწყო, საბჭოთა მიწა-წყალზე ჯოჯოხეთის ცეცხლით შემოიჭრა პიტლერის ჯარი.

მომხდურს დამხედური უნდაო — ფეხზე დადგა მთელი საბჭოთა ქვეყანა. დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი.

ზღვასავით აბოზოქრდა ხალხი.

ათ აგვისტოს მე უკვე ჯარისკაცი ვიყავი. თავი გადამხოტრეს და რუხი ფარაჯა ჩამაცვეს. ფარაჯა აღრეც მეცვა — 1933—1935 წლებში. მაშინ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოვიხადე. რაკი ნაჩვევი ვიყავი, ჯარისკაცულ ცხოვრებას ისევ მალე ავეუწყვე ფეხი. ნალმტყორცნელთა ბატარეაში გამამწესეს.

1941 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ჩვენი დივიზიონი ნოვორასიისკში დაბანაკდა. დეკემბრის მიწურულში ნავთსადგურში მიგვიყვანეს.

იმ დღეს შავი ზღვა გუნებაამღვრეული ჩანდა. ცაზე ქუფრი ღრუბელი იწვა. იმ ღრუბლის ლანდი ეფინა ზღვას. ტყვიისფერი ღრუბელი ეხვია შავ ზღვასთან მომდგარ კავკასიონის ქედსაც. მთები ლანდალაც არ ჩანდა.

ჩრდილოეთის ცივი ქარი ცაში უგზოუკვლოდ მოფარფატე თოვლის მშრალ ფიფქებს მოერეკებოდა.

ნაპირს უზარმაზარი გემი მოადგა.

საკვამლე მილიდან ბოლი ბოლქვა-ბოლქვა ამოდროდა. ქარი კვამლს ხან ცაში მიაქროლებდა, ხან ზღვაზე რაწვენდა ზოლად.

გვიბრძანეს: გემი სასწრაფოდ დატვირთეთო.

ჯარისკაცური ბარგი-ბარხანა ერთად დავყარეთ, გუშაგი მივუჩინეთ და გემის დატვირთვას შევეუდექით. გემბანზე შევაგორეთ საზიდრები, ქვემეხები და ავტომანქანები, ავიტანეთ ნაღმმტყორცნები, სურსათსანოვაგე, საბრძოლო მასალა და საქურველი. ყველაფერს თავთავისი ადგილი მივუჩინეთ.

გემის ხიდურზე ცხენები რომ აგვყავდა, საყვირი აზუზუნდა. მალე მტრის თვითმფრინავი გამოჩნდა. ქალაქის ჩრდილოეთით, გორაკებზე დადგმულმა საზენიტო ქვემეხებმა ბათქაბუთქი ასტეხეს. ჭურვები თვითმფრინავის მახლობლად სკდებოდა მჭახედ. მათი ხუჭუჭა კვამლი ღრუბლებს მუქ ლაქად აჩნდებოდა და მალე იცრიცებოდა.

ცხენებმა დაიჭიხვინეს და კინალამ აღვირები წაგვართვეს ხელიდან.

თვითმფრინავმა ელვის სისწრაფით გადაგვიქროლა. არც ყუმბარა ჩამოუგდია, არც ტყვიამფრქვევით დაუცხრილავს იქაურობა, ცხვირი მალლა ასწია და საშინელი ზმულით მიიმალა ღრუბლებში. დაგვზვერა და წავიდა.

შებინდებამდე ქარმა ღრუბლები გადარეკა ციდან. შორს მთები გამოჩნდა ლანდად, თეთრი მთები. შერე მოვიდა სიბნელე და მთების ლანდებიც წაშალა. ცაზე აქა-იქ ვარსკვლავი აკიაფდა.

ლამის ათი საათი იქნებოდა, ნავთსადგურიდან რომ გავედით. გემი ნელა შექანდა, ნაპირს ზოზინით გასცდა და რწევა დაიწყო.

ქალაქში ერთი შუქიც არ ციმციმებდა.

ნაპირი ჯერ ლანდად იქცა, მერე ლამის ბურუსში გაეხვია და თანდათან გაუჩინარდა.

ჯარისკაცები გემის მუცელში ჩავყევით კიბეს. უღმერთოდ ვიყავით დაღლილები და ვისაც სად მოგვიხერხდა, იქ მივწექით. ლოგინის გაშლა არ გვჭირდებოდა და არაფერი.

ორიოდე საათის წინ ჩვენი გაძახილ-გამოძახილი ნავთ-  
სადგურს აყრუებდა, ახლა კი უცებ ყველა დადუმდა და  
ფიქრს მიეცა.

გემში ისე ჩავსხედით, სად მივდიოდით, ეს მხოლოდ  
მეთაურებმა იცოდნენ.

ზოგი გემით პირველად მგზავრობდა, ამ რწევას შეუჩვე-  
ველი იყო და გულისრევა დაეწყო. ვინც წამოდგა, უარესი  
დაემართა. გამოცდილები ურჩევდნენ: იწევი და ნუ ინძრე-  
ვიო. ყველას არ უშველა ამ „მუქთა წამალმა“ მხიარულებას  
ვინღა დაეძებდა, ზღვას შეუჩვეველ ხალხს ლაპარაკის თავიც  
კი დაეკარგა.

ზღვამ ღელვას უმატა და გემმა — რწევას. ზოგჯერ ტალ-  
ლა ისე ეხლებოდა, მეგონა, გემს გადააყირავენს-მეთქი. ეს  
ალბათ მეცხრე ტალღა იყო, ძლიერი ტალღა.

ფანდურის ხმა მომესმა. ვიღაცამ „სამშობლო ხევსური-  
სა“ წამოიწყო. ვერ ვიცანი მომღერალი. ჩვენთან ფანდური  
ხუთიოდეს ჰქონდა, დაკვრა კი ბევრმა იცოდა. ემზი აკლდა  
ამ სიმღერას, არავინ აპყვა და მალე მიჩუმდა.

ძილს სასთუმალი არ უნდაო, ნათქვამია. დაღლილ-დაქან-  
ცულმა მეზრძოლებმა მალე ამოუშვეს ხვრინვა.

ტანსაცმელი არ გამიხდია, ჰრც ბათინკები, ოღონდ ტო-  
ლალეები შევიხსენი, შარვლის ქამარი შევიყანჩლე. ხალათის  
საყელო გავიღეღე, თავი ზურგჩანთაზე მივდე და ფარაჯაში  
გავეხვიე. მართლაც დალოცვილია ჯარისკაცის ფარაჯა,  
ლეიბადაც გყოფნის, საბნადაც და ბალიშადაც.

ძილი წამწამებზე მეკიდა, მაგრამ ფიქრმა დამიფრთხო.  
უკვე სამი კვირა გავიდა, რაც შინიდან წერილი არ მომსვლია  
და ასე მეგონა, საუკუნემ ჩაიარა-მეთქი. მომაგონდა თბილის-  
ში მიტოვებული ცოლ-შვილი და დედ-მამა. ჩემი გოგონა,  
ხუთი თვის ნათელა აკვანში მწოლარე დავტოვე. მე რომ  
ვემშვიდობებოდი, გაიღიმა. მის მერე ნათელას ღიმილი სულ  
თან დამდევს. მაინც რა დღე იყო! სხვები ტიროდნენ,  
ჩვილი კი იღიმებოდა. მეღირსება კიდევ იმ ღიმილის ნახვა?

ფიქრმა ჩემს ოჯახში დამაბრუნა. შვილის ალერსში ჩამე-  
ძინა.

— აბა, პოლიტმეცადინეობისთვის მოემზადეთ! — გამო-  
აცხადა მორიგემ დილით.

— რა დროს პოლიტმეცადინეობაა, სენი წირიმე? — ნე-  
ლები გაშალა კოსტა გობოზოვმა.

— ბნელი ფიქრები რომ არ მოგივიდეს, ყოველდღე უნდა  
განათლდე. ჯარში ხარ, ამ ზღვაზე სასეირნოდ კი არ ჩამო-  
გიყვანეს! — ისე დარბაისლურად უთხრა გიორგი პაპიაშვილ-  
მა, უღვაშებშიც არ გასცინებია.

ყველა გემბანზე ავიდა. ზოგი ქურვებისა და ნალმების  
ყუთებზე ჩამოჯდა, ზოგი — ქვემეხისა და ნალმმტყორცის  
ზედადგარზე.

გამოჩნდა საშუალო ტანის პირმრგვალი კაცი. შავი ულ-  
ვაშები შეენოდა. თითქოს სულ იცინისო, ნათელი ეფინა  
შავგვრემან სახეზე. ეს ნათელი სანდომიან იერს აძლევდა.

— ჩვენი ახალი პოლიტხელია, მოსე მაქსიმეს ძე ნოზა-  
ძე! — გაგვაცნო ოცმეთაურმა ბაშიროვმა.

მოსე ნოზაძემ მოზრდილი საველე ჩანთა გახსნა და გაზე-  
თები ამოიღო. უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ბიუ-  
როს ცნობები წაგვიკითხა. მთელ ფრონტზე ბრძოლა იყო  
გაჩაღებული. ლენინგრადის ერთ-ერთ უბანზე ჩვენი ჯარი  
მტერს გააფთრებით შეებრძოლა. ხელთ იგდო გერმანელთა  
მრავალი ქვემეხი და ნალმმტყორცი, მოსპო მტრის ხუთასზე  
მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

პოლიტხელმა ეს რომ გვაუწყა, დასძინა: გერმანელთა  
მიერ ოკუპირებულ მიწა-წყალზე მოქმიდებენ პარტიზანული  
რაზმები და ისინი ფაშისტებს დაუნდობლად ანადგურებენო.

არუთინოვს, რომელსაც მეტსახელად „მედოლეს“ ვეძახ-  
დით, გაფითრება დაეტყო, მარცხენა ხელი პირზე მიიფარა,  
მარჯვენა — მოწაფესავით აიშვირა.

— რა გნებავთ, ამხანაგო მებრძოლო? — ჰკითხა მოსემ.

— ბოდიში... აი... — ხელით ანიშნა, გულს მეზიდება და  
გამიშვიო.

არუთინოვი გემბანს ბარბაცით გაჰყვა.

— გაჰყევით ვინმე, არ გადავარდეს! — თქვა პოლიტხელ-  
მა და თხუთმეტწუთიანი შესვენება გამოაცხადა.



პირზეხელმიფარებულ არუთინოვს მე გავყევი. იმ საწუ-  
 ყალმა, რაც დილით ექამა, სულ ზღვაში გადაუშვა, ამოაჯირ-  
 თან ჩაჯდა და სული ძლივს მოიბრუნა:

— ვაჰ! ეს გემი რა ყოფილა, კაცო! მთელი ღამე დოლი  
 დამიკრავს და ასე არ დავდლილვარ!

დავბრუნდით. ახლა პოლიტხელმა საერთაშორისო მდგო-  
 მარეობა გაგვაცნო: გერმანელების წარმატება დროებითია,  
 ფაშიზმის დამარცხება გარდაუვალიაო.

— ამხანაგო პოლიტხელო, — წამოდგა კურცხალია, რო-  
 მელსაც ორი სახელი ერქვა — გერვასი და ლუტუ, — გემი-  
 დან ხომ არ გადავხტებით და საიდუმლოს ზღვის ღორებს  
 ხომ არ გავანდობთ, ახლა მაინც გვითხარით, ასე შტივილ-  
 შტივილით სად მივდივართ? საახალწლოდ ვის უნდა ვესტუმ-  
 როთ, მტერს თუ მოყვარეს?

აქ გავიგეთ, რომ ფეოდოსიაში უნდა გადავსულიყავით,  
 მტრის ზურგში. იქ პლაცდარმს დავიკავებდით, გავშავრდებო-  
 დით, შემდეგ ჩვენი ჯარის სხვა პოლკები მოგვეშველებოდ-  
 ნენ და გერმანელებს ზურგიდან დავცხებდით.

ცივი იყო დეკემბრის მზე და ისევ გემის მუცელში ჩა-  
 ვეშვიოთ. მოგეხსენებათ, ჯარისკაცის უქმად ყოფნა არსად არ  
 შეიძლება. ბრძანება გაიცა, ყველაფერი წესრიგში იქონიეთო.  
 ყველა აფუსფუსდა.

არუთინოვმა შამხანა გაწმინდა და ლულაში გახედა:

— ტოჩნია, რაღა! მზე და მთვარე ერთად ანთია შიგ. ამ  
 თოფით მტერს მზესაც დავუბნელებ და მთვარესაც.

— რა თქმა უნდა, თუ ჯაჭვით გადაბმულს გადააწყდის  
 სადმე!.. ვიცი შენი მარიფათის ამბავი!

— აღდგომა და ხვალაო!

— ხვალ აღდგომა კი არა, ახალი წელიწადია.

— ჰო, მართლა, კაცო, ამ ახალწელიწადს ომს „ვიხად-  
 ნოი“ არ ექნება?

— გერმანელები ჩიჩილაკსაც მოგართმევენ, არ გინდა?

— ეჰ, კაცმა ახალწელიწადს მაინც არ უნდა ესროლოს  
 კაცს თოფი.



— ომს გული არა აქვს. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გიორგიმ და გაჩუმდა. დადუმდნენ სხვებიც.

— აბა, რას ჩამოყარეთ, ბიჭებო, ყურები? ჯერ სატირელი არაფერი გვაქვს, პანაშვიდზე ხომ არა ვართ?! მედოლე, საცეკვაო! — შეუქვეთა ლუტუმ. — თუ კარგად დაუკრავ, წითელი თუმნიანი აქ რად გინდა, იმის მაგივრად ერთ მოზრდილ ორცხობილას მოგაკრავ შუბლზე.

არუთინოვი ფეხზე წამოდგა:

— მოგიკვდეთ ჩემი თავი! თქვენ ოღონდ ცეკვას ნუ დაიზარებთ და დოლის დაკვრას მე არ დაგამადლით.

ხანძარსაწინააღმდეგო ვედრო ჩამოხსნა, მუხლებშუა პირუკუღმა მოიქცია და ხელები დაუშინა.

— დიპტიტარო, დაპტიტარო! — ასმაურდა ვედრო.

— ტაში, ტაში! — შევაშველეთ ტაში მედოლეს.

დოლიც გახურდა, ტაშიც, საცეკვაო წრეც უმაღვე შეეკარით. მაგრამ მოცეკვავე, არავინ გამოჩნდა.

არუთინოვმა დაკვრა შეწყვიტა:

— ვაჰ, ეს ხელები განა ნათხოვარი მაქვს?! თქვე მამა-ყელქონიანებო, ტყუილად რატომ მრჯით? აბა, იცეკვეთ ვინმემ!


ისევ ასმაურდა დოლაღქცეული ვედრო და გახურდა ტაში.

ყველა ერთმანეთს აქეზებს, იცეკვეო. გიორგიმ კოსტა შეაგდო წრეში, ოსურად დაუარეო. კოსტა ერთი უხერხულად შეიშმუშნა, ცეკვა არ ვიცო და წრიდან გავიდა.

— ვაჰ, ეს რა ხალხში ჩავეარდი, კაცო?! — „დოლი“ გააჩერა არუთინოვმა, — ხალხმა ტაში დაგიკრას, ცეკვა გთხოვოს და უარი თქვა?! რას მიჰქვია, არ ვიცო? ცეკვას რა დიდი ხათაბალა უნდა! გადახტი, მკლავები გაშალე, პირზე ღიმი გადაიფინე, მარჯვენა ფეხი გაუსვი, მარცხენა ააყოლე, წრეს ორიოდგჯერ შემოურბინე, მორჩა და გათავდა!

— თუ ეგრე ადვილია, შენ იცეკვე! — წავაქეზე მე.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალთ! ჰა, ეს შენ დაუკარი! — ვედრო ხელში მომაჩეჩა. — მე ვიცეკვებ.





— რომ შემეშალოს დაკვრა?

— კაცს თუ ცეკვა უნდა, კამეჩის ცოხნაზეც ფეხს. დაუკარი, დაუკარი!

ახლა მე ავაბრაზუნე „დოლი“.

— ტაში, ტუში! — არუთინოვმა მკლავები გაშალა, წრეში ტანის რხევით შევიდა და დაუარა. ორიოდ წრე დაარტყა, შუაში გაჩერდა, დოინჯი შემოიყარა, თავი გაიქნ-გამოიქნია, ჩაბუქნა ერთხელ, ორჯერ და ირგვლივ თვალი ღიმილით შემოატარა, წრეში გასაწვევ კაცს ეძებდა.

ეს მოცეკვავე ჯარისკაცი სულაც აღარ ჰგავდა გემის რწვევით შეწუხებულ არუთინოს. უცებ გამოიცვალა.

თავი ლუტუს დაუკრა.

ამ დროს გუგუნის მოგვესმა და გემის მუცელი ერთბაშად გაინაბა. ზოგმა მიაყურა, ზოგმაც მალა ასვლა დააპირა. კარში ოცმეთაური ჩამოდგა:

— არ შეგეშინდეთ, ჩვენი თვითმფრინავია. გვიცავს, მტრის თვითმფრინავები რომ არ დაგვესხან თავს.

გუგუნის რამდენჯერმე მიწყდა და გამეორდა.

ამასობაში მოსალამოვდა.

მეთაურმა გემბანზე უნებართვოდ ასვლა და იქ პაპიროსის მოწვევა აგვიკრძალა.

ზღვაზე ორი ჩვენი სამხედრო ნავი გამოჩნდა. ერთი მარჯვნიდან ამოგვიდგა, მეორე — მარცხნიდან. შუაში ჩაგვიყენეს. საბრძოლველად იყვნენ გამზადებულნი და სწრაფად დაცურავდნენ. თუ მტერი თავდასხმას გაბედავდა, მაშინვე შეებრძოლებოდნენ.

დალამდა. ცას ღრუბელი მოეძალა და მუქლურჯი ზღვა ჩაშავდა. ღელვამ კი თითქოს იკლო. გემი წინანდებურად აღარ ირწევოდა.

ცივი და უკუნი ღამე გამეფდა. გემი წყვდიადს შეუმჩნევლად მიარღვევდა.

— მოემზადეთ! — გაგვაფრთხილეს მეთაურებმა.

ავფუსფუსდით. ზურგჩანთები და საომარი აღჭურვილობა ავიკიდეთ. მუზარადები დავიხურეთ, თოფ-იარაღი ხელში დავიჭირეთ.

საშინლად ღლის ადამიანს მოლოდინი, ისიც ამ დროს/ როცა არ იცი, წინ რა გელოდება.

დრო თითქოს ამირანის ჯაჭვით დააბეს, წუთი საუკუნედ გვეჩვენება.

კაცი გზაზე რომ მიდის, ისე არ იღლება, როგორც ერთ ადგილას დგომის დროს.

ზოგი კედელს მიეყრდნო და გემრიელად დაამთქნარა. მისი მთქნარება სხვებს გადაედო. ზოგს ცხენივით ზეზეურად მოერია რული, მუხლმა უმტყუნა, თვალი სწრაფად გააბილა და რომ არ წაქცეულიყო, მეზობელს ჩასქიდა ხელი.

სანთლის მკრთალი შუქი ლანდებს ალიცლიცებდა. ზოგი ლანდი დევისას ჰგავდა.

პოლიტხელი მოსე ნოზაძე ჯარისკაცებში მიმოდინდა და გვაფხიზლებდა.

— არუთინოვ, როგორა ხარ? — ჰკითხა კართან მიმდგარ „მედოლეს“, — ხომ აღარ გიქირს?

— ოღონდა მიწაზე დამადგმევეინონ ფეხი და მერე მე ვიცი! ერთ კარგ დოლს ვიშოვი და ბერლინამდე სულ ცეკვა-თამაშითა და ბაიათებით ჩაგიყვანთ.

— ირანიდან რომ სალსალამათი გამობრუნდი, იმან გაგათამამა? — საუბარში ჩაერია კურცხალია. — გერმანელებს კბილებიც კი ტყვიისა აქვთ. ყუმბარებს კარტოფილივით რომ გადმოგაყრიან თავზე, მერე ვნახავ, რა ბაიათებსაც იმღერებ.

— მე იცი რისი იმედი მაქვს? გერმანელები გაიგებდნენ, შენ რომ ფრონტს უახლოვდები და უკანმოუხედავად მოპკურცხლავდნენ. ფეოდოსია თავისუფალი დაგვხვდება.

— მალე შენს ფეოდოსიაში ჩასვლასაც გაიგებენ და მთელ ყირიმს დასტოვებენ უბრძოლველად.

— ეგ დოლის დაკვრითაც დააფრთხობს გერმანელებს, — კურცხალიას მიეშველა პაპიაშვილი.

— კარგი დოლის დაკვრაც სცოდნია, თუ ხალხს აფრთხობს.

— ვა, ფაშისტები ხომ ხალხი არ არიან! ჩვენმა პოლიტხელმა არ თქვა, მხეცებად იქცნენო? ჰოდა, მხეცებს დოლის

ხმაურიც აფრთხობს და კაცის ომახიანი შეძახილიც. ერთს რომ დავჭყვივლებ, ჭკუაზე შევშლი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კაცი იმედით ცოცხლობს.

ანაზღად იქუხა და გემი შეტორტმანდა. კიბესთან შეჯგუფული მებრძოლები ერთმანეთს მიაწყდნენ.

ვიცოდი, რომ ჩვენებმა ისროლეს და მაინც ქრუანტელმა დამიარა.

ეს იყო ის პირველი ქუხილი, რომელმაც მტერს აქ ჩვენი მოსვლა ამცნო.

ფაშისტებს პირველი მეხი ვესროლეთ. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე... მერე სათვალავი დავკარგეთ.

ჩვენმა არტილერიისტებმა ჭურვები ზღვის სანაპიროს დაუშინეს და მალე ცეცხლი ქალაქის შუაგულისკენ გადაიტანეს.

ქვემეხთა ქუხილს ტყვიამფრქვევთა კაკანი აჰყვა.

დაყრუვდა ატორტმანებული გემი. ასე გაგრძელდა კარგახანს.

1941 წლის 29 დეკემბერს, გამთენიისას ჩვენი გემი ფეოლოსიას მიადგა. ქვემეხებმა სროლა გაახშირეს. ქვეითები „ვაშას“ ძახილით ნაპირზე გადავიდნენ და ნავთსადგური დაიკავეს. მალე ჩვენი გემი ყურეში შეცურდა. გემს ბოგირები მოადგეს. ქვემეხები ხმელეთზე გადავაგორეთ, ნალმტყორცნები გადავზიდეთ.

საცეცხლე წერტი მალე ავირჩიეთ და ნალმტყორცნი გავმართეთ. მომიზნე კურცხალიამ პანორამა ბუდიდან ამოიღო და იარაღს მოარგო, მერე ჩაიჩოქა და თარაზო გაასწორა.


— მზად არის!

მეთაურმა მიზანი გვიკარნახა. მე ლულაში ნალმი ჩავუშვი და ზონარს ხელი გამოვკარი.

— ეიუუუ! — ქაჯივით გაფრინდა ნალმი.

მტერს პირველი საახალწლო საჩუქარი გავუგზავნე.

ჩვენი ნალმსატყორცნი 120 მილიმეტრის ყალიბისა იყო, პატარა კი არა!



გერმანელებმა მაღალი შენობის ფანჯრებიდან აგვეტყუეს სროლა. ჩვენმა ბატარეამ სწორედ იმ შენობას დაუშინა ნაღამები. სახურავიდან ბოლი ავარდა, მალე ცეცხლმაც ამოყო წითელი ენა და ცაში აასავსავა.

ცეცხლმა ენა თანდათან დაიგრძელა და მთელ შენობას შემოახვია.

ჩანს, იქ შეხიზნული გერმანელები არ გველოდნენ. ფიქრობდნენ, თავი ქუდში გვაქვსო. უცებ, ღვთის რისხვად რომ დავატყდით თავს, დაიბნენ. ბინდბუნდში დავლანდე, ფაშისტები თავქუდმოგლეჯილნი გარბოდნენ. ერთი საბანმოხურულიც კი მიფართხუნობდა. ცეცხლის შუქზე რომ გავიდა, ჩვენს მახლობლად ტყვიამფრქვევი აკაკანდა და საბანმოხურული ფაშისტი ძირს გაგორდა. ორიოდე წუთს იწვა, წამოხტა და ქუჩის გასწვრივ საცვლებისამარა მოჰკურცხლა. ტყვია ქუჩის კუთხეში დაეწია. კვლავ დაეცა. დაცემულსაც ესროლეს. აღარ წამომდგარა.

მტერი მალე მოვიდა გონს და ტყვია უღმერთოდ დაგვიშინა, ჰურვებიც. გააფთრებული ბრძოლა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ზუზუნებდა ტყვია, მჭახედ სკდებოდა ნაღმები, მძიმედ ხვნეშოდა ყუმბარა. მზე როდის ამოვიდა, არ გამიგია. მზის ამოსვლამდე ცეცხლმა გაანათა იქაურობა და ცაკვამლის ბოლქვებმა დაფარა. ჰერი თოფისწამლის და დამწვარი ხორცის სუნით გაიჟღინთა. ერთხანს თავის აწევეც არ შეიძლებოდა.

— ღუბუ, ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი კი ვარ, მაგრამ წელს ვეღარ ვწევ, მგონი, ლოდი დამეცა, არც მომკლა, არც დამარჩინა... აგერ ახლა ძლივს მოვითქვი სული!

— ლოდი კი არა... ჩემი არ იყოს, გაყინული ბელტი დაგცემია. ეგ არაფერია, ძალდი კოჭლობით არ მოკვდება!

— ეიუუუ! აახ! აახ! — ორი ნაღმი სულ ახლოს გასკდა. გადავრჩით.

სულმოუთქმელად კაკანებდა მეზობელ ქუჩაში ჩასაფრებული დაზგის ტყვიამფრქვევი. მტრის მხარეს მხოლოდ ცეცხლმოდებული სახლი ტკაცუნობდა. სადღაც ისე იქუხა.

იფიქრებდით, ასი მეხი დაეცა ერთადო. ალბათ ყუმბარების  
საწყობი აფეთქდა. ამ ქუხილის ეჭო რომ მიწყდა, საოცარი  
დუმილი ჩამოწვა. აშკარა იყო, მტერმა ქალაქი მიატოვა და  
გაიქცა. პირველი იერიში ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა.

— ლუტუ, ზურგი ხომ აღარ გტკივა?

— არა. ლომივით ვარ ახლა. შენ?

— მგელივით. ვიდრე ქვემეხები ქუხდნენ, ჩემი კუჭი გა-  
ჩუმებული იყო, ახლა კი საშინლად აყვირდა: მშიაო.

ბრძოლა რომ გადვიხადეთ, მაშინლა მოგვაგონდა. ჭამა-სმა  
რომ გვინდოდა, წუხანდელს აქეთ ლუკმა რომ არ ჩაგვიდევს  
პირში. სახელდახელოდ წავიხემსეთ და ის-ის იყო, დასვენე-  
ბას ვაპირებდით, ბრძანება გაიცა: გუდა-ნაბადი აიკარით,  
მტერს კვალდაკვალ უნდა დავეღვენოთო. ჯარისკაცის მოს-  
ვენება და ისიც ომში, ვინ თქვა!

## ც ე კ ვ ა უ ლ ო ლ ო ლ

მზე რას უზამს იმოდენას დამზრალს ყვაილსა,  
რაც თბილი სიტყვა დაზაგრულ გულსა!

ი ლ ი ა

ნაღმმტყორცნები მანქანებს მივაბით და გზაზე გავედით. იქ გერმანელთა სისხლიანი ცხედრები ეყარა.

ასფალტიანი გზიდან თემშარაზე გადავედით. გეზი ფეოდოსიიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ავიღეთ.

ახალწლის ღამე მინდვრად დადგმულ კარვებში გავითენეთ, უღვინოდ და უსიმღეროდ. მართალია, მტერი არ გვესროდა, მაგრამ ქარი ისე მოსთქვამდა, იფიქრებდით, მთელი ქვეყნიერების ჭირ-ვარამს მართო ეს ქარი დასტირისო.

ოციოდე კილომეტრი უბრძოლველად გავიარეთ. ერთგან გერმანელი ოფიცრის საფლავი შეგვხვდა. იქვე ჯვარი ესვა და იმ ჯვარს სვასტიკიანი მუზარადი ეხურა. ეგ იყო და ეგ.

სოფელ პეტროვკაში ისევ მოგვიხდა მტერთან შეხლა, მაგრამ ამჯერად ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. გერმანელებს იქიდან მალე ამოვაკვეთინეთ ფეხი.

სოფელი ცარიელი დაგვხვდა, უფრო ნასოფლარს ჰგავდა. მთებში გახიზნულმა მოსახლეობამ ჩვენი იქ მისვლა მალე შეიტყო და პეტროვკა ორიოდ დღეში ხალხით გაივსო. დაინთო ღუმელები და დენტის კვამლს მშვიდობიანი ბოლი შეენაცვლა.

მაგრამ ეს მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელდა. გერმანელებმა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ქვემეხები დადგეს და ყუმბარები ხვავრიელად დაგვიშინეს. უნდოდათ, სოფელს კვლავ დაპატრონებოდნენ.

პეტროვკაში დარჩენა შეუძლებელი გახდა. მტრისთვის მხარი უნდა გვექცია, გვერდიდან უნდა მოგვევლო. სოფელს რომ გავცდით, თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი დაგვეწია, პეტია ერქვა. ჯარისკაცობა უნდოდა. ნოზაძემ გააბრუნა უკან.

მინდორს იქით მარჯვე პოზიცია ამოვირჩიეთ და მტრის ცეცხლს ჩვენი არტილერიის ცეცხლი გაეპასუხა. ვერც ამ რისხვას გაუძლეს გერმანელებმა, სანგრებიდან ამოცვივდნენ და უწესრიგოდ დაიხიეს უკან. მტერს ისევ კვალდაკვალ მიეყვებით.

იმ არემარეში ტყე იშვიათად არის. თოვლითა და ყინულით დაფარულ მინდვრებში გვიხდებოდა სიარული. იანვრის სუსხიანი ქარბუქი სახეზე მათრახივით გვეცემდა, ნამქერი მაგრად შეკრული ფარაჯის საყელოდან ზურგში გვიძვრებოდა და გვთოშავდა.

შიშველ ველზე ქარი ავად ზუზუნებდა, გასროლილ ტყვიას ბაძავდა.

ყინვამ ცხვირის წვერი ამიწვა. წამწამებზე ჭირხლი დამეკიდა, თვალს ძლივსლა ვახელ. მაგრამ მებრძოლები წინ მიდიან და მეც მივყვები.

სამხრობისას ქარბუქი ჩადგა, ასე ვთქვათ, ცოტა გამოიღარა. იმ დღეს, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, თურმე სვასტიკიანმა თვითმფრინავებმა ფეოდოსიის დაბომბვაც კი მოახერხეს. აფეთქდა ბენზინისა და ნავთის საწყობები. ცეცხლის უზარმაზარი ენა ცას ლოკავდა, შავი ბოლი ქალაქს გველეშაპივით გადააწვა თავზე. ცეცხლში გაეხვია რამდენიმე ქუჩა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ფაშისტები დამარცხებას არ ურიგდებოდნენ და ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით.

პეტროვკასა და რაზალიევკას შუა მთა არის. იმ მთის ძირას თოვლი გაყინული იყო — თეთრ ხორხოშელა ქვიშას ჰგავდა. ასეთი თოვლი არ იტკეპნება. გადავხვეტეთ. მიწას



წერაქვები და ნაჯახები დავუშინეთ, ძლივს გავჭერით და ნალმ-  
მტყორცნები ჩავდგით. ქარბუქმა ისევ აიშვა თავი და ნალმ-  
მტყორცნების მახლობლად კარავი გადავჭიმეთ. სიცივემ იმატა  
და კარავშიც არ მოგვასვენა. ახლა ყინვა მტერზე უფრო მკაც-  
რად გვიტევდა. თუ განუწყვეტლივ არ ვიმოძრაებდით და ფე-  
ხებს არ ვაბაკუნებდით, ვიძაგრებოდით. არა და, შეუსვენებლად  
მოძრაობა არაქათს გვაცლიდა.

პეტროველებმა გვითხრეს: ასე მკაცრი, სულისა და ხორ-  
ცის გამყინავი ზამთარი ყირიმის მიწა-წყალს არ ახსოვსო.  
თითქოს ჩვენს ჯიბრზე ტაროსიც შეიცვალა. იქნებ ბალტიის  
ზღვიდან შავ ზღვამდე ქვემეხთა ხმაშეუწყვეტელმა ქუხილმა  
ჩრდილოეთის სიცივე სამხრეთში გადმოისროლა და სამხრეთის  
სითბო ჩრდილოეთში? ჯომ ამბობენ, როცა მიწაზე ომი ჰქუხს,  
ცაში ამინდი იცვლებაო? ანდა, იქნებ ეს სიცივე ყირიმში  
გერმანელებს მოჰყავთ? მაგრამ ყინვა ხომ გერმანელებს უფ-  
რო აშინებთ, ვიდრე ჩვენ? ასე იყო თუ ისე, უღმობელმა  
სიცივემ ყირიმს მარწუხები შემოუჭირა. ნათლილების ყინვებმა  
აღრევე იჩინა თავი. სიცივე მხოლოდ ფარაჯაში როდი ატან-  
და, სულშიც უძვრებოდა ადამიანს.

ხშირად მეჩვენებოდა, ვილაც მთელ ტანზე ცივ ნემსებს  
მირტყამს-მეთქი.

იმ გულბნელ ფაშისტებს ღამით ბრძოლა არ უყვარდათ,  
შებინდების შემდეგ ჩვენთან შეხლას ჭირის დღესავით გაურ-  
ბოდნენ, მიწურებიდან და სახლებიდან არ გამოდიოდნენ. იმ  
უსაშველო ყინვა-ყიამეთში არც ჩვენ გვქონდა ბრძოლის თავი.  
ნალმმტყორცნისთვის რომ შიშველი ხელი შეგვხოთ, ზედ მი-  
გეყინებოდით. ზამთარში, მოგვხსენებათ, ყველაზე ადრე რკი-  
ნა ცივდება და უცნაურად სწვავს კაცის სხეულს.

იმ ღამითაც სროლა კანტიკუნტად ისმოდა. მაშხალები კი  
ხშირად ანათებდა იქაურობას. უმაშხალებოლ ირგვლივ თეთრი  
წყვდიადი მეფობდა. ახლა მაშხალები ისე არ გვაფრთხობდა,  
როგორც თოვლისფერი ღამე. ჰოდა, მაშინ დავრწმუნდი: შავი  
ღამე, ყორანა უკუნი ისე საშინელი არ არის, როგორც ეს  
თეთრი წყვდიადი — თვალგაუვალი, ცივი და მრისხანე.

ვისაც წასთვლემდა, უმაღვე ვალვიძებდით, გვეშინოდა,

მძინარე კაცი არ გადაგრულიყო. გარიყრაყისას ყინვამ ისე შემოგვიქირა, როგორც იტყვიან, ფრინველს ცაში გააშეშებდა. თითქმის მთელი ღამე უძილოდ გავათენეთ. ხან ვჭიდაობდით, ხან ერთმანეთს მამლებივით ვეძიძგილავებოდით. თათმანიან ხელებს ერთმანეთს ძალუმაღ ვუტყაბუნებდით და მშვენიერი ტაშის დაკვრა გამოგვდიოდა. ყველა ცეკვავდა უღოლოდ და უზურნოდ, ცეკვავდა მედოლე არუთინოვიც.

— აი, ამას ჰქვია, ყინვამ ბუქნაობა მასწავლაო! — თქვა კურცხალიამ, დავლური დაუარა და ისე ჩაბუქნა, კინაღამ წაიქცა.

პოლიტხელმა ნოზაძემ რამდენჯერმე შემოგვიარა და დავგხედა:

— ჰო, ეგრე, ბიჭებო, ეგრე! ამ ჩხვლეტია ყინვამ არ შეგაშინოთ... ფორთოხლის ნერგები ხომ არა ვართ!.. ბევრი გაჭირვებისთვის გაგვიძლია და ამასაც უნდა გავუძლოთ!..

ღილით განკარგულება გაცივა: ნალმმტყორცნები მთაზე ხელით უნდა აიტანოთ, ქვეითები იერიშზე გადადიან და გზა საარტილერიო ცეცხლით უნდა გავუკაფოთო.

მთისკენ ვიწრო გზა მიდიოდა, მაგრამ ისე იყო მოლიპული, ზედ ვერც ერთი ავტომანქანა ვერ მოახერხებდა ასვლას.

— რა აიტანს ამ სატიალეს! — მედოლემ ნალმმტყორცნს შეუბღვირა.

— არა უშავს, გაგახურებს! — დააიშედა კურცხალიამ.

ზოგმა სად წაავლო ხელი და ზოგმა სად, ნალმმტყორცნი ციმციმ ავწიეთ და აღმართს შევუდექით. ბორცვთან სანდრო ჩაჩხიანი დაგვიხვდა, ლაილაშელი მასწავლებელი, ამჟამად 75 მილიმეტრიანი ყალიბის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მეთაური.

გიჭირთ, ბიჭებო?

— ლითონისაა, ბამბის კი არა.

სანდრომ ცხენები ქვემეხიდან გამოსხნა და ნალმმტყორცნს შეუბა. ჯერ ჩვენი იარაღი აიტანა მთაზე, მერე სხვა გუნდებსაც შეეშველა.

გორაკზე რომ განვლაგდით, თვითმფრინავმა გადაგვიქროლა, შემოტრიალდა და ირაო გააკეთა. ჩვენი დაცხრილვა ეწადა, ტყვია სეტყვასავით დაგვიშინა.

— დაწეით და შაშხანები ესროლეთ! — დაიძახა ბაშჩი-როვმა.

გულალმა გადავიშხლართეთ. ზოგმა ავტომატი <sup>არკვესული</sup> <sup>გაქაქანა</sup> ზოგმა შაშხანა გააცეცხლა. თვითმფრინავი ისე თავხედურად მოგვიახლოვდა, მოსე ნოზაძემ „ტეტე“ გაიძრო.

ძნელი იყო იმის დადგენა, ვისმა ნასროლმა ტყვიამ უწია, თვითმფრინავი ჰაერში შეტორტმანდა და მთის იქით გადაეშვა, უკან შავი კვამლის გრძელი კუდი აითრია.

მტერი სოფელ რაზალიევკაში იყო განლაგებული. მოწინააღმდეგის სანგრებს ნალმები და ქურვები დაევუშინეთ. ჩვენი ქვეითები იერიშზე გადავიდნენ. მალე კვლავ მოგვიხდა პოზიციის შეცვლა. ავიკარით გუდა-ნაბადი და მთიდან დაბლა დავეშვიტ, მტრის დატოვებულ სანგრებთან შეეჩერდით, მიდამო დავათვალიერეთ და ნალმმტყორცნები სოფლის პირას გავმართეთ.

გაქცევამდე ფაშისტებს რაზალიევკა დაერბიათ. გზის იქითაქეთ ეყარა დახვრეტილი ქალები, ბავშვები და მოხუცები. ზოგი ნამქერში იყო გახვეული. ისინი ერთად დავკრძალეთ. ეს არ იყო საძმო საფლავი, აქ უფრო მეტი ქალი დაიმარხა. ჩვენ მას დათა და ძმათა საფლავი ვუწოდეთ.

მზვერავებმა გვაცნობეს: მტერი რაზალიევკიდან სამი-ოთხი კილომეტრის დაშორებით, ასამბაიში გამაგრდაო. მივუახლოვდით, ჩავსანგრდით და ცეცხლი გავხსენით. მინდორში დადგმული თივისა და ჩალის დიდრონი ზვინები აბრიალდა და მწუხრის ქამი გააჩირადნა. გერმანელებმა ალბათ იფიქრეს: ეს განგებ ჩაიღინეს, გზა გაინათეს, რათა ღამით დაგვესხან თავსო. ასამბაი თითქმის უბრძოლველად დატოვეს, სტარი კრიმისკენ დაიხიეს.

ასამბაიში ხილის ბაღია უზარმაზარი. ბაღს ქარსაცავი ცოცხალი ღობე არტყია. სტარი კრიმისკენ მიმავალი გზის გაყოლებით დგას უშველებელი, წვერით ცას მიბჯენილი ალვის ხეები. ბაღში აგურის სახლი დაგეხვდა, ორსართულიანი, ფანჯრებჩამტვრეული და აქა-იქ სახურავახდილი. ვარდისა და იასამნის შიშველი ტოტები საცოდავად ცახცახებდნენ.

ზოგი ქვედანაყოფი იმ ბაღში განლაგდა, ზოგმაც სოფელში

დაიწყო სანგრების თხრა. მტრის სამმა თვითმფრინავმა გადაუ-  
ქროლა იქაურობას. ისე ვიყავით შენიღბულნი, ვერ შეგვნიშ-  
ნეს და ყუმბარები უმიზნოდ ჩამოყარეს, უკაცრიელ მინ-  
დორში.

დიდი დრო არ გასულა, მზვერავეებმა ახალი ამბავი მოიტა-  
ნეს: სტარი კრიმის მახლობლად გერმანელებს მაშველი ძალა  
მოუვიდათ და სოფელ ყარაგოზში გამაგრდნენ. ყარაგოზი  
შორს არ იყო. ჩვენი ჯარის განლაგებაში ჯერ კანტიკუნტად  
დაეცა ქურვები, მერე მტერმა არტილერიის ცეცხლი გააძლი-  
ერა, ნალმებითა და ყუმბარებით თითქმის მთელი ასამბაის  
ბალი გადათხარა. გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ, მარცხ-  
ენა ფრთა გამოარღვიეს და თავს დაგვიარეს. იძულებული  
გავხდით, უკან დასახევი გზა გვეძებნა. რაზალიევიკისაკენ ავი-  
ღეთ გეზი. სანიტარული ნაწილიდან მობრუნებულმა ჯარის-  
კაცმა ცინცაძემ შეგვაჩერა:

— მე რომ რაზალიევიკას გამოვცდი, იქ ფაშისტები შეიჭ-  
რენ. ხომ იცით, პოლკის შტაბი ახლა იქ დგას...

— ახლა რაზალიევიკაში გერმანელები არიან?

— ჩემი თვალით დავინახე. უკან დასახევი გზა გადაჭრილი  
გვაქვს.

— აბა, რა გვეშველება?

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, თუ ვერ მოვიგერიებთ, გავარ-  
ღვევთ და გავალთ. სატირელი და სავალალო მტერს ჰქონ-  
დეს! — რიხიანად თქვა გიორგი პაპიაშვილმა.

სიტყვა ადვილი სათქმელია. ასამბაიდან გასვლა შეუძლებე-  
ლი გახდა. პოლკის შტაბთან კავშირი დავკარგეთ. აშკარა იყო,  
მტერმა ჩვენი შენაერთი შუა გაჭრა და ამ ორ ნაწილს ალყა  
ცალ-ცალკე დაარტყა. რათა უფრო ადვილად გაენადგურებინა.

ფაშისტებმა ცეცხლი დაგვიშინეს ყოველი მხრიდან. აღარ  
ვიცოდით, ნალმები საით გვესროლა. ირგვლივ ისეთი ხმა ის-  
მოდა, გეგონებოდათ, დევები ზღაპრულ დოღს აბრაახუნებნო.

თავდაცვის წრიულ ხაზზე განვლაგდით. გერმანელები გაა-  
ფთრებით გვიტევენ. ერთ დღეში შვიდჯერ მოვიგერიეთ. მე  
და კურცხალია ვისვრით და ვისვრით ნალმებს. მახლობლად  
დგას სანდრო ჩაჩხიანის ქვემეხი. იგი სვასტიკიან ტანკებს ზუს-

ტად ურტყამს და ბრაზიან ურჩხულებს ჩვენსკენ არ უშვებს. სანდროს ეხმარება მისი მიწა-წყლის კაცი, უფროსი სერჯანტი. აკაკი თვარაძე — უზიდავს ქურვებს და ზოგჯერ ისწორებს დეც. ყველაფერს ჩუმად აკეთებს, აუღელვებლად, თითქოს სიკვდილის სულ არ ეშინია.

აკაკი თვარაძე სწორედ იმ გაჭირვების უამს გაციცანი და ძმისავეით შემოიყვარდა. ნამდვილი ჯარისკაცი იყო, მტკიცე და შეუპოვარი.

ფაშისტები ალბათ ფიქრობდნენ: ალყაშემორტყმული ხალხი უბრძოლველად დაგვენებდება, ტყვეობა სჯობს სიკვდილსო. ანგარიშში მოტყუდნენ. გაბრაზდნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ვატყობთ: ძალას თანდათან იკრებენ და თავდაუზოგავად გვიტყვენ. ინგრევა აგურისა და ქვის სახლები, ხის შენობებს ცეცხლი ეკიდება, მაგრამ ახლა ეს ცეცხლი ჩვენ სულაც არ გვატობს. გერმანელები ისე გამძვინვარდნენ, ღამითაც კი გვებრძვიან. ჩვენც გავგულისდით და ტყვიას არ ვზოგავთ.

სურსათი ცოტალა დაგვრჩა, ტყვია-წამალიც შემოგვაკლდა. ვაზნა, ქურვი და ნაღმი თითებზე ჩამოსათვლელად გვაქვს. მეთაურებმა ასამბაის მკვიდრთაგან შეიტყვეს: აქედან ჩრდილო-დასავლეთით, ათი-თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით, არის ტყე და იმ ტყეში იმყოფება პარტიზანული რაზმი, რომელიც ფაშისტებს სიციცხლეს უმწარებსო. თუ ამ ალყას გავარდევით, პარტიზანებს შევეურთდებით და... შემდეგ ჩვენ ვიცით და ჩვენმა ვაჟკაცობამ...

გადაწყდა — რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ღამით ალყა უნდა გავარღვიოთ. თუ ასე არ მოვიქცევით, ფაშისტები ამ თოვლიან სანგრებში ცოცხლეულად დაგვმარხავენ.

დალამდა. უკუნი ღამე ჩამოწვა. მტერი ტყვიას არ გვესერის. მაგრამ ასამბაის ირგვლივ, ცაში წამდაუწყუმ მამხალეები ინთება. თითქოს განზრახვას მიგვიხვდნენ, სინათლის ღობე შემოგვავლეს. ახლა ეს სინათლე გახდა ჩვენი დაუნდობელი მტერი. სინათლის ცეცხლში ვდგავართ და მის ჩაქრობას ველოდებით. სწორედ ამ დროს დივიზიონის შტაბთან შეკრება გვებრძანა.

— საუბრით თავს არ შეგაწყენთ, — გვითხრა დივიზიონის

მეთაურმა, — საბრძოლო ამოცანა ასეთია: ამაღამ მტრის ალ-  
ყიდან უნდა გავიდეთ და ტყეს შევეხიზნოთ. იქ პარტიზანულ  
ცხოვრებას დავიწყებთ. სხვა გზა ხსნისა არაა. რასაც თან ვერ  
წამოიღებთ, შეაქუჩეთ და ცეცხლი წაუკიდეთ. ქვემეხები და  
ნაღმსაბურთოები მოშალეთ, მტერმა რომ ვერ გამოიყენოს,  
სანგრებში ჩაყარეთ და დამარხეთ. არც ერთი ვაზნა და ხელყუმ-  
ბარა არ დატოვოთ აქ, თან წამოიღეთ. თუ ავტომატები და  
შაშხანები გატენილი გვექნება, სურსათსაც ვიშოვით და სხვა  
რამესაც. დღეს მხოლოდ და მხოლოდ ტყვია-წამალია პური  
ჩვენი არსობისა, სიცოცხლაც ჩვენზევეა დამოკიდებული. აბა,  
დრო საშუროა, მოემზადეთ! ნახევარ საათში გზას დავადგე-  
ბით!

მეთაურის მითითება შევასრულეთ. რისი თან წაღებაც არ  
გვიხერხდებოდა, ერთად შევეყარეთ და ცეცხლი წაუკიდეთ.  
ნაღმსაბურთოები დავშალეთ და ისე ჩავეყარეთ სანგრებსა და  
ორმოებში. მეზობლებმა ქვემეხები დამარხეს. ჰო, ასეა — ომის  
დროს მხოლოდ ტყვიით განგმირულ ჯარისკაცებს როდი ვმარ-  
ხავდით, ზოგჯერ ქვემეხებსა და შაშხანებსაც ვასაფლავედით.  
ოღონდ, ეს იყო, ასეთ საფლავზე არავითარ ნიშანს არ ვაკე-  
თებდით. მთელი დღივიონიდან მხოლოდ ჩაჩხიანის ქვემეხი  
დავიტოვეთ წამოსაღებად და იქაურობას უმაღვე გავეცალეთ.

ჩვენს დაყრილ ხარა-ხურას რომ ცეცხლი მოედო, არ ვრცი,  
მტერმა რა იფიქრა, იმ ცეცხლს ქვემეხების ცეცხლი დაუშინა  
სასტიკად. ამ დროს იქ ჩვენიანი უკვე აღარავინ იდგა. ალბათ  
ფაშისტებს ეგონათ, საბჭოთა ჯარისკაცებმა სიცივეს ვეღარ  
გაუძლეს, ყუთების ფიცრით ცეცხლი გააჩაღეს და ეფიცებები-  
ანო. ასე იყო თუ ისე, მოტყუვდნენ, იმ ცეცხლს ამაოდ მია-  
ხარჯეს ჭურვები. კარგა ხანს ესროდნენ, მაგრამ ცეცხლი ვერ  
მოკლეს. თუ მოკლავდნენ, მისი სიკვდილი არც გვენადვლე-  
ბოდა.

ასამბაი უკან მოვიტოვეთ, ტრიალ მინდორზე გავედით. წინ  
მზვერავები მიგვიძლოდნენ. მტერმა ვერ შეგვამჩნია, გავძვე-  
რით. ქარბუქი ტრიალებდა ხოლმე და ყველას უხვევდა  
თვალს — მტერსაც და მოყვარესაც. ძნელია ასეთ ამინდში  
ციხქვეშ ყოფნა, ძალღი არ გაიგდება გარეთ. ძლივს ვსუნთ-

ქავთ, სიარული გვიჭირს. მაგრამ ვაი მისი ბრალი, ვინც ამ/ თოვლიან მინდორს დროულად არ გაეცლება: ან ქარბუქით და- მარხავს ამაღამ, ან მტრის ტყვია — დილით. თუ ორივეს გადა- ურჩია, ტყვეობა არ ასცდება. ერთმანეთს მივეყვებით, წინ რიგ- რიგობით ვდგებით და თოვლს მივარღვევთ. უცებ ცინცაძემ მიასვა ფეხი.

— აღარ შემიძლია, თქვე უღმერთოებო! ახალი ნაავად- მყოფარი ვარ!

— ამოდენა გზა გამოგივლია, ცოტაც გაუძელი, შე ღმერთ- ძაღლო! არც ისე ჩქარა მივდივართ, ვერ მოგვდიო. ეს რა აგიკიდებია?

— აირწინაღია. ამ ოხერის თრევამ სულ ამომართვა სული. ამის მომგონი!..

— შე დალოცვილო, მოიხსენი და გადააგდე!

— თუ ცოცხალი გადავრჩი, დამსჯიან, რატომ დაკარგეო! ზომ გაგვაფრთხილეს!..

— ის ზურგში იყო, აქ ფრონტია, ჩემო ძამია! ნუ კეშინია. მთელ დივიზიონს არ დასჯიან. ყველამ მოიშორა აირწინაღი. დააკვირდი, აღარავის აღარ ჰკიღია და შენ ანგელოზი ხარ?

ცინცაძემ აირწინაღი ჩანთიდან ამოიღო და ისე ფრთხილად დადო ძირს, თითქოს ეშინია, არ გატყდესო.

— ზურგჩანთაში რაღა გიწყვია, უშველებელი კუზივით რომ გადევს?

პოლიტმეცადინეობის წიგნები და კონსპექტებია.

— ჰაა?!

— პოლიტხელმა კონეგმა ჩამაბარა, თვალისჩინივით გაუ- ფრთხილდიო... რომ მომთხოვოს...

— ეჰ, ვეღარ მოგთხოვს.

— რატომ, კაცო?

— ქურში გეძინა? კონევი ასამბაიში მოჰკლეს.

— რას ამბობ?! უჰ, რა ბიჭი იყო, ძმასავით მიყვარდა..

— რას იზამ, ტყვია კარგსა და ცუდს არ არჩევს.

ცინცაძემ ზურგჩანთიდან წიგნები და რვეულები ამოა- ლაგა და აირწინაღის გვერდით ისე მოწიწებით დადო, გეგო- ნებოდათ, საფლავზე ყვავილები დააწყოო.

ცინცაძემ ნაბიჯს მოუჩქარა, ამხანაგებს დავეწიეთ.

— როგორა ხარ, ვაქაცო?

— აგაშენოს ღმერთმა! იმდენად აღარ მიჭირს ფეხის გადადგმა, უფრო თავისუფლად ვარ...

— ჰოდა, ეგრე!.. სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსა!..

ფეოდოსიიდან სტარი კრიმისკენ ფართო გზატკეცილი მიდის. იმ გზას მივუახლოვდით. გაგვაფრთხილეს: აქ შეიძლება გერმანელთა საგუშაგოებს გადავაწყდეთ და იარაღი მზად იქონიეთო. ამის თქმა ძლივს მოასწრეს, მაშხალები ავარდა ცაში და იქაურობა დღესავით განათდა. გერმანელებმა შეგვაპყრონ და ტყვია დაგვიშინეს. ჩვენც სროლითვე გავებასუხეთ.

— ბუუუ! — დაიქუხა ჩაჩხიანის ქვემეხმა.

— ბიჭებო, დასცხეთ! ჰურვები გვაქვს! — გავიგონე თვარაძის შეძახილი.

ქვემეხმა რამდენჯერმე ზედიზედ იქუხა.

ეტყობა, გერმანელები აქ ბევრი არ იყვნენ, მალე ჩაჩუმდნენ.

გზატკეცილზე გავედით. ორი მხედარი შემოგვეფეთა. თეთრ ცხენებს მოაჭენებდნენ და ერთმანეთს გერმანულად ეხმიანებოდნენ. რიქრაქში ლანდებად ჩანდნენ.

ვიღაცამ გაუფრთხილებლად ესროლა. წინა მხედარი ცხენიდან თავდაყირა გადმოეშვა. ახლა რამდენიმე მაშხანამ ერთად იქექა და მეორე მხედარიც უსულოდ განერთხო მიწას. დაპრილმა ცხენმა ერთი წაიფორხილა და ცხედრის გვერდით მოადინა ზღართან.

ახლოს მივედი და ჯიბის ფარანი დავაშუქე. ცხენი სისხლიან თავს იქნევდა და ჩიჩვირს მიწაზე ურტყამდა გამწარებით. წუთით ყველაფერი მიჩუმდა.

მეთაურებმა კვლავ გაგვაფრთხილეს:



— ვიდრე ბრძანება არ გაიცემა, თვითნებურად ნუ ისვრით, თორემ ამან შესაძლოა თავი წაგვაგებინოს. მტრის პატარა პატარა ჯგუფებთან შებმას უნდა მოვერიდოთ, გვერდი ვუქციოთ და უბრძოლველად გავეცალოთ. ახლა მთავარია, ტყემლდე შეუმჩნევლად გავძვრეთ, მტრის ქლეტას მერეც მოვასწრებთ.

რამდენიმე ჯარისკაცი გზის გაყოლებით ჩამწყრივებულ ბოძებზე ავცოცდით და ტელეფონის ზუზუნა მავთულები ჩამოვკაფეთ.

ულიმლამო ცამ მტრედისფერად ინათა.

ვხედავთ: გზაზე ვილაც მოდის. ახლოს მოვუშვით და ალყა დავარტყით. გერმანელი ფელდფეხელი აღმოჩნდა. ჩვენ რომ დავგინახა, შიშისგან ყბა მოედრიცა და დასაყვირებლად გაღებული პირი ველარ დამუწა. კარგა ხანს იყო ასე, დაყვირება ვერ მოახერხა, ბოლოს რაღაც ამოილულლულა.

განვაიარაღეთ და წინ გავიგდეთ.

გონსმოსულმა გერმანელმა ხველება ასტეხა. ეს ხველება უფრო ყვილის ჰგავდა. რა თქმა უნდა, ეს ის ყვილი არ იყო, მამალი რომ სოფელს გადასძახებს — მზე მოდის და მიეგებეთო. აშკარა იყო, განგებ ახველებდა ასე, მშველელს ეძახდა.

— ხიფათს შეგვეყრის ეს მამაძალი, — თქვა კურცხალიამ, — რომ ყვიის, ვითომ ამ ყვილით გაითენებს დილას?

გავაფრთხილეთ გერმანელი, არ დაიშალა თავისი.

ჰოდა, იძულებული გავხდით ხევში ჩაგვეყვანა. იქ ფელდფეხელმა ერთხელ კიდევ ამოახველ-ამოიყვილა, მაგრამ ვერც სოფელი გააღვიძა, ვერც მზეს გააგებია რამე და ვერც დილა გაითენა. ტყვიით შუბლგახვრეტილი ძირს მოწყვეტით დაენარცხა და გაყინული მიწა გამწარებით მოფხოჭნა. ერთხელ მოფხოჭნა, ორჯერ, სამჯერ... ვერაფერს ჩაეჭიდა და ცივ მიწას ხელცარიელი დააცივდა.

— ეჰ, შე საცოდაო, ვერ დაეტიე შინ? ეს გინდოდა? /  
თითქოს შეებრალო, ისე ჩაილაპარაკა ჩემს უკან დაყუდებულ-  
მა მალაღმა ჯარისკაცმა.

ეს იყო და ეს, კრინტი აღარავის დაუძრავს, იქაურობას  
ჩუმიად გავშორდით.

დილის მოლოდინში არემარეც გაყუჩდა.

ბილიკს გავყევით. არავინ იცოდა, წინ რა გველოდა.

## ფიცი ტყუში

რამცა სადა გაუმარჯვედა  
კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!

შოთა

ერთ კირსა, კარზე მომდგარსა,  
სხეაც ბევრს წაეკიდება.

აკაკი

— ბიჭებო, ტყე გამოჩნდა! — წამოიძახა გიორგი პაპია-  
შვილმა.

— სად ხედავ ტყეს? მოგელანდა? — იკითხა ცინცაძემ და  
თვალბ შემოატარა.

— იქით გაიხედე, იქით! — გიორგიმ ხელი გაიშვირა.

— ტყე და თეთრად გადაპენტილი? — დაეჭვდა არაქათ-  
გამოლუული ჯარისკაცი.

— გეტყობა, უძილობამ თვალისჩინი წაგართვა. ნისლივით  
რომ ჩანს, ის არის მთა, მთის ფერდობზე კი შავ ზოლად  
ტყე ილანდება. კარგად დააკვირდი!

— მართალი ხარ, ხომ იცი! მადლობა უფალს!

მთამ თავისი სუსხი შემოგვაგება.

— ყირიმში და ასეთი ყინვა-ყიამეთი? — იკითხა პაპია-  
შვილმა.

— ომმა ზამთარსაც აუბნია გზა-კვალი.

ხევში ჩავედით, ხრამი გადავიარეთ, თოვლით გადალესი-  
ლი შიშველი მინდორი გადავჭერით და აღმართს შევუდექით.

— სდექ! შესვენება ათი წუთი! — გაისმა ბრძანება.

მეწინავე რაზმი შედგა. ზოგი თოფს დაეყრდნო, ზოგმა

თოვლში ჩაიმუხლა, ზოგიც გულადმა დაწვა და მკლავები გაშალა. ჯვარცმულს დაემსგავსა. მერე რომ აღგა, თოვლზე ჯვარი დარჩა დახატული. ჩამორჩენილები წამოგვეწივნენ.

ჩაჩხიანმა ხევი ამოიარა და ქვემეხში შებმული ცხენები ქლოშინით მორეკა. ამ სიციფეში ცხენებს ოხშივარი ასდიოდათ. ფართო ნესტოებიდან ბოლქვა-ბოლქვა უშვებდნენ ჰაერს. კუდები შესჭირხვლოდათ. ერთს ზედ ყინულის ლოლუაც კი ეკიდა.

ჩაჩხიანს თვარაძე მიეგება:

— ამის იქით ქვემეხის ტარება შეუძლებელია. დივიზიონის მეთაურმა ბრძანა, ქვემეხი ააფეთქეთო, ცხენებს შვრიის ტომრები აჰკიდეთ და წამოიყვანეთო.

იარალსაც სცოდნია შეჩვევა და შეყვარება.

— ამხანაგო მეთაურო, ვითომ ველარ ვზიდავთ? ქურვები კიდეც გვაქვს.

— ტყეში გზა არ არის... მაგ ქვემეხმა მოვალეობა ღირსეულად მოიხადა...

— აუფეთქებლად რომ დაემარხოთ? მტერი ვერ მიაგნებს და ჩვენ კი, ვინ იცის, როგორ გამოგვადგეს!

მიწა წერაქვებითა და ბარ-ნიჩბებით გაჰრეს. ქვემეხი საფლავში ცოცხლად ჩააწვინეს. საფლავისთვის არავითარი ნიშანი არ გაუტყეთებიათ, ყვავილების ნაცვლად ზედ თოვლი მიაყარეს. ქვემეხის კიდეც ერთი საფლავი მოვიტოვეთ უკან. დილა-ალიონზე უკვე ტყეში ვიყავით. იქ პარტიზანთა ნიშან-კვალსაც ვერ წავაწყდით.

შემკრთალმა ვარსკვლავებმა სულ დაკარგეს ფერი და ცის სილურჯეში ჩაიძირნენ. თეთრი მთები უღრუბლო ცაში აისვეტნენ და ცივი ღიმლით გადმოგვხედეს. აქ სიციფემ იმატა, ქარიც უფრო მსუსხავი გახდა. მაგრამ რაკი ტყეში შესვლა მოვასწარით, ამას ვინდა ჩიოდა! გეზი ჩრდილო-დასავლეთით ავიღეთ, კოზიგორას სერისკენ. სერს საცალფეხო ბილიკი მიჰყვებოდა, თოვლგაუტეხელი. კარგა ხანს ვიარეთ. პატარა მინდორზე გავედით. იქ სვასტიკით ფრთამოხატული

თვითმფრინავი ეგდო, დაღწილი. იმ მინდორს რომ გაეცდათ, ცას სქელი ღრუბელი გადააწვა. საშინლად ჩამოხვლდა, გზის გაგნება შეუძლებელი გახდა. დიდი ვაიუბედურების ჩავედით ხევში, შეშა მოვაგროვეთ და ცეცხლი გავაჩაღეთ. ვახშმის თადარიგი არ დაგვიჭერია — აღარაფერი გვქონდა და რითი ვივახშმებდით? ზოგმა კარდალაში თოვლი ჩაყარა და ცეცხლზე შემოდგა: გავადნობ და ცხელ წყალს მაინც დავლევო. ვიშრობდით ფარაჯებს და დაბამბულ შარვლებს. რამდენიმე კაცმა ბათინკები გაიხადა და სველი ფეხსახვევი ცეცხლს მიუფიცხა. მეთაურებმა გაგვაფრთხილეს: ფეხსაცმელს ცეცხლთან ახლოს ნუ დადებთ, შეუმჩნევლად დაგვევებათ და ახლა რომ უბათინკოდ დარჩეს ვინმე, ახალი ციდან ხომ არ ჩამოთვარდებაო. გაფრთხილებამ არ უშველა კოსტას, ცეცხლმა მარჯვენა ბათინკის წვერი გაუხვრიტა.

\* \*

მზე კარგა ხნის ამოსული იყო, ოცმეთაურმა ბაშიროვმა რომ გაგვადვილა:

— კრება, ამხანაგებო!

ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი.

— ამხანაგებო, — დინჯად დაიწყო დივიზიონის მეთაურმა, — ჩვენ უკვე პარტიზანები ვართ. ჰოდა, ამიერიდან პარტიზანულ ცხოვრებასაც უნდა შევეჩვიოთ. ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე მოვნახოთ ადგილობრივი პარტიზანული რაზმი. მაგრამ ვიდრე იმ რაზმს მივაგნებთ, გულზე ხელდაკრეფილნი ვერ ვივლით. ნათქვამია, მგელს ფეხები კვებავსო. ამქამად ჩვენი უპირველესი ამოცანა არის, ვიშოვოთ სურსათი და შიმშილს თავი დავაღწიოთ. შემწვარ-მოხრაკულს ამ ტყეში მზამზარეულად არავინ მოგვიტანს. მტერს უნდა წავართვათ. შტაბმა გადაწყვიტა: ამაღამ დავლაშქროთ სოფელი იმარეთი. იქ გერმანელთა ქვედანაყოფია დაბანაკებული. თუ რაიმე შემოგორჩათ ზედმეტი ტვირთი, რაც პარტიზანს არ სჭირდება, გაანადგურეთ. კარგი იქნება, თუ წერილებსაც დასწვავთ. მტერს რომ ჩაუვარდეს ხელში, ბოროტად გამოიყენებს. აბა, შევუდგეთ სამზადისს!

მეკავშირეთა ოცეულის ჯარისკაცებმა საველე ტელეფონის აპარატები და ყურმილები დაწვეს, რადიო დანადგარებიც გაანადგურეს. სხვა ზედმეტი აღარაფერი გვქონდა.

ზურგჩანთები გადმოვაბრუნეთ და დაფერტხეთ.

ორცხობილა აღარავის ჰქონდა, აღარც კონსერვი. შაქრის მცირე ულუფადა შემოენახა ზოგიერთს.

შინიდან მიღებული წერილები ერთხელ კიდევ გადავიკითხეთ, ამით ცოლშვილსა და დედ-მამას კვლავ გავესაუბრეთ და წერილები ცეცხლში დიდი სინანულით შევყარეთ.

ზოგი მეორედ და მესამედ კითხულობდა ერთ ბარათს, ცეცხლისთვის ვერ იმეტებდა. ზოგმა ცრემლი დააწვეთა ზედ და მერეღა დაუთმო ცეცხლს დასაწვავად.

ცეცხლში ჩაყრილმა გაცრეცილმა წერილებმა ალი გააძლიერა. აღმა ამ სანუკვარი ფურცლების შავი ფერფლი ჰაერში ააფრინა. შავ ფერფლად ქცეული ბარათები ხის ტოტებში აფარფატდა. ზოგი იქვე დარჩა, ზოგიც დაბლა დაეშვა და თოვლზე დაჯდა პეპელასავით.

ეს რომ დაეინახე, უზომო სევდა შემომაწვა გულზე.

ვინ იცის, რამდენი სითბო და ალერსი დაიფერფლა ამ დღეს!

— ეგ რა წერილია, დასაწვავად რომ ვერ იმეტებ? — ჰკითხა პაპიაშვილმა ცინცაძეს.

— ჩემი ბიჭის გამოგზავნილია, — ნაღვლიანად მიუგო ცინცაძემ. — ამას სიკვდილამდე ვერ შეველევ, ძმაო. შენც შვილის წერილი ხომ არ შეინახე, ეგ რა გიჭირავს ხელში?

— არა, სადა მყავს შვილი, თორემ კაი შენ! არა ვარ შენსავით ბედნიერი. ეს დედის წერილია. წერილი კი არა, ლოცვაა ნამდვილი. ამას ცეცხლში რა დამაწვევიანებს! ეს რომ გულისჯიბზეში მიდევს, მგონია, ტყვია ვერ მომეკარება-მეთქი. ავგაროზივითაა. მამხნევებს და მაცოცხლებს. ამ გაჭირვების დროს ღმერთის ურწმუნო კაცს რაღაც იმედის მომცემი ხომ უნდა გწამდეს? ჰოდა, მეც ეს ვირწმუნე.

დავინახე, კურცხალია ფარაჯას აკერებს.

— ეგ რა მოგსვლია, ღუტუ?! —

— ტყვიას გაუკრავს და გაუხვრეტია. წელან ხის ტოტს იმ ნატყვიარით გავედღე და ბოლომდე ჩაიფხრიწა. ასეა, ჩემო

ქმაო. მოგხვდება ტყვია და ვერც გაიგებ, ისე ამოგძვრება  
სული. კიდევ კარგი იმ ოხერმა ტყვიამ ფარაჯა გამიხვრიტა  
და არა გული, თორემ შენ გამკერავდი მერე მე?

ამდენ ხალხში სარკვე ორიოდ მეზრძოლსლა შემორჩენო-  
და, ისიც გატეხილი. ეს სარკვეები ახლა ხელიდან ხელში  
გადადიოდა. ბიჭები პირს იპარსავდნენ და აბურღულ ქო-  
ჩორს კოხტად ივარცხნიდნენ.

ზოგმა თბილი ქუდი დაიხურა, ყურთსათბურიანი, ზოგმაც  
ნაქსოვი ჩაფხუტი, ჩამოიცივა თავზე და პირისაზე თითქმის  
სულ შემალა შიგ, ორიოდ კაცს რკინის მუზარადი აქამდე  
შემოენახა და ის დაიღო ქუდზე.

სალამომ მოატანა. მეთაურებმა ყველა ჯარისკაცი მწყობრ-  
ში დაგვაყენეს.

— ვისაც სალაშქროდ წამოსვლა არ შეუძლია, გამოვი-  
დეს!

გავიდა რამდენიმე კაცი, მათ შორის ცინცაძე.

— რაკი ბრძოლა არ შეგიძლიათ, აქ შეშა მაინც მოგვიმ-  
ზადეთ. ლაშქრობიდან დაბრუნებულ ხალხს ცეცხლი დაახვე-  
დრეთ!

შებინდებისას სოფელ იმარეთისკენ გავეშურეთ. წინ  
მზვერავეები გავგზავნეთ. სოფლის აქეთ შეეჩერდით, მზვერა-  
ვების დაბრუნებას დაველოდეთ. შემდეგ სოფელს სამი მხრი-  
დან შევეუტიეთ. ჩანს, გერმანელები თავდასხმას არ ვარაუ-  
ლობდნენ, აყვირდნენ: „პარტიზან, პარტიზანო!“ და სოფლი-  
დან გზააბნეულად გაიქცნენ. ჩვენ ღამის სიბნელეს შეჩვეუ-  
ლი ვიყავით, ძვალა კარგად გვიჭროდა და გაქცეულ ფაშის-  
ტებს ტყვიას ზუსტად ვუშენდით. ბევრი გერმანელი თოვლის  
უსულოდ დააცივდა. ჩვენი შეტევა და მტრის გაქცევა ელ-  
ვისებურად მოხდა. გერმანელების დატოვებული სურსათი  
მოვაგროვეთ და მაშინვე გამოვბრუნდით უკან.

ვხედავ, კურცხალიას ძროხისთვის რქებში თოკი ჩაუბამს  
და მოჰყავს.

— ღუტუ, რა არის ეს?

— არ იცი გერმანელებს „რქესვლებიებს“ რომ ეძახიან?

ვიცი, ეყოლებოდათ და დავითრიე! ამის რძე და ხორცი ვითომ ჩვენ ნაკლებად მოგვიხდება?



— კვაჭი ხარ!

— აქ არ იქნები კვაჭი და შიმშილით გაგძვრება სული. ციდან ტყვია და ყუმბარები ცვივა, გამომცხვარი პური კი არა.

ერთ ჯგუფს ტახტის ქვეშ შემალული გერმანელი ეფრეიტორი გამოეთრია და „ენად“ მოჰყავდა.

ბანაკში ყველანი მშვიდობიანად დაებრუნდით, ფრჩხილიც არავის წასტკენია. პირველივე ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებამ გაგვამხნევა და გაგვახალისა.

კურცხალიას წამოყვანილი ძროხა დილითვე დაეკალით. მისგან ძვლებილა დარჩა. ტყავიც შევინახეთ — საქალამნედ.

გერვასიმ იმ ხატულა ძროხის ერთხელ გამოწველა მოასწრო მხოლოდ.

კოზიგორა პატარა მთაა, გზა ყოველი მხრიდან უდგება. პარტიზანებს აქ დიდხანს გაჩერება არ შეგვეძლო, ბინად სხვა ტყე უნდა გამოგვენახა. ქედს დასავლეთით გავუყევით. დავეშვით დაბლა, გავედით სტარი კრიმიდან ატუზასკენ მიმავალ გზაზე. იქ შეგვხვდა ოთხი საწილდარი, ზედ რუმინელი ჯარისკაცები ისხდნენ. არ გვისვრია, ასეთი იყო მეთაურთა ბრძანება. რუმინელები ისედაც დაფრთხნენ და გაიქცნენ.

კვლავ ციცაბო აღმართს შევუდექით. გაყინულ თოვლზე ფეხი გვიცურდებოდა და ხეებს ვეჭიდებოდით.

ავედით ყარაბურუნის მთაზე. ეს მთა სტარი კრიმისა და სოფელ ატუზის შორის მდებარეობს, ტყიანია. აქედან იწყება ყირიმის ქედი, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს სევასტოპოლამდე გასდევს.

ყარაბურუნის მთაზე გაუვალ ადგილს მივადექით. ტყეს ნისლი ეხვია. აქ თოვლი ხშირად გვიტყდებოდა (ჩანს, ნისლმა დაალობ) და წელამდე ვეფლობოდით. დავსველდით. კომპასები მოვიშველიეთ, რათა უვალი გზა გაგვეგნო.

ერთგან პირქვე დამხობილი ძაბრის მსგავსი ქოხი შეგვხვდა.



— ვნახოთ, რა არის! ვინ იცის, როგორ გამოგვადგეს! —  
ვუთხარი ჩაჩხიანს.

ქოხს შემოვუარეთ და შიგ შევედით. იქ ხუთი თუ ექვსი  
კაცი დაეტეოდა. მე გავიმართე, სანდრომ კი ჰერს თავი  
აარტყა.

— უჰ! კინალამ არ ავანგრე?

— ვინ შეგეხვეწა, მაგხელა გაიზარდო?

იატაკად ქოხს ფოთოლშერეული მიწა ჰქონდა, ზემოთ  
ბოლის ასასვლელი ჭუჭრუტანა უჩანდა. იქიდან ჩამონაყარი  
თოვლი ქოხის შუაგულში ეფინა.

ულრანი ტყით დაფარულ ხევში ჩავედით. ღამის ბინდი  
ნისლში ქურდივით შემოიპარა. ისედაც დადუმებული ტყე  
უფრო მიყუჩდა. ახლა კომპასითაც აღარ შეიძლებოდა სია-  
რული. ღამის გასათევად იქვე დავბანაკდით. მეთაურებმა  
სამი ჯარისკაცი სოფელ ატუზის დასაზვერავად გაგზავნეს.  
ისინი ვათენებისას დაბრუნდნენ.

— ატუზი პატარა სოფელია, ოცდაათამდე მოსახლე იქ-  
ნება. ყველა ოჯახში ორი ან სამი გერმანელია ჩაყენებული.

ღამის ათ საათზე ატუზის დასარბევად წავედით. სოფელს  
რომ მივუახლოვდით, რამდენიმე ჯგუფად გავიყავით და  
ატუზის სხვადასხვა მხრიდან მოვუარეთ. ჩვენი მზვერავების  
ვარაუდი არ გამოდგა სწორი. ატუზი თურმე დიდი სოფელი  
ყოფილა, პატარა ქალაქის ოდენა. იქ მტრის დივიზია დაგვხვ-  
და. გერმანელებმა წინასწარ გამზადებული სანგრები დაიკა-  
ვეს და დაზგის ტყვიამფრქვევებით ჯვარედინი ცეცხლი  
ვაგვიხსნეს. აღმუვლეს და ააგანგაშეს საყვირი. მოწინააღ-  
მდეგემ ყველა ჯარისკაცი ფეხზე დააყენა. გერმანელებს ისე  
არაფრის არ ეშინიათ, როგორც ხელჩართული ბრძოლის.  
ჩვენ კი ეს გვემარჯვებოდა. აქ ვაქცობაზეა საქმე. გერმა-  
ნელებს ხიშტებით შევებით, მერე ხელყუმბარები დავუში-  
ნეთ. რამდენ კაცს განგმირავ ხიშტით? რამდენს მოცელავ  
ხელყუმბარით? ფაშისტებმა ჩვენს დაქუცმაცებულ ჯგუფებს  
ცალ-ცალკე დაართყეს ალყა. ტყისაკენ გასაქცევი გზა გადა-  
გვიჭრეს. ახლა ნაკლებად გვესროდნენ, ალბათ ფიქრობდნენ,  
ტყვედ ჩავგზარდებიანო.

რაზმს მოვწყდით პატარა ჯგუფი — თვარაძე აკაკი, ჩაჩხიანი სანდრო, კურცხალია გერვასი, მუშკუდიანი ლადო, პაპიაშვილი გიორგი, გობოზოვი კოსტა და მე.

— ბიჭებო, დაწეკით და ხოხვით მომყევით! რიგრიგობით ვისროლოთ! — გვითხრა თვარაძემ და წინ გაგვიძღვა.

სოფლის ბოლომდე ტანჯვა-ვაებით გავალწიეთ. რაკი არავინ დაიჭრა, რალას ვჩიოდით! ბანაკში დილით დავბრუნდით. იქ აღარავინ დაგვხვდა. საღ წავიდნენ, ვერც ის გავიგეთ, ფეხის კვალი ახალ თოვლს დაეფარა. კვალის ძებნაში შემოგვალამდა. სადაც ბინდმა მოგვისწრო, იქვე დავრჩათ ღამის გასათევად. ღამე უცეცხლოდ გავითენეთ. განთიადისას კვლავ შევუდეკით ამხანაგების ძებნას. ახლომახლო ადგილები სულ შემოვიარეთ. ამოად.

— ცამ ჩაყლაპა ის ხალხი, თუ მიწამ? — იკითხა მუშკუდიანმა.

— რა ვქნათ ახლა? ასე ვიხეტიალოთ? — შეჩერდა კურცხალია.

— წამო, იმ ქოხში დავბინავდეთ და ჩვენები მერე მოვძებნოთ, თორემ აქ ან მგელი შეგვჭამს, ან მგლისფერი ძაღლი. — გვირჩია სანდრო ჩაჩხიანმა.

ქოხს მივუახლოვდით და იქაურობა დავზვერეთ. სიწყნარე სუფევდა. ქოხში შევედით და ცეცხლი დავანთეთ.

ცეცხლი გამხიარულდა და მისი მხიარულება ჩვენც გაღმოგვედო, სველი ტანსაცმელ-ფეხსაცმელები გავიშრეთ. კარდალებში თოვლი გავადნეთ და წყალი გავაცხელეთ. ნადავლი სურსათიდან ცოტა რამ კიდევ გვქონდა შემორჩენილი მადიანად შევექეცით. სხეული გარედანაც გაგვითბა და შიგნიდანაც. ვიდრე დავიძინებდით, ღამის მორიგეობა შემოვიღეთ. პირველ ღამეს გუშავობა ჩაჩხიანმა ითავა.

ეპ, ზოგჯერ რა პატარა რამ ჰყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის! ტყეში ხეტიალის შემდეგ ეს ქოხი სამოთხედ მოგვეჩვენა. მივწეკით და ნეტარ სიზმრებში გავეხვიეთ.

ქოხი მოხერხებულ ადგილას იდგა, ირგვლივ მთები ფარავდა. შემოგარენი წვრილი ტყით იყო დაფარული. მახლობლად ანკარა წყაროც აღმოვაჩინეთ.

მეორე დღეს ჩრდილოეთის ქარმა იმძლავრა და ზამთარი უფრო გამკაცრდა. გაითოშა ხეები. თოვლი ისე გაიყინა, შედთავისუფლად დაედინოდი. ნამქერი ხეებს ავსებდა. ცეცხლმა ძალა დაკარგა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო! მალე ჩაივლის ეს ნათლილებას ყინვა და ქარბორბალას კარგი ამინდი მოჰყვება! — დაგვიმედა თვარაძემ. — ჰოდა, მალე გავალთ სანადიროდ! ახლა მთავარია მოთმინება!

— კაცო, რა დროს გაგიყინა ფეხები! — გობოზოვი მომზრალ ფეხებს დააცქერდა, — ვერსად წამოგყვებით, მარა, შინაურ საქმეს მაინც გაგიკეთებთ. ერთი შინამდექი კაცი ხო გინდათ?

პაპიაშვილი ანუგეშებდა კოსტას, მალე მოგიჩნება ფენებიო, მაგრამ კოსტას არ მოუჩნა ფეხები. ყველას გვეცოდებოდა ავადმყოფი, განსაკუთრებით კი ლადო მუშკუდიანს. ძალიან მგრძნობიარე იყო ეს ლეჩხუმელი ბიჭი.

ერთ კვირაზე მეტი გავიდა, რაც პარტიზანულ რაზმადქცეულ დივიზიონს მოვწყდით. სურსათი ფიცქვი აღარ დაგვრჩა და ხვალინდელი დღეც ჩვენთვის გაურკვეველი იყო.

— ამხანაგებო, — გვითხრა ჩაჩხიანმა, — ჩანს, ჯერჯერობით ჩვენთანებს ვერ მივაგნებთ... კვალი თოვლმა დაფარა. მაგრამ პარტიზანული ბრძოლა შეიდ კაცსაც შეუძლია. ჰოდა, ვიმოქმედოთ! უპირველეს ყოვლისა, მეთაური ავირჩიოთ!

— თვარაძე იყოს! — თქვა მუშკუდიანმა. — გამოცდილი კაცია, სამეურნეო საქმეც ესმის და სამხედროც. ჩინითაც აქ ყველაზე უფროსი ეგ არის.

ერთხმად დავეთანხმეთ. ფშაველმა პაპიაშვილმა მთის ადათი გაიხსენა:

— ბიჭებო, რაკი ერთი ძმური ოჯახი ვართ, ფიც-ვერცხლი ვჭამოთ.

— ფიც-ვერცხლი?! ახლა „ლომისის“ მადლიც არ გამოთხოვო აქ! — გაიცინა კურცხალიამ. — ვერცხლისაა თუ ოქროსი, ფიცი ფიცია! მოდი, უბრალოდ შეეფიცოთ!

— ეჰ, შენ რა გესმის ფიც-ვერცხლის მნიშვნელობისა,

ჯერ მისი მიღების წესიც არ იცი. არც მიკვირს! თიანეთში ჩასიძებულ ჭიათურელ კაცს ამ ამბავს ვინ გასწავლიდა!

— არც მჭირდება, თუ არ ვიცი. ჯარში რომ ფიცს ვღებულობთ, არც ვერცხლს გვაჭმევენ და არც არაყს გვასმევენ, მაგრამ იმ შენს ფიცვერცხლზე ნაკლებია ვითომ? — არ დაიხია უკან გერვასიმ. — ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ვერცხლი და არაყი სად გაქვს?

— ხომ გითხარი, არ იცი-მეთქი! ფიც — ვერცხლისთვის ყოველთვის არაყი და ვერცხლი კი არ არის საჭირო. აი, ყველამ ნემსით ნეკა თითი გავიჩხვლიტოთ, ერთმანეთს სისხლი შევუვრიოთ და ფიცვერცხლნაჭამები ვიჭნებით.

— არა, გენაცვალე, ისედაც ცოტა სისხლი მაქვს, მაგისთვის ვერ დავხარჯავ!

— ბიჭო, შენს მღვრიე სისხლში წმინდა სისხლი გავიცვალონ და მაგაზე ამბობ უარს? — წყენანარევი ღიმილით თქვა პაპიაშვილმა. — სულ წმინდა წყლის კაცი არა ხარ, ჩემო ლუბუ!

— მე წმინდა წყლისაცა ვარ და წმინდა სისხლისაც, მარა, უბრალოდ სისხლის დაღვრა კი არ მინდა, გაიგე?

— შენ, მგონი, თითში ქინძისთავის ჩხვლეტისა გეშინია, ისე ვატყობ! — გავუცინე კურცხალიას.

ვიდრე გერვასი რაიმეს მიბასუხებდა, თვარაძე ჩაერია კამათში:

— გაჩუმდით! უცხო რომ ვინმე გიყურებდეთ, ჩხუბი ეგონება. პაპიაშვილი მართალია, ფიცი უნდა მივიღოთ. მართალია კურცხალიაც — ფიცი ფიცია, ვერცხლისა იქნებან იგი თუ ოქროსი. ჩვენ უნდა მივიღოთ ვაეკაცური ფიცა, მტკიუე და გაუტეხელი, ფიცი ძმური და მეგობრული! აქ ჩვენ შვიდივე ძმა ვართ. ერთმაც რომ გვიღალატოს, შვიდივე დაიღუპება. გასაგებია?

— გასაგებია! — წამოვიძახეთ ჩვენ.

— ჰოდა, თუ გასაგებია, შევფიცოთ ერთმანეთს!

კოსტაც კი წამოდგა ფეხზე. ცეცხლის ირგვლივ ისე დავდექით, თითქოს ფერხულის ჩაბმას ვაპირებდით და სმუნად ვიჭეცით.

გარეთ მოუსვენარი ქარი უბერავდა და საცვამლე მიღრ-  
დან ქოხში თოვლსა ყრიდა. ქარი ჩვენს ცეცხლსა თოვლს  
უშენდა, რათა ჩაექრო. ცეცხლში ჩავარდნილა თოვლი შიში-  
ნებდა და დნებოდა. ცეცხლი სჯობნიდა თოვლს.

ამ ცეცხლივით ენთო ჩვენს გულში დიდი სამშობლოს  
სიყვარული და გვწამდა — ამ ცეცხლს სიკვდილის მეტი ვერა-  
ფერი ჩაგვიქრობდა, ზედ თოვლის ათას ზევესაც რომ გადა-  
ევლო.

წამით ყველანი დავდუმდით.

თვარაძემ დაიწყო:

— ვფიცავთ, ერთმანეთი არ მივატოვოთ გასაჭირის  
დროს!

ჩვენ ერთხმად გავიმეორეთ:

— ვფიცავთ, ერთმანეთი არ მივატოვოთ გასაჭირის  
დროს!

შემდეგაც თვარაძე ამბობდა და ჩვენ ვიმეორებდით:

— ვფიცავთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ამხანა-  
გის სიცოცხლეს. შეუბრალებლად ვმუსროთ მტერი! დავიც-  
ვათ საიდუმლო! ვინც სამშობლოს უღალატოს, მონობაში  
სამარცხვინოდ ამოხდეს სული! არ ეღიროს მშობლიური  
მიწის ნახვია მოკვდეს დაუტირებლად! არ ეღიროს ახლობ-  
ლების ცრემლი! ვინც ბრძოლის დროს ლაჩრულად მოიქცეს,  
მისი სხეული მშიერმა ნადირმა დაგლიჯოს! თვალეზი სვავე-  
ბმა და ყორნებმა ამოჰკორტონ! ტურებმა ათრიონ მისი  
გულ-ღვიძლი! წყევლა-კრულვით მოიხსენიოს ყველამ! ვფი-  
ცავთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლოთ სამშობ-  
ლოს თავისუფლებისათვის! ვინც ეს ფიცი გასტეხოს, მიწა  
ჩაუტყდეს ფეხქვეშ და ჩაინთქას ჯოჯოხეთში!

ასეთი იყო ჩვენი შინაურული ფიცი, მტკიცე და შეურ-  
ყვეელი.

მე და ჩაჩხიანმა ერთმანეთი გადავკოცნეთ. პაპიაშვილი  
კურცხალიას მოეხვია. მუშკუდიანმა გობოზოვი მიიკრა  
მკერდზე. ყველას სათითაოდ გვაკოცა თვარაძემ.

კვლავ ცეცხლს შემოვუხსენდით.

— ახლა ხვალის გეგმა დავაწყოთ! — დაიწყო მეთაურ-

მა, — რა თქმა უნდა, თუ ჩვენნიანებს მოგნახავთ, იმას <sup>რა</sup> სჯობს, მაგრამ ვიდრე ისინი არ ჩანან, ჩვენ გულზე ხელს ხომ არ დავიკრეფთ? დამოუკიდებლად უნდა ვიმოქმედოთ, მტრებზე ვინადიროთ და თან ჩვენები ვეძიოთ. რას იტყვი, ამხანაგებო?

იმ დამეს სავაზნე ფალასკები შევიკერეთ და ტანზე მოვირგეთ.

გარიჟრაჟისას წამოვიშალეთ, ხელ-პირი სასწრაფოდ დავიბანეთ და ორ ჯგუფად გავიყავით. პაპიაშვილი და მუშკუდიანი ატუზის მიმართულებით წავიდნენ. თვარაძე, ჩაჩხიანი, კურცხალია და მე სტარი კრიმის გზების დასათვალიერებლად გავეშურეთ.

კოსტას სიარული არ შეეძლო და ცეცხლის შემნახავად შინ დავტოვეთ.

ფრთხილად მივდიოდით. ძნელია ომის დროს ტყეში სიარული, არ იცი, ვის გადაეყრები, მტერს თუ მოყვარეს. მოყვარესაც რომ შეხვდე, რა გარანტია გაქვს, რომ გიცნობს და ტყვიას არ დაგაყრის უცებ?

გადავიარეთ უნაგირა მთა. ვხედავთ, უპატრონოდ ყრია ორთვალეები, საზიდრები, ყუმბარების საზიდი ყუთები — წინალები, შაშხანები, ვაზნებით სავსე რკინის კოლოფები, ხელყუმბარები. საველე სამზარეულო თავდაყირა აგდია. ირგვლივ მიმობნეულია წიგნები, ქირურგის ხელსაწყოები და აფთიაქის რამე-რუმე. ეს ყველაფერი საბჭოური ჩანდა. იმის იქით კი, სტარი კრიმის მიმართულებით თოვლში იყო ჩაფლული დამტვრეული და დამწვარი მანქანები, ბორცვებზე ეყარა გერმანული შაშხანები და ტყვიამფრქვევები, მუზარადები და აირწინალები, ამოფორიაქებული აბგები და ნაირნაირი სანთიები.

თითქმის ყველა ხეს ირგვლივ ტოტები ჩამოლენწილი ჰქონდა და ნატყვიარი აჩნდა. ასეა, ომში ხეებიც იჭრებიან და კვდებიან.

აშკარა იყო. აქ დიდი ბრძოლა მოხდა, სამკვდრო-სასიცოცხლო.

მე ამ ნადავლიდან უპირველეს ყოვლისა ოთხი სანთია

ავილე, სამი ბიჭებს დაეურიგე, ერთიც მე შევიწახე. *ოთხივე მუშაობდა.*

ჩაჩხიანი ლაილაშის საშუალო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა ჯარში წამოსვლამდე. პედაგოგის სულმა აქაც იჩინა თავი, წიგნებს დაუწყო თვალიერება. ბევრი წიგნი სველი იყო, ფურცლებშიკრული.

— სანდრო, კარგი წიგნი თუ რამე შეგხვდეს, წამოიღე, იმ ქოხში მაინც უქმად ვზივართ ხოლმე, გავერთობით! — გავსძახე ძმადნაფიცს.

სანდროს უცებ თვალები გაცვირვებისაგან გაუფართოვდა.

— ლალო, მოდი აქ, რა გაჩვენო!

მივედი. სანდრო წიგნზე დასმულ ბიბლიოთეკის ბეჭედს დასცქერის.

— არა, ეს კარგი ნიშანი არ უნდა იყოს?! — თავი გადააქნია სინანულით ჩაჩხიანმა.

— რამ შეგაწუხა, სანდრო?

— გეტყვი ახლავე! — ჩაჩხიანმა სხვა წიგნებსა და ქალღმებს დაუწყო ფურცვლა.

— ე, ბიჭო, ახლა მოვინდა წიგნების კითხვა? — შესძახა კურცხალიამ. — ამდენი კი აღარა გვცალია ათასი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. წამო, სანამ შენი თავიც ამ წიგნებში არ გაუგორებიათ!

— ლუტუ, ნუ გაქვს შხამიანი ენა! მაკალე!..

— სანდრო, რას აკვირდები ეგრე გულმოდგინედ? — დაინტერესდა თვარაძეც.

— ამ წიგნებს იმ ლეგიონის ნომერი აწერია, მე რომ ორი წლის წინათ ვმსახურებდი სიმფეროპოლში. ეტყობა, ეს ალალიც იმ პოლკისაა. აქ შესჯახებიან გერმანელებს და... არა, ეს კარგი ნიშანი არ უნდა იყოს!

— რატომ? ყველა ხომ არ დაიღუპებოდა? იქნებ იმ პოლკის ნაწილი სადმე აქ არის შეხიზნული, ტყეში, და პარტიზანულად იბრძვის კიდევ! — წამოიძახა თვარაძემ.

— ნეტავი კი ეგრე იყოს და!.. ისინი რომ გვანახა, რალა გვიშავს!

სანდრომ ჩანთაში „კაპიტან გრანტის შვილები“ ჩაიღო.

ქირურგის ხელსაწყოების ახლოს ვიპოვეთ დოღბანდები, მალამო, იოდი და სხვა წამლები. ერთ ჩემოდანში თუთუნა და პაპიროსი აღმოჩნდა, მეორეში სამხედრო ხალათები, შარვლები და თეთრეული. გერვასიმ მაკრატელი იპოვა. ეს ყველაფერი ზურგჩანთაში ჩავაწყვეთ და წამოვიღეთ.

სოფელ ბოგოტაქს რომ მივუახლოვდით, ტყის პირას ახლად გაჭრილი მიწა შეგვხვდა. გარშემო თოვლი შეღებილი იყო. იქ დაღვრილ სისხლს ვარდისფერი დაეკარგა და ერთგან ყვითლად ჩანდა, მეორეგან შავად. აქა-იქ წითელარმიელთა ქუდები ეყარა, სისხლშემხმარი. ქუდებთან ქაღალდები იყო მიმოფანტული.

ჩაჩხიანმა ერთი ფურცელი აიღო და...

— ეჰე, ქართული ნაწერია?!

„ჩვენ კარგად ვართ, თავს გაუფრთხილდი. შვილო...“ ესა და ამოვიკითხეთ, წერილი სისხლით იყო დათხვრილი.

სადაღაც აქ, საძმო საფლავში, ქართველი ბიჭებიც ემარხნენ.

თვარაძემ ქუდი მოიხადა და გახევედა. ჩვენც ასე მოვიქეციით.

აქედან მონასტრის ხევში ჩავედით და გზას ტყისკენ გავყევით.

— შეჩერდი! — ხელი ასწია თვარაძემ. — რაღაც ხმაური ისმის. ფრთხილად, ბიჭებო, მოამზადეთ თოფები და ხელყუმბარები!

მივაყურეთ. გზაზე საზიდრები მოჭრიალებდნენ.

მე და კურცხალია იმ ხესთან ჩავსაფრდებით, თქვენ მარჯვნივ წადით! — გვითხრა თვარაძემ მე და სანდროს.

დიდ ლოდს ამოვეფარეთ. მტრის-მოლოდინში გული ამიფანცქალდა.

მოსახვევში მტრის რამდენიმე საზიდარი გამოჩნდა. თვარაძეს ვუთვალთვალეთ, როდის მოგვეცემს სროლის ნიშანს.

საზიდრები მოგვიახლოვდნენ. გული აღარ ითმენს — ესროლეო. შაშხანას მაგრად ვუჭერ ხელს, სალოკი თითი სასხლეტთან მითრთის. ლოყა თოფის ღუგლუგზე მაჭვს მიჭერი-



ლი. ვაზნების რამდენიმე ჰდე ლოდზე მიდევს. მტერი მიზანში ამოვიღე.

როცა საზიდრებმა ჩაგვიარეს და ზურგი შემოგვაქციეს, თვარაძემ მხოლოდ მაშინ გვანიშნა — დასცხეთო.

ოთხმა შაშხანამ ერთად იჭექა. სამი გერმანელი კოფოდან გადმოვარდა და ძირს გაიშლართა. ერთიც საზიდარზე გადაწვა.

— ახლა წინა საზიდრის ცხენებს ესროლეთ! — გადმოგვძახა მეთაურმა.

ისევ დასჭექა ოთხმა შაშხანამ. წინა საზიდრის ცხენები წაფორხილდნენ და დაეცნენ. საზიდარი გზის განდაგან გადაბრუნდა. უკანა საზიდრებს გზა გადაეკეტა.

ცოცხლად დარჩენილი გერმანელები თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ. ტყვიები დავადევნეთ. ერთიც ვერ გავვაქცა.

კურცხალია გუშაგად დავტოვეთ და სამი პარტიზანი საზიდრებს ვეცით.

— ეს ერთი და სხვა ათასი! — ვერ დამალა სიხარული თვარაძემ.

— შენს პირს შაქარი! — მიაძახა სანდრომ.

ჩანს, კურცხალიამ ამას ყური მოჰკრა.

— ბევრია, ბიჭებო, შაქარი?

— ტომრებია სულ. იქნებ შაქარიც იყოს! — გავსძახე მე და ტომრებს ფეხის რტყმა დავუწყე. — ფქვილია, ფქვილი!

— არც ეგ გვაწყენს!

საზიდრებიდან ორი ცხენი გამოვხსენით, ზედ ტომრები ხურჯინივით გადავკიდეთ და ტყეში შევრგეთ თავი.

— მოიცათ, ბიჭებო! დანარჩენი ფქვილი მტერს დავუტოვოთ? — შეგვაჩერა თვარაძემ.

— აბა, რა ვქნათ? ამ ადგილას მობრუნება მეორედ აღარ შეიძლება!

— დაფატრეთ ტომრები და ფქვილი ტალახში ჩაყარეთ! რაკი ვერ მიგვაქვს, გავანადგუროთ!

ასეც მოვიქეციით — ფქვილი ტალახში კირივით გაიშალა.

მე და თვარაძე ცხენებს წინ გავუძეხით, ჩაჩხიანი და კურ-

ცხალია უკან გამოგვყვნენ. ცხენებს მძიმე ტვირთი ეკიდათ და მძიმედ მოაბიჯებდნენ აღმართ-აღმართ.

ბილიკი დავაგდეთ და ჩვენი ქოხისკენ მოკლევადიანად ვედით. ჩაჩხიანი და კურცხალია ცხენთა ნაკვალევს მოჰყვებოდნენ და შლიდნენ.

ასე ვიარეთ კარგა ხანს.

თვარაძე შეჩერდა.

— აქ შევისვენოთ ცოტა.

— მარტო შევისვენოთ? ამდენი ფქვილი მიგვაქვს, ხორციც მოვინადირეთ, დავანთოთ ცეცხლი და რამე საჭმელი გავაკეთოთ, კაცო! — უცებ აფეთქდა კურცხალია.

— მივალთ ქოხში და ყველაფერს გავაკეთებთ...

— კუჭი მიხმება, ძმაო, გაიგე!

— ნუ ხარ სულსწრაფი, ქოხში ჩვენსავით მშვიერი ხალხი გველოდება.

— კარგი, ამ ერთხელ, გერვასის დაფუჯეროთ. კიდეც დავისვენოთ და კიდეც დავნაყრდეთ! — თქვა თვარაძემ.

დატრიალდა გერვასი და ცეცხლი წამში გააჩაღა. ერთ კარდალაში ხორცი ჩავადგით მოსახარშად, მეორე კარდალაში პურის ფაფის კეთება დავიწყეთ. ცხენებს ტვირთი ჩამოვხსენით, პირუტყვიც დავასვენეთ.

— ლადო, ხომ გახსოვს, შინ ყოფნისას სულ იმას რომ ჩაგვძახობდნენ: ვინც არ მუშაობს, ვერ სჭამსო? — მკითხა კურცხალიამ.

— მახსოვს, მერე რა ვინდა?

— აქ ახლა ეს აფორიზმი უნდა შევცვალოთ — პარტიზანი თუ არ იბრძვის, ვერ ჭამს. უბის წიგნაკი არ გაქვს? ჩაიწერე! ვინ იცის, როგორ გამოგადგეს! ამისთანა მარგალიტებს ყველა კი არ თესავს!

— ეგ სიბრძნე რომ არ დაგეკარგოს, შენვე ჩაიწერე. ჰო, მართლა, შენ ზომ ბუღალტერი ხარ?

— ვიყავი.

— ჰოდა, აქაც გაიხსენე შენი ხელობა, იშოვე დავთარი და ამიერიდან აღნუსხე, ვინ რამდენ გერმანელს გაისტუმრებს საიჭიოს!



— მერე, ის ანგარიში ვის ჩაებაბარო?

— ვისაც გინდა!.. თუნდაც სამამულო ომის ისტორიას.

— კაი, შენი ჭირიმე. ოღონდ ომის დამთავრებას მოვესაზრებო და დავთარი რად მინდა, ისეთი მახსოვრობა მაქვს, ყველაფერს ზუსტად ჩაგიკენჭავ. ბუღალტერი კაცი თუ ციფრებს ვერ დაიმახსოვრებს, ის რა ბუღალტერია.

შებინდებული იყო, ქობს რომ მივეუახლოვდით.

— ვინ მოდის? — სიბნელეში ხმით ვიცანით, პაპიაშვილი იდგა გუშაგად.

— ნუ გეშინია, ჩვენა ვართ! — მიაძახა თვარაძემ.

კოსტაც კი შემოგვეგება, თუმცა ფეხზე ძლივს დგებოდა. აფუსფუსდა, თავს ძალა დაატანა და ტომრებს მოეჭიდა წასალეზად.

— ქეს! ქეს! — წამოიძახებდა ხოლმე.

— წადი, კოსტა, ნუ წუხნები! აქამდე მოგვიტანია და ქობში უშენოდ ველარ შევზიდავთ? — ჩაჩხიანმა ხელი მოკიდა და გობოზოვი ქობში შეიყვანა.

ტომრები ქობში შევზიდეთ, ცხენები ხეებზე მივაბით.

ქობში ცეცხლი ენთო. იქ ორი უცხო კაცი დაგვხვდა.

— ვინ არიან? — ვკითხე მუშკუდიანს.

— ვერ იცანი? ჩვენი დივიზიონის ხალხია. ავლასტიმოვი და ლვოვი.

— მიაგენით ჩვენებს?

— მარტო ეგ ორი კაცი შეგვხვდა. ჩვენსავით დახეტიალობდნენ ტყეში. იმ ღამეს ეგენიც მარტო დარჩენილან.

პოლიტბელ ავლასტიმოვსა და ლეიტენანტ ლვოვს საერთოდ როგორ არ ვიცნობდი, მაგრამ ახლა კი მართლაც ძნელი იყო მათი ცნობა. წვერი გაზრდოდათ, თმაც. პირისახე ბოლისაგან ჩაშავებოდათ. თითქმის ტყის კაცებს დამსგავსებოდნენ. ფარაჯები და დაბამბული შარვლები ალაგ-ალაგ გამომწვარი ჰქონდათ. თბილი ქუდები შეტრუსული უჩანდათ. ჩექმის წვერები სულ დახრუკვოდათ. ლანჩა ასძრობოდათ და ლაფნით მიემაგრებინათ. რა თქმა უნდა, გამხდრები იყვნენ, რადგან რამდენიმე დღეა, პირში ლუქმა არ ჩაედოთ.

ქობში შესვლისთანვე ვახშმის თადარიგს შევუდექით. მე

ლაბადა კარავი გავშალე და ზედ ფქვილი მოვზილე. პაპიაშვილმა ხორცი დაკეპა და ხინკალი გაახვია. ხინკლის მოსახარშად ქვაბი არ გვექონდა, მაგრამ ამაშიც გამოვიჩინეთ ჯარისკაცური ფხა — ორი მუზარადი გამოვიყენეთ ქვაბად.

პაპიაშვილმა ცხელი ხინკალი სახელდახელოდ დაწნულ ლასტზე დაყარა.

— ბიჭებო, ბევრს ნუ შეჭამთ ერთბაშად! ნამშიერები კუჭი გაქვთ და ცუდად იმოქმედებს! — გაგვაფრთხილა მეთაურმა.

შიმშილობისას კუჭი ვიწროვდება და მერე, თუ საკმელი თანდათან არ შეაჩვიე, შეიძლება გასკდეს და აქ ვინ გიშველით?

ხინკალი უმარილო იყო, არც საკმაზავ-სანელებელი ჰქონდა. მაინც გემრიელი გვეჩვენა. სამღურავი არავის უთქვამს. სტუმრებმა კი გაიკვირვეს კიდეც: ეს რა კარგი რამის გაკეთება გცოდნიათო.

კოსტას ახალი დოღბანდი მივეცით. ძველი ჩვრები შევხსენით ფეხებზე, მომწვარ თითებზე მალამო წავუსვით, ზედ ბამბა დავაფინეთ და ფრთხილად შევეუხვიეთ.

— უჰ, ძლივს არ მოვისვენე, — სიხარულის ცრემლი მოერიდა კოსტას. — ღმერთმა გადაგინადოთ სიკეთე! კაცო, როდის მოგედება ბოლო ამდენ წვალებას, პა?

— როცა ომი დამთავრდება, — მიუგო კურცხალიამ.

— მერე, ვითომ მალე დამთავრდება ომი?

— ჩემი ნება რომ იყოს, დღესვე დავამთავრებდი და შენ ცხინვალში გავისტუმრებდი ხაბიძგინების საჭმელად.

— ყირიმს გერმანელებს უტოვებ? — მოუჭრა სიტყვა პაპიაშვილმა.

— არა, ნახევარს შენ დაგიმტკიცებ.

— მე დამტკიცებული მაქვს უკვე. რაც ფეხით მოვიარე, სულ ჩემია.

— ნოტარიუსში შემოწმება არ დაგავიწყდეს, ისე არ დაგიჯერებენ.

— აი, ჩემი ნოტარიუსი! — პაპიაშვილმა ხელში თოფი შეათამაშა.



- მაგისტანა მაჭახელები აბოზებზე ფეტვივით ყურია...
- მე ერთიც მყოფნის!
- აბა, არ დაუთმოთ ერთმანეთს! — კამათში ჩაერია

თვარაძე.

— ამხანაგო მეთაურო, ასე თუ არ ვიკამათეთ, ამ ზამთრის ღამეს რა გაათენებს? მე შენ გეტყვი, ზამბარებიან საწოლზე ბუმბულის ლეიბი გვიგია და ისე გვძინავს.

— მაგ კამათს ჩხუბში ნუ გადაზრდით და ისე იკამათეთ, სანამ ყბები არ დაგედლებათ.

იმ დროს ჩვენი ერთადერთი გასართობი მართლაც სიტყვით ფარიკაობა იყო. ზოგჯერ იმიტომ უფრო ვხუმრობდით, ვარამი დაგვევიწყებინა ერთმანეთისთვის და ჭირი ღზინად გვექცია, თორემ ხუმრობის გუნებაზე სულაც არ ვიყავით ხოლმე.

ვიდრე კურცხალია და პაპიაშვილი კამათობდნენ, გობოზოვს ტკბილად ჩაეძინა. სხვა დროს ძილში სულ „ქესქეს“ გაიძახოდა, ახლა გულიანად ხერინავდა.

ღილით სტუმრებს თმა გავკრიკეთ და პირი გავპარსეთ. წყალი გავუთბეთ და თავი დავაბანინეთ. მათ გამომწვარი ფარაჯები დაიკერეს, ხალათები გაირეცხეს, ცეცხლზე გაიშრეს, ჩაიცვეს და ისევ კოხტა ბიჭები გახდნენ.

— თქვენ რომ არ გვენახეთ, ან ყინვა მოგვეკლავდა, ან შიმშილი, — გვითხრა ლვოვმა.

— მაინც სად გაქრენ ასე უკვალოდ ჩვენები, რომ ვერც თქვენ მიაგენით, ვერც ჩვენ?!

— ღმერთმა უწყის! ჩანს, ამ ზამთრის გატარება ამ ქოხში მოგვიწევს!

ქოხში ცხრა კაცი ვეღარ ვეტიოდით, ჯდომელა გვეძინა ხოლმე.

ცხენების საკვები არ გვექონდა და მალე დავკალით. ცხენის ხორცი პირველად მაშინ ვჭამე. მე ჩემებურად დავტრიალდი და ცხენის ტყავისაგან ყველას ქალამნები შევეუქერე, ჩაჩხიანსა და თვარაძეს ორ-ორი წყვილიც კი უცნაური სანახავეები იყვნენ წვივზე ტოლადებშემოხვეული ქალამნიანი ჯარისკაცები.

ორიოდე კვირის შემდეგ კვლავ გავედით რამდენჯერმე გზაზე სანადიროდ. გერმანელთა რამდენიმე ჯგუფი გაუანადგურეთ, მაგრამ ნადავლი კი ვერაფერი წამოვიღეთ.

კოსტას ხშირად ვუცვლიდით ფეხსაცმეებს, მაგრამ თითქმის ვერ მოვუჩინეთ. სიარული უჭირდა. ისიც იყო მიზეზი, რომ იმ ქოხიდან არ ავიყარეთ და სხვაგან არ გადავსახლდით. ასე გაჭირვებულ კაცს ღვთის ამარა ხომ არ მივატოვებდით?

თებერვალში ჩამოთბა და სიცივე იმდენად აღარ გვიტევდა. ახლა უმარილობადა გვაწუხებდა. მაშინ ყველაზე უკეთ ვიგრძენი, თუ რატომ მიდიოდნენ სვანები ცხრა მთას იქით მარილის მოსატანად.

რა მოხდა? იმ ზამთარში რატომ ვერ მივაგენით ჩვენებს? საერთოდ რა მდგომარეობა იყო ჩვენს ირგვლივ? მაშინ, რა თქმა უნდა, ყველას და ყველაფერს ვიყავით მოწყვეტილნი და არაფერი ვიცოდით. შემდეგ კი ყოველივე დაწვრილებით გავიგეთ.

ფაშისტებს ყირიმის მთლიანად ხელში ჩაგდება დიდმნიშვნელოვან ამბად მიაჩნდათ. ეს ნახევარკუნძული მათთვის იყო სტრატეგიულად ხელსაყრელი პლაცდარმი. აქედან მათ შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ქერჩის სრუტისთვის. ყირიმის ტერიტორიაზე არსებული აეროდრომებიდან აფრენილ გერმანულ თვითმფრინავებს შეეძლოთ ებატონათ შავ ზღვაზე, დაებომბათ კავკასიის სანაპიროზე განლაგებული ნავთსადგურები, საბჭოთა გემები შავ ზღვაში არ შემოეშვათ, თუ საბჭოთა თვითმფრინავები რუმინეთის ნავთობის რაიონთა დაბომბვას დააპირებდნენ, ცაში მათთვის გზა გადაეჭრათ. გარდა ამისა, ყირიმს ფაშისტებისათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა—ამ ნახევარკუნძულის ხელში ჩაგდებათ ისინი იმაგრებდნენ პოზიციას ბალკანეთსა და თურქეთში.

გერმანელ-ფაშისტთა მეტერთმეტე არმიამ, რომელსაც გენერალი მანშტეინი სარდლობდა, 1941 წლის 29 ოქტომბერს ყირიმში შეჭრა მოახერხა. ხოლო ნოემბერში მტერმა ყირიმი დაიკავა. მხოლოდ ალყაში მოქცეული სევასტოპოლი


არ დანებდა. მტრის ზურგში დარჩნენ პარტიზანები. დეკემბერში გერმანელთა სარდლობამ პარტიზანებთან საბრძოლველად შექმნა რეგულარული ჯარის საგანგებო შტაბი. ამ შტაბის უფროსად დაინიშნა გერმანელი მაიორი სტეფანუსი.

1941 წლის დეკემბრის მიწურულში ფეოდოსიასა და სუდაკში საბჭოთა ჯარის დესანტი შეიჭრა. ისინი მაშველ ძალას ელოდნენ, მაგრამ ამ დროს ზღვაზე დაიწყო გრივალი, ნავთსადგურები გაიყინა და გემების მოძრაობა შეუძლებელი გახდა. ფეოდოსიის დესანტმა დამოუკიდებლად წაიწია წინ, მაგრამ რაკი ზურგს აღარავინ უმაგრებდა, თავდაცვაზე გადავიდა.

გრივალი რამდენიმე დღეს მძვინვარებდა. ამას დაემატა ისიც, რომ 1941 — 1942 წელს ყირიმში უჩვეულო ზამთარი დაიჭირა, საშინლად ჭირვეული და მრისხანე. ორმოცდაორი წლის იანვარში ჩრდილოეთ ფერდობებზე, სადაც პარტიზანები იმყოფებოდნენ, დიდი თოვლი მოვიდა, ქარმა დაუბერა და ქარბორბალა დაატრიალა. მთელ თვეს ოცდაათგრადუსიანი ყინვა გაშეფდა.

დესანტის გამოჩენამ პარტიზანები აღაფრთოვანა და გაააქტიურა. ისინი დაეუფლენ ფეოდოსიისკენ მიმავალ გზატკეცილს და გზა ჩაუკეტეს მტრის ტანკებსა და ავტომანქანებს, რომლებიც თავიანთი ჯარის მისაშველებლად მიეშურებოდნენ. ამ ამბავმა ფაშისტები სულ გააცოფა. მათ დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა, მაგრამ ამითაც ვერაფერს გახდნენ.

სიმფეროპოლ-ფეოდოსიის გზაზე პარტიზანთა შეუპოვარმა მოქმედებამ გერმანელები სერიოზულად დააფრთხო. ფაშისტურ გაზეთში — „გოლოს კრიმა“ — ბრძანება გამოაქვეყნეს: მოსახლეობას ეკრძალებოდა ამ გზაზე სიარული. ვინც ბრძანებას დაარღვევს, დავიჭერთ და ტყვეთა ბანაკში ჩავსვამთ. როგორც კი შებინდდება, მოქალაქე, რომელიც ამ გზიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით გამოჩნდება, გაუფრთხილებლად დაიხვრიტებაო. თოთხმეტ იანვარს ბრძანება დაბეჭდეს, თხუთმეტში კი უკვე შეასრულეს. სოფელ ტოპლში ჰიტლერელებმა დახვრიტეს შვიდი კაცი და ორი ქალი.



მტერმა ამ მხარეში ახალი ძალები გადმოიხროლა და შეტევა დაიწყო. საბჭოთა დესანტი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. იგი ალყაში მოექცა. ჰოდა, იძულებული გახდა, ალყა გაერღვია და ტყეში გასულიყო, პარტიზანებს შეერთებოდა.

თებერვალში გერმანელებმა დაიწყეს პარტიზანებისაგან ტყეების „გაწმენდა“. ამისათვის მათ დიდძალი ჯარი გამოიყენეს, — თითქმის ორი დივიზია. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები. მათ შორის დარბეული იქნა სტარი კრიშის პარტიზანული რაზმი. მტერმა მაშინ მოახერხა პარტიზანებისა და მოსახლეობის გათიშვა. მათ აღარ შეეძლოთ სურსათი მიეღოთ სოფლებიდან და ქალაქის გარეუბნებიდან. გადანახული სურსათი კი პარტიზანებს აღარ ჰქონდათ. პარტიზანული ბრძოლის პირველსავე დღეებში მათ დაკარგეს სურსათ-სანოვადის ბაზები და საბრძოლო მასალის საწყობები, რომელიც ტყეში იყო. გამოჩნდნენ მოღალატენი და მათ გერმანელებს აცნობეს ამ ბაზებისა და საწყობების ადგილსამყოფელი. გერმანელებმა კი ყველაფერი გაზიდეს ტყიდან.

ჩვენ რომ გერმანელებს ფქვილი წავართვით, თურმე სწორედ იმ ბაზებიდან მოჰქონდათ. ასე რომ, საბჭოთა პარტიზანებმა ჩვენი კუთვნილი სურსათი მივიღეთ.

რაკი ირგვლივ პარტიზანული რაზმები დაარბიეს, რათქმა უნდა, იმ ზამთარს ჩვენ მათი ნახვა ვერ მოვახერხეთ.

ცხრა კაცმა მთელი ზამთარი ერთ პატარა ქოხში გავატარეთ.

ჩვენდა საბედნიეროდ, მტერმა ვერ მოგვაგნო. ჩვენ კი მტრის ალალი რამდენჯერმე დავარბიეთ.



## ცეცხლი გახვეული ქოხი

ვერ შეაჩერებს ძალით ზამთარი,  
როცა - გაზაფხულს ეღება კარი!

• • • • •

ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი —  
სხვა რა უნდა სიყვარულს?

• • • • •

უმარილო დღეები ყავარჯნებით წავიდნენ.

ზამთარმა ფარ-ხმალი დაყარა. ყინვისა და მზის ბრძოლა დამთავრდა. მზემ გაიმარჯვა. სითბომ იმატა მარტში, გაზაფხულდა. ხეს კვირტი დაუმსხვილდა. ტყეს მოწითალო ფერმა გადაჰკრა. თოვლი მთის ჩრდილოეთ კალთებზე დარჩა მხოლოდ, ისიც რილო-ჭრილოდ. ყველაზე ადრე ენძელამ გაიღვიძა. შემდეგ ბუჩქის ძირას იამ ამოყო თავი, მზიანეთს ლურჯი თვალი მოავლო, ცას გაუღიმა, მორცხვად თავი დახარა და მშობელ მიწას დააცქერდა.

სადღაც კოდალამ სამჭედლო თუ სახარატო გამართა. ჩვენში გლეხი რომ ასეთ კაკუნს გაიგონებს, იტყვის: კოდალამ გააკრიალა, ზამთარი გაატიალაო. მეც ჩვენებურად გავსძახე ხეკაკუნას.

ჰაერში სასიამოვნო სუნნი დატრიალდა, თბილი და მათრობელა. ეს საამო სუნნი ქოხშიც შემოიჭრა. იმედი მოგვცა: ცოტაც გაუძელით და მერე ცისქვეშაც რომ დაიძინოთ, არ შეგცოვდებათო.

საზამთრო ტანსაცმელი გავიხადეთ, საზაფხულო ჩავიც-

ვით. ახალი ქალამნები ამოვისხით და უფრო მჩატედ გავლარეთ.

— მოდი, ბიჭებო, ნავი გავაკეთოთ, ზღვამდე მივათრიოთ და გავცუროთ საქართველოსკენ! — ოცნებობს მუშკუდიანი.

— მერე, ქარმა რომ შემოგებროს და საქართველოს ნაცვლად თურქეთში ამოგაყოფინოს თავი, რას აპირებ? — ესიტყვება თავისი მიწა-წყლის კაცს თვარაძე.

— აბა, როდემდე ვიყოთ ასე?

— ხომ ვიბრძვით?

— მერე, ვინ იცის, რომ ვიბრძვით?

— გაუგებარი ქვეყნად არაფერია. ჩვენი სინდისის წინაშე ხომ ვართ მართლები, ეს ცოტაა?

მეორე დილით ძმადშეფიცული პარტიზანები საბრძოლველად აღვიჭურვეთ. გობოზოვი ქოხის მახლობლად დავტოვეთ, მყუდრო ადგილას. ლვოვიც დარჩა — შეუძლოდ ვარო. შვიდი კაცი სალაშქროდ წავედით. გავიარეთ ხევი, რომლის აღმოსავლეთით კოზიგორა მდებარეობს, დასავლეთით — ყარაბურუნის მთა.

თვარაძემ შეგვაჩერა: შორიდანვე შევარჩიოთ, ჩასაფრება სად აჯობებსო.

— აი, ველის მარჯვნივ ხშირი ტყეა. იქ დავიმალოთ! — თქვა ჩაჩხიანიძე.

— მე სადაც მეტყვიოთ, იქ დავდგები, თუნდაც შუა გზატკეცილზე! — ჩაილაპარაკა კურცხალიამ.

— თურმე გერმანული თოფი ამ ბოლო დროს ტყვიის მაგივრად ბამბას ისვრის! — გაიცინა პაპიაშვილმა.

— იტყვი რაღაც უცნაურს! არტაანში რომ საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდი, ციგნობის მეტი ვერაფერი ისწავლე?

— აბა, როდის გახდი ეგრე მამაცი, გერმანელებს ვზაში რომ უდგები? ვარდებს გესვრიან, რაღი ბუღალტერი კაცი ხარ?

— ავლასტიმოვ, თქვენ რას იტყვიოთ? — თვარაძე ყოველ პოლიტხელს მიუბრუნდა.

— მე რა უნდა გითხრათ, თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით! მე ერთი ვიცნო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა

ვიბრძოლო. პოლიტხელი ვარ, გერმანელებმა რომ ცოცხლად ჩამიგდონ ხელში, წამებით ამომხდიან სულს.

— პოლიტხელიც რომ არ იყო, შენ მაინც არ დაგინდობენ, — უთხრა ბუხპალტერმა.

— ვითომ რატომ?!

— ოქროს კბილები გაქვს, მოგკლავენ და დაგაძრობენ.

ყველას გულიანად გაგვეცინა.

— კი, მაგრამ, რაკი ჩვენ ოქროს კბილები არა გვაქვს. ფაშისტები პირს დაგვიკოცნიან თუ ალერსით თავზე ხელს გადაგვისვამენ? პარტიზანს ოქროს კბილი აქვს თუ მარგალიტის. თუ იმ ოხრებმა ხელში ჩაიგდეს, უქველად ჩამოახრჩობენ, — თქვა ჩაჩხიანმა.

ლადო მუშკუდიანი მღუმარედ იდგა.

ორ ჯგუფად გავიყავით და გზის პირას ერთიმეორის დაშორებით ჩავსაფრდიეთ. ასეთი პირობა დავდეთ: ვიდრე მტერი ჩვენს შუა არ მოექცეოდა, სროლა არ აგვეტეხა. თრივე მხრიდან რომ დაფუშენდით ტყვიას, დაიბნეოდა, დაბნეული მტრის დამარცხება კი უფრო ადვილია.

გამოჩნდა ოთხი საზიდარი. თვითელზე ორ-ორი კაცი იჯდა. უდარდელად უსტვენდნენ. ერთი ტუჩის „გარმონსაც“ აქყლიპინებდა. მალე ორ ცეცხლშუა მოექცნენ და აღრიალდნენ. მხოლოდ ორმა მოასწრო გაქცევა.

საზიდრებს მიეცვივდით და საღსალამათად გადარჩენილი ცხენები გამოვხსენით. კურცხალიამ, პაპიაშვილმა და მუშკუდიანმა სამი უბელო ცხენი ქონისკენ გააჭენეს. თვარაძემ, ჩაჩხიანმა და მე ცხედრებს ჯიბეებიდან ასანთი ამოვაცალეთ და საზიდრებს ცეცხლი წავუკიდეთ. ზედ ჭურვები და ნაღმები ეწყო.

ჩვენ უკვე ტყეში ვიყავით, მათი აფეთქების ხმა რომ მოგვესმა.

ამ ლაშქრობისას ყველაზე უფრო იმან გამახარა, რომ ერთ საზიდარზე მარილით სავსე პატარა ტომარა ვიპოვე და წამოვიღე.

კოსტამ კარგი ცეცხლი, მოხარშული ხორცი და მრგვალი პურები დაგვახვედრა. სუფრა შეშაზე გაგვიშალა.

— ეჰ, კოსტა, კოსტა, ვერა ხარ კარგი მასპინძელი! —  
ვუთხარი განგებ.

— რატომ, კაცო? — გაუკვირდა კოსტას, აქაოდა, აქამდე ჩემს მზარეულობას ხშირად აქებდით და ახლა რა ღმერთი გამიწყრაო.

— უმარილოა ხორციცა და პურიც. უმარილო საჭმელს რა გემო უნდა ჰქონდეს.

— გაქ მარილი, სენი წირიმე, და დაგიმალე? ქრისტე კი არა ხარ, გაგიჩინო.

— ჰა, — მარილიანი ტომსიკა მივაწოდე, — ამიერიდან გექნება. დაგვიმთავრდა უმარილო ცხოვრება.

— ჰო, რა კარგია! ორი თვეა მარილის გემო აღარ იცი. კოსტას მზრუნველობას არ ვაკლებდით, მაგრამ მისი მომზრალი ფეხების მორჩენას კი საშველი არ დაადგა. წყლის მოტანაც კი არ შეეძლო, ქოხში დანთებულ ცეცხლს კი კარგად უვლიდა.

იმ დღეს ტყიდან შეშა მოეტანა, წყალზეც ჩასულიყო და ღამით ფეხის ტკივილმა უმატა. წამდაუწუმ „ქეს ქეს“ გაიძინოდა.

— ხომ გაგაფრთხილე, ნუ იმოძრავებ-მეთქი? — უთხრა თვარაძემ.

— რა ვქნა, გული არ გიძლებს. გაზაფხული დადგა, სულ ქოხში ხომ არ იქნები?

— ჯერ წყლულები მოიშუშე, გამოკეთდი და მერე, სალაშქროდაც წაგიყვანთ.

კოსტას შემოაკლდა დოლბანდი, ბამბა და მალამო. მე მოვეუტანო, თქვა მუშკუდიანმა.

— ამ ტყეში აფთიაქი გეგულება სადმე? — ჰკითხა ჩახჩიანმა.

— სადაც თქვენ იშოვეთ, იქ კიდევ იქნება, თოვლი შეინახავდა. მიმასწავლეთ და...

— მეც წამოგყვები, — უთხრა მუშკუდიანს პაპიაშვილმა, — ძმაცაცს მარტო ხომ არ გაგიშვებ!

მეორე დღით სავაზნე ფალასკები გადაიკიდეს, ქამრებზე ხელუშმბარები შეიბეს და ბილიკს გაუყვნენ. თვარაძემ

გააცილა, გორაკამდე მიჰყვა და მიასწავლა, სადაც უნდა შესულიყვნენ.

— ფრთხილად იარეთ, ბიჭებო, თუ ვინმე შეგვხვდეთ, ადვილად არავის ენდოთ!

მე იმ დღეს ცხენი დავკალი. ორი ულაცი სადღაც დაგვეკარგა და შეგვეშინდა, ესეც არსად წასულიყო, თორემ უხორცოდ დავრჩებოდით. ესღა იყო ჩვენი საზრდო. ვიღრე მე ცხენს ვატყავებდი, კურცხალია ჩხიკვებზე ნადირობდა. ავლასტიმოვი და ლვოვი მზის გულზე გასულიყვნენ, ტანსაცმელი გაეხადათ და მკბენარს უმოწყალოდ მუსრავდნენ. ფრჩხილებში მომწყვდეულ „მხეცებს“ ტკაცატკუცი გაუღიოდა. ძალიან გაგვიმრავლდა ის ოხერი. ტანის დაბანასაც ვახერხებდით და ტანსაცმლის უსაპნოდ გარეცხვასაც, მაინც ვერ მოვიცილეთ.

ომი ხალხს ამცირებს და მკბენარს უსაშველოდ ამრავლებს.

— თქვენც ნადირობთ? — ჰკითხა ლვოვს კურცხალიამ. ლვოვმა თავი დაუქნია და ჩაიცინა.

— ლამაზებს ნუ დახოცავ, სანაშენოდ შეინახე! აქ თავი ხომ უნდა შეიქციო რაიმეთი!

— პერანგი ცეცხლის ზემოთ უნდა დაიჭირო და ჩაბერტყო! — ვასწავლე მე. — ეგ ისეთი რამეა, თუ სულხორციანად არ დასწვი, მკვდარიც დებს კვერცხებს.

— უჰ, რა არის ასე ოხერი! მტერს ტყვიით მოიშორებ, მკბენარს რას უზამ?

— ნუ გეშინია, მტერს რომ მოვიშორებთ და ომს დავამთავრებთ, ეგეც მოგვშორდება.

— ომის დამთავრებამდე თუ არ შემქამეს!...

\* \*

გიორგი პაპიაშვილი ქოხში შებინდებისას დაბრუნდა. დაღვრემილი და შემკრთალი ჩანდა. დაფიქრებული თოფს დაეყრდნო და გაჩერდა.

— გიორგი, რამ ჩაგაფიქრა? მუშკუდიანი სადღაა? — ჰკითხა თვარაძემ.

გიორგიმ პასუხი დააგვიანა.

— ცუდი ამბავია რამე?

— რა ვიცი... დოლბანდებს რომ ვეძებდით, რომელი ვაცაწამოგვადგა თავს. პარტიზანები ვართო, ასე გვითხრეს. ჩვენთან ქართველებიც არიანო. ლადო იმათ წაიყოლეს თან. მე აქეთ გამომიშვეს, თქვენებს გადაეცი, ამხანაგის დაკარგვა არ იღარღონ, მალე დავაბრუნებთო.

— ის პარტიზანები თათრული აქცენტით ხომ არ ლაპარაკობდნენ? — იკითხა თვარაძემ.

— არა, რუსები იყვნენ ნამდვილად. ერთმა გვითხრა — კრისტენკო ვარო, მეორემ — ბარსუკოვიო. აღდაროვის რაზმიდან ვართო.

ჩაჩხიანმა რომ ეს გაიგონა, თვალები გაუბრწყინდა. უცებ წამოიშართა, დაავიწდა ჭერის სიპატარავე და თავი აპკრა:

— ნაცნობი გვარებია. სიმფეროპოლში რომ ვმსახურობდი, ჩემი ასეულის მეთაური აღდაროვი იყო. იქნებ ის არის, პა? ის პოლკი ხომ სწორედ ამ მიდამოებში დაარბიეს გერმანელებმა?!

— მაშინ მიგვიგნია პარტიზანებისთვის და ეგ არის! — დაიმედდა თვარაძე.

პაპიაშვილმა ზურგჩანთიდან დოლბანდები ამოიღო და კოსტას მიაწოდა:

— სხვა ვერაფერი ვიპოვე.

გობოზოვმა უხალისოდ ჩამოშართვა:

— არაფერი არ გინდა... ჩემი ლადოი ვინ წაგიყვანა? ეგება მტერი იყო? ლადო რომ მოკლან, ჩემი ბრალი იქნება ისინი როგორი კაცები იყვნენ?

— კაციჭამიებს არ ჰგავდნენ.

— მაინც?

— აბა, რა გითხრა! ორ-ორი ფეხი ჰქონდათ, ორ-ორი ხელი, ორ-ორი თვალი...

— იქნება თათრები იყვნენ, ლადოი გამოტეხონ და ამაღამ თავს დაგესხან აქ... მტერი ათასნაირ ოინს გავიკეთებს.

დაეჭვებულ კოსტას ვამშვიდებდით, მაგრამ ჩვენც ეჭვი გვეპარებოდა. მთელ ღამეს არ გვიძინებია. რიგრიგობით ვგუ-

შაგობდით გარეთ. ქოხს კარგა მანძილით ვშორდებოდით და  
ლამის მყუდროებას ყურს ვუგდებდით.



ბაიბური არსაიდან ისმოდა.

მეორე დღე მუშკუდიანის მოლოდინში მიიწურა. ხეებმა  
ჩრდილები აღმოსავლეთისაკენ დაიგრძელეს.

მიმწუხრის ქამს გუშაგად მდგომმა კურცხალიამ გვაცნო-  
ბა: ქვევით, ბუჩქნარში, რამდენიმე კაცი მოდისო.

— აბა, საბრძოლველად მოემზადეთ! იარაღი მოიმარჯ-  
ვეთ და ხეებს ამოეფარეთ! — ბრძანა თვარაძემ. — სიფრთ-  
ხილეს თავი არ სტკივა.

ჩავსაფრდით.

— ვინ მოდის?

— ლადო ვარ, მუშკუდიანი.

— სდექ! ეგენი ვილა მოგყავს?

— პარტიზანები არიან, ერთიც ექიშია.

ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს ვეცნობოდით.

პირველად ხელი მაღალმა, წარმოსადევმა ქალმა ჩამომარ-  
თვა:

— ექიმი ოლღა გრიგორევნა პრიხოდკო.

ექიმს წითელარმიელის ქული ეხურა, ქულიდან თმა ჩამო-  
შლოდა, ფარაჯაზე ფართო ქამარი ერტყა. ზედ ორი ხელ-  
ყუმბარა ეკიდა. ცალ ხელში წითელჯვრიანი ჩანთა ეჭირა,  
მეორეში — სამღარიანი შაშხანა.

ექიმს ექთანიც ახლდა — ლიზა.

— სემიონ ბარსუკოვი!

— ალექსანდრე მჭედლიშვილი!

— ქართველი ხარ, ბიჭო?

— ჩვენს რაზმში ქართველები ბლომად ვართ.

სტუმრებს დასაჯდომად კუნძები და ქვეები მოვუმზადეთ.

— დაბრძანდით! — სთხოვა ჩაჩხიანმა ოლღა გრიგორევენ-  
ასს.

— ნამდვილად დავიღალე! — თქვა ექიმმა და კუნძზე ჩა-  
მოჯდა. ქამარი შეიხსნა და თვარაძეს მიუბრუნდა: — მეთაუ-  
რი თქვენა ხართ, არა?

თვარაძემ თავი დაუქნია.

— კარგია, ყველა სუფთად გამოიყურებით, წესრიგი გყვარებიათ.

— წესრიგიც გვიყვარს და სხვა რამეც! — შენიშნა ჩანჩა-ანმა.

ოლღამ გაიცინა:

— ბევრი რამ უნდა გიყვარდეთ, აბა, რა! უსიყვარულოდ არ ვარგა ცხოვრება.

— როგორც უმარილოდ საჭმელი, — შევნიშნე მე.

ექიმმა ავადმყოფი მოიკითხა — რომელიაო.

კოსტას თვალები იმედიანად აუციმციმდა.

— ღიზა, — მიმართა ექიმმა ექთანს, — სანათს მოუკიდე, ხელსაწყოები გამიმზადე და ავადმყოფს მიხედე. მე ხელს დავიბან და მალე მოვალ. აბა, ვინ დამაბანინებს ხელს? ცხელი წყალი ხომ გაქვთ? ჰა, რომელი ხართ უფრო ფხიანი?

— მე დაგაბანინებთ, — წამოდგა სანდრო, — ცხელი წყალიც გვაქვს, ცხელი გულიც და ცხელი სისხლიც...

ისინი გარეთ გავიდნენ. ღიზამ ჩანთიდან კვარი ამოიღო და მოუკიდა.

ქოხს ცეცხლის შუქი ანათებდა. კვარმა კიდევ უფრო გააჩირაღდნა.

ექთანმა კოსტა ცალკე დასვა, ძველი სახვევები მოხსნა და დააკვირდა. ერთი მომზრალი თითი ისე იყო გაშიშვლებული, ცარიელი ძვლებიდა მოჩანდა. მეორე თითი გაბერილი იყო. ღიზა შეწუხდა. ჭრილობა თბილი წყლით ფრთხილად მობანა და სუფთა დოლბანდით შეუმშრალა.

— ამხანაგო ექიმო, ავადმყოფი მზად არის, მობრძანდით და გასინჯეთ!

ხელდაბანილი ოღლა კოსტასთან მივიდა. მტკივან ფეხზე ხელი მოჰკიდა, გულდასმით გასინჯა და ღიზას მაკრატელი მოსთხოვა. ექთანმა მაკრატელი სპირტში დასველებული ბამბით გაასუფთავა და ექიმს მიაწოდა.

— კნაწ! — და მომპალი ხორცის მოზრდილი ნაჭერი მუშამბის ნაჭერზე დავარდა. კოსტას ეტკინა, პირისახე დაემანქა და თვალები დახუჭა გამწარებულმა. შემდეგ აღარ დამინახავს, ექიმმა როგორ მოუარა ავადმყოფს.





კოსტამ შვება იგრძნო.

— აბა, ახლა დატრიალდით! სტუმრებს ვახშამი ვაჭამოთ! — გვითხრა თვარაძემ.

კერაზე ვარვარა ნაკვერცხლები გამოვჩხრიკეთ და შამფური ცეცხლზე დავატრიალეთ. ხორცი ამიშხინდა და ქოხში მწვადის სუნი დატრიალდა.

ნაკვერცხლებზე დაღვრილმა ქონმა მძაღვ ბოლი დააყენა.

— ეყოფა, — ვუთხარი გიორგის, — თუ დაიწვა, გემოს დაკარგავს.

პაპიაშვილმა შამფური კარდალას თავზე დაიჭირა, დანა ჩაუსვა და მწვადი ჩათალა. ის კარდალა ეჭიმს მიართვა.

— უპ, რა გემრიელია! — ესიამოვნა ოღლა გრიგორევენას ცვრიანი მწვადი.

სტუმრებმა თავიანთი ზურგჩანთები გახსნეს. ფქვილი და ერბო მოგვეცეს. აღდაროვმა გამოგვიგზავნათო.

ჩაჩხიანი აღდაროვის ვინაობით დაინტერესდა.

— ჩვენი რაზმის უფროსია.

— თუ იცით, ჯარში ნამყოფია?

— ვიდრე პარტიზანობას დაიწყებდა, ასეულს მეთაურობდა. აი, გეტყვით აგერ. მტერი რომ ყირიმში შემოიჭრა, ჩვენი ჯარის ნაწილი სტარი კრიმში გამაგრდა. იქვე იყო სამხედრო ჰოსპიტალი, სადაც მე ეჭიმად ვმუშაობდი. მტერმა შემოგვიტია და ალყაში მოგვაქცია. პოლკი, რომელშიც აღდაროვი მსახურობდა, ფაშისტებს გაექცა ტყისკენ. მეც გავყევი. მტერი დაგვედევნა. აქედან აღმათ ის სერი მოჩანს კიდევ, სადაც ჩვენ დიდი ბრძოლა გადავიხადეთ. მტერი უკუვაქციეთ. მაგრამ კარგი დღე არც ჩვენ დაგვადგა. პოლკის ნაწილებისგან პარტიზანული რაზმი ჩამოვაცალიბეთ და ახლა ასე ვებრძვით მტერს. ჩვენთან ქართველებიც არიან — ლოლაძე, ჩხეიძე, დევდარიანი... ყველას გვარი არ მახსოვს.

ჩაჩხიანმა ეჭიმს „კაპიტან გრანტის შვილები“ აჩვენა.

— ეს ზომ იმ პოლკის ბიბლიოთეკის წიგნია?

ეჭიმი ბეჭედს დააკვირდა:

— ნამდვილად. შენ საიდან გაქვს.

— თქვენ რომ ბრძოლა გადავიხდით, იმ ადგილას ვი-

პოვეთ. მე ომამდე ამ პოლკში ვმსახურობდი. ალდაროვი ჩემი ასმეთაური იყო. ალბათ, სხვა ნაცნობიც იქნება ვინმე...

— ჩვენთან არიან აგრეთვე ლეიტენანტები ბენზოსენკო, ეგოროვი, კრამარენკო...

— მართლა?! სამივეს ვიცნობ! აუცილებლად წამოგყვებით, როცა წახვალთ... მე მგონია, ჩვენ გაერთიანება მოგვიწევს.

ნავახშმევეს სტუმრებს ქოხში ლაბადაკარვები გაეუშალეთ და ჩვენი დასაწოლი ადგილები დავუთმეთ. დაწოლისთანვე დაეძინათ. ბარსუკოვმა ისეთი ხერინვა ამოუშვა, იფიქრებდით, ყელში თოკი წაუჭერიათ და ახრჩობენო. გვერდს შეიცვლიდა ხოლმე, ცოტა ხნით ხრიალს შეწყვეტდა, აფშვინდებოდა და მერე ისევ ხრიალს იწყებდა.

მასპინძლები წყვილ-წყვილად ვგუშაგობდით. თუმცა მუშკულიანი დაღლილი იყო, არ დაიძინა.

— როგორ ცხოვრობენ იმ ბანაკში — ჰკითხა თვარაძემ.

— კარგი იქნება, თუ ჩვენც იმ რაზმს შევეუერთდებით. დიდი რაზმია, ორგანიზებული. თავიანთი მზვერავეები ჰყავთ. იციან, ირგვლივ რა ხდება, ჩვენ კი ყველაფერს მოწყვეტილ ვართ... ასე არ გვარგია.

— გულზე ხელდაკრეფილები არც ჩვენ ვსხედვართ აქ...

— მაინც იქ გვიჯობს!..

— მგონი, იმ რაზმში გოგოებიც ჰყავთ, არა? — ეშმაკურად ჩაჰკითხა თვარაძემ.

— ცოტა.

— ახლა გასაგებია, იქით რატომაც მიგიწევს გული. შეგიყვარდა ვინმე?

— რატომაც არა! კაცი ვარ, ფუტურო კი არა.

იმ ღამეს ლაღომ თავისი ხვაშიადი გაგვანდო. მოგვიყვა. რაც თავს გადახდა.

\* \*

ღამეა. მთების ვალაფანში ჩამჯდარი ტაფობი კოცონებს გაუნათებია. ცეცხლთან პარტიზანები ფუსფუსებენ. იქ მი-

სულმა ვასია კრიხტინკომ რაზმის მეთაურს მუშკუდიანი წარუდგინა:

— ყარაბურუნის მთაზე პარტიზანთა პატარა ჯგუფი იმყოფება. ეს ამხანაგი იმ ჯგუფის წარმომადგენელია, ლაღო მუშკუდიანი.

— რამდენი კაცი ხართ? — ჰკითხა მეთაურმა სტუმარს.

— შვიდნი ვიყავით, ორიც მოგვემატა. ერთს ფეხები აქვს მომზრალი და სალაშქროდ ვერ დადის.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა. კრამარენკო, წაიყვანეთ ამხანაგი და მოასვენეთ. ტანიას უთხარით, კარგი ვახშამი მოუმზადოს!

კრამარენკომ მუშკუდიანი დაბალ ქოხთან მიიყვანა.

— ტანია, გამოგვხედე!

ქოხს პატარა კარი ჰქონდა. ქალი დახრილი გამოვიდა, მერე წელში გასწორდა და უცხო კაცი რომ დაინახა, დაიმორცხვა.

— გაიცანით ერთმანეთი!

ტანიამ ხელი გაუწოდა ლაღოს.

— ოლენკო!

— მუშკუდიანი.

ორივე გაჩუმდა.

— ახლა, ტანია, ამ ამხანაგს კარგი ვახშამი მოუმზადე! განსაკუთრებული?

— განსაკუთრებული სტუმარია?

— ასე ვთქვათ.

ტანიამ ცეცხლი დაანთო. კარდალაში „კონცენტრატი“ გახსნა და ცეცხლზე შემოდგა. მუშკუდიანიც იქვე მოკალათდა. ქალის მოხდენილ ტანს რამდენჯერმე ქურდულად შეავლო თვალი.

— რაზმში მარტო თქვენა ხართ ქალი? — დაარღვია სიჩუმე ლაღომ.

— არიან სხვებიც.

— თქვენი ქმარიც აქ არის?

— ჯერ არ დაბადებულა.

— იქნებ დაბადებულიც არის და დავაჟკაცებულიც?

— ამ უღრან ტყეში მაინც ვერ მომაგნებს.

— თქვენ ისე ანათებთ ამ უღრანს, უეჭველად გბრუნდით.

— ვნახოთ! — გაიღიმა ქალიშვილმა.

ცეცხლის შუქი დასთამაშებდა ტანიას პირისახეს და უფრო მომხიზლავს აჩენდა. ქალიშვილს ამშვენებდა თეთრი პირისკანი, ზღვისფერი თვალები, თხელი-ტუჩები, ბროლივით თეთრი კბილები და კოხტა ცხვირი. მხედრული ტანსაცმელიც კი შვენოდა.

— ეექ! — ამოიოხრა ლადომ.

— ცოლ-შვილის დარდი შემოგაწვიათ, თუ სატრფოსი?

— არც ერთი მყავს, არც — მეორე.

— კაცი რომ ქალს შეხვდება, სულ ეგრე სტყუის. ტანიამ ფაფით სავსე ქვაბი დაუღო წინ მუშკუდიანს.

— მზად არის, მიირთვით. კოვზი ხომ გაქვთ?

ლადომ ტოლალებში გაჩრილი კოვზი დაითრია.

— ერთად ვივახშმოთ.

— გმადლობთ! — ქალი ქოხიდან გავიდა.

ლადომ ის-ის იყო ვახშმობა დაამთავრა, ქოხში უცნობმა შემოყო თავი.

— შენა ხარ მუშკუდიანი? — ჰკითხა ქართულად.

— მე გახლავარ. შენ რა გვარი ხარ?

— მკედლიშვილი ვარ, ალექსანდრე. წამო ჩვენთან, ვისაუბროთ.

— მასპინძელი თუ გამომიშვებს...

ალექსანდრე შებრუნდა:

— ტანია, სტუმარს არ გვათხოვებ? ცოტას წავისაუბრებთ. ჩვენი მიწა-წყლის კაცია და...

— აქ იბაასეთ, მე თქვენს ლაპარაკს მაინც ვერ გავიგებ.

— სტუმარს ჩემს კერაზე უნდა ვცე პატივი.

— მართლა მეკითხებით, თუ ხუმრობთ? წაიყვანეთ, რა ჩემი საქმეა!

— ტანია, — მიმართა მუშკუდიანმა ქალიშვილს, — ზურგჩანთას ვტოვებ, დასაძინებლად აქ მოვალ, შეიძლება?

— მობრძანდით. ამ ქოხის კარი არ იკეტება, დღედაღამ

ლიან. ოღონდ რომ დაბრუნდებით, ფრთხილად შემოდით, არ გამაღვიძოთ. ხვალ ადრე უნდა ავდგე.

მჭედლიშვილი და მუშკუდიანი ქოხს გაშორდნენ.

— როგორი გოგოა? — ჰკითხა ლადომ თანამგზავს.

— არც ვიცი, ცუდი არაფერი შემიმჩნევია. ყველას ტყბილად ელაპარაკება, ეს არის და ეს. ჩვენც პატივს ვცემთ.

— გათხოვილია?

— არა.

— აქ არავინ ჰყავს ამორჩეული?

— არ ვიცი... ყველას და-ძმობას ეფიცება.

მუშკუდიანი ქოხში გვიან დაბრუნდა. ცეცხლი ციმციმებდა. ტანიას ეძინა. ლადომ თავისი ზურგჩანთა ტანიას თავსას-თუმალის აქეთ დააგდო, აიღო თოფი და დაწვა. შაშხანა ქალსა და თავის შუა ჩაიდო და ზურგჩანთა თავქვეშ შეისწორა.

მალე ირგვლივ ყოველივე მიჩუმდა, გაუბზარავი დუმილი ჩამოწვა. ცეცხლი მიწელდა.

მუშკუდიანმა ქოხის ბნელ ჰერს თვალი მიასვა. ვერ იქნა და ვერ დაიძინა, შამფურივით დაიწყო ტრიალი, იქნებ გვერდის შეცვლამ მიშველოსო. რამდენჯერმე თოფის ლულაზე მოუხვდა ხელი.

იმ შაშხანის იქით ქალს სძინავს, აქეთ — მოწითული ვაჟ-კაცი წევს და ბორგავს.

იქნებ არ სძინავს ქალს? იქნებ ლადოს მოსვლაც გაიგო და დაწოლაც, მაგრამ განგებ არ გაახილა თვალი? არც გვერდი იქცია?

პარტიზანის ღრმა ძილი ვინ თქვა? იგონებს ნაღდად.

ასე ფიქრობს მუშკუდიანი.

გაუმართლდა ვარაუდი.

ტანიამ ამოიხვნეშა.

— ტანია, — გადაუჩურჩულა მუშკუდიანმა. — არ გძინავს?

— დაიძინე, კაცო, დაიძინე!

— რომ არ მეძინება?

— ეშმაკი ამოიგდეს გულიდან და დაგეძინება.

— მე ახლა ეშმაკზე კი არა, ანგელოზზე ვფიქრობ. რა-  
ლაც უნდა გითხრათ...

— ხვალ ვილაპარაკოთ, სტუმარო. დაიძინე, დაიძინე ახლა!

— აქ ისეთი ლამაზი მასპინძელი დამხვდით, რა დამაძი-  
ნებს!

— ახლა შენ მეტყვი, ერთი ნახვით შემიყვარდიო. ხომ  
ხედავ, რა დღეში ვართ, რა დროს სიყვარულია!

— სიყვარული ამარცხებს სიკვდილს. სიყვარულის დრო  
ყოველთვის არის. სანამ ვცოცხლობთ, სიყვარულით უნდა  
ვიცოცხოთ. უსიყვარულოდ ყოფნა მერეც გვეყოფა, გულ-  
ზე მიწას რომ დაგვაყრიან.

— ჭიკჭიკი კარგი გცოდნია, მაგრამ... დაიძინე, დაიძინე!  
სადაცაა გათენდება! ჯერ ერთმანეთს კარგად არც ვიცნობთ,  
რა დროს ჩვენი სიყვარულია?

მუშეკუდიანმა ტანიას სადაურობა ჰკითხა.

— რაზალიევიდან ვარ. მამაჩემი კოლმეურნეობის თავმ-  
ჯდომარე იყო, გერმანელებმა დახვრიტეს.

— მე ვყოფილვარ შენს სოფელში, იქ ბრძოლა მოგვიხდა.

— აჰ! თქვენ იმ ნაწილიდან ხართ? მაშინ ჩვენთან რამ-  
დენიმე ქართველი იდგა. ერთი დამამახსოვრდა კარგად —  
მოსე მაქსიმოვიჩ ნოზაძე. გავიგონიათ ასეთი ვახშე?

— პოლიტხელი იყო ჩვენი. ხომ არ დალუბულა თუ  
იციით?

— გერმანელებმა რაზალიევკას ალყა რომ დაარტყეს,  
მაშინ იქ იყო. რამდენიმე მებრძოლი გაიყოლა და ალყის  
გარღვევა დაიწყო. მერე გავიგე, გაალწიესო. ფეოდოსიისკენ  
წასულან. ჩანს, არ დალუბულან, თორემ მაგასაც გავიგებდი.  
ჩვენ კარგი მზვერავეები გვყავს.

ტანიამ და ლადომ კარგა ხანს იბაასეს, ალიონზე ჩაეძი-  
ნათ.

ქალ-ვაჟს შუა შაშხანა იდო, გატენილი შაშხანა.

\* \*

დილით პაპიაშვილმა ფქვილი ლაბადაკარავზე მოზილა და  
სტუმრებს საგზლად „ლიბიოშეები“ გამოუცხო.

ექიმმა კოსტას წამლები დაუტოვა და თავის მოვლაც  
ასწავლა.

სტუმრებს გაჰყვნიენ ავლასტიმოვი, ლვოვი და ჩაჩხიანი.  
სანდრო იმ პირობით წავიდა, აღდაროვის რაზმში ნაცნობ  
ბიჭებს ვნახავ და მალე მოვბრუნდებიო.

აქვე მოგიტხრობთ, თუ როგორ იმგზავრეს მათ.

იმგზავრებს წინ ბარსუკოვი მიუძღოდათ, იგი აქაურ ბილი-  
კებს კარგად იცნობდა. ხშირად წელში მოხრა და ისე სია-  
რული უხდებოდათ. ზურგჩანთები ხის ტოტებს ედებოდა.

მზე დასავლეთით გორის ფხას ვაება, როცა ისინი მიუახ-  
ლოვდნენ ადგილს, სადაც აღდაროვის გუშაგები უნდა მდგა-  
რიყვნენ.

ათასწლოვანი მუხის ირგვლივ მყუდროება სუფევდა.

გზა განაგრძეს. არც ბანაკში დახვდათ ვინმე. ქოხმახები  
მინგრეულ მონგრეული იყო. აქა-იქ უწესრიგოდ ეყარა ძვე-  
ლი ვედროები და ჩვრები.

ოლღამ ნაცარში ხელი აურია.

— ცივია. დიდი ხნის წასულები არიან.

ექიმი ბანაკის წინ აღმართული ტოტებგაბარჯღნილი მუ-  
ხისკენ გაეშურა. იქ, ხის ძირში, ფოთლები გაჩხრიკა, დიდი  
ქვა ასწია და ქვეშ ხელი შეაცურა. ქალღი გამოიღო და  
ვახსნა, მაგრამ უკვე ისე ბნელოდა, ვერაფერი გაარჩია.

ბარსუკოვმა ასანთი გაჰკრა.

„ვაგზალნაია“ — ეწერა ფურცლის ზემოთ, ქვემოთ კი —  
„შეინახეთ თავის ადგილას“.

— ვაგზალნაია რა ადგილია? შორს არის აქედან?

— ხვალ საღამომდე უნდა ვიაროთ. ახლა კი აქ გავათიოთ  
ღამე.

ცეცხლი დაანთეს და ივახშმეს. მჭედლიშვილი გუშაგად  
დადგა, სხვებმა დაიძინეს.

ღრმად დაიძინა ტყემაც. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭე-  
დილი.

ალექსანდრემ საგუშაგოდ ბარსუკოვი გააღვიძა, ბარსუ-  
კოვმა — ჩაჩხიანი. სანდრომ თვალები მოიფშვნიტა და ბოლ-  
თის ცემა დაიწყო ბილიკზე. მერე, ვარსკვლავთმრიცხველი-  
ვით ცას დაუწყო თვალთვალი. კარგა ხანს უყურა.

ქერჩის მხრიდან ქვემეხების ხმა მოისმა. სადღაც მამუნ-  
ლები ავარდა ცაში. აქ კი, ტყეში, ბუმ მორთო. მთვარე ამოვიდა, დაგვიანებული მთვარე.

ჩაჩხიანი ხავსით დაფარული ხის ფესვზე ჩამოჯდა და  
თოფი მუხლებზე დაიდო. უცებ თვალი მოჰკრა ბრჭყვიალა  
რაღაცას. ბეჭედი ეგონა, აილო, ცარიელი ვაზნა გამოდგა.

ფეხის ხმა მოესმა და ზეზე წამოიჭრა.

— ვინ მოდის?

— მე ვარ, სანდრო!

ჩაჩხიანმა ექიმის ხმა იცნო და შემართული თოფი დაუ-  
შვა.

— შენ რომ გაგაღვიძეს, მეც გამეღვიძა და ველარ დავი-  
ძინე. წადი, დაწეჭი, ახლა მე ვიგუშავებ.

— ეს როგორ შეიძლება!.. გვარცხვენ ვაჟაკებს?

— არ შეიძლება და, აბა, რა ვქნა? მიწაზე წოლამ გვერ-  
დები მატკინა.

— კეთილი, ორივემ ვიგუშავათ.

ოლღას ციმციმა თვალები და ღიმილიანი პირისაზე აქვს.  
თითებზე რომ დახედავთ, მაშინვე გაიფიქრებთ, ან ექიმია,  
ან პიანისტიო. ჰოდა, ამ ექიმ ქალს ახლა შაშხანა უჭირავს  
ხელში.

— სანდრო, იცი რას ამბობენ? მთვარეზე მწველავი ქა-  
ლია გამოსახულიო. სულ ვაკვირდები და ვერც ქალი დავლა-  
ნდე, ვერც ძროხა.

— ჩვენში ამბობენ: მთვარე მზეს გაეჭკა, მზემ სილა  
სტკიცა და ნათითარები ატყვიაო.

— იმ ლაქებს, ვისაც რა უნდა, იმას ამსგავსებს. უპ, აცი-  
ვდა, ალბათ მალე გათენდება.

ჩაჩხიანმა აღმოსავლეთისკენ გაიხედა. ცისკრის ვარსკვლა-  
ვი თვალს აბრდღვიალებდა უკვე.

— დროა ამხანაგები გავაღვიძოთ.

ოლღამ ჯერ ცეცხლი გააღვიძა ღველფში და მერე ლაბა-  
დაკარვებში გახვეული ამხანაგები.

სახელდახელოდ ისაუზმეს და გზას გაუდგნენ. ნადირის



ბილიკებით მიდიოდნენ. ერთ მინდორში მკაუნა ბალახი მოკრიფეს და შეექცნენ. მერე ისადილეს კიდეც.

— აბა, ფეხს ავუჩქაროთ ახლა, — თქვა ბარსუკოვმა.

— რა გვეჩქარება, ხვალაც ამ თვისაა! — გაიცინა ექიმმა.

— გინდა ამალამაც ჩაჩხიანთან ერთად იგუშავო? — ბარსუკოვმა ოლლას გაუღიმა და სანდროს თვალი ჩაუკრა.

— რატომაც არა, — ღიმილითვე მიუგო ოლლამ.

— ხუმრობა იქით იყოს და, ვაგზალნაიაში დღისით უნდა მივიდეთ, ღამით გზას ველარ გავიგნებთ.

იყოჩაღეს, ბანაკში ღამეს მიასწრეს.

მკედლიშვილმა ქართველ ბიჭებს ჩაჩხიანის მისვლა აცნობა. შემოეხვივნენ სტუმარს. ბეჭებგანიერმა ლოლაძემ მკლავები გაშალა და ჩაჩხიანს გადაეხვია. გადაკოცნა კიდეც. ოლლამ სტუმარი აღდაროვთან მიიყვანა:

— აბა, თუ იცნობთ!

— სანდრო, ალექსანდრ, შენა ხარ? — აღდაროვი ჩაჩხიანს მოეხვია და ბეჭზე ხელი დაუტყაპუნა. — ვიცოდით, რომ ჩვენს რაიონში პარტიზანთა იღუმალი ჯგუფი მოქმედებდა, მაგრამ იმ ჯგუფში თუ ჩემი ძველი ნაცნობიც აღმოჩნდებოდა, ამას წარმოვიდგენდი?

აღდაროვი ექიმს მიუბრუნდა:

— ოლლა გრიგორეენა, ეს ვაქეაცი ამ ორიოდე წლის წინათ ჩემს ასეულში ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდს მეთაურობდა. იცი, რა ბიჭია?

— მე ჯერ ცუდი ქართველი არ შემხვედრია. მაგათ ერთი დეხებმომზრალი ოსი ჰყავთ რაზმში, ძმასავით უვლიან.

ბეზნოსენკომაც მალე იცნო ჩაჩხიანი.

— მოხვედით? — მოირბინა ტანიამ, — ოლლა გრიგორეენა, მუშკუდიანი დარჩა?

— დარჩა... ძალიან მოწყენილი.

— რატომ მთელი ჯგუფი არ წამოვიდა, არ უნდათ შემოერთება?

— გინდა ვალოდია მუშკუდიანი ახლოს გყავდეს? — გაუღიმა ოლლამ.

— მარტო ვალოდია რატომ — ყველა.

— ჯერ გაუჭირდებათ ჩვენთან გადმოსვლა, ავადმყოფი ამხანაგი ჰყავთ, ბედისანაბარად ხომ არ მიატოვებენ? აქედან მათი ქოხი ორმოცდაათზე მეტი კილომეტრით იქნება დაშორებული. მერედა, რა გზაა! ამ სიშორეზე კაცს ზურგით ხომ ვერ ათრევენ?



პარტიზანთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ლეიტენანტი ვასილ კრიხტინკო მეთაურობდა, ლაშქრობიდან დაბრუნდა. კრიხტინკო დაღლილი იყო, მაგრამ ჩაჩხიანის სტუმრობა რომ გაიგო, მაშინვე მისკენ გაეშურა.

— ბიჭებო, სად არის ჩაჩხიანი? — ჰკითხა ჯგუფად მღვარ ქართველებს ლოლაძეს, დევდარიანს, ჩხაიძესა და ტალაძეს.

— ოღლა გრიგორევენამ წაგვართვა, ვახშამზე დაპატიჟა, — მიუგო ლოლაძემ.

ვასილი ოლლას კარავში შევიდა და ჩაჩხიანს ძმურად გადაეხვია. გააბეს ბაასი. ჯარში ერთად ყოფნის ამბები გაიხსენეს.

— თებერვლის თვიდან ვეძებდით თქვენს რაზმს, გვეგონა ბევრი ხალხი იყავით. ვერაფრით ვერ მოგაგენით. გზაზე გერმანელთა დარბეულ ალაღს ვნახულობდით, დამრბევები კი არსად ჩანდით.

— ძალიან მიუდგომელ ადგილას ვცხოვრობთ, თუ არ იცი, ვერ მიაგნებ.

— ახლა არ შემოგვიერთდებით?

— ვნახოთ... ჯერჯერობით კარავში ავადმყოფი გვიწევს, ვერ დადის. როცა მორჩება, აბა, რას ვიზამთ!

— ლადო მუშკუდიანი ალბათ აფრენაზეა... — ჩაერიო საუბარში ექიმი.

— მოეწონა ჩვენი რაზმი?

— რაზმი მოეწონა თუ არა, არ ვიცი, ტანიას გაკეთებული ფაფა რომ შეუყვარდა, ეს ნაღლია.

— ფაფა, თუ?...

— რა ვიცი, მთელი გზა სულ ტანიაზე გველაპარაკებოდა.

რომ მოვდიოდით, მარტო ის დაგვაბარა, ტანია მომიკითხეთ.

— მერედა, ტანიას უთხარით ეგ ამბავი?

— დასამალი რა არის? კაცს უყვარს, ხომ არ სძულს.

— გაეხარდა ტანიას?

— რატომ უნდა სწყენოდა? ლადო ძალიან კარგი ბიჭი ჩანს.

— როდის მოასწრო შეყვარება? ეს-ეს არის გაიცნეს ერთმანეთი.

— სიყვარულს დიდი ხნის ნაცნობობა არ სჭირდება, ხელად იბადება.

კრიხტინკოს შუბლი მოელუშა, თვალებში ნაღველი ჩაუდგა, უცებ დამწუხრდა და ბაგეზე იკბინა.

— ვასია, რა დაგემართა? შენ ხომ არ გიყვარს? ღმერთმანი, აქამდე არაფერი შემიმჩნევია, თორემ ასეთ რამეს არ გეტყოდნი. ვასია?!

კრიხტინკომ თავი დახარა და ჩაჩხიანს არც დამშვიდობებია, ისე გავიდა კარვიდან.

— ეჰ, რა რთულია ცხოვრება? — თქვა ექიმმა, — ამას ვიფიქრებდი, ვასია კრიხტინკოს ტანია თუ ეყვარებოდა?

— სიყვარულს რას გაუგებს კაცი.

\* \*

მეორე დღეს აღდაროვმა ჩაჩხიანი იხმო. ოლღაც წაჰყვანიჭ კრიხტინკო დაუხვდათ.

— თუ გსურთ, დარჩით ჩვენთან, დანარჩენ ამხანაგებსაც გადმოვიყვანთ. თქვენს პატარა ჯგუფს დამოუკიდებლად ბრძოლა გაუჭირდება. ერთი კაციც რომ ჩაიგდონ მტრებმა ხელში, შემდეგ შესაძლოა მთელი რაზმის განადგურებაც ადვილად მოახერხონ...

— ეგ არ ვიცი... ჩვენ ისეთი ფიცით ვართ შეკრულნი, მოვკვდებით და ერთმანეთს არ გავცემთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— ავადმყოფი როგორ გადმოვიყვანოთ, თორემ ისე, თქვენთან ყოფნას რა სჯობს...

— ჰო, ეგ ნამდვილად ძნელია. კრიხტინკო, თქვი რაშე!

— ავადმყოფის გადმოყვანა იმ სიშორიდან მართლაც გაჭირდება, კაცს ხომ არ გაწირავენ... გარდა ამისა, ჩვენ სუდაკის ტყეში უნდა გადავიდეთ მალე და როცა იქ დავბანაკდებით, სჯობს, მათ გადმოყვანაზე მერე ვიზრუნოთ.

რაზმის მეთაური ახლა ეჭიმს მიუბრუნდა:

— თქვენ რას იტყვით, ოლლა გრიგორეენა?

— თუ ავადმყოფის გადმოყვანას მოვახერხებთ, აქ უკეთ ვუმკურნალებთ... და საერთოდ, რაც უფრო მალე შემოგვიერთდებიან, უკეთესი იქნება... თორემ შეიძლება ის ბედი ეწიოთ, რაც მაგათ ამხანაგებს.

— რომელ ამხანაგებს?! — გაუკვირდა ჩაჩხიანს.

— ჰო, მართლა, შენთვის არც მითქვამს აქამდე! ატუხის ბრძოლის შემდეგ თქვენ რომ ამხანაგები ჩამოგშორდნენ, კიზილტაშში ფაშისტებმა ალყა დაართყეს. დიდი ბრძოლა გადაიხადეს. ბევრი დაიღუპა, დანარჩენი მტერმა ტყვედ ჩაიგდო.

— მართლა? თქვენ საიდან იცით?

— ჩვენ ყველგან გვყავს მზვერაგები.

— ეჰ, — ამოიხვნეშა ჩაჩხიანმა, — მაშ, ჩვენი რაზმი სულ განადგურდა? იმდენი ხალხიდან დავიჯერო, მარტო ჩვენი პატარა ჯგუფი ვადარჩა?

— რას იზამ, ომია!..

თვარაძის ჯგუფისაკენ მომავალ ჩაჩხიანს აღდაროვმა მეგზური გამოაყოლა. ბანაკიდან ოლლა გრიგორეენამ გამოაცილა.

• •

1942 წლის ათი აპრილია. ჩაჩხიანი და თვარაძე სტარი კრიმისკენ წავიდნენ, იქაურობას დავზვერავთო. შუადღისას სროლის ხმა მოგვესმა. ხშირად ისროდნენ. საბრძოლველად მოვემზადეთ. მისაშველებლად რომ უნდა წავსულიყავით, დავინახეთ. ჩაჩხიანი და თვარაძე ქოხისკენ გამორბოდნენ.



— რა ამბავია?

— გზაზე ორმოცდაათამდე გერმანელი შეგვეფეთა, კრიმიდან ატუზაში მიდიოდნენ. ცოცხლად ხელში ჩაგდება დაგვიპირეს, ალყა დაგვართყეს, გამოვექეციეთ, მოგვდევენ! აბა, ჩაუსაფრდით! — სხაპასხუპით მოგვაყარა თვარაძემ.

ზოგი ხეს ამოეფარა, ზოგი — ლოდს. გამოჩნდნენ გერმანელები. ავუტეხეთ სროლა შორიდანვე. ჩემი თვალით დაეინახე, რამდენიმე ფაშისტი დაეცა. წინ წამოსვლა ველარ გაბედეს. მალე იქაურობა მიყუჩდა. ჩანს, გერმანელებმა დაჭრილები წაიყვანეს და უკან გაბრუნდნენ.

მაგრამ მათ უკვე იცოდნენ, ჩვენ სად ვცხოვრობდით. ახალი თავდასხმა ყოველწუთს იყო მოსალოდნელი. ქოხში დავბრუნდით. რისი წაღებაც შეგვეძლო, ზურგჩანთებში ჩავყარეთ. დანარჩენი ორმოში ჩავუშვიტ, ზევიდან მიწა მივაყარეთ და ფოთლებით დავფარეთ.

ხევისაკენ დავეშვიტ. კოსტას რიგრიგობით ვიკიდებდით ზურგზე და ისე მიგვყავდა.

ბავშვივით ტიროდა საწყალი:

— ჭირად აგეკიდეთ, ჭირად!

— ნუ გეშინია, კოსტა, არ მიგატოვებთ! სულ ასე გატარებთ, ზურგით.

— სადამდე, კაცო?

— თუნდაც ოსეთამდე!

— რა გეშველებოდა, თქვენ რომ არ შემხვედროდით!

დალამებისას მიტოვებულ მიწურებს მივადექით. მართალია, აპრილი იყო, მაგრამ ღამით ტყეში მაინც ციოდა. ის ღამე ერთ მიწურში გავათენეთ. კოსტას ტკივილმა უმატა. რიგრიგობით ვუვლიდით. მთელ ღამეს არ დაუძინია. ფეხის სახვევს ხშირად ვუცვლიდით და იარაზე მალამოს ვადებდით. ვათენებისას ძლივს ჩაეძინა.

მეორე დღეს ახალი ადგილის დასაზვერად წავედით მე და ჩაჩხიანი. იმ მიწურებში ცხოვრება არ შეიძლებოდა, მტრები ადვილად მოგვაგნებდნენ. სხვა, უფრო მიუვალი ბუდე უნდა გავგეჩინა.



მალალ მთაზე ავედით. იქიდან კარგად მოჩანდა ჩვენი ნა-  
ბინავარი. ბოლო დროს იმ ადგილს „ფიცის ქოხს“ ვეძახდით.

იმ მიდამოებში თოფის სროლის ხმა ისმოდა. უცებ კვამ-  
ლიც ავარდა. ეს ჩვენი ქოხი იწვოდა, ქოხი, რომელმაც მთელ  
ზამთარს პატივი გვცა, სიცივეს და ყინვას გადაგვარჩინა.

იწვოდა ის ქოხი, სადაც შვიდმა კაცმა სამშობლოს ერთგუ-  
ლება შევფიცეთ და ერთმანეთს — მტკიცე ძმობა.

მთიდან ძირს დავეშვიტ.

მივედით იმ მიწურთან, სადაც წინა ღამე გავათიეთ.

— რას გვეტყვით ახალს? — გვკითხა თვარაძემ.

— კარგს ვერაფერს. ჩვენი „ფიცის ქოხი“ გერმანელებმა  
დაწვეს. შეიძლება მალე აქაც მოგვადგნენ. ახალი თავშესაფა-  
რი უნდა ვეძებოთ.

— ნუ გეშინიათ, ქვეყანა დიდია! — დაგვაიმედა მეთაურმა.

მე ისევ იმ ქოხზე ვფიქრობდი.

ჩვენი საყვარელი „ფიცის ქოხი“ ახლა ჩემს გულში იწვო-  
და. თითქოს ვინმე ახლობელი მომიკლეს ჯალათებმა.

## ეკლიანი ბილიკები

საბრალო სიყვარული,  
კაცსა შეიქმს გულმოკლულად!

შოთა

ბიჯს მაშინ დაგიძახებდი,  
მშვიერ-მწყურვალე ჰგალობდე.

გ. ბ. ბ.

იმ დღეებში ახატნელი ტარასი მჭედლიძე შეგვხვდა და შე-  
მოგვეხიზნა. რუსული არ იცოდა და გაიხარა, რაკი თქვენ გნა-  
ხეთ, ამიერიდან აღარაფერი გამიჭირდებოა. კოსტას საკაცე  
გავუკეთეთ და აღდაროვის რაზმისაკენ წასვლა გადავწყვი-  
ტეთ. გადავიფიქრეთ. ის რაზმი ახლა უკვე სხვა ადგილას იქ-  
ნებოდა გადასული და სად უნდა გვეძებნა? ჯერ ის უნდა გა-  
გვეგო, სად იყო აღდაროვი და აქაურობა მერე მიგვეტოვებინ-  
ა.

ერთ დღეს ტყეში თვრამეტ მეზღვაურს წავაწყდით. ისი-  
ნი ფრონტის ხაზზე გადასვლას აპირებდნენ. გავყევით მეზ-  
ღვაურებს ქერჩის მიმართულებით. მტერს ვერ გავუვედით და  
უკანვე მოვბრუნდით. მთების გალავანში ჩამჯდარ ტაფობთან  
დავებანაკდით. აქ ტყეც იყო, მინდორიც და ცივი წყაროებიც.  
პაპიაშვილმა და მჭედლიძემ საიდანღაც ტარგატეხილი ბარი და  
ძველი წერაქვი მოიტანეს. დავიწყეთ მიწურის თხრა. სადაც  
პაპიაშვილმა ბარი დაჰკრა, წყალმა გამოიქონა. ადგა და ხის  
ქერქის ღარი გაუკეთა.

— რას შვები, გიორგი?

— წყალი მიწურშივე გვექნება, ამას რა აჯობებს!

— მერე, ეგ წყალი ქვეშიდან რომ შეგიღებება, რას იზამ? ბატივით იცურავენ შიგ, თუ თევზებს მოაშენებ? მგონი, თევზაობა კი გიყვარს.

მიწურის თხრა გვერდით დავიწყეთ. იქაურობა მეზღვაურებმა „ქართველების მიწურად“ მონათლეს. სერზე მარჯვე ადგილები შევარჩიეთ და გუშაგები დავიყენეთ.

სალაშქროდ ატუზიდან სუდაკისკენ მიმავალი გზატკეცილი ავირჩიეთ.

გერმანელებმა ტყე გზის ორივე მხარეს გაკაფეს, მაგრამ პარტიზანებს ეს შეგვაშინებდა?

პირველსავე ბრძოლაში გერმანელთა ბადრაგა მოვსპეთ და ტყვეთა დიდი ჯგუფი გავათავისუფლეთ.

მალე გავიგეთ, რომ ჩვენს რაიონში სტარი კრიმის მკვიდრთაგან შემდგარი პარტიზანული რაზმი მოქმედებდა. რაზმის უფროსმა ივანე სტეფანეს ძე მოკროუსმა მოგვანახა. ჩვენ შევერთდით.

ერთ დღეს ბარსუკოვმა ფეხში დაჭრილი კრიხტინკო მოგვაყენა კარს.

— აქ საიდან მოხვდით?! — გაიკვირვა სანდრომ.

— აღდაროვმა სუდაკის ტყიდან თქვენთან გამოგვგზავნა, ქართველები გადმოიყვანეთო. ტყეში მტრის მზვერავენებს გადავაწყდით. ისინი კი დავხოცეთ, მაგრამ, აი, ვასია დამიჭრეს იმ ოხრებმა. ძლივს მოგაგენით.

ჩვენი მიწურის გვერდით, მეორე გავაქეთეთ — უკეთესი. ტახტად გამოჭრილ მიწაზე ხმელი ფოთლები დავყარეთ და ლაბადაკარავი დავფინეთ. კრიხტინკო იმ მიწურში დავაწვიეთ.

ახლა უკვე ორი ავადმყოფი გვყავდა მოსავლელი. კრიხტინკოს ჭრილობაზე მელისკუდა ბალანსა და მრავალძარღვას ვადებდით. ჭრილობა თანდათან უშუშდებოდა. კოსტას ფეხებს კი ჯერჯერობით კარგი პირო არ უჩანდა. ოპერაცია სჭირდებოდა. ოღლა გრიგორეენა კი ჩვენგან შორს იყო ახლა.

მაისის შუა რიცხვებში სუდაკის ტყიდან მეკავშირედ მიხეილ ბუჩევსკი გვეწვია. პარტიზანთა ყველა პატარ-პატარა



ჯგუფი იქ უნდა შეეკრებილიყავით და დიდი რაზმი ჩამოგვე-  
ყალიბებინა.

მეორე დღეს ქართველების მიწურთან მოვიდა ლეიტენანტ  
ნიკოლოზ კუზმას ძე კატელნიკოვის ჯგუფი.

სტარი კრიმის ტყიდან სულაქის ტყეში გადასვლის სამზა-  
დისს შევუდექით.

ლადო მუშუქუდიანს შუბლი გაეხსნა. არ უთქვამს, მაგრამ  
მივხვდი, იმედი ჰქონდა, იქ ტანიაც მოვაო. კოსტას ანუგეშებ-  
და, ექიმ ოლღა გრიგორევენასთან წაგიყვანთო.

სტარი კრიმის ტყეში მხოლოდ პატარა ჯგუფი დარჩა.  
კრიხტინკომ თქვა, ბარემ აქ მოვიშუშებ კრილობასო და არ  
წამოგვეყვა. ჩაჩხიანს ბარათი მისცა, ტანიას როცა შეხვდეთ, გა-  
დაეციო.

კატელნიკოვმა წინ მზვერავები გაუშვა. ჩვენ გაგვაფრთხი-  
ლა: გზაზე ხმაშაღლა ნუ ილაპარაკებთ, ერთიმეორეს ძალიან  
ნუ დაშორდებით და იარაღი მუდამ მზად იქონიეთო.

ლადო თავს არ იზოგავდა, კოსტას სულ მხარში უდგა და  
ეხმარებოდა. კოსტა მიცვლანობდა.

სადაც ძალიან გაუჭირდა, საკაცე შეეაშველეთ.

ეკლებით გაბლანდულ ბილიკს მივყევბოდი და ვფიქრობ-  
დი: ჩემი გოგონა ალბათ ახლა უკვე ფეხადგმულია და ეზო-  
ში დაფაჩუნობს, მე კი სადა ვარ, ნუთუ მისი ნახვა არ მელირ-  
სება-მეთქი?

თითქმის ნახევარი წელი გავიდა, რაც ჩემიანების ამბავი  
არ გამივია.

სულაქის ტყემდე მშვიდობიანად გავალწიეთ.

იქ ორმოცდაათიოდე წლის კაცი დაგვხვდა, მალალი, ფარ-  
თო ბეჭებიანი, მხრებში ოდნავ მოხრილი. ყორნისფერი გრძე-  
ლი უღვაშები თითქმის ყურებამდე სწვდებოდა. ხელში ჩიბუ-  
ხი ეჭირა.

ბუჩქვესკიმ შორიდანვე გაგვაცნო იგი:

— კაზაკია, ვოროდოვიკოვი. აქ მოსვლამდე პოლკს მეთა-  
ურობდა.

ვოროდოვიკოვმა ჩიბუხი ხელისგულზე დაიბერტყა, ქისა-  
ში შეინახა და მოგვესალმა.



ჩვენც მხედრულად მივესალმეთ.

— ამხანაგებო, ხომ არ დაიღალეთ?

— არა, — რატომღაც ყველამ ერთად წამოიძახა.

არის ადამიანი, რომელიც ისე შემოგხედავს, რაც არ უნდა გიჭირდეს, მაინც ეცდები თავი მხნედ მოაჩვენო.

— ამხანაგებო, მუშტი გაფარჩხულ ხელზე ძლიერია. ჰოდა, თქვენც იმიტომ გიხმეთ, რომ მუშტად ვიქცეთ, გავერთიანდეთ. მტერმა რომ იცის, ჩვენ ტყეში ვართ, ეს უკვე თავისთავად დიდ რამეს ნიშნავს. იგი იძულებულია ფრონტზე გასაგზავნი დივიზიები აქ იყოლიოს და ჩვენ გვიდარაჯოს, მუდმივად ჩვენი თავდასხმის შიში ჰქონდეს. თუ თავს დაგვესხმებიან, ერთი პარტიზანი ათ და მეტ გერმანელს აჯობებს. მე ვიცი, რომ გერმანელებს პარტიზანების ძალიან ეშინიათ. ფოთლის შრიალი პარტიზანთა ჩურჩულად ელანდებათ, ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი — პარტიზანთა იღუმალ ძახილად. თვითეულ ბუჩქს შეშინებული აკვირდებიან — პარტიზანი ხომ არ გვითვალთვალებსო. ვიდრე ჩვენი მოკავშირენი მეორე ფრონტს გახსნიდნენ, მეორე ფრონტს ჩვენ წარმოვადგენთ, მრისხანე ფრონტს. ჩვენ ვართ მტრის ზურგში მოღერებული ბასრი ხანჯალი, ამიტომ ეშინია მტერს ჩვენი. სამშობლო ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებს. ჰოდა, ჩვენც ღირსეულად უნდა გავამართლოთ, ეს იმედი.

— გავამართლებთ, გავამართლებთ! — გაისმა ერთხმად შეძახილი.

ეს ხმა ტყემ ყრუ ექოდ გაიმეორა.

ცას გავხედე. კაბადონზე ცეცხლისფერი ღრუბელი იწვა.



მთელი ჩვენი ჯგუფი მეხუთე პარტიზანულ რაზმში ჩაირიცხეს. რაზმის მეთაური იყო ეგოროვი.

ეგოროვი ტანდაბალი იყო, ცქვიტი და მოუსვენარი, ცოტა ფიცხი. გრძელი სახე, წინ წამოწეული შუბლი და ბუდეში ღრმად ჩამჯდარი წვრილი თვალები ჰქონდა.

მეთაური ყველას სათითაოდ გაგვეცნო. შემდეგ რაზმი ჯგუფებად დაყო. ქართველები კატელნიკოვის ჯგუფში მოვ-

ხვდით. სანდრო ჩაჩხიანი ჯგუფის პოლიტხელად დანიშნეს. ჯგუფში სამი ათეული იყო — მზვერავთა, საბრძოლო და სამ-  
ნეო. თვარაძე საბრძოლო ათეულის მეთაურად დანიშნეს, მე  
მზვერავთა ათეული მომანდეს.

ჩვენთან ტანია ოლენკო მოიჭრა. რატომღაც ლადოს არც  
შეხედა, სანდროს მივარდა:

— გამარჯობათ!.. თქვენთან კრიხტინკო გამოგზავნეს, ვერ  
გნახათ?

— კრიხტინკომაც გვნახა და ბარსუკოვმაც. მარტო ვა-  
სიას რატომ კითხულობ?

— მერე, სად არიან? — ტანიას შეშფოთება დაეტყო.

სანდრომ ბარათი გადასცა. ტანიამ სასწრაფოდ გახსნა, ჩა-  
იკითხა და თვალეზი გაუბრწყინდა:

— ღმერთო ჩემო! როგორ გამახარეთ!..

— გამარჯობა, ტანია! — მიესალმა ლადო.

ტანიამ ლადოს უგულოდ დაუქნია თავი და ბარათი გულზე  
მიიხუტა.

ლადოს ეს ძალიან ეწყინა, უცებ შეიკრა წარბი, მაგრამ ტა-  
ნიას ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია.

— ტანია, აღდაროვი სადღაა? — ჰკითხა ჩაჩხიანმა.

— ეჰ, ნულარ მკითხავ! — ტანიას თვალში ნაღველი ჩაუ-  
დგა. — სევასტოპოლისკენ წავედით და მარცხი მოგვევიდა...  
აღდაროვი დაიღუპა, მისი რაზმი დაიშალა.

— რას ამბობ?! —

— რას ვიზამთ, ომია!

ტანია გაგვშორდა.

მუშეკუდიანი სანდროსთან მივიდა.

— რა ეწერა იმ წერილში?

— სხვის წერილებს არ კითხულობენ.

— ძმადნაფიცო, რატომ მიორგულე? — ლადოს ხმაში  
წყრომა ისმოდა.

— მე გიორგულე? რით?

— შენ არ მოუტანე კრიხტინკოს წერილი ტანიას?

— გამომატანა და რა მექნა? გზაზე გადამეგდო? დაუნიშ-  
ნავს, ძმაო, და მე რა ვქნა?



— ლადო, ეშმაკი შეგიჯდა გულში? — ჰკითხა კურცხალიამ.

— შენლა მაკლდი! — შეუბღვირა მუშკუდიანმა.

— შე კაი კაცო, თუ ეგრე გიყვარდა, გეტქვა გოგოსთვის ადრე და იქნებ შენსკენ ექნა პირი.

— ისე მომაჩვენა თავი, თითქოს მოვეწონე და შევეყვარდი კიდეც...

— ქალისას რას გაიგებ, ერთ წუთში ანგელოზია, მეორე წუთში — ქაჯი, — შენიშნა ისევ კურცხალიამ.

— ჩემო ლადო, იცი რას გეტყვი? — წყნარად უთხრა ჩაჩხიანმა, — ქალის მეტი რაა ქვეყანაზე! მაგისტანებს შეხვდები კიდეც! დაივიწყე ეგ გოგო. იყო და არა-იყო, იყო ერთი მზეთუნახავი პარტიზანი ტანია. მორჩა და გათავდა. რასაც არაფერი ეშველება, არ უნდა იდარდო!

— სანდრო, დაივიწყე მასწავლებელი რომ იყავი. არც მე ვარ ბავშვი, ჰკუას რომ მასწავლი. სიყვარულის გულიდან ამოგდება, ეგრე ადვილია?

შემდგომ დღეებში ლადო რამდენჯერმე შეხვდა ტანიას. ქალიშვილი მუშკუდიანს სულ „ძმოს“ ეძახდა. აქაოდა, სხვა არაფერი იფიქრო, და-ძმურად ვიყოთ, მე საქმრო უკვე მყავსო.

ამას რომ ვხედავდით, გულში გვეციხებოდა, მუშკუდიანი კი ბრაზობდა და გულაბორგებული დადიოდა.

განმარტოება და ჩაფიქრება დასჩემდა. უხასიათო ვახდა. უბრალო რამეზე ბავშვივით გვებუტებოდა ქართველებს, თითქოს ჩვენ ვიყავით რამეში დამნაშავე.

ადგა და სხვა რაზმში გადავიდა. ალბათ უნდოდა, ტანიასგან შორს ყოფილიყო, მისი სიყვარული როგორმე ამოეგდო გულიდან და დამშვიდებულიყო.

სიყვარული არსად არ ასვენებს კაცს.



დიდი მიწიდან რადიოგრამა მივიღეთ: მტერთან პირისპირ ბრძოლას ერიდეთ, ცოცხალ ძალას გაუფრთხილდით და დივერსიული საქმიანობა გაახშირეთ.

ეს საკითხი პარტორგანიზაციის მდივანმა ს. ა. პოზივიმ კრებაზე განიხილა. კატელნიკოვს დაევალა თავისი ჯგუფიდან რამდენიმე კაცი აერჩია და გაენადგურებინა სალის გზაზე მდებარე ხიდი.

— ჩაჩხიანი, თვარაძე და გოძიშვილი, მოემზადეთ საბრძოლო ოპერაციაზე წასასვლელად, — გვითხრა კატელნიკოვმა, — მიზანს გზაზე ვაგაცნობთ.

ჩვენთან ერთი უზბეკი იყო ეგრაშოვი, იმანაც მოინდომა წამოსვლა.

— ჯერ მხოლოდ ოთხი კაცი ვართ საჭირო, მერე შენც წაგიყვან.

— ახლაც რომ წამოვიდე, რა უშავს?

— გულით გინდა?

— გულით და სულით.

— მოემზადე, ოღონდ სხვას ნურავის ეტყვი. ამაღამ ძილი არ გვიწერია, ამიტომ ახლა თუ დაიძინებთ, კარგს იზამთ.

ვაზნები და ხელყუმბარები ზურგჩანთაში ჩავაწყვეთ. ავტომატები და შაშხანები შევამოწმეთ, ავტომატის სავაზნე დისკოები დავტენეთ, გერმანული ხანჯალ-ხისტები გავფურეთ, საგზალი გავახვიეთ და რაკი საქმე აღარაფერი გვექონდა, წავუძინეთ. მე და თვარაძეს ერთდროულად გამოგვეღვიძა.

— რა დრო იქნება, ლადო?

თვალი მოვიფშვნიტე და მზეს გავხედე:

— ხარდაშეებაა. სწორედ ამ დროს გუთნიდან ხარებს გამოუშვებენ ხოლმე წასაბალახებლად. დაახლოებით ექვსი საათი იქნება.

კატელნიკოვი მოვიდა:

— უკვე გლვიძავთ? მე კი თქვენს გასაღვიძებლად მოვედი.

ავიკარით გულდა-ნაბადი და გაუუღექით გზას. გავიარეთ დიდი ტყე. აი, უკვე ღამის სამი საათია. ამ დროს გუშაგებს სასტიკად ერევათ ძილი.

— მივედით. — შეგვაჩერა კატელნიკოვმა. — კარგად დააკვირდით, აქვეა ხიდი. არაფერი გააჩხაკუნოთ. ვალოდია, შენ იქითა მხრიდან უნდა მოუარო. გუშაგს მიეპარები, ხანჯალს ჩასცემ და თუ დაყვირებას დააპირებს, უმაღვე გაგუდავ. თვა-

რადე, შენ პირდაპირ წახვალ. აქეთა გუშაგი ხიდსაც დაჩაჯობს და გუშაგთა სადგომ ბუნკერებსაც. ჩვენ სამნი ბუნკერის კართან ჩავსაფრდებით. რაც არ უნდა მოხდეს, არ დაიბნეთ! ჯერ შენ წადი, ლადო! ამ ბილიკს გაჰყევი და მერე მიწაყრილისკენ მიუხვიე.

ამხანაგებს გაეშორდი. გულმა ბაგაბუგი ამიტება. აკანკალდი. ერთ წამში რა არ გავიფიქრე. ცხრანაირი გეგმა დავაწყვე და დავშალე. უცებ აკანში მწოლარე ჩემი გოგონა გამახსენდა. ახლა სულაც არ მინდოდა ამის გახსენება, მაგრამ... თურმე ასეთ დროს სწორედ ის უფრო გავგონდება, რის გავფიქრებასაც ერიდები. ამას სხვა ფიქრი გადაება, უფრო ჭირვეული.

დავალემა რომ ვერ შევასრულო და ბანაკში საღსალამათი დავბრუნდე, რა პირით უნდა შევხედო ხალხს? ალბათ ყველა შემრისხავს, ლაჩრად მომნათლავს: შენ თუ არ შეგეძლო, ჩვენ გაგვიშვებდიო. მერე, იქნებ ამ ამბავმა ზღვაც გადაიაროს და ჩემი სიგლახე მთელმა საქართველომ გაიგოს? ვაი, სირცხვილო!

რამდენი გერმანელი გამოვასალმე წუთისოფელს, მაგრამ ერთხელაც არ შევმკრთალვარ, ახლა კი...

ახლა სხვა ყოფაში ვარ... სხვაა მტერს შორიდან ტყვიას რომ ესვრი და სულ სხვაა, ხანჯალი რომ უნდა ჩასცე და მერე, ის ხანჯალი ისევ შეიბა ქამარზე.

სიბნელე ახლა ჩემი მოყვარეც არის და მტერიც. გუშაგი მე ვერ დამინახავს, მაგრამ მეც რომ ვერ ვხედავ?

კატის თვალები ვინატრე. მივიხედ-მოვიხედე. შევჩერდი და მივაყურე.

აგერ, ხის ფოთლებში წვიმა ტკაპუნობს, ეგ არის და ეგ სხვა არაფერი მესმის. განვაგრძე გზა. სადღაც იელვა. მკრთალად გამოჩნდა მიწაყრილი, ხიდი და ხიდის ყურთან რაღაც კუნძი. არა, კუნძის იქ რა უნდა, გუშაგი ზის, ნაირფერ ლაბადა-კარავში გახვეული.

წვიმა ძილის წამალივითაა. ხომ არ სძინავს? მძინარე გუშაგის მოკვლა უფრო ადვილია, მაგრამ რატომღაც არ მინდა, რომ ეძინოს. მძინარე კაცის მოკვლა რა ვეჭვაცობაა?

მიეუახლოვდი. უკვე აღარ ვღელავ, გული დამიწყნარდა.  
გერმანული ხანჯალ-ხიშტი ქარქაშიდან ამოვაძვრე და ტი-  
რი მაგრად ჩავბლუჯე. მტერი მტრის მახვილითვე უნდა ვავგ-  
პირო.

ჯერ გავხობდი, მერე წამოვდექი და ფეხაკრეფით წავედი,  
ისე ჩუმად, თითქოს მიწაზე კი არ ვადგამდი ფეხს, პაერში  
მივცურავდი.

აი, ერთს გადავხტები ვეფხვივით და გუშავს ქორივით და-  
ვეცემი... დავიძაბე. რაღაც ხმაური მომწვდა ხიდის იქითა  
მხრიდან.

ჩემს წინ გუშავდა თავი რომ ასწია, სწორედ იმ დროს გა-  
უყვარე ხანჯალი. მეორე ხელი მაშინვე ლაბადაკარავზე ავუყა-  
რი და პირზე მივაფარე. თავწაქრილი ქათამივით ერთი შეი-  
ფართხალა და მიიღეშა.

ხიდის იქით ხელყუმბარების ბათქაბუთქი ატყდა. შაშხანა  
გავარდა, ავტომატმაც გაიკაკანა. ეს სანდროს ავტომატი-  
აღბათ.

მე გუშავის ავტომატს დავტაცე ხელი და ტყისკენ გავიქე-  
ცი. ერთი უკან მივიხედე. ხიდს უკვე ცეცხლი ეკიდა. ნიკოლოზ  
კატელნიკოვს თან ორი ცეცხლწამკიდი ბოთლი ჰქონდა წამო-  
ღებული. ეს ნაღდად მისი ხელობა იყო.

მალე შევეიყარეთ თავი. ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— აბა, რა დროს კოცნაა, მომყევით ჩქარა! — კატელნი-  
კოვი წინ გაგვიძღვა.

ხიშტი-ხანჯალი წვიმის გუბეში გავრეცხე და ქარქაშში ჩა-  
ვაგე. ვინ იცის, იქნებ ეს ხიშტი ჩემი მოკლული გუშავის  
რომელიმე ნათესავემა ჩამოასხა სამხედრო ქარხანაში?

\* \*

1942 წლის მაისში გერმანელებმა ქერჩის ალბა შესძლეს  
და თავიანთი ჯარები სევასტოპოლისაკენ გადაისროლეს. ყი-  
რიმის თითქმის ყველა სოფელში სვასტიკიანი ჯარისკაცები  
დაალაჯებდნენ. ტყის მახლობელი სოფლებიდან რუსი და უკ-  
რაინელი მოსახლეობა სტეპებში გარეკეს. გადასწევს იმარეთი,  
ჩერმალიკი, ზემო შახმურზა, ყიზილტაში და ბევრი სხვა სო-  
ფელი.

ხალხს ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასვლა უკრძალავდნენ. ტყის-პირას თუ ვინმეს დაინახევდნენ, პარტიზანად თვლიდნენ და სიკვდილით სჯიდნენ განუკითხავად.

კვლავ შეუდგნენ პარტიზანთაგან ტყის გაწმენდას.

იმ ხანად ჩვენც დაგვესხნენ თავს. მოვიგერიეთ.

სურსათ-სანოვარის შოვნა გაძნელდა. ავადმყოფები მოგემარავლდნენ, მედიკამენტები შემოგვაკლდა.

რაზმის ხელმძღვანელობამ სურათის საშოვნელად ოთხი ჯგუფი გამოყო. ერთ ჯგუფში ჩაჩხიანი, თვარაძე, კურცხალია, ებზევი და მე შევდიოდით.

ყველა ჯგუფი სხვადასხვა მხარეს წავიდა. ჩვენ სუდაკისკენ გავწიეთ. გავიარეთ ხეები და სათიბი მინდვრები. ერთგან ტყეს რომ მივუახლოვდით, კურცხალიამ ყურები ცქვიტა.

— ბიჭებო, აქ სადაღაც თბის ჯოგია! კიკინი არ გესმით?

თოფები მოვიმარჯვეთ და იქით გავეშურეთ, საიდანაც კიკინი მოგვესა.

სერზე ავედით და მიმოვიხედეთ — არაფერია. კიკინი ახლა დაბლიდან მოგვესა.

— აქეთ, აქეთ, ბიჭებო! — კურცხალია ფერდობზე დაეშვა. იქაურობაც ცარიელი აღმოჩნდა.

თბებივით მივაჩერდით ერთმანეთს. კვლავ გავიგონეთ კიკინი.

— ახლა კი ნამდვილად მივაგენი! — თქვა გერვასიმ და მარჯვნივ გაუხვია.

— ღუტუ, ტყუილად მიდიხარ. ჩხიკვი გვაბითურებს. იმან იცის ზოგჯერ თბასავით კიკინი.

— არა, კაცო, ნამდვილად თბის ხმაა. ჩხიკვის ჩხავილს თბის კიკინისგან ვერ გამოვარჩევ?!

იქით წასვლა რომ დავაპირეთ, თავზე ჩხიკვმა გადაგვიფრინა.

— ეჰ, ღუტუ, ღუტუ, კიდევ იტყვი მონადირე ვარო? თბას და ჩხიკვს ვერ ანსხვავებ ერთმანეთისაგან. შენ რომ კაცმა ყუვებზე სანადიროდ გაგაგზავნოს, მტრედებს დახოცავ. — უთხრა თვარაძემ.



— კაცო, დავიჯერო, მართლა ეგ წყეული კიკინებდა? ჩხიკვის ოინი ახლაც ვერ ირწმუნა ძველმა მონადირემ.

შემდეგ, რამდენჯერაც ჩხიკვი შეგვხვდა, წამოვიძახებო.

— ე, ბიჭებო, ლუტუს თხა!

მშვიერი ბიჭები სიცილით ვძლებოდით.

პატარა ბორცივი გადავიარეთ. მინდორში გერმანელი ჯარისკაცები ნახირს ამოვებდნენ. ალბათ ეს ნახირი ომამდე კოლმეურნეობისა იყო.

ყველაზე თავზებელაღებული და შეუპოვარი მშვიერი ადამიანია. იმ ხანად სურსათის შოვნას მრავალი პარტიზანი შეეწირა, მათ შორის ბევრი ნაცადი პარტიზანიც.

ჩვენ ვითათბირეთ, ჯიქურ მივსულიყავით და ძალით წაგვერთმია ძროხები.

— კარგი იქნება, თუ თოფის გაუსროლელად მოვიპარავთ. — გვითხრა ებზევმა.

— კურცხალია თხასა და ჩხიკვს ვერ არჩევს ერთმანეთისგან, თორემ ძროხებზე ნადირობა კი ემარჯვება, — ვთქვი მე.

— მართლა? — ებზევმა გერვასის შეხედა.

— სიტყვა ქარია, მე საქმე მიყვარს!

დავუღარაჯდით. რამდენიმე ძროხა ხევში ჩავიდა.

— მე გავაპარებ მაგ ძროხებს, — თქვა კურცხალიამ.

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს. კურცხალიას მეც მივეხმარები, — გვითხრა სანდრომ.

ხევის ბილიკს ტყე-ტყე დაუყვანენ.

ჩვენ იქვე დავრჩით. თუ გერმანელები ძროხების მოტაცებას გაიგებდნენ და მომტაცებლებს დაედევნებოდნენ, ტყვია უნდა დაგვეშინა.

ვერ გაიგეს. გადარჩნენ ცოცხლები.

ჩვენ უკვე უღრან ტყეში ვიყავით და ძროხებს ვწველიდით, როცა თოფის სროლის შორეული ხმა მოგვესმა. ალბათ, საღამოზე ძროხები რომ დაითვალეს, მაშინდა მიხვდნენ, ექვსი რომ აკლდათ და სროლა განგებ ასტეხეს, უფროსების წინაშე თავი რომ ემართლებინათ, ღამით მოგვეპარეს, თორემ დღისით ფხიზლად ვმწყემსავდითო.

თბილი რძე დავლიეთ, შევისვენეთ და გზას გავუდექით.

შთელ ღამეს ვიარეთ. დილით ძროხები კვლავ მივაბით ხეებზე, ისევ გამოვწველეთ, რძე დავლიეთ და რაზმს მივამურეთ.

— აჰა, გიორგი! — პაპიაშვილს რძით სავსე მათარა მივაწოდე. — ფშაველი კაცი ხარ, ვიცი, რძე გიყვარს. ყელი ჩაიღებე. ერთხელ მაინც გეყოფა!

— უჰ, აგაშენოს ღმერთმა! ისე მადლობელი ვარ, თუნდაც ჩიტის რძე მოგეტანოს ჩემთვის.

რა პატარა რამ ჰყოფნის ადამიანს სიხარულად!

ეგოროვმა დაწვრილებით გამოგვკითხა ძროხების შოვნის ამბავი.

— კარგია, უბრძოლველად რომ გამოგიტაცებიათ, — მოგვიწონა რაზმის მეთაურმა.

დანარჩენი ჯგუფები ხელცარიელნი დაბრუნდნენ.

ორი ძროხა იმ საღამოსვე დავკალით და ხორცი ყველას თანაბრად გავუნაწილეთ. ტყეში შემწვარი და მოხარშული ხორცის სუნი დატრიალდა. ქართველებმა მწვადი ავაშიშხინეთ და ვახშმად მეთაური მოვიპატიეთ. ძალიან მოეწონა ნაკვერცხალზე შემწვარი ხორცი.

იმ ხანად მხოლოდ ხორცს ვჭამდით. კარგა ხანია პური თვალის დასანახავად გვენატრებოდა.

ვიღაცამ თქვა, სოფელ აისერესის მახლობლად შარშან გაზაფხულზე რომ კარტოფილი დათესეს, აუღებელი დარჩაო. წავიდნენ ბიჭები იმ კარტოფილის ამოსათხრელად. ხუთი-ექვსი კილომეტრით თუ იქნებოდა ჩვენგან დაშორებული, მეტი კი არა. რაზმში დილით დაბრუნდნენ.

ისეთი კარტოფილი მოიტანეს, ვერ გაიგებდით, დამპალი იყო, ობმოკიდებული თუ უბრალოდ დამპალი. ჩაყარეს წყალში, არ მოიხარშა. გასინჯეს, არაფრის გემო არ ჰქონდა. გადაყრა დაუპირეს. ტანიამ შეაგროვა, ცეცხლზე დიდი თუნუქი დადო, ის კარტოფილი ზედ დაყარა, გაახმო და დანაყა.

— ფქვილია, ნამდვილი ფქვილი! — წამოიძახეს ბიჭებმა.

ტანიამ ასეთი ფქვილის გაკეთება ჩვენც გვასწავლა. კარტოფილი ლაბადაკარვებზე დავყარეთ, მზისგულზე გავახმეთ, ლოდებზე დავნაყეთ, კარდალებში მოვზილეთ, ცომი ცეცხლთან მიყუდებულ სიბჭებზე თხლად დავაკარით და პატარ-

პატარა, კოკორა ლავაშები გამოვაცხვეთ. გემრიელი იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ სულ უპურობას დიახაც სჯობდა. კვირის თავზე პაპიაშვილს მათარა მოვთხოვე.

— ჯერ არ გამიცლია?

— როგორ თუ არ გაგიცლია?

— იმ რძეს ცოტ-ცოტას ვსვამ.

— უპ, რა კაცი ხარ, ყველაფერს იზოგავ. ამ სიცხეში რძეს რა გააძლებინებდა? აბა, მაჩვენე მათარა!

მათარას ხუფი მოვხსენი. მყავე სუნი მეცა ცხივრში.

— ხომ გითხარი, გაფუჭდებოდა-მეთქი! აჭრილია.

გადაქცევა დავუპირე, მათარა დავაპირქვავე. პაპიაშვილი ხელში მეცა.

— არ დამღუპო.

— ამას დაღევ? იცი რა მწარეა?

— ვიცი. ამ მწარე ცხოვრებაზე ტკბილი მაინც არის.

— მოგკლავს, შე ღმერთგამწყრალო!

— მანამდე არ ქამე შენ ქელეხი, სანამ მე მაგან არ მომკლას.

მათარა პირზე მიიღო და აჭრილი რძე სულმოუთქმელად დალია.

\* \* \*

რაზმის მეთაურმა რამდენიმე პარტიზანი შეგვეკრიბა.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, — მოგეხსენებათ, რომ ფეოლოსიიდან სიმფეროპოლისაკენ რკინიგზაა გაჭიმული. აქ მტრები ეზიდებიან საომარ იარაღს, გადაჰყავთ და ვადმოჰყავთ ჯარები. ეს ლიანდაგი მტრის სასიცოცხლო ერთ-ერთ ძარღვს წარმოადგენს ამჟამად. რა არის საჭირო?

— ამ ძარღვის გადაჭრა.

— ამ ძარღვის გადასაჭრელად კი ექვსი კაცია საჭირო. ვინაა აქვს სურვილი?

ბევრმა აიწია ხელი.

რაზმის უფროსმა თვითონვე ამოარჩია ექვსი პარტიზანი. ხელმძღვანელად ტანია ოლენკო დანიშნა, იმ მიდამოებს ყველაზე უკეთ იცნობსო.



წამსვლელებს გზა დავულოცეთ და შინ მშვიდობით დავ  
რუნება ვუსურვეთ.

გავიდა სამი დღე. ველით, არ ჩანან.

მოლოდინი ნერვებს უშლის აღამიანს.

— მოვწიოთ, ბიჭებო! — გვითხრა სანდრომ.

— თულა გვაქვს!..

მე სათუთუნე ქისა ქალაღზე დავფერთხე და ერთი პატა-  
რა პაპიროსი გავახვიე. ეს იყო მთელი ჩვენი ავლადიდება.

— რიგრიგობით მოვწიოთ! პა, სანდრო, შენ დაიწე!

— მე რატომ? ჯერ შენ მოსწიე!

რამდენიმე კაცი ერთმანეთს ვაძალებდით ამ ცეცხლმოუ-  
კიდებელ პაპიროსს. არც ერთმა არ მოჰკიდა ხელი, თუმცა  
ყველას სული ელეოდა, როდის ჩაყლაპავდა მის კვამლს.

— არ გინდათ და ნუ გინდათ! მე სხვაზე მოუთმენელი კი  
არა ვარ! — ეს უკანასკნელი პაპიროსი ქვაზე დავდე, ჩვენი  
კარვის წინ.

ასე იღო სალამომდე.

— ან მოსწიეთ, ან გადაადგეთ ეს ტიალი! — თქვა სალა-  
მოს ეამს ჩაჩხიანმა და ცთუნებისთვის რომ თავი დაეღწია,  
იჭაურობას გაშორდა, ტყისკენ გაისეირნა.

— მოდი, ასე დავთქვათ! ეს პაპიროსი პირველად იმან  
მოსწიოს, ვინც ყველაზე ხშირად ეწევა! — თქვა ერთმა.

— მაშინ, სანდრომ უნდა მოსწიოს! უპრიანია მაგისტვის,  
ეკუთვნის.

— პირველი რომ არ ჰკიდებს ხელს?

— შევაგულიანოდ.

— როგორ?

— როგორ და...

შეთქმულება მოვაწყვეთ.

ჩაჩხიანი მობრუნდა და ქვაზე დადებული პაპიროსი რომ  
დაინახა, გაბრაზდა:

— რა ხალხი ხართ! რატომ არ სწევთ?

— ამის მოწევას ვაყკაცობა უნდა და იმიტომ...

— პაპიროსის მოწევას რა ვაყკაცობა უნდა, ეგეც ასაფეთ-  
ქებელი ხიდი ხომ არ არის?

— ასაფეთქებელი ხიდი არ არის, მაგრამ... საერთოდ კი ირის ასაფეთქებელი. გოძიშვილს იმ თუთუნში თოფის წამალი ჩაბნევია და პირველად თურმე თვითონ პირს იმიტომ არ ჰკიდებს, სეირის ყურება უნდა.

— მერე, მაგან შეგაშინათ?

— რა იცი, როგორ აფეთქდება? იქნებ თვალეში გეცეს და... ვისა აქვს თავი მოძულებული! ახლა დაბრმავებალა გეაკლია!

— მტრის არ გეშინიათ და ამ პატარა პაპიროსმა შეგაშინათ? ვითომ ბევრია შიგ თოფისწამალი?

— რა ვიცი... ერთ გახვევა თუთუნში ორი ფუთი თოფისწამალი ხომ არ გაერეოდა! იქნება ორიოდ ნახევანი.

— მერე, მაგან დაგაფრთხოთ?! მოიტა აქეთ! რა უნდა მიქნას!

აილო პაპიროსი და ტალკვესით ცეცხლი მოუკიდა.

— მშპა! — მოსწევს და პაპიროსიან ხელს განზე გასწევს.

— მშპა! — მოსწევს და პაპიროსს სწრაფად ძირს დაუშვებს...

თამბაქოს კვამლის სუნმა საღერღელი აგვიშალა ყველას, მაგრამ...

უცებ სიცილი წაგვსკდა. ჩაჩხიანი ეშმაკობას მიგვიხვდა.

— აი, თქვე ოინბაზებო, თქვენა! სულმოკლე კაცად ჩამთვალეთ, ხომ? აი, ესეც თქვენი პაპიროსი! — დააგლო ძირს და ფეხი დაადგა.

— არ დაგვლუბო, სანდრო! მიწაში არ აურიო! — მივაძახეთ ერთხმად.

სანდრომ მიწის ბელტი აილო და ფეხით მოსრესილ პაპიროსს დააფშვნა.

— თქვენი დასაცინი ვარ მე? სულმოკლედ ჩამთვალეთ, ხომ? მალე განახვებთ, ვინც არის სულმოკლე. ამიერიდან თუ მე თამბაქო მოვწიო, შემარცხვინოს ღმერთმა! თუთუნის ფოთოლში რომ გამხვითო, მაინც აღარ მოვწევ!

რკინიგზის ასაფეთქებლად წასულეები მებუთე დღის გარიყრაყისას დაბრუნდნენ.



ტანიამ მეთაურს უპატაკა, დავალება შესრულებულია და ყველანი უვნებლად დავბრუნდითო.

ეგოროვმა აქ მხოლოდ ოთხი კაცი დაინახა.

— ორი საღლაა?

— უკან რომ ვბრუნდებოდით, ორი უცნობი შევნიშნეთ. ჩვენსკენ მოდიოდნენ. ჩავუსაფრდით. პირველ შემახილზევე ხელები ასწიეს. მიხვდნენ, პარტიზანები რომ ვიყავით და დამტვრეული რუსულით ძლივს გაგვაგებინეს — ჩვენ სწორედ პარტიზანებთან მივდივართ, პოლკიდან გამოვიქეციეთო. ჩვენს ბიჭებს ნადავლი თამბაქო მოჰქონდათ, იმ რუმინელებს აჰკიდეს ტომარა და უკან მოდიან. სადაცაა გამოჩნდებიან.

— გოძიშვილი და ჩაჩხიანი, მიეგებეთ ამხანაგებს! — მოგვცა დავალება მეთაურმა.

იმ დღეს რაზმში თამბაქოს დარიგება ჩაჩხიანს დაავალეს. სანდრომ ნახევარი ტომარა გაანაწილა, ნახევარი საკუქნაოში შეანახვინა.

ყველამ გააბოლა თამბაქო. სანდროს არ მოუწევია.

— შენ, რა, მართლა გინდა ვადაეჩვიო? — ვკითხე ძმადნაფიცს. — ყველას რომ დაურჩივთ თამბაქო, შენმა თავმა წიხლი გკრა?

— კაცი თავისი სიტყვის პატრონი უნდა იყოს. ვთქვი და, ავასრულებ კიდევ, არ მოვწევ!

მე პაპიროსი ცხვირთან მივუტანე და ბოლი ვაყნოსეინე.

— შენ რა იცი, წვერებქოსა, რა გემო აქვს თამბაქოსა! მოსწევ.

— არ მოვსწევ.

— ძმადნაფიცმაც რომ გთხოვოს, მაინც არ მოსწევ?

— ძმადნაფიცობა აქ არაფერ შუაშია!

იმ დღიდან სანდროს მართლაც აღარ მოუწევია თამბაქო.



ბ. ბ. გოროდოვიკოვი დიდ მიწაზე გაიწვიეს. მაშინ გავიგე, რომ ზუიას ტყეში, ქელაუზე პარტიზანებს საველე აეროდრომიც კი ჰქონიათ. ესეც თავისებური იმედი იყო. პარტიზანები

ბედის ანაბრად არ ვიყავით მიტოვებულნი, დიდ მიწასთან მუდმივი კავშირი გვქონდა.

პირველი რაიონის პარტიზანული მოძრაობის მეთაურად მ. ი. ჩუბი დანიშნეს. ამ აღამიანმა ჩვენთან მოსვლისთანავე შეგვაცუვარა თავი. ისე გულითადად გვესაუბრებოდა ხოლმე, რა უნდა ეთქვა, არ შეგვესრულებინა! მის ერთ დამახილზე თუნდაც ცეცხლში შევცვივდებოდით. ჩუბმა კიდევ უფრო გაგვა-მხნევა და თვითეულ პარტიზანს პირადი ინიციატივის გამოჩენის საშუალება მოგვცა.

გერმანელები თავიანთ შეშფოთებას უკვე ვეღარ მაღაუდნენ — პარტიზანები გვესვრიან, მაგრამ საიდან გვესვრიან, ვერ ვიგებთო. „ტყის კაცებს“ გვეძახდნენ და სრული განადგურებით გვემუქრებოდნენ. იმ დღეებში მტერი დაგვესხა თავს, სასტიკი შეტაკება მოგვიხდა. ორმოცდაათამდე გერმანელი გამოვსალმეთ სიცოცხლეს. პარტიზანთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი დაიჭრა. რაკი მტერმა ჩვენი ბანაკის ადგილსამყოფელი იყნოსა, ყარასუბაზრის ტყისკენ წავედით. ოციოდე კილომეტრი გავიარეთ.

— ლუტუ, ეს მშვიერი კაცი რა მაგრად გარბიხარ?

— ზოგი ჭირი მარგებელია, მუცელი არ მამძიმებს.

— მე ვიცი, ლუტუს ასე მარდი სირბილი რამაც ასწავლა, — ულავშებში ჩაიციხა პაპიაშვილმა, — იმდენი ცხენის ხორცი ჭამა, ცხენის მუხლი გამოება და ახლა დაქენობს იორლასავით... თუ დასჭირდა, მტერს ხელდახელ დაიჭერს და ტყვიის უსროლელად მოკლავს. აი, ბუღალტერიც ასეთი უნდა.

— ყოფილო საბჭოს თავმჯდომარე, შენ ჩემზე ნაკლებად მიირთვი ცხენის ხორცი? რატომ შენ არ გამოგება ცხენის მუხლი, ძლივს რომ მოლასლასებ?

— ბუღალტერი ტყუილად ხარ! ხორცის გაყოფისას ანგარიშიში მატყუებდი, შენთვის მეტს იტოვებდი. გავა ერთხელაც არ მარგუნე.

— შენცა ხარ და, თავს მოიტყუებდი! ჩვენ რომ ცარიელ ზურგჩანთებს მოვაფამფალეობთ, შენ სასუსნავით გაქვს გატენილი.

— თქვენსავით ყველაფერს ერთბაშად კი არ ვცვამ. ვინა-  
გაგ, ბიძია. მუცელს ალორებ — ღორია, აქორებ-ქორი...  
— მეზობელ ჯგუფში ერთი სარივით ჩამოვმარცხდი

იყო, სულ შიოდა. ამ ორი კვირის წინათ ფრიცმა ტყვია შე-  
შუბლში მიაჭედა და წააქცია. ჩვენებმა ჩანთა რომ გაღიზი-  
კეს, სამი კილო ორცხობილა აღმოაჩნდა. თურმე იზოგავდა. იმ  
პარტიზანივით არ მოგივიდეს შენც!

— იმედი გქონდეს, მე მოვეკვდები და ჩემი შემონახული  
ორცხობილები შენ დაგრჩება. წინდაწინ დაიღესე კბილები.

ბუჭლალტერმა და საბჭოს თავმჯდომარემ კარგა ხანს იკა-  
მათეს. ისე ხუმრობდნენ, უცხო კაცს ჩხუბი ეგონებოდა.

ძნელია გრძელი გზის გავლა, თუ არავის ეკამათები. კამა-  
თი გაჭირვებას გავიწყებს და გულსაც ვიხალვათებს.



მტერმა სევასტოპოლი ნაცარტუტად აქცია და 1942 წლის  
სამ ივლისს ძლივს მოახერხა მისი აღება. ფაშისტმა დამპყრობ-  
ლებმა ახლა მეტი ძალით შეუტეეს ყირიმის ტყეებში ჰყოფ  
პარტიზანებს. „ტყის გრანდიოზული წმენდა“ გადაწყვიტეს.  
საამისოდ ოთხი დივიზია ამოქმედდეს: ყირიმის მიწა-წყალზე  
არც-ერთი პარტიზანი არ უნდა დარჩეს ცოცხალიო.

პარტიზანთა ყველაზე დიდი რაზმი ამ დროს ზუიას ტყეში  
იყო დაბანაკებული და მტერმაც, უპირველეს ყოვლისა, იმ  
ტყეს შეუტია. დაუშინა ქვემეხები და ნალმტყორცნები, დაზ-  
ვის და ხელის ტყვიამფრქვევები. თვითმფრინავებმა ბომბები  
ჩამოყარეს. გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები.  
პარტიზანთა ნებისყოფა ვერ გატეხეს.

მწვერავეებმა ამბავი მოგვიტანეს: ზუიას ტყეში დაბანაკე-  
ბულმა პარტიზანებმა გმირულად მოიგერიეს ფაშისტები, იქა-  
ურობა მტრის გვამებით აავსესო. შემდეგ ყირიმის პარტიზა-  
ნული მოძრაობის მეთაურმა პ. ფ. იამპოლსკიმ პარტიზანულ  
რაზმებს უკან დახევა უბრძანა და მათ ზუიას კლდოვან, უღრა-  
ნი ტყით დაფარულ მთებს შეაფარეს თავიო.

მალე ყველა პარტიზანულმა რაზმმა ასეთი ბრძანება მი-



ილო: ცალ-ცალკე იმოქმედეთო. ამას ამჟამად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საჭირო იყო მტრისთვის თავგზის დაბნევა. პარტიული რაზმები ხან აქ უტევდნენ მტერს, ხან — იქ. მტერმაც ვეღარ დაადგინა მათი ადგილსამყოფელი. სვასტიკიანი თვითმფრინავები ყუმბარებს ტყეებში ჰაიპარად ჰყრიდნენ, მტრის ნალმმტყორცნები და ქვემეხები უმიზნოდ ისროდნენ. ზშირად მტერი რომ წინ ისროდა, პარტიზანები იმ მტერს ზურგში ესროდნენ და ამბის მთხრობელსაც არ უშვებდნენ, უმოწყალოდ ავლებდნენ მუსრს.

მტერი ჩვენც მოგვიხტა ყარასუბაზრის ტყეში, მაგრამ რაკი მარჯვედ დავუხვდით, პირი იბრუნა და გაგვშორდა.

მეორე ღამეს დიდი მიწიდან მოსულმა თვითმფრინავებმა სურსათი და ვაზნები პარაშუტებით ჩამოგვიყარეს. ტყეში გაბნეული პარაშუტები შევაგროვეთ და შტაბს ჩავაბარეთ. სურსათიც და ვაზნებიც პარტიზანებს თანაბრად გაგვინაწილეს.

ჩვენ ყველაზე უფრო იმან გაგვახარა, იმ ძნელბედობის ქამს ბედის ანაბარად რომ არ მიგვატოვეს. ეს იყო დიდი მიწის გამამხნევებელი ვადმოძახილი — არ შედრკეთო. მტერმა იმ ზაფხულს პარტიზანებთან ბრძოლაში ბევრი ხალხი დაკარგა და „ტყის გრანდიოზული წმენდა“ ზამთრისთვის გადადო. მეორე, რაკი ყირიმში ზამთრის გატარება გადაწყვიტეს, თადარიგიც დაიჭირეს — მთებში თიბვას შეუდგნენ. ბალახს, რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობას ათიბვიებდნენ და შემდეგ თავად მიჰქონდათ საზიდრებით. გადაეწყვიტეთ, გერმანელებისთვის ხელი შეგვეშალა, თივის დამზადება არ დაგვენებებინა. ლაშქრად ექვსი კაცი წავედით — ჩაჩხიანი, თვარაძე, ბობროვი, კურცხალია, ებზეი და მე. მოსახვევში ჩავსაფრდით. გამოჩნდა თივით დატვირთული რამდენიმე საზიდარი. წინ მომავალი უნდა გაგვეჩერებინა მე, ჩაჩხიანს და ბობროვს. „სტოიო!“ შესძახა ბობროვმა და თივაზე შესკუპებულ ორ გერმანელს ანიშნა, შეჩერდითო. გერმანელები ჯერ დაიბნენ, მერე, თივაში რალაცას დაუწყეს ძებნა. ალბათ იარაღს. ბობროვი საზიდარზე შეხტა. ერთმა გერმანელმა ისკუპა, ბობროვის ავტომატს ხელი დაავლო, სავაზნე კოლოფი გამოაძრო და გადაავლო, მეორე გერმანელი მკლავებში ეცა ბობროვს და

ზევით აითრია. უცებ გაკოჭეს კაცი და ცხენებს შეუძახეს. უნ-  
დოდათ გაქცეულიყვნენ და ბობროვიც თან წაეყვანათ. ჩაჩხი-  
ანმა ავტომატი ააკაჯანა, ტყვია ცხენებს მიაყარა. ცხენები ჩა-  
კეცნენ. მე შაშხანა კოფოზე შესკუბებულ გერმანელს დავე-  
მიზნე და ვესროლე. ბობროვმა ამასობაში, ჩანს, ხელი გაითა-  
ვისუფლა, მეორე გერმანელი თივიდან გადმოაგდო, წაქცეულს  
ფოცხვერივით დაახტა და ჩექმის წვერი თავში დაუშინა.

თვარაძემ, კურცხალიამ და ებზეიმ დანარჩენი ოთხი საზი-  
დარი ამოიღეს ნიშანში და თივაზე შესკუბებული გერმანელე-  
ბი თავით გადმოაყუდეს. მხოლოდ ერთმა მოასწრო გაქცევა.  
ბობროვს მარჯვენა მკლავი ჰქონდა ნალრძობი, მაშინვე გაუ-  
ჭიმე. ბიჭებმა ცოცხლად გადარჩენილი ცხენები საზიდრები-  
დან გამოხსნეს, თივას ცეცხლი წაუქიდეს, ავმხედრდით და  
ტყეს მივაშურეთ. იმ ცხენების ხორცი ხორცად გამოგვადგა  
და ტყავი — ტყავად. გერმანელები თივის წასაღებად მთაში  
აღარ შემოსულან. ბობროვს ნალრძობი მკლავი მოურჩა. ჩვენი  
მეხუთე პარტიზანული რაზმი ყარასუბაზრის ტყიდან ისევ  
სუდაკის ტყეში დაბრუნდა. აქამდე ზუიას პარტიზანებთან რა-  
დიოთი ვამყარებდით კავშირს, ახლა ეს კავშირი, რატომღაც  
შეწყდა. საჭირო იყო ამ კავშირის აღდგენა. რაზმის მეთაურმა  
ზუიასაკენ ჩაჩხიანი და ბაიკინი გაგზავნა. იმ ხანად ეგოროვის  
რაზმში ორმოცდაათ კაცამდელა დავრჩით. მტერმა ამ პატარა  
რაზმის გასანადგურებლად სამთო ქვემეხებიც კი გამოიყენა,  
ნაღმებიც ააყეფა. ორად გავიყავით. კატელნიკოვის ჯგუფმა  
მტერი ტყეში შეიტყუა, მეორე ჯგუფმა ზურგიდან დასცხო-  
ფაშისტებს. მტერს დაბადების დღე ვაწყევლინეთ. აქედან სტა-  
რი კრიმის ტყეში გადავედით, „ქართველების მიწურის“ მახ-  
ლობლად. იმ ხანად ფაშისტებმა აღმოსავლეთისაკენ შორს წა-  
იწიეს ფრონტზე, აქ კი პარტიზანები სასტიკად შეგვავეწროვეს.  
განსაკუთრებით სურსათის შოვნა გაჭირდა. ცხენის თავ-ფეხის  
საცივს ჩახოხბილივით მივირთმევდით. ერთხელ კარგა ხნის  
მკვდარი ცხენი ვიპოვეთ და ისიც გემრიელად შევახრამუნეთ.  
ვისაც არ ერგო, გულდაწყვეტილი დარჩა.

დიდი მიწიდან რადიოგრამა მივიღეთ — თვითმფრინავს  
ელოდეთო. სტარი კრიმის ტყე პატარა იყო, თვითმფრინავი

ისე ვერაფერს ჩამოყრიდა, მტერს ვერ შეემჩნია. ჩამდენიმე კაცი სუდაკის ტყეში გაგვაგზავნეს. გზაზე ბალამწარას ვკამდით. მაგრამ ბალამწარას საგზალი როდემდე გაგყვება? კაცს? სალამოზე ცეცხლი დავანთე და ზედ წყლით სავსე კარდალა შემოვდგი. წყალი აშიშინდა. ჩანთაში ერთი მუქა ფქვილი მქონდა. ის ჩავყარე კარდალაში. წყალმა შიშინი შეწყვიტა, ცოტა ხნის შემდეგ კი კვლავ დაიწყო დუდილი. კარგა ხანს ვადულე. მხოლოდ აიმღვრა, ფაფად არ გასქელდა.

— გიორგი, ნაზრუნევი კაცი ხარ, ცოტა ფქვილი მასესხე. თვითმფრინავი ალბათ ფქვილსაც ჩამოგვიყრის. რომ მივიღებ, დაგიბრუნებ, ღმერთმანი.

— ისევ შემოგვაკლდა? რასაც იშოვით, მაშინვე რომ შესანსლავთ, აბა, რა მოგივათ! არა მაქვს! — პაპიაშვილმა ზურგი კუშტად შემაქცია.

— არა გაქვს და, ნუ გაქვს, რა გული მოგდის, შე კაი კაცო? სესხად ფქვილი გთხოვე, ქვა ხომ არ გესროლე?!

კარგად ვიცოდი გიორგის ხასიათი, ფქვილს არ გამოილევედა, ჰოდა, უარი რომ მტკიცა, მეწყინა. კარდალას ორიოდეჯერ კიდევ მოვურიე კოვზი და გასაციებლად გადმოვდგი. ზურგ-ჩანთიდან ცარიელი მათარა ამოვიღე და წყლის მოსატანად წავვედი. რომ მოვბრუნდი, კარდალა აღარ დამხვდა. გიორგის ვკითხე, რა იქნა-მეთქი?

— რა ვიცი მე შენი კარდალა?! — გაშალა ხელები გიორგიმ.

— როგორ თუ არ იცი? ფეხს ხომ არ გამოიბამდა და თავისით ხომ არ გაიქცეოდა? აქ არ იყავი, შე ოჯახქორო?! — შევუტიე ბრაზიანად.

— შენი ქვაბის ყარაული ხომ არა ვარ? ბიჭები წაიღებდნენ, მგლებივით არიან...

— ფლუ, ფშიიი! ფლუუ, ფშიიიი!

მივიხედე. ჩემი კარდალა პაპიაშვილის კარდალასთან იდგა და გემრიელად ფშვინავდა. ფშვინვა კი მხოლოდ სქელმა ფაფამ იცის.

— შე კაი კაცო, რაკი სიკეთეს შვებოდნი, გულს რატომღა

მიკოდავდი? ცულით დაკოდილი თავი რჩება და სიტყვით და-  
კოდილი გული — არაო, ხომ გაგიგონია!..

სუდაკისკენ ერთი ადგილია, „ფურნეს“ ეძახიან. თვით-  
მფრინავს იქ დაველოდეთ. ლამის თორმეტი საათი იქნებოდა,  
გუგუნნი რომ მოგვესმა. უმაღვე სამგან ცეცხლი ავანთეთ —  
ასეთი იყო ჩვენი დათქმული ნიშანი. თვითმფრინავმა გადაგვი-  
ქროლა, მობრუნდა და წრე შეჰკრა. ლანდად მოვკარი თვალი,  
პარაშუტით ტომრები გადმოყარა.

ცაში გამოკიდებულ პარაშუტებს სასოებით დავუწყეთ  
თვალთვალი. გვახარებდა დიდი მიწის საჩუქარი და კიდევ უფ-  
რო — რომ არ გვივძწყებდნენ, ზრუნვას რომ არ გვაყ-  
ლებდნენ.

მთელ ღამეს ტყეში გაბნეულ პარაშუტებს ვეძებდით და  
სურსათს ძნელად მისაგნებ ადგილას ვმაღავდით. სურსათთან  
ერთად ახალი ყურნალ-გაზეთებიც მივიღეთ.

დადლილ-დაქანცულებმა დილით დავიძინეთ.

იმ დღეს დიდი მიწიდან კვლავ მივიღეთ რადიოგრამა: მალე  
დაჭრილებისა და ავადმყოფების წამოსაყვანად წყალქვეშა  
ნავს გამოგვზავნითო. დაგვინიშნეს — სად და როდის უნდა მივ-  
სულიყავით.

დაჭრილებისა და ავადმყოფების სიხარულს საზღვარი  
აღარ ჰქონდა. ზოგი ამ სიხარულმა გამოაჯანმრთელა კიდევც-  
დიდია იმედის ძალა!

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. ჩვენ აღდაროვის ბანაკთან  
მივედით და ვახშმის სამზადისს შევუდექით.

გუშაგმა ვილაც შეაჩერა. გავიხედე — ბაიკინი და ჩაჩხიანი  
დგანან.

— ბიჭებო, დაკარგულები დაგვიბრუნდნენ! — წამოვიძახე  
გიყურად.

მალე გავიგეთ, რომ ზუიას პარტიზანებს კიდევ დიდი  
ბრძოლები გადაეტანათ. ჰოდა, ჩვენს მეკავშირეებს აქეთ წა-  
მოსვლა იმიტომ ვერ მოეხერხებინათ.

ჩაჩხიანი გობოზოვთან მივიდა:

— რავა ხარ, კოსტა?

— არ მოგიჩა ფეხები!.. რა ვქნა!



— ჰა, წამალი მოგიტანე, ოღლა გრიგორევნამ გამოგიგზავნა.

— ცოცხალია ოღლა? — წამოვიძახე მე.

— კი, აღდაროვის რაზმი რომ დაშლილა, ზუიას ტყეში გადასულა მაშინვე.

— ჰოდა, რაკი ოღლა გრიგორევნა იქ ყოფილა, შენ აგრე ადვილად გამოგიშვებდა?

— წუ გიყვარს ყველაფრისთვის ეშმაკის კუდის გამობმა. ოღლა წამოსვლისას ვნახე მხოლოდ. იმდენი დაჭრილები ჰყავს მოსავლელი, თავის მოსაფხანად არ სცალია.

ჩაჩხიანი ახლა პაპიაშვილს მიუბრუნდა:

— გიორგი, შენ რაღა დაგეშართა?

— რა უნდა დამშართნოდა, ძველებურად ვარ.

— ველარ გიცანი, ღმერთმანი. ხელის საპონივით გალეულხარ. არაფერს ჰვამ?

— სად არის რამე, თორემ, კაი შენ!

— ორი ზურგჩანთის თრევამ მოსწყვიტა წელი და ჩამოაფხავა კაცი, — შენიშნა კურცხალიამ.

— რა ზურგჩანთებს დაათრევ, ბიჭო? — ჰკითხა ჩაჩხიანმა.

— არ იცი მაგის ამბავი? ხუმრობს.

— არა, არა, ღმერთმანი, მართალს ვამბობ. ორი ზურგჩანთა საქმლითა აქვს გამოტენილი და ღღეში მაინც ერთხელ ჰვამს.

— მე რომ სამჯერ ვჰვამო, მერე თქვენ რაღა გეშველებათ, ქოფაკებო!

— შენც ჰვამე და ჩვენც გვაჰვამე.

— მე რომ ჰიტლერი ცხვარს მიგზავნის, იმის ღუმა მოგიტალო?

— ბიჭებო, მუშეკუდიანი როგორ არის? — იკითხა სანდრომ.

— როგორც დავტოვე. ქართველებს თითქმის აღარ გვეკარება, სულ მართო დადის, ჩაფიქრებული. ბრძოლის დროს კი ყველაზე წინ დგება, თითქოს ტყვიას განგებ უშვერს მკერდსო.

— გადაიწყვიტა ტანიას დაბრუნების იმედი?



— რა ვიცი... კრიხტინკო დაბრუნდა და ტანიას აღარ შორდება... ცოლ-ქმარივით ცხოვრობენ...

— პოდა, ჩააგონეთ ლადოს, ფუჭ ფიჭრს თავი დაანებოს. უთხარით, სხვისი ზიარი ქალი რად გინდა-თქო.

— დაგვიჯერებს?



ჩვენი ახალი ადგილსამყოფელი ისე პატარა იყო, ტყეში რომ ვისხედით, დილით ატუზადანაც გვესმოდა რადიოს ხმა და სტარი კრიმიდანაც. აქ პარტიზანებს მანევრირების საშუალება არ გვქონდა.

დიდი მიწიდან გამოგზავნილი სურსათი მალე შემოგველია. ოქტომბერში პირველი რაიონის პარტიზანები ერთად შეგვყარეს. ორას კაცამდე ვიქნებოდით. შეგვასვენეს და მეორე დღეს ზღვისკენ წაგვიყვანეს. კატელნიკოვმა გვითხრა, ნაპირს წყალქვეშა ნავი მოადგება და ავადმყოფებს წაიყვანსო. წინ მზვერავები გავუშვით. ჩვენ პატარ-პატარა ჯგუფებად დავიყავით და ნადირის ბილიკებს გავყევით. ქარი უბერავდა. აქა-იქ ხეებს ყვითელი ფოთლები სცვივოდა. წიფლნარს ვეტანებოდით. იქ ხეებქვეშ სამკუთხა წიწიბო ეყარა. აქა-იქ დასაყრდელი შეშა შეგვხვდა. ტყე იღუმალეებით იყო სავსე.

ატუზისა და სუდაკს შუა გავიარეთ. შორიდან დავინახეთ უზარმაზარი კლდე, ატუზის ბალ-ვენახებს დასავლეთიდან გუშაგივით რომ დასცქერის. ფერდობი შეუსვენებლად ავთავეთ. უკან მოვიტოვეთ ულრანი ტყის ვიწრო და ეკლიანი ბილიკები, კლდოვან მთაზე ავედით და ზღვას გადავხედეთ.

ამასობაში საოცრად ლამაზი ღამე ჩამოდგა. ვარსკვლავებით მოჭედნილ ლაქვარდ ცაზე ბადრი მთვარე ამოცურდა.

ზღვა იყო მშვიდი და იღუმალაი. ასე წყნარი ზღვა პირველად ვნახე. მთვარის შუქი ვერცხლისფრად დაეფინა ზედ და იქაურობა ზღაპრად თუ ნეტარ სიზმრად იქცა.

ადამიანს ყოველთვის ხიბლავს სილამაზე. ამ გრძნობას ვერც ომი კლავს და ვერც სხვა რამე.

იმ წუთმა მომაჯადოვა. ვინატრე: ეს სიმყუდროვე მარადი-  
სი ყოფილიყო.



ნა ზაქატე ხოდიტ პარენ  
ვოზლე დომა მავეო,  
პამარგაეტ მნე გლაზამი  
ი ნე სკაჟეტ ნიჩეო.  
ი კტო ევო ზნაეტ,  
ზაჩემ ონ მარგაეტ...  
ზაჩემ ონ მარგაეტ...

ტკბილი სიმღერის ხმა მომესმა, ღუღუნი.

ვიცანი, ტანია იყო.

ტანიამ რომ დაამთავრა ღუღუნი, კვლავ საოცარი ღუმილი ჩამოწვა.

უცებ ამ ღუმელში „სულიკოს“ ჰანგი შემოიპარა. სტვენით მღეროდა ვილაც.

იქით გავიხედე, საიდანაც ნაღვლიანი სტვენა მომესმა.

ლოდზე ლადო მუშეუდიანი იჯდა. ხელები მუხლებზე შემოეხვია. ნიკაპი მუხლისთავზე ედო.

იმ უსიტყვო სიმღერის კილოში თითქოს სიტყვებიც კი გავარჩიე:

საყვარლის საფლავს ვეძებდი,  
ვეძებდი დაკარგულიყო...

შესვენების შემდეგ ჩუმმა განკარგულება გასცა, დაჭრი-  
ლებსა და ავადმყოფებს ერთად მოუყარეთ თავიო.

ჩვენ დიდ მიწაზე გადასაყვან ხალხს წერილები გადავეციით და შინ მშვიდობით დაბრუნება ვუსურვეთ.

დავეშვით ზღვისკენ. ნაპირს ჩუმად მივეუახლოვდით და შეეჩერდით.

ერთი საათის ცდა დაგვჭირდა და ეს ერთი საათი საუკუნედ გვეჩვენა. ძნელია მოლოდინი. დრო ყავარჯნიანი კაცივით მიდის.

ზღვაზე შავი წერტილი გამოჩნდა. ყველა იმას მიაშტერდა. მერე ხალხი შეირხა და აჩურჩულდა.

— ხედავ?

— ვხედავ.

მე კოსტას მოგვიდე ხელი.

— გიხარია?

— რა ვიცი...

ამ დროს ტანია მოვიდა ჩვენთან. კოსტას ბოლო დროს ის უვლიდა. რაკი ექიმში არ გვყავდა, ტანია იყო ყველა ავადმყოფის ძიძა.

— რა მოგივიდა, კოსტა, ტირი?

— არა, ტანია, არ ვტირი, — თქვა და ცრემლი სახელოთი მოიწმინდა. — ისე კარგი ხალხი ხართ, თქვენთან განშორება მეძნელედა... გული ამიჩუყდა უცებ... არ ვიცი, როგორ გადავიხდი თქვენს ამაგს...

მთვარის შუქით სავსე ცრემლმა გაიბრჭყვიალა კოსტას ლოყაზე.

— არაფერია, კოსტა, არაფერი! — უთხრა კრიხტინკომ. — ომი რომ დამთავრდება, საქართველოში გეწვევით და მაშინ გვეცი სამაგიერო პატივი. ხომ ვეწვევით, ტანია!

— აბა, რა! მე ძალიან მინდა საქართველოს ნახვა.

წყალქვეშა ნავი მოგვიახლოვდა და ლაპლაპა ზღვაში უფრო მკვეთრად გამოჩნდა. რაზმის კომისარმა პოზიციამ ჯიბის ფარანი ანთო და ჩააქრო. ფარანმა ნავს წითელი თვალი ჩაუტყრა თითქოს.

ნავი თამამად წამოვიდა ჩვენსკენ. სწორედ ამ დროს სუდაკის მხარეს ქვემეხი აგრუხუნდა. ყუმბარამ თავზე შხუილითა და სტვენით გადამიარა და მახლობელ ხევში ჩაიჩეხა ზრიალით.

გარინდებული ლამის მყუდროება დაიმსხვრა.

მეორე ყუმბარა ზღვაში გასკდა, ნავის წინ შადრევანი მაღალ სვეტად ავარდა.

აშკარა იყო, გერმანელთა გუშაგებმა ჩვენი ნავი შენიშნეს.

ერთიმეორის მოყოლებით დაუშინეს ყუმბარები.

ნავმა ჩაყვინთა. კარგა ხანს ვუცადეთ, აღარ გამოჩენილა.

მთვარე ჩავიდა. ალიონმა ცა მტრედისფრად გაანათა. გულდაწყვეტილები გამოვბრუნდით უკან. კვლავ იმ მთაზე ავედით, საიდანაც ზღვისაკენ დავეშვით. ახლა იმის დარდიც გვქონდა,



მტერს შეეძლო კვალდაკვალ მოგვეყოლოდა. ჩვენ კი ვაზნები ცოტა გვექონდა. თავდასაცავად მოხერხებული ადგილი ამოვიჩიეთ და ჩავსანგრდით.

დილით ზღვის ნაპირიდან მწყემსებმა თხის ჯოგი მთაზე ამორეკეს.

ჩუბმა მეთაურები გააფრთხილა, ვიდრე მწყემსებს არ შევიპყრობთ, ჯოგს ხელი არ ახლოთო.

პარტიზანებმა რაზმში ორი ახალგაზრდა მწყემსი მოიყვანეს. მწყემსები მურადოვმა დაჰკითხა, დაწვრილებით გაიგო გარე ამბები.

მწყემსებს ორი პარტიზანი მიუჩინეს, ჯოგი ზღვის ნაპირას ჩაარეკინეს და ამოარეკინეს იმ გზით, ჩვენ რომ ჩავედ-ამოვედით. თხას წააშლევინეს ჩვენი ნაკვალევი.

დილის ათი საათი იქნებოდა, ზღვაში გამოჩნდა ფაშისტების გემი. იქით-აქეთ მცველებად პატარა გემები მოჰყვებოდნენ. გერმანელებმა დახვერეს ის ადგილი, სადაც ჩვენი წყალქვეშა ნავი დალანდეს ღამით და მშვიდად გამორდნენ იქაურობას.

ვიდრე არ დაღამდა, მწყემსები არ გაგვიშვია. რამდენიმე თხა, რა თქმა უნდა, დაგვიტოვეს.

დაიწყო ნამდვილი შემოდგომა. გახშირდა წვიმა. გავიგეთ, რომ გერმანელები ზამთრისთვის ტყიდან შეშას ეზიდებოდნენ.

რაზმის მეთაურმა ჩაჩხიანს დაავალა, ხუთიოდე მარჯვე ბიჭი წაიყვანე და ფაშისტებს ცხენები წაართვიო.

სანდრომ საღამოზე ექვსი ცხენი მოიყვანა და მეთაურს მოახსენა:

— სამი ფაშისტი გამოვასალმეთ სიცოცხლეს. შეშა საიქიოს გავატანეთ.

ცხენები უნდა დაგვეკლა. სწორედ ამ დროს ზუიას ტყიდან გვაცნობეს, ყველა პარტიზანულმა რაზმმა ტყეში უნდა მოიყაროს თავიო.

ზუია ჩვენგან ას კილომეტრზე მეტით იყო დაშორებული. სანდრომ ნანატრივით „მოინადირა“ ცხენები. ზედ ავადმყოფები და დაჭრილები შევსვით და გაფუდექით გზას.

რაზმში ახლა ბევრი ავადმყოფი იყო, ეს ექვსი ცხენი რამ-

დენს ეყოფოდა! ჰოდა, სვენებ-სვენებით მივდიოდით. გიორგი პაპიაშვილი, გერვასი კურცხალია და ტარასი მჭედლიძე, დასუსტდნენ, სული კბილითლა ეჭირათ, მაინც თავის ფეხით მოდიოდნენ. რაზმის მეთაურიც ძალიან სუსტად იყო, მაგრამ მხნეობას არ კარგავდა. ბიჭებს იმედს აძლევდა, რაკი დაჭრილებისა და ავადმყოფების გადაყვანა გემით არ მოხერხდა, ზუიას ტყიდან თვითმფრინავით გადაიყვანნო. უკანასკნელი ღონე მოიკრიბეთ, რომ იქამდე მიაღწიოთო.

კაცი იმედით ცოცხლობს.

დანიშნულ ადგილას ერთ კვირაში ძლივს მივაღწიეთ. იქ შემოგვეგებნენ პ. იამპოლსკი, ნ. ლუგავოი, ი. კურაკოვი, რ. მუსტაფაევი და სხვები.

ეგოროვის იმედიანი სიტყვა ფუჭი არ გამოდგა. აქ გავიგეთ, რომ მალე დიდი მიწიდან თვითმფრინავი მოფრინდებოდა და პარტიზანებს, რომელთაც ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდათ, წაიყვანდა.

ამ ცნობამ ბევრი გაახარა.

მეორე დღეს შტაბის უფროსმა ვ. კუზნეცოვმა სამკუთხა ბარათი მომცა. გავშალე, დედის წერილია. გამიკვირდა, დედაჩემმა ჩემი აქ ყოფნა საიდან გაიგო-მეთქი? მერე მომაგონდა, რომ იმ ზაფხულს პარტიზანებს გამოგვიცხადეს, ვისაც გსურთ წერილის შინ გაგზავნა, დაწერეთო. იმედი არ ჰქონდა, რომ აქედან ჩემი ბარათი საქართველომდე მიაღწევდა, მაინც დავწერე და შტაბს ჩავაბარე. ჰოდა, მისულა შინ ის დალოცვილი. მისულა ნუგეშად — ლადო გოძიშვილი ცოცხალიაო. დედის ბარათი, მგონი, ცხრაჯერ ჩავიკითხე. ყველანი კარგად ვართო, შინ გამარჯვებით დაბრუნებას გისურვებთო. ნათელამ ფეხი აიდვა და ტიტინი ისწავლაო. ამ ბარათმა მარტო ჩემი ოჯახის კარგად ყოფნა როდი მამცნო, სხვა იმედიც მომცა. რაკი ჩემიანებმა სადღაც ყირიმის ტყეში მყოფ კაცს ხმა მომაწვდინეს, ჩვენი საქმე სულ დაღუპული არ ყოფილა-მეთქი.

ვისაც მუშაობა შეგვეძლო, ერთ დიდ მინდორში გავგიყვანეს — საველე აეროდრომიო. უშნოდ ამოშვერილი ქვეები ამოვთხარეთ, ორმოები გავასწორეთ. ახლა უკვე თვითმფრი-

ნავს შეეძლო აქ დაჯდომა. დაველოდეთ. იმ სალამოს ცეცხლის პირას დავჯექი და დედას წერილი ლექსად მივსწერე.

დედაო, შენი ნატრული გული იწვის და დნებაო,  
ძნელი ყოფილა ძალიან დღე და ღამ ტყეში გდებო.  
საქართველოს ოცნება წინ სანთლად მიმიძღვებო...  
ნეტავი შენა, მთვარეო, საქართველოსა ხედავო.  
მოდო, მითხარი ამბავი, იქ როგორა მყავს დედაო.  
მამა რასა იქმს უჩემოდ, ცრემლებად ხომ არ დნებაო?  
უთხარი ჩემი ამბავი, მტერს ვაეკაცურად ხვდებო.  
ვაეკაცსა ტყვიაც ვერ დასცემს, დაქრილიც არ დაწვებო.  
სანამ მტრის ხროვას არ მოსპობს, სახლში არ დაბრუნდებო.

აეროდრომი გავაკეთეთ, მგრამ თვითმფრინავის გამოჩენას საშველი არ დაადგა. გვიან შემოდგომაზე ტყის სამოსელი აზნაურის გაცვეთილ ჩოხას დაემსგავსა. ცაში ფოთლები ტრიანლებდნენ. მუხას რკო სცვივოდა. ფოთოლგაცილ ხეებს პანტა და მაჟალო აქაიქდა შერჩენოდა. წითლად შეფერილი ასკილი თავს გვიქნევდა. კუნელს დახუნძლული წვრილი ტოტები ძირს დაეხარა და ქარის ყოველ შემობერვაზე ქანაობდა. სულ ეს იყო ჩვენი საზრდო.

— გიორგი, ერთი ეს შეინახე! — ხის ფართო ქერქი მიაწოდა კურცხალიამ.

— რა ჭირად გინდა?! — გაიკვირვა პაპიაშვილმა.

— კუნელა რომ გამოიღვეა ამ ტყეში, ბიჭები თხებივით ხეებს დაუწყებენ ხვრას და ეს ქერქი მაგრად შეინახე!

— შენც ერთი! კიდეც ხუმრობის გუნებაზე ხარ?

— სატირალი ჯერ არაფერი გვაქვს. ზოგი ჭირი მართლაც მარგებელი ყოფილა. თუ თვითმფრინავი გამოგვიგზავნეს, შე და შენ ახლა ისე ვართ დაქიანებული, ნამდვილად წაგვიყვანენ. აგერ ნახავ, თუ არ გამიმართლდეს სიტყვა! ერთი შინ მიმიყვანა და...

— ეჰ, ჩემი სოფლის გზაზე ერთხელ კიდეც ვამატარა, ლაილაშიდან უსახელოურისკენ გადამახედა და მერე თუ მოვკვდები, აღარ ვჩივი! — ამოიხვნეშა თვარაძემ.

თვრამეტ ნოემბერს ამინდი ანაზღად შეიცვალა. წვიმას

თოვლი ქალარასავით გამოერია. მერე სულ გადათეთრდა მთა-  
ბარი. თოვლით დახუნძლულმა ხეებმა ტოტები დაბლა დაწა-  
რეს. ნარეკლებზე ჩამომჯდარი აბუზული ნარჩიტები საცო-  
დავად აწრიბინდნენ. ჩვენც იმ ჩიტებივით ვიყავით. ხეების  
გარდა არავითარი თავშესაფარი არ გაგვაჩნდა. ყველაზე ცუდ  
დღეში ავადმყოფები და დაჭრილები ჩაცვივდნენ. ლაბადაკარ-  
ვებით ქოხები გავაკეთეთ, მაგრამ გახუნებული, ფარღალა-  
ტილო სიცივეს ვერ იკავებდა. როცა თოვლი დნებოდა, წყალი  
კარავში თქეშად იღვრებოდა. ცახცახებდნენ და გმინავდნენ  
ავადმყოფები, მათი საცოდაობით ვიწვოდით, მაგრამ თავზე-  
ვით ძალა არ გვქონდა და ვერ ვეშველებოდით. ერთ დღეს  
ქარმა ცას ღრუბლიანი პირი მოწმინდა. რაზმის მეთაურმა ჩაჩ-  
ხიანი, თვარაძე, ებზეი, ნოსოვი და მე სურსათის საშოვნელად  
გაგვიშვა. ზუიას ტყეს ოცი კილომეტრით გავცდით. ლამის გა-  
სათევად კალაის ტყეში შევჩერდით. დიდი ხის ქვეშ დავანთეთ  
ცეცხლი. ცაზე სავსე მთვარე ქათქათებდა. გაყინული ჰაერი  
უფრო გამჭვირვალეს ხდიდა ცარგვალს. თვითმფრინავის გუ-  
გუნნი გავიგონეთ. ცეცხლს ლაბადაკარავი გადავაფარეთ, მფრი-  
ნავს ნიშანი რომ არ ჰკონებოდა. იმ ღამით ჩვენი თვითმფრი-  
ნავის ხმა შეორედაც მოგვესმა.

— ამალამ გაუთენდებათ ჩვენს ბიჭებს, — თქვა თვარაძემ.

შანაკში მობრუნებულებს იქ ბევრი ჩვენი ნაცნობი აღარ  
დაგვხვდა. ყველა ავადმყოფი და დაჭრილი თვითმფრინავს წა-  
ეყვანა. მათ შორის — კურცხალია, ვობოზოვი, პაპიაშვილი,  
ლოლაძე, ჩხეიძე, დევდარიანი, მჭედლიძე, ოლა გრიგორევა  
და სხვები.

დარჩენილი პარტიზანები ხელახლა დაგვანაწილეს რაზმე-  
ბად. ამჟამად უკვე მეხუთე რაზმის მეთაური იყო ი. მოკროუ-  
სი, კომისარი — ს. პოზივაი. პირველი საბრძოლო ჯგუფის მე-  
თაურად დანიშნეს კატელნიკოვი ნიკოლოზი, პოლიტხელად —  
ჩაჩხიანი სანდრო. მუშკუდიანს ჩვენგან კვლავ შორს ეჭირა  
თავი. უფრო სწორად, გაურბოდა ტანიას, რომელიც კრიხტინ-  
კოსთან ერთად ჩვენს რაზმში იყო ჩარიცხული. იმ ხანად ზუ-  
იას ტყიდან კალაის ტყეში გადავედით...

ნიკოლოზ კატელნიკოვი კავკასიაში იყო გაზრდილი, დები

იმეამადაც თბილისში ჰყავდა. ქართველები განსაკუთრებით ვუყვარდით. სადაც წავიდოდა, თან დაეყავდით.

კატელნიკოვის ჯგუფს სურსათის შოვნა დაავალდნენ. თვა-  
რაძე, ჩაჩხიანი, მე, უზბეკი ეგრაშოვი და ყირიმელი მარგუნი  
გვიხმოდნენ. შებინდებისას გერმანელთა დამქაშის „სტაროსტას“  
ბოსელს მივეპარეთ. კარს ფუთიანი ბოქლოში ედო. გავტეხეთ.  
ბოსლიდან ძროხა და ხარი გამოვიყვანეთ. „სტაროსტამ“ გაგ-  
ვიგო და ტყვია დაგვიშინა. ტყეში შევასწარიტ. უკვალავ  
თოვლში მოვხვდით. ძლივს გავარღვიეთ და გავედით თოვლ-  
გატეხილ ბილიკზე.

მოპირდაპირე სერიდან სროლის ხმა მოგვესმა. ატყდა თო-  
ფების ბათქა-ბუთქი. მალე ტყვიამფრქვევიც აკაკანდა. მგონი,  
ხელყუმბარაც აფეთქდა.

— ოჰო! — წამოიძახა კატელნიკოვი, — ორი სული პირ-  
უტყვის დასახსნელად მთელი ბატალიონი დამდგარა ფეხზე.  
აქეთ მომყევით, ბიჭებო!

ჩვენს თავზე ტყვიებმა გაიზუზუნა. ხიდან თოვლი ჩამოგვა-  
ყარა. ხარი, რომელიც თოკით მარგუნს ეკავა, დაფრთხა, მარ-  
გუნი წაიქცა, მაგრამ თოკს ხელი არ უშვა და ხარს თრევით გა-  
ჰყვა. მივარდი, ხარი დავიჭირე.

ამასობაში სულ ჩამოხნელდა. ტყეს გავედით და შიშველ  
მთაზე ავედით. ქარბუქი მოგვაწყდა. თოვლში დამარხვა დაგვი-  
პირა. ეს ქარბუქი კარგი იყო, რადგან ჩვენს კვალს შლიდა,  
მაგრამ ზედმეტს რომ შევებოდა, ის კი არ მოგვეწონა. ვერა-  
ფერს ვხედავდით, ჰაი-ჰარად მივდიოდით და ერთმანეთს ვე-  
ხმინებოდით.

ახალი ტანსაცმელი გვეცვა, თორემ იმ სიცივეს რა გაუძ-  
ლებდა!

ფეხებში რაღაც რბილი ამებლანდა. ლაბადაკარავი პირი-  
სახიდან გადავიგდე და თოვლს დავაკვირდი. ფეხებში მელა გა-  
მიძვრა და თოვლზე გადაკოტრილდა. სად ჩაგორდა, ვერ გა-  
ვიგე.

გადავიარეთ მთა და გზაზე გავედით.

— ამხანაგო მეთაურო, აღარ შემიძლია სიარული! უუჰ! —  
ამოიოხრა მარგუნმა.

— როგორ თუ არ შეგიძლია? — გაუწყრა კატელნიკოვმა აბა, ამ თოვლში ხომ არ დარჩები?

— არ ვიცი... აღარ შემიძლია, მუხლები მეკეცება!

მე ხარის რქებში ჩაბმული თოკი შეჭირა. მარგუნი ჩემს წინ მილასლასებდა.

— მიდი, ხარს კუდში მოავლე ხელი და ისე გამოჰყევი, ცოტას მაინც შეგეშველებს.

— მართალი ხარ, ხომ იცი! — მოეწონა ჩემი სიტყვა მარგუნს და ხარს უკნიდან მოუარა. — ვაი?!

— რა მოხდა?

— ხარს კუდი არა აქვს?!

— როგორ თუ არა აქვს?! ყირიმში უკუდო ხარები იბადებიან? — გაიოცა კატელნიკოვმა.

— ა, თვითონვე ნახეთ, რაკი ჩემი არ გჯერათ.

მივედით. კატელნიკოვმა ხარს ჯიბის ფარანი მიაშუქა. ერთი მტკაველი კუდიც აღარ ება.

— აი, დასწყევლოს ეშმაკმა, ღმერთს ესეც დაენანა შენთვის?

— ალბათ ტყვიამ წააწყვიტა, იმიტომ დაფრთხა მაშინ...

უცებ ყველას სიცილი წაგვსკდა.

— მთელი ბატალიონი ბათქაბუთქით გამოგვედევნა და სირცხვილი არ იქნებოდა, ხარის კუდიც რომ არ დაგვეტოვებინა?

კატელნიკოვმა წინ მიმავალ ბიჭებს გასძახა:

— ჰეი, ძმებო, თქვენს ძროხას კუდი აქვს?

— უკუდო ძროხა სად გაგონილა, თხა კი არ არის! — გამოსძახა თვარაძემ.

— შეამოწმე!

— აქვს, ნამდვილად აქვს.

— აბა, ჰე, — უთხრა კატელნიკოვმა მარგუნს, — რაკი ხარის კუდი დაგეკარგა, ძროხის კუდი სადღა გაგექცევა. მიდი, მოეჭიდე!

მარგუნი უკადრისი კაცი არ იყო, ძროხის კუდს ჩაეჭიდა. ჯოჯოხეთურმა ამინდმა მხარი იქცია, იმ გზაზე აღარ გა-

მოგვყოლია, თითქოს ჩვენმა სიცილმა და უკუდო ხარმა და-  
აფრთხო.

მარგუნს ამინდის გამოკეთებამ ვერ უშველა, ვერც ძროხის,  
კუღმა, ბანაკამდე ორიოდ კილომეტრიდა დაგვრჩა, როცა  
სულ მოეშვა — ფეხზე დგომა აღარ შემიძლიაო. ეგრაშოვმა  
ზურგზე მოიკიდა და ისე ატარა. ამ დროს უკვე დაღმართში  
ვეშვებოდით.

ჩვენს ბანაკს რამდენიმე ქოხი ჰქონდა. მარგუნი თბილ ქოხ-  
ში შევიყვანეთ, ცეცხლთან დავსვით და მომჯობინდა.

რაზში ჩვენმა დაბრუნებამ ძალიან გაახარა. მალე უკუდო  
ხარისა და მარგუნის ამბავი გაიგეს და ვიდრე იმ ხარის ხორცს  
გემოს გაუსინჯავდნენ, სიცილით დანაყრდნენ. ასე გულიანი  
სიცილი დიდი ხანია არ გამიგონია.

ადამიანი ალბათ ჯოჯოხეთშიც პოულობს სიცილის მი-  
ზეზს!

ძროხა და ხარი იმ დილითვე დავკალი და გავატყავე. რო-  
გორც ყასაბს, ხარის თავი და ჯიგარი მე მერგო. ჩაჩხიანს გა-  
ვატანე, მოუარე-მეთქი.

მე დანარჩენი ხორცი დავჭერი და ჯგუფებს სულადობის  
მიხედვით დავუნაწილე. ქოხს დაღლილ-დაქანცულმა მივაშუ-  
რე. ვიფიქრე, სანდრო ჯიგარს შემწვარს დამახვედრებს, დავ-  
ნაყრდები და დავიძინებ-მეთქი.

შევედი ქოხში. ჩაჩხიანი ცეცხლთან ზის, ხარის თავზე, და  
კარდალაში ჩაყრილ ხორცს ურევს კოვზს. ვხედავ, ხარს ენა  
ძირში აქვს მიჭრილი.

— სანდრო, ეს უკუდო ხარი, უენოც იყო? ისიც ტყვიამ  
ხომ არ წააწყვიტა?

— რას ამბობ, ლადო?!

— ენა შენ ამოაჭერი?

— რას?

— როდის გახდი ასე გაუგებარი? რას და ხარის თავს, აბა,  
მე ხომ არ ამომაჭრიდი ენას?

— არა, ძმაო, მე- მაგისტვის ხელი არ მიხლია! — ჩაჩხიანი  
აღგა, ხარის თავი ასწია და დააკვირდა. — ბიჭოს, მართლა აღა-



რა აქვს წელან წყლის მოსატანად გავედი, ალბათ მაშინ შემოვიდა ვინმე და მოაქრა!

რაფერ მომპარა იმ უსინდისომ? უეჭველად დადარაჯებული იყო!

— კარგი, რაც მოხდა, მოხდა.

ხალხი კაცს იპარავს „ენად“ და ხარის ენას ვერ მოიპარავს! ახლა მაგ ხარის თავზე მაინც დაჯექი მაგრად, ეგეც არ მოგპარონ... თავის მოპარვა უფრო ადვილია, ვიდრე ენის.

კურცხალია რომ ისევ ჩვენთან ყოფილიყო, იმ ენის მოქრას გერვასის დავაბრალებდი, ხუმრობით მოგვპარა-მეთქი. ახლა კი სად უნდა მეძებნა? მერედა, როგორ მიყვარს შემწვარი ენა!

ქოხებში გავიარ-გამოვიარე, ისე, ყასიდად — უკმაყოფილო ხომ არავინ ხართ-მეთქი. ხარის ენა ვერსად აღმოვაჩინე და კატელნიკოვს ძროხის ენა გამოვართვი, შევწვი და ნახევარი დევუბრუნე, ნახევარი მე და სანდრომ მივირთვიით.

ხარის ენის დაკარგვის ამბავი სამუდამო საიდუმლოდ დარჩა.



მეორე დღეს კრიხტინკო, კრამარენკო, ბუჩევსკი, ჩაჩხიანი, ბეზნოსენკო, ზავრიენკო და რამდენიმე სხვა პარტიზანი განსაკუთრებული დავალების შესასრულებლად სტარი კრიმისკენ გავისტუმრეთ. მათ ფეოდოსიაში არსებული და ფარული ორგანიზაცია უნდა მოენახათ და კავშირი გაებათ. თუ შესაძლებელი იქნებოდა, ფეოდოსიიდან ტყვეები ტყეში უნდა გამოეჭიათ.

ბიჭებს ხარის თავის საცივი ვუსაგზლე.

რაზმში ოცდათხუთმეტ კაცამდე დავრჩით. კალაის ტყეში ჩადგმული სანიტარული ნაწილის ქოხი იყო ჩვენი ბინა-საცხოვრებელი.

მტერმა მოგვაგნო, მაგრამ ახლოს მოსვლა ვერ გაბედა. შორიდან დაგვიწყო სროლა. ჩვენს შესაშინებლად ყვიროდნენ, ცას ფერადი ტყვიებით სერავდნენ, ხელყუმბარებს ხეებში ყრიდნენ. ზურგიდან მოვუარეთ და დავსცხეთ. გაქცევა იკადრეს. იმ ღამით კალაის ტყე მივატოვეთ, ეელაუს შიშველი ზე-



განი გადავიარეთ და ზუიას ტყეში დაბანაკებულ პარტიზანებს შევეუერთდით. ლხინის სუფრა არც იქ დაგვხვედრია. ყველა პარტიზანს თოვლზე ეძინა, ბალიშად ზურგჩანთა ედო, მკლავზე თოფი ეწვინა. ამ სურათს რომ ვხედავდი, რუს ჯარისკაცთა ძველი სიმღერა მაგონდებოდა.

სალდატუშკი, ბრავო რეზიატუშკი, გდევე ვაში ქონი?  
ნაში ქონი — რუჟია ზარიაქონი, ვოტ გდევ ნაში ქონი!

გვციოდა და ვერა ვთბებოდით. გვშიოდა და პური არ გვქონდა. გვეძინებოდა და ვერ ვიძინებდით. გულს მაინც არ ვიტეხდით, ჩვენს გაჭირვებას დაეცინოდით და მომავალს იმედიანად ვუყურებდით, რადგან ვიცოდით, რისთვისაც ვიტანდით იმდენ ჭირ-ვარამს, ვიცოდით, რისთვის გვეჭირა თოფი ხელში. გვქონდა მომავლის დიდი რწმენა. ეს რწმენა იყო ჩვენი სულის დროშა.

\* \*

1942 წლის 17 დეკემბრის დილა ხევში ტყვიისფრად ჩამოწვა. ნისლმა რომ აიწია, შორს, ქათქათა თოვლს ფერი ეცვალა, თითქოს შავმა ხოჭოებმა დაფარესო.

საგუშაგო კლდეზე მდგომმა პარტიზანებმა წითელი მაშხალა ისროლეს. გვანიშნეს — მტერი მოდისო.

კატელნიკოვს რაზმის შტაბში უხმეს. იქიდან რომ მობრუნდა, მე და თვარაძე წინ წაგვიყვანა — მტერი უნდა დავხვედროთ. მე მაშხანა მოვიმარჯვე. ავტომატი, მაინცდამაინც, არ მიყვარდა, უფრო ხშირად მაშხანას ვატარებდი თან.

ავტომატმა ზოგჯერ ღალატი იცის, მაშხანა არ გიღალატებს.

თვარაძემ ნადავლი „პარაბელუმი“ ბუდიდან ამოიღო და ქამარში გაირქო.

— მძიმეა ეს ოხერი!

კატელნიკოვმა სნაიპერის მაშხანა წამოიღო, დურბინდიანი. გორაკიდან თოვლი ქარს გადაეხვეტა. იმ შავ გორაკზე გადავირბინეთ და თავი ტყეს შევაფარეთ.

— ყიუუუუუ! — შორიდან ნასროლმა პირველმა ყუმბა-

რამ გაყინული ჰაერი ავი ყრიალით გასჭრა, სტვენით თავზე გადაგვიარა და მყუდროება დაარღვია. თოვლნარევი მიწა სვეტად აგარდა მალა. ყუმბარის ნამსხვრევები ზუზუნით მიასყდ და ხეებს და ტოტები შეაღეწა.

ერთი ტოტი მეც დამეცა თავზე.

პირველ ყუმბარას მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე... ექვსეს ხმა გაამრავლა. მთებმა და ხევ-ხუეებმა ამოიგმინეს.

ნაყუმბარევი შავ ლაქებად დააჩნდა თოვლიან არე-მარეს.

მტერი დავზვერეთ და უკან დაებრუნდით.

კატელნიკოვმა შტაბს მოახსენა:

— მტერს აქვს ერთი სამთო ბატარეა და რამდენიმე ნაღმ-მტყორცნი. ტყეში შემოსულია ქვეითი ჯარის ათასეული.

— მაგას ჩვენი რაზმიც გაუმკლავდება,—თქვა მოკროუსმა.

პარტიზანებმა ჯიბეები ვაზნებით აივსეს. ზოგი კლდეს ამოეთარა, ზოგი — ხეს. სნაიპერი სპლიუხინი ორ ლოდშუა ჩაწვა.

მტრის ქვეითები მოპირდაპირე სერს მოადგნენ, შეინიღნენ და ტყვიამფრქვევი დაგვიშინეს.

ხმა არ გავეცით.

იმ სერიდან ჩვენამდე შიშველი მინდორი იწვა.

მტრის იმ მინდორზე გამოტყუება გვსურდა.

გერმანელები იმ მინდვრისკენ სირბილით დაეშვნენ.

— ცეცხლი! — გაისმა მოკროუსის ძახილი.

რამდენიმე გერმანელი ძირს მოწყვეტით დაეცა. სხვებმა პირი იბრუნეს და ტყეში თავქუდმოგლეჯილები შეცვივდნენ. მერე იქიდან დაგვიშინეს ტყვია.

— ვალოდია, როგორ ხარ? — ხოხვით მოვიდა ჩემთან კატელნიკოვი.

— კამაც, კამაც! — ამის თქმა თვითონაც უყვარდა ხოლმე და იმიტომ ვუთხარი.

ჩვენს შუა ტყვიამ გაიწვილა. იქვე ლოდს მოხვდა და ქვის ნატეხები შემოგვაყარა. კატელნიკოვი კლდის ქიმს მიეთარა.

— დააკვირდი, საიდან ისვრის?

— ვერ ვხედავ... ის ძალღიშვილი კი, ეტყობა, კარგად გვითვალთვალებს, თორემ ასე ზუსტად ვერ გვესროდა...

კატელნიკოვს ქული გადავუგდე. გაკვირვებით შემომხედა — მომაწოდე შენი შაშხანა. ეს ქული კი კლდის ზემოთ ასწიე, ოდნავ რომ გამოჩინდეს.

კატელნიკოვმა სნაიპერის შაშხანა მომაწოდა, ქული ჯოხს დაახურა და კლდის თავზე ოდნავ ასწია.

მე წელში მოვიხარე და მოსხლეთით გავიქეცი, უცებ დავეცი, წამით მიწას გავეკარი და უმაღლე განზე გავფორთხდი. ლოდებში ჩავწექი და ტყეს დავუწყე თვალთვალი. შაშხანა გავტენე და დაველოდე, როდის ესროდა მტერი ჩემს ქულს. დიდხანს არ დამჭირვებია ლოდინი. ბუჩქებში ლულაგამოყოფილმა შაშხანამ გამოანათა. ჩემი ქული შეირხა და გადავარდა. ასე ვთქვათ, მტერმა „განგმირა“.

ამასობაში მე შაშხანა დუგლუვით ბექზე მივიდე, შაშხანაზე მიმაგრებულ დურბინდს გავხედე, თოფიანი ბუჩქი სამიზნო ლინზის ჯვრის ცენტრში მოვაქციე, როგორც სნაიპერები იტყვიან, მტერი „დავიჭირე“ და ვესროლე. საკეტი მაშინვე უკან ვავწიე, ცარიელი ვაზნა განზე გადავაგდე და საკეტი კვლავ წინ წავსწიე, ლულას ახალი ვაზნა შევუგდე პირში და შაშხანა შევმართე. აღარ დამჭირვებია სროლა. ბუჩქი დადუმდა.

საერთოდ ასეთ დროს ბუჩქი ვერ არის კარგი საფარველი, ეს უნდა სცოდნოდ იმ ფაშისტს.

უცნაური ნადირობა ვისწავლე ჯარში.

მტერი გვიშენდა და გვიშენდა ტყვიას. არც ჩვენ ვაკლებდით ხელს.

ტყვიამ დაცხრილა ტყე და დაკენკა კლდეები.

თვარაძე ოციოდე მეტრით იყო დაშორებული. ერთი მხრიდან დიდი წიფელა ფარავდა, მეორე მხრიდან — ხავსიანი კლდე. ისე ჩანდა, თითქოს ის ვეება ვაქცატი კლდისა და ხის შუა იყო გაშედილი.

ახლა თვარაძეს ავტომატი ეჭირა ხელში.

— კაკო, შევუბეროთ ჩვენებურად, მაგათი დედაც!.. — შევეხმიანე ძმაკაცს.

— შევუბეროთ, მაგათი ჯილაგი კი გაწყდეს!.. — თვარაძემ ავტომატი ააკაჯანა,

შეზინდებისას მტერი უკან გაბრუნდა. მზვერავებმა მტერს მოახსენეს: ფაშისტები ახლო-მახლო არსად არიანო.

ისეთი დაღლა რამ იცის, ბრძოლა რომ დაგქანცავს, შინ უმეტეს, თუ თოვლზე წევხარ, მაგრამ ბანაკში დაბრუნებისთანავე შეშა მოგვაროვით, ცეცხლი დავანთეთ, შემოვუსხედო და ისეთი ბაასი გავაჩაღეთ, თითქოს უცნაური წარმოდგენიდან დავბრუნდით. მერე, ვილაცამ სიმღერა წამოიწყო და ეს სიმღერა კოცონიდან კოცონზე გადავიდა.

რასპრიაგაიტე ხლოპცი კონი  
და ლეგაიტე სპაჩევატ...

საოცარი იყო ეს სიმღერა, მშვიერ-მწყურვალე ხალხის სიმღერა. თითქოს თოვლიანი ტყე გალობდა. მეთაურებმა გაგვიფრთხილეს, ეშხში არ შეხვიდეთ და ხმას არ აუწიოთო.

— კეთილი, ნელა ვიმღეროთ, ბიჭებო! ხვალ ვინ იცის, რა დღე გაგვითენდეს! სასიმღეროდ კი არა, იქნებ თავის მოსაფხანადაც ვერ მოვიცალოთ!..

მთელ ღამეს არ გვიძინებია. გაყინული ცის ჭერს ჩვენი გალობა და ეს კოცონები ხომ ვერ გაათბობდა? ქარი უბერავდა და ცეცხლს ახლებდა. კოცონს მუცელს რომ მივუშვერდით, ზურგი გვეყინებოდა, ზურგს მივუშვერდით — მუცელი გვეყინებოდა. შამფურივით ვტრიალებდით. ძილზე ფიქრიც კი შედმეტი იყო. ტყის ძმები წყალს ადუღებდნენ და უშაქრო ჩაის სვამდნენ შეუსვენებლად.

— კუჭს კი ითბობ, მაგრამ ყურებმა რაღა დაგიშავეს, არ გეშინია, რომ მოგეყინოს?

— უყუროდ თუ დავრჩები, ცუდ ამბებს ველარ გავიგონებ. — ესეც იმედად აქცია მარგუნმა.

— პირისახე და ყურები რომ არ მოგეყინოს, ბატის ქონი უნდა წაისვაო. ასე მასწავლეს.

— ბატი არსადაა და უბატოდ მისი ქონი ვარსკვლავებიდან კი არ წვეთავს?!

ცას ავხედე. ვარსკვლავები მშვიდად დაგვეცქეროდნენ და თვალებს უდარდელად აციმციმებდნენ. ვარსკვლავებმა არაფერი არ იცოდნენ, რა ხდებოდა ღედამიწაზე.

## მწვალი ქალამნისა და მწვალი ირმისა

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ,  
რას გეაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!..  
სად წაიყვიან სადაურსა,  
სად აღუფხვრი საღით ძირსა!

შოთა

ლამე კოცონის ირგვლივ დაწოლილი თოვლივით შემოგვადნა. აღმოსავლეთმა ვარდისფრად იწათა. დილამ ყინულის ხელები უფრო მაგრად მოგვიჭრა. ცეცხლს სულ დაეკარგა სითბო. თოვლზე რომ გავიარე, ისეთი ხრაჭახრუჭი ასტეხა, თითქოს თხილის ნაჭუჭებს ვადგამდი ფეხს.

მოსალოდნელი იყო კვლავ მტრის თავდასხმა და ბრძანება გაიცა, ღუშინდელი საფარები დაიკავეთო.

სწორედ ამ დროს მთავარი შტაბიდან მოკავშირემ იამპოლსკის განკარგულება მოიტანა: ყველა რაზმმა ერთად უნდა მოიყაროს თავი და ერთ მთაზე გამაგრდესო.

იმ ცივ დილით მომხდური მტერი ცხელი ტყვიით უნდა დაგვენაყრებინა.

სხვა რაზმებს შევუერთდით და მოზრდილი მთა დავიკავეთ. ბრძოლას იამპოლსკი, ლუგავოი, მუსტაფაევი და კურაკოვი სარდლობდნენ.

მოპირდაპირე მთაზე კვამლი ბოლქვებად აიშალა. ცოტა ხნის შემდეგ თვითმფრინავების გუგუნე მოგვესმა. ხმაზე ვიცანით, მტრების იყო. სამი სვასტიკიანი თვითმფრინავი ტყის თავზე დატრიალდა და ყუმბარები იმ მთას დააყარა, საიდანაც კვამლი ადიოდა.

აზრილდა იჭაურობა, გაისმა ხეების ლაწანი.



- „ჭამეს“ ფრიცებმა, — თქვა კატელნიკოვმა.
- იმ მთაზე ცეცხლი ჩვენებმა დაანთეს?!
- ჰო, მტრის მოსატყუებლად.

სადღაც გერმანული ტყვიამფრქვევი აკაცანდა.

— ოჰო! ამ დილაადრიან ფაშისტების ქათამს კვერცხი დაუდევს და ახლა გახარებული კაცანებს.

— ალბათ ფიურერი მოკრუხდა და მაგ კვერცხებს გამოსაჩეკად იმას დაულაგებენ.

შორს, ბურუსში გახვეული მზე ამოვიდა.

მტერმა გაიგო, მოგტყუვდიო, კარგად დაგვზვერა და ჩვენსკენ გახელეებული გამოეშურა.

ჯერ კანტიკუნტი სროლა მოგვესმა, მერე უღმერთოდ დაგვიშინეს ტყვია. ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლის გრიგალი მოედო მთას. ესეც არ გვაკმარეს. ნალმმტყორცნები და ქვემეხები ააზრიალეს.

— ეიუუ! — ნალმმა ზედ ყურთან გამწივლა, ჩემს უკან დაეცა, მიწაში თავი ჩარგო, კუდი კი ზევით დარჩა. გახუნებულმა ლითონმა თოვლი ააშიშინა. დავიბენი, გავბევედი, ვერც განზე გახტომა მოვახერხე, ვერც სხვა რამე.

თოვლმა ორთქლი აუშვა და ნალმის გარშემო პატარა ორბო გაჩნდა. ჩემს ბედად ნალმი არ გასცდა. ფაცივდა სიკვდილი.

სიკვდილის ახლალა შემეშინდა.

ქვემეხებისა და ნალმმტყორცნების გრუხუნი კარგა ხანა გაგრძელდა. ჰაერი სტვენით აივსო. ყველაფერი სტვენდა — ტყვია, ჭურვისა თუ ნალმის ნამსხვრევი.

ეს სიკვდილის სტვენა იყო.

გაისმა დაჭრილების გმინვა და კვნესა. ტყე სასაკლავოს დაემსგავსა. თოვლი ბევრგან შეიღება სისხლით.

ერთი გერმანელი ისე მომიახლოვდა, ქვა რომ მესროლა, მოვარტყამდი. თოფი ფეხზე შევაცუნე, დაფუმიზნე, სასხლეტს თითი გამოვდე და...

ვაი! არ გავარდა. ალბათ სველი იყო ვაზნა. საკეტი გამოეწიე, არ გამოჰყვა ვაზნა, ლულაში გაიჭედა.

წამიღ და, გერმანელი ტყვიას შუბლში დამახლის.

თოფი გავაგდე ხელიდან და გვერდით დადებულ ხელყუმ-  
ბარას წავეტანე.

გერმანელმა ავტომატი დამიმიზნა და უმაღვე თოვლში  
ჩარგო თავი. ავტომატმა მაინც გაისროლა ერთი ჯერი და  
პატრონთან ერთად დადუმდა. მაგრამ ჩემსკენ კი არა, სადღაც  
განზე გაისროლა... ჩანს, გერმანელს რომ ტყვია მოხვდა, სას-  
ხლეტზე თითი ჰქონდა გამოდებული და ავტომატთან ერთად  
გადაგორდა. ჩემი მოსახვედრი ტყვიები ცაში გაუფრინდნენ.  
ვიღაცამ მიშველა. ვიდრე ის გერმანელი მე მომკლავდა, ტყვია  
შუბლში დააქედა და თავის ავტომატზე დააცივა.

— ვალოდია, ცოცხალი ხარ?

მივიხედე. თვარაძე ხეს იყო ამოფარებული.

— მგონი, ჯერჯერობით ცოცხალი ვარ... — „მგონი“ ისე  
ვთქვი, თითქოს არ მჯეროდა, რომ ცოცხალი ვიყავი.

ხელყუმბარა თავის ადგილას დავდე. შაშხანის ლულიდან,  
როგორც იქნა, გამოვიღე ნამტყუნები ვაზნა, შაშხანა ხელახლა  
გავტენე და მტრებისკენ ჰაიპარად ვისროლე, შევამოწმე, ისევ  
გაფუჭებული ხომ არ იყო.

უცებ, ჩემდა უნებურად, მალლა შევხტი. დავიხედე. ტყვიას  
ზე გამოემტვრია და მუხლისთავთან ჩემი შარვალი გაეხვრიტა.  
ტყეს გავხედე, ვერავინ შევამჩნიე. ბრმა ტყვია იყო ალბათ.

იმ დღეს რამდენიმე ფრიცს გუდა-ნაბადი შევაკვრევი და  
საიქიოს გავისტუმრე. იმდენჯერ ვისროლე თოფი, დუგლუგმა  
მხარი მატკინა.

ტანია ხან დაქრილებს უვლიდა, ხან „კარაბინას“ ისროდა.  
თოფს ვაყვაცივით მარჯვედ ხმარობდა.

მტერმა შეისვენა და შემდეგ ისევ შემოგვიტია. ყუმბარას  
ყუმბარაზე გვაყრიდა. ბრძოლა გახელდა.

ვხედავ, ეგრაშოვი წამოიშართა და ძირს მოწყვეტით დაე-  
ცა. კრინტი არ დაუძრავს, ისე დალია სული. უზბეკური სისხ-  
ლით შეღება ყირიმის თოვლიანი მიწა.

ამბობენ, სისხლი ადამიანს ახელეებსო. მტერს უფრო გა-  
აფთრებით შევებრძოლეთ და უკან დაეახევივით. მტრის კვალ-  
დაკვალ გადევნება ჩვენთვის ამჟამად ხელსაყრელი არ იყო  
და ჩვენს საფარებში დავბრუნდით.

იერიშისას აკაცი თვარაძის ზურგჩანთას მსკდომი ტყე  
მოხვედრია, ლაბადაკარავი დაუფლეთია, კარდალა გაუხვრია  
ტია, თვითონ თვარაძეს კი არ შეხებია.

შაშხანაში სამი ვაზნა დამრჩენოდა, ეს იყო და ეს. მეტი  
არც ჯიბეში მედო, არც ზურგჩანთაში. ერთი ვაზნა თოფიდან  
ამოვიღე და ჯიბისკენ წავიღე.

— რას შვები? — მკითხა თვარაძემ.

— ეს ერთი ჯიბეში მედოს, შავი დღისათვის. ხომ ხედავ,  
რა ამბები ტრიალდება!

— ნუ გეშინია! მაგ დღეში, მგონი, არ ჩაეცვივდებით. ბა-  
გიწილადები!

ვაზნების ერთი ჭდე მომაწოდა.

შებინდებისას ტყე დაწყნარდა, დამშვიდდა, დადუმდა და  
ირგვლივ ისეთი სიჩუმე გამეფდა, გეგონებოდათ, ამ ტყეში  
კაცს ფეხი არასოდეს დაუდგამს და არც თოფი გავარდნილა.  
დიდი ქარიშხლის შემდეგ ბუნებამ სული განაბა.

დაჭრილების გასათბობად ცეცხლი დაევანთეთ. ამ დროს  
სადღაც ქვემეხმა დაიგრილა, ყუმბარამ წიფლნარს ღმუილით  
გადაუარა, ხევში ჩავარდა და მისმა ეჭომ კვლავ ააზრიალა მი-  
წყნარებული მიდამო.

ცეცხლს თოვლი მივაყარეთ და ჩავაჭრეთ.

ამ დროს ქვემეხის გასროლა იმის ნიშანი იყო, რომ მტერი  
შორს არ იყო წასული, ალყას გვარტყამდა და დაუყოვნებლივ  
ამ ალყისთვის თავი უნდა დაგვეღწია.

სურსათისა და ვაზნების უკანასკნელი მარაგი დაგვირიგეს  
და სიმფეროპოლის ტყისაკენ გავემართეთ, ყირიმის ქედს და-  
სავლეთისაკენ გავყევით. 28 დეკემბრის დილით შავი მთის  
მწვერვალზე ავედით.

ვხედავთ ჩემს ახლოს დგას მხარბეჭიანი ვაეკაცი. ქართვე-  
ლის იერი აქვს. სქელი წაბლისფერი უღვაშები ჩაუგრებია.  
ფართოდ გახელილი თვალების ზემოთ მსხვილი წარბები  
მშვილდივით გადასჭიმვია.

— ქართველი ხარ?

— არ მეტყობა? ვაჭირელი ვარ, ერიაშვილი.



კაპიტანი მიხეილ ერიაშვილი თურმე პარტიზანთა რაზმების  
სამწევო ნაწილის გამგე იყო, მე კი აქამდე არ მენახა.  
გზა-გზა თოვლქვეშ მოქცეულ მათელოს ვეძებდით, კუნე-  
ლასა და ასკილს ვჭამდით. ერთხელ ხის ქერქსაც დავასვი კბი-  
ლი.

მტერი თურმე გვითვალთვალე და საახალწლოდ გვეს-  
ტუმრა. ჩვენც საკადრისი მასპინძლობა გავუწიეთ. ბევრი ფა-  
შისტი იმ დღეს ცხელი ტყვიით „ტკბილად“ დავაბერეთ.

ნაახალწლევს კომისარმა მუსტაფაევმა დიდი მიწის ახალი  
ამბები იგაცნობა. მაშინ ფავიგეთ, რომ სტალინგრადში შეჭრი-  
ლი გერმანელთა ჯარი ჩვენებს ალყაში მოექციათ და ანადგუ-  
რებდნენ.

ამან ძალიან გაგვაშინევა.

— მალე ვაქირში ვიქეიფებთ, — მითხრა მიხეილმა.

— კახურ სუფრაზე ქეიფს რა სჯობია!

ყველა მზიარულობდა, მხოლოდ ტანია იყო მოწყენილი.

— რა დაგეშართა, ტანია, შენ ეგეთი რამეები რომ არ გი-  
ყვარს?

— აი, რამდენი ხანია, ვასია არ ჩანს... ვინ იცის, რა მოუ-  
ვიდა!

ტანია კი დავაიმედე, ჩვენი ძმები მალე დაბრუნდებიან-  
მეთქი, მაგრამ მათი დაუბრუნებლობა მეც დარდად მაწვა  
გულზე.

მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, მტერი ტყეში შემოვიდა და  
თავდასხმას აპირებსო. ვისაც თოფის ზელში დაჭერა შეგვეძ-  
ლო, ყველანი ჩახმაზზე შევდექით.

მოგვიახლოვდნენ. დავსცხეთ. ტყვიას ტყვიაზე ვუშენდით.  
მტერმა მალე იბრუნა უკან პირი და დაჭრილ-დაზოცილები  
წინ წაიმძღვარა.

ჩვენი რაზმიდან რამდენიმე პარტიზანი მსუბუქად დაიჭრა.  
ხოლო ებზეის ყელში მოხვედროდა ტყვია და პირიდან აქაფე-  
ბული სისხლი გადმოსდიოდა. სადამოზე სული დალია.

წიგნში — „დანაშაული. ბრძოლა. შურისძიება“. — ვ. ია-  
კოვლევმა აღნიშნავს, რომ „ყირიმის პარტიზანებმა 1942—1943  
წლების ზამთარში ოთხი მძიმე შიმშილობა გადაიტანეს. შიმში-

ლით მოკვდა 59 კაცი“. ამ დროს რამდენიმე კაცი ჩვენი ტახტის  
შიც მოკვდა შიმშილით.

იანვარში ოცდაათი ჯანმრთელი პარტიზანი სურსათის სა-  
შოვნელად წავედით. ჯგუფს ვლადიმერ კუზნეცოვი ხელმძღვ-  
ნელობდა.

თოვლი წელამდე გვწვდებოდა, ძლივს მივარღვევდით.  
უსაშველოდ გაგრძელდა გზა. მეგზური დაიღალა და სიარულს  
ველარ შეძლო. ლაბადაკარავის საკაცე ცავაკეთით და ერთხანს  
ასე ვატარეთ. ნაშუალამევს მეგზურს ხელები სულ გაუცოვდა  
და მალე გულისცემაც შეწყვიტა. სადაც ვათავდა, იქვე დავკრ-  
ძალებთ. ტყიდან მიმავალ გზას დავუყუევით. ვიცოდით, რომე-  
ლიმე სოფელში მიგვიყვანდა. მივადექით პატარა მდინარეს.  
ქოხი შევნიშნეთ. წისქვილი გამოდგა. შიგ შევედით. რა თქმა  
უნდა, არ მუშაობდა. გერმანელების ხელში იმდენი ბორბალ-  
ვის ექნებოდა, დასაფქვავად წისქვილში წამოეღო? აქა-იქ და-  
ყრილი ფქვილის მტვერი მოვავროვეთ, რაც თავგებს ვადარჩე-  
ნოდათ. ის ფქვილი რამდენიმე კარდალაში ჩავყარეთ და იქაუ-  
რობას გავშორდით.

ეჰ, ფაშისტებმა ვის არ შეახეს თავიანთი ბოროტი ხელები.  
ვის არ აუბნიეს გზა-კვალი? აგერ, ქალაში ჩადგმულ პატარა  
წისქვილსაც კი უგრძვნია მათი სიძვე. რამდენიმე წლის წინათ  
ეს წისქვილი ალბათ ციბრუტივით ტრიალებდა და ხითხითებ-  
და, მისი სარეკელა დამეს ძილს უფრთხოებდა. ახლა კი ზეზეურ  
მკვდარს ჰგავდა. რუ აღარ სჭირდებოდა, ღარი გვერდზე ეგ-  
დო, გვერდებშელეწილი, ბორბალს ფრთები დაცლილი ჰქონ-  
და, ბებერივით ორიოდ კბილიდა შერჩენოდა.

დაბურულ ტყეში შევედით და ცეცხლი დავანთეთ. ფქვი-  
ლიან კარდალებში თოვლი ჩავყარეთ და ცეცხლზე შემოვდ-  
ვით. მიწისფერი ფაფა გაკეთდა. ჰამა რომ დავუწყეთ, ქვიშამ  
კბილები დაგვამტვრია. მაინც არ მოვეშვით, ლუკმაც არ და-  
გვიტოვებია.

ნათქვამია, პური ზვალამდე, ფაფა კარამდეო. მალე უფრო  
მწვავედ ვიგრძენით შიმშილი.

ფეხზე დავიხედე. ქალამანი გაგლეჯილი მქონდა. ზურგ-  
ჩანთიდან ახალი ქალამნები ამოვიღე. ძველი გავიხადე და ახა-

ლი ჩავიცვი. ძველი ქალამნები გვერდზე მივყარე და მაშინვე ავიღე, თოვლით გავახუფთავე, დავჭერი და ნაკვერცხლებზე დავაწყე. ტყავი დაიხრუკა. გამოვიღე ცეცხლიდან, გავაცივე და ხრამუნ-ხრამუნით შევექეცი. თონიდან რომ პურს ამოიღებ, კედელს ქერქი შერჩება. ბავშვობისას იმ ქერქის ჭამა მიყვარდა. ახლა ქალამნის მწვადსაც პურის იმ ქერქივით ვაკნატუნებდი.

— რას ჭამ, მიზიარე, ბიჭო! — მითხრა თვარაძემ.

ძმადნაფიცს ამას დავუკავებდი?

თავს ივანე მოკროუსი წამოგვადგა. მე „მწვადის“ ვადამალვა დავაპირე, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— ვალოდია, რა გიშოვია?

— ტყავია, ამხანაგო მეთაურო. — მივუგე დარცხვენით.

— გემრიელია?

— რა ვიცი, მე კი მსიამოვნებს და...

— აბა, ერთი მეც გამასინჯე!

თვარაძემ აიღო ორიოდ „მწვადი“ და მეთაურს მიაწოდა. ივანემ დახრუკული ტყავის ნაჭერი გადააბრუნ-გადმოაბრუნა და პირში ჩაიღო.

— გემრიელია, ზომ იცით!

ჩვენზე ნაკლებად არც მაგას შიებია! — გადავულაპარაკე ქართულად თვარაძეს.

მოკროუსმა „მწვადი“ ჩაახრამუნა და ისევ ჩვენ მოგვიბრუნდა:

— სად იშოვეთ?

ვუთხარი ამ წვადის ამბავი. არ შეზიზღებია, პირიქით, კინაღამ ახალი ქალამნებიც დამაჭრევინეს და შემაწვევინეს.

ახლალა მომაგონდა, რომ დღეს თვარაძე იანვარი იყო. უკვე ერთი წელიწადი გასულიყო, რაც ჩვენ ყირიმის ტყეებს შემოვაფარეთ თავი და პარტიზანობა დავიწყეთ.

შებინდებისას სოფელ პეტროვში მზვერავები შევგზავნეთ. მალე გავიგეთ, რომ იქ რუსები ცხოვრობდნენ. რამდენიმე გერმანელი ოფიცერი და სალდათი მდგარა სოფელში, ისინი სადღაც წასულან და არავინ იცის, დაბრუნდებიან თუ არაო.

ჩვენ გაფრთხილებული ვიყავით, მოსახლეობისათვის არაფერი წაგვერთმია.

თვარაძე და მე ერთ სახლთან მივედით და პატრონი გარეთ გამოვიხმეთ.

— არ შეგეშინდეთ, პარტიზანები ვართ.

მოხუცი გაკვირვებული მოგვაშტერდა:

— პარტიზანები?! პარტიზანები ყირიმის მიწა-წყალზე რომ იღარ არიან?!

— ვინ იტხრათ?

— ასე ამბობენ გერმანელები. ყველა გაგწყვიტეთო.

— მიუქარავთ. სხვას რას ამბობენ მართალს!

შინ შევედით.

— ეჰ, რა ვუთხრა ამ სიბერეს, სამოცდაათი წელი მაწევს მხრებზე, ეზოში ძლივს დავლოდავ, თორემ, ღმერთმანი, ახლა მეც თქვენთან ვიქნებოდი ტყეში. იცით, რამდენჯერ მცემეს იმ ოხრისშვილებმა? შენი შვილები პარტიზანები არიან, შეუთვალე, შინ დაბრუნდნენო. ჩემი ბიჭები ჯარში წავიდნენ და მათი ასავალ-დასავალისა არაფერი გამიგია, არც ის ვიცი, ცოცხლები არიან თუ მკვდრები-მეთქი. ამისთვისაც მცემეს.

მოხუცმა ფურნის გოგორა პური, ხმელი თევზი და ხახვი მოგვიტანა.

— სხვა არაფერი მაქვს, შვილებო, — მოიბოდიშა კიდევ.

— არ გეშია! რატომ სწუხდებით! — უარივით ვუთხარი და თვალი კი იმ პურს ვერ მოვაშორე.

— თქვენთანაც ცხოვრობენ გერმანელები? — ჰკითხა თვარაძემ.

— დიახ, ცხოვრობენ. იქითა ოთახში. გუშინ სადღაც წავიდნენ. არ უთქვამთ, როდის მოვბრუნდებითო.

— ხომ არაფერი დაუტოვებიათ?

— სურათები დატოვეს, კედელზე გაკრული. მიბრძანდით, ნახეთ.

ამ დროს ჩვენთან რამდენიმე პარტიზანი შემოვიდა. მეზობელ ოთახში ერთად გავედით. მოხუცმა ნარჩენი სანთელი აან-

თო. ერთი კედელი სავსე იყო შიშველი ქალების ნაირნაირი სურათებით. მეორე კედლიდან ჰიტლერი მოგვაჩერდა.

— ამ ძაღლიშვილს აქ რა უნდა? — ავენთე უცებ პირველად ვნახე ჰიტლერის სურათი ოჯახში.

— გააკრეს, შვილო... მე რა უნდა მექნა? თოფი ფეხზე შევაყენე და სურათს ვესროლე. შიგ შუბლში გავარტყი.

ალიოშა ხმელიოვს გაეცინა.

— ვალოდიამ ჰიტლერი მოკლა. ახლა კი მალე დამთავრდება ომი.

ოთახში ბავშვიანი ქალი შემოვარდა.

— რა ამბავია?!— მოხუცს შეხედა და რაკი ცოცხალი დაინახა, შვებით ამოისუნთქა.

— პარტიზანები არიან, ნადეედა.

— მადლობა უფალს. — ახლა ჰიტლერის სურათს შეხედა. — ჰოი, ეს რა გიქნიათ? რომ დაბრუნდებიან, ყველას დაგვხოცავენ!

— არა მგონია, ისინი აქ დაბრუნდნენ.

— აბა, ძროხებს ჩვენ ხომ არ დაგვიტოვებენ?

— გერმანელებს აქ ძროხები ჰყავთ?

— საიდანღაც მოიყვანეს, ვიყიდეთო. ჩვენ ვუვლით, ვაჭმევთ, ვწველით, რძე კი იმ რძეთხვლეპიებს მიაქვთ. ბავშვისთვის ერთ ჭიქასაც არ მიტოვებენ. ქათმის სინსილა ხომ სულ გაგვიწყვიტეს. ისე თავგს თხილი არ უყვარს, როგორც გერმანელებს ქათამი.

ჩვენ ძროხების ამბავმა დაგვაინტერესა.

— სხვადასხვა ოჯახში ჰყავთ მიბარებული, — გვითხრა ქალმა.

ის ფოგორა პური და თევზი ხუთმა პარტიზანმა გავინაწილეთ, წამში შეგვკამეთ და მასპინძელს დავემშვიდობეთ.

— გერმანელები თუ დაბრუნდებიან, უთხარით, პარტიზანები იყვნენ-თქო. ჰიტლერიც იმათ მოკლეს და ძროხებიც იმათ წაიყვანეს-თქო. ბევრნი იყვნენ და ჩვენ წინააღმდეგობა ვერ ვავუწიეთ-თქო.

მეთაურები სოფლის განაპირას გვიცდიდნენ. ვიღაცას მათ-  
თვის არაყი, პური და ღორის ხორცი გამოეტანა. არაყს დღით-  
მელა სვამდნენ.

იმ ღამეს სამი ძროხა და ორი ხბო გავიარეთ წინ.



დიდი მიწიდან რადიოგრამა მივიღეთ: სურსათს გიგზავნით  
და ღებულობთ თუ არაო.

შავი მთის მიდამოებში პარაშუტების საძებნელად გავგა-  
ვზავნეს. ჯგუფებად დავიყავით. მეხუთე რაზმის მეთაური ივა-  
ნე მოკროუსი, კომისარი სტეფანე პოზივაი, პირველი ჯგუფის  
მეთაური ნიკოლოზ კატელნიკოვი, მე და ფიოდორ მარჩენკო  
ერთ ჯგუფში მოვხვდით.

ხეებზე ავდიოდით და მიდამოს ისე ვათვალიერებდით.  
ხუთი პარაშუტი ვიპოვეთ. ტომრებში ფქვილი, მარილი, კონ-  
სერვები და ვაზნები აღმოჩნდა. მთელ დღეს ხეებზე ვფხოწია-  
ლობდით და ბუჩქებქვეშ ვძვრებოდით. დავიღალეთ და დაე-  
სველდით. საღამოზე წაქცეულ ხესთან თოვლი ფეხით გავხვე-  
ტეთ და ცეცხლის თადარიგს შევუდექით — მოვაგროვეთ  
ფიჩხი, ფუტურო და ფოთლები. კვეს-აბედი ავამუშავე. აბედი  
აბრჩოლდა, მაგრამ ცეცხლი კი ვერ გააჩინა.

პოზივიამ ჯიბიდან ქალაღში გახვეული დენთი ამოიღო  
და მშრალ ფოთლებში ჩადო. დენთს აბედი დავადევით, აფეთ-  
ქდა და ცეცხლი აბრიალდა. ფოთლებისა და ფუტუროს აღს  
ფიჩხი დავაყარეთ. დავანთეთ ცეცხლი, მაგრამ ქვეშ დარჩე-  
ნილმა თოვლმა ჩაგვიქრო. იმდენი ვუბერე მიბეუტულ ფიჩხს,  
ყბები დამეღალა და კვამლმა ცრემლი ნიაღვრად მადინა. არ  
დაადგა საშველი, აღარ აინთო.

გულმოსულმა ფეხი წაგკარი და ყველაფერი მიმოვფანტე-  
ხეს მივეყუდე და გავხვდით. ისე შემცივდა, სულ აკანკალდი.  
იმის თავიც აღარ მქონდა, ტალკვისი ამომელო ჯიბიდან. სვე-  
ლი ფეხები გამეყინა, ერთ ადგილას დგომა შეუძლებელი იყო  
და თოვლზე ხტუნვა დავიწყე, თითქოს ქვეშ სიცივე იღო და  
იმას ვბეგავდი. ვიფიქრე, მთელ ღამეს ასე ვიხტუნავებ და

ცეცხლს კი ჯიბრზე არ დავანთებ-მეთქი. მაგრამ განა შეიძლება ბუნებას ჩაუდგე ჯიბრში?

— გაბრაზდი, ვალოდია? — მითხრა პოზივიამ. — ცხა, ახლა მე მიყურე, თუ ვერ დავანთო... თუმცა, მოდი, შენც მომეხმარე!

მივხვდი, პოზივიას არავითარი დახმარება არ სჭირდებოდა. ჩემი დამშვიდება ეწადა.

— რომ ბრაზობ, რას ბრაზობ? ასეთ უბრალო რამეზე რომ გული იხეთქო, რა ნერვები შეგრჩება კაცს! წადი, შეშა მომიტანე! უფრო ხმელი შეარჩიე! აბა, ყველა დატრიალდით!

ჩვენ რომ დავბრუნდით, პოზივიას უკვე გაეჩაღებინა ცეცხლი. მთელ ღამეს იმ კოცონს ეუსხედით.

ღილით ტომრები ავიკიდეთ, წავიღეთ, რისი წაღებაც შეგვეძლო. შტაბში საღამოს მივედით. სურსათი პირველ რიგში დაჭრილებსა და ავადმყოფებს დაურიგეს.

რამდენიმე ტომარა სხვა ჯგუფებმაც მოიტანეს.

— ამ მიდამოებში კიდევ იქნება პარაშუტები, — თქვა მოკროუსმა და ამყამად შეიღი კაცი წაგვიყვანა. ასლანოვი და თვარაძე დაგვემატნენ.

ბევებში ჩასვლისას თოვლში ყელამდე ვეფლობოდით. ველარაფერი ვიპოვეთ.

ღილით ბევგალმა ირმების ჯოგი დავლანდე. მარჩენკო ამხანაგებთან გავგზავნე, ირმებს გზა მოუჭერიტ-მეთქი. ირმები სერზე ავიდნენ და თვალს მიეფარნენ. თოფის ხმა არ გაშიგონია. წავედი იქით. ვალმა რის ვაივაგლახით გავაღწიე. სულს ძლივს ვითქვამდი, გული ამოვარდნაზე მქონდა, მუხლი მეკეცებოდა. უკან გამობრუნება დავაპირე, ამხანაგები არ დავკარგო და აქ ღამის გათევა მართო არ მომიხდეს-მეთქი. სწორედ ამ დროს ირმის ჯოგი ისევ დავლანდე. უმაღვე თოფი ფეხზე შევაყენე და წინა ირემს დავუმიზნე. ერთი მოვკალი, სხვები გაიქცნენ.

ჯან-ლონე მომემატა, იქით გავიქეცი.

— გაუმარჯოს! — უნებლიედ წამომცდა, როცა ირემს თავს დავადექი. ასე იციან კარგმა მონადირეებმა.

ირემი ცოცხალი იყო, ჯერ სული არ დაელია. ისეთი თვა-

ლებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, რა დაგინავე საცხლეს რომ გამომასალმეო.

წუთით დამენანა. მაგრამ ძნელია შიმშილი. გერმანული ხანჯალ-ხიშტით ყელი გამოვჭერი. თოვლზე წითელი გუბე დადგა, გუბემ ორთქლი აუშვა. ირემს თვალები ჩემსკენ მოპყრობილი დარჩა. თვალი მოვარიდე. ახლა სინდისს, ქენჯნა ვიგრძენი, უცებ კვლავ დავიღალე და თოვლში ჩავჯექი.

ამხანაგებს თოფის ხმა გაეგონათ და მომაკითხეს.

ირემი იქვე გავატყავით და ასო-ასო ავქენით. მსუქანი გამოდგა. ღამის გასათევად ნაცნობ წაჭეუულ ხეს მივაშურეთ. იქ ცეცხლის დანთება აღარ გავგჭირვებია.

იმ ღამეს ირმის ცვრიანი მწვადები მივირთვიით.

— ასე გემრიელად შემწვარ ზორცს ალბათ ძველი ყირიმის ხანებიც ვერ ჭამდნენ, — თითები გაილოკა მოკროუსმა. — რას იტყვი ვალოდია, ირმის მწვადი სჯობია, თუ... ქალამნის?

— თუ ძალიან გშია, ქალამნის მწვადიც ირმის მწვადად მოგეჩვენება.

— ეგეც მართალია!

— მწვადი ღმერთივითაა, ოლონდ, ას-ასი გრამიც რომ გვქონოდა, სულ მეფურად ვივახშმებდით. — მარჩენკომ მოკროუსს შეხედა.

— ნახე, თულა არის! — მოკროუსმა ზურგჩანთა მარჩენკოს მიაწოდა.

მარჩენკომ ზურგჩანთიდან თეთრი მათარა ამოიღო და გააქანჭყარა.

— არის!

— აბა, ჯერ მონადირემ მოსვას. ოლონდ ნამუსზე იყოს, რაკი ჭიქა არა გვქავს, ამით ნურავინ ისარგებლებს. ჰა, დალიე, ვალოდია!

— მე ისეთი მონადირე ვარ, როგორც ყვევია მგალობელი. ეს ირემი შემთხვევით შემომაკვდა, თვითონ დამიჯდა თოფის კორაზე! ამიტომ მე უარს ვამბობ, პირველად თქვენ დალიეთ!

— სადაც ქართველი კაცია, იქ თამადა სხვა როგორ შეიძლება იყოს!



— აჰ, თამადად მირჩევთ?! კი, მაგრამ, აქ სათამაოდოც არაფერია, თითო ყლუპი თუ შეგვხვდება.

საქართველო  
საზოგადოებრივი

— მაინც თქვი რამე!

— საქართველოში ქვევრის თავზე ლხინს შეესწრებოდეთ!

— ამინ!

არაყი ცოტა-ცოტა მოსვით, მაგრამ მაინც შეგვახურა და მალე ძილიც მოგვეგვარა.

მეორე დღეს ნახევარი ირემი შტაბს ჩავაბარეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ გამოიღარა. მოწმენდილი ცისქვეშ სიცივემ იმატა. ცეცხლმა სულ დაკარგა სითბო.

ჩვენმა თვითმფრინავმა შავ მთას გადმოუჭროლა და სამი პარაშუტი ისროლა. ორი პარაშუტი ნელა დაეშვა, მესამე კი ყუშბარასავით წამოვიდა და მიწას დაასკდა. ჩვენ იმ ადგილას მოვირბინეთ და უცებ არყის სუნი გვეცა. საარყე კასრი გამსკდარი ეგდო. ნათქვამია: მსუნავი კატა ზორცის. სიყვარულით ლომს შეებრძოლაო. ისე მოგვივიდა ჩვენც. არაყადასხმულ თოვლს დავუწყყეთ ქამა. თოვლმა კბილები გაგვიყინა, არყის სურვილი კი ვერ მოგვიკლა.

ვინც თოვლი ვჭამეთ, მეორე დღეს ყველას მუცელი აგვტკივდა.



თებერვალში ბარის პირმზითები შეშრა და სამხრეთ ფერდობებზე თოვლი აჭრელდა. შეშინდა ზამთარი. ზღვის ნაპირიდან მთისკენ გამოიქცა — თავს შავ მთას შევაფარებო. ჩვენთან თოვლს ზამთრის ძილით ეძინა და ჯერჯერობით გაღვიძებას არც ფიქრობდა. დრო და დრო თებერვლის ქარი დაუბერავდა — ზამთარი ჯერ ძლიერიაო. ზოგჯერ ძალზე თამამდებოდა და მთებზე ქარბუქის თეთრონს დააგელვებდა, უდარდელად უსტვენდა და კიუხებს ნამქერს აყრიდა, თითქოს დაქრილ კლდეებს ჭრილობებს უხვევსო. გულჯავრიანი ორიოდეჯერ ზღვასაც ჩაუხტა, ფრთები გაჰკრა და აბობოქრა. ზღვამ ზვირთები კბოდევს მოახალა, თითქოს ქარსა და მიწას ერთად აუმხედრდაო.

ჩვენ არც ქარი გვასვენებდა, არც მტერი.

პოდა, ერთ დღეს ქარმა ჩვენამდე ტყვიამფრქვევის სულ-  
მოუთქმელი კაკანი მოიტანა — გვაცნობა, ტყეში მტერი მგ  
მობრძანდაო“.

ყოველი მხრიდან დაგვიშინეს ტყვია. სტალინგრადის ჯაგ-  
რის ამოყრას ალბათ აქ ფიქრობდა. როგორც იტყვიან: ცხენს  
ვერაფერი დააკლეს და უნაგირი დაამტვრიესო.

არ ვიცი, საიდან მოვიდა, ამ განსაცდელის უამს პ. იამპოლ-  
სკი ჩვენთან გაჩნდა. სულაც არ ღელავდა. სუფთად პირგაპარ-  
სული მშვიდად გამოიყურებოდა. ფარაჯა მოხურული ჰქონ-  
და. თბილი ქუდიდან თმა ჩამოშლოდა. ფარაჯის ქვეშ, ქამარ-  
ზე ორი ხელყუმბარა ეკიდა. რევოლვერის ბუდე გახსნილი  
უჩანდა. ფეხზე წრიაპების მაგივრად წნელის რგოლები ჰქონ-  
და გაკეთებული. ასეთი თხილამურებით თოვლიან გზაზე სიარ-  
ული უფრო ადვილია, ფეხი აღარ ცურავს.

— მტერთან შედარებით ჩვენ ცოტანი ვართ, — დინჯად  
დაიწყო მან, — მაგრამ ამან არ შეგაშინოთ. ერთი პარტიზანი  
ას ფაშისტზე ძლიერია. მტერს სურს ტყეში პარტიზანთა ბუდე  
მოსპოს, ამიტომ დღეს ჩვენს გასანადგურებლად მთელ თავის  
ძალ-ღონეს გამოიყენებს. დღეს წყდება ჩვენი ყოფნა-არყოფ-  
ნის ამბავი. უნდა ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამ-  
დე. ვაზნები მომჭირნედ ისროლეთ, ერთმანეთს უთვალთვა-  
ლეთ და მხარი დაუჭირეთ! გახსოვდეთ, რადაც არ უნდა და-  
გვიჯდეს, მტერი არ უნდა გავახაროთ! მე მაქვს თქვენი იმე-  
დი! — იამპოლსკიმ თვითეული პარტიზანი ისე შეათვალაიერა,  
თითქოს უნდოდა ყველას გულში ჩაეხედა.

პირველი და მეორე რაზმები დასავლეთით აყუდებულ მთა-  
ზე გამაგრდნენ, მესამე რაზმმა ქვევიდან მომავალი გზა ჩახერ-  
გა. მეოთხე და მეხუთე რაზმებმა სერი დავიკავეთ სამხრეთ-  
აღმოსავლეთით. ყველა მეთაური ბრძოლაში ჩაება, იამპოლს-  
კისთან მხოლოდ ხუთი მეკავშირე დარჩა.

ჩვენ უკანდასახევი გზა არ გვქონდა, ან მტერი უნდა გავ-  
ვენადგურებინა, ან ყველანი აქ დავლუპულიყავით.

ახვნეშდა მკერდდადაღული მიწა. კლდეებმა ხივილი ასტე-

ხეს. აზანზარდა ტყე. სვასტიკით მოხატული ბევრი მუზარადი  
ჩაგორდა ხევში.

მეტყვიამფრქვევე კაზაროვი მძიმედ დაიჭრა. კაზაროვი თვა-  
რადემ ხოხვით გაიყვანა ზურგში და მობრუნდა. მე დაობლე-  
ბულ ტყვიამფრქვევს მივუწეპი.

მტერი რამდენჯერმე გადმოვიდა იერიშზე. ვინც მოგვიახ-  
ლოვდა, მოვცელეთ. სხვები ხეებს შეეფარნენ.

მტრის თვითმფრინავი კრაზანასავით დაგვზუზუნებდა და  
ხანგამოშვებით ტყვიას სეტყვასავით გვაყრიდა.

სალამოზე მტერი უკან გაბრუნდა, სოფლისკენ.

იმ დღეს რომ კურცხალია ჩვენთან ყოფილიყო, ასე ვეტყო-  
დი:

— გერვასი, გაშალე შენი დავთარი. აღნუსხე ეს ბრძოლა.  
ჩვენი რაზმის ანგარიშში ასამდე მოკლული ფრიცი ჩაწერე, პი-  
რადად ჩემს ანგარიშში კი ოცამდე მკერდგახვრეტილი ფაშის-  
ტი და ორი დამსხვრეული გერმანული ტყვიამფრქვევი. ისიც  
ჩაწერე — თვარადეს ჩემზე ნაკლებად არ უბრძოლია.

მაგრამ კურცხალია აქ არ იყო. ფავიგეთ, რომ დიდ მიწაზე  
ბიჭები მშვიდობით გადავიდნენ, მაგრამ იქ რა ბედი ეწიათ, ეს  
ალარავის უთქვამს.

იჭაურობა რომ დაწყნარდა, თვარადე გვერდით მომიჯდა.  
კარგა ხანს სდუმდა, მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს რა სისხლისღვრა იყო, კაცო. რამდენჯერ გადაურჩე-  
ბი ადამიანი ასეთ ჯოჯოხეთურ ცეცხლს! ალექსი მშვედლიშვი-  
ლი მომკვდარა, გაიგე?

— გავიგე!

ეს იყო და ეს, კრინტი აღარ დაგვიძრავს.



კაპიტან ერიაშვილის კარავში შევიარე. იგი ცეცხლთან და-  
წოლილი დამხვდა.

— რა მოგივიდა, მიხეილ?

— მუხლში დამჭრეს იმ ძალღიშვილებმა. — დაჭრილმა  
კბილები გააბრჭიალა სქლად შეხვეული მარჯვენა ფეხი ცეცხ-  
ლის გასწვრივ უძრავად ედო.

— ხომ არაფერი გინდა?

— თუ გამპარსავ კარგი იქნება. ძალიან გამებზურა წვე-  
რი.

წყალი კარდალათი გავათბე, საპონი კონსერვის კოლოფში  
ავაქაფე, სამართებელს ქამარზე ავუწყვე პირი და მიხეილს  
ლოყაზე ფრთხილად დავუსვი.

ცეცხლი კარგად ანათებდა კარავს. პირი შალე გაეპარე.

— აგაშენა ღმერთმა! — მიხეილმა ჯიბიდან სარკის ნატე-  
ხი ამოიღო და ჩაიხედა. — ახლა სიკვდილი ვეღარ იტყვის,  
მიხეილი დაძაბუნებულია და მოვერევით. სამართებელი ძა-  
ლიან გიჭრის, ლადო.

— ცოტ-ცოტა ყველა ხელობა მემარჯვება.

— თუ ძმა ხარ, ზურგჩანთაში სამართებელი მიღვეს, ამო-  
იღე და გამიღესე. ყოველთვის შენ ხომ არ მეყოლები გვერ-  
დით. ისე აქვს პირი დაბლაგვებული, წვერს კი არ მპარსავს,  
მწიწკნის. შავ ღღეს მაყენებს.

სამართებელი გავუღესე, მშვიდობის ღამე ვუსურვე და  
ჩემი რაზმისკენ წამოვედი.

მოკროუსმა შტაბთან შემაჩერა:

— ანია პოზნიაკოვასა და კაპიტან ასლანოვს დამიძახე!

დავალემა შევასრულე. მოკროუსმა ასლანოვს დაავალა  
დაჭირლები იალტისკენ უნდა გადაიყვანოთ. პოზნიაკოვა ას-  
ლანოვს უნდა გაჰყოლოდა, როგორც ექთანი.

მეორე ღღეს ბრძოლა განახლდა, ეს ბრძოლა წინანდელზე  
ულმობელი და სასტიკი იყო. მტერი ქიანჭველასავით შემო-  
გვესია. ჩემი ტყვიამფრქვევის ლულა ისე გაბურდა, ტყვიას კი  
ალარ ისროდა, თითქოს ქლექი შეეყარაო, სისხლივით აფერ-  
თხებდა. ამ ტყვიამფრქვევის ხელის მოკიდებაც ალარ შეიძლე-  
ბოდა. ისევე შაშხანას დავავლე ხელი.

ყუმბარების სკდომამ და ტყვიის წივილმა იქაურობა და-  
აყრუა. მერე მტერმა ზურგშიც დაგვიშინა ტყვია. ალყა და  
გვარტყა. ჩვენც წრიული თავდაცვის ხაზი დავიჭირეთ.

— დაგვნებდით! — მოგვიახლოვდა ერთი მუზარადიანი  
გერმანელი.

თვარაძემ ავტომატის ჯერი დააყარა, კოლოფში ვაზნა გაუ-  
თავდა, ავტომატი გადაავდო და იმ გერმანელისკენ ხელუშ-  
ბარა გასტყორცნა. ყუმბარამ ფაშისტის ნაფლეთებად აქცია.  
მტერმა ბრძოლის დამთავრების ნიშნად ცაში მწვანე მამ-  
ხალა ისროლა.

მიუყრდნენ ნალმტყორცნები და ქვემეხები. ტყვიამფრქვე-  
ვებს ლულები გაუცივდათ.

მთავარმა შტაბმა მზვერავები გაგზავნა. ისინი გვიან დაბ-  
რუნდნენ და მეთაურს მოახსენეს:

— მტერმა ორასამდე დაჭრილი და მკვდარი წაიღო საკა-  
ცეებით და სოფელში ღამით შევიდა. ხალხს არ დაანახა ზარა-  
ლი. ზვალ კი ალბათ დაიკვეხნიან, ყირიმის მთებში ერთი ცო-  
ცხალი პარტიზანიც არ დაგვიტოვებიაო.

აქვე ერთი ცუდი ამბავი გავიგეთ. ასლანოვის ჯგუფს, რო-  
მელსაც დაჭრილები მიჰყავდა, ფაშისტთა დიდი რაზმი დასხმია  
თავს და უმრავლესობა დაუხოცია. ზოგიც დაჭრილი წევს  
თოვლში და შევლას ითხოვსო. თუ ამალამ იქ დარჩა, გაიყი-  
ნებაო.

წავედით დაჭრილების მოსაყვანად.

ცა მოწმენდილი იყო. მთვარე ანათებდა.

მივედით და საშინელი რამ ვნახეთ. კაცთა სასაქლავოს გავ-  
და ის ადგილი. ორი დაჭრილიდა იყო ცოცხალი.

ერთიშვილი საკაცეზე იწვა მკვდარი. ხელში კვლავ ეჭირა  
ავტომატი. საკაცეზე ავტომატის ცარიელი ვაზნები ეყარა.

ერთმა დაჭრილმა გვითხრა, სადღაც, იქით, პოზნიაკოვა  
წევს, დიდი ზანი არ არის, რაც მშველელს ეძახდა, მიდით, ნა-  
ხეთ, იქნებ ცოცხალიაო.

— ანია! ანია!

ხმა არავინ გაგვცა. ახლომახლო ადგილები კარგად დავა-  
თვალიერეთ. უკან გამობრუნებას რომ ვაპირებდით, კვნესა  
მოგვესმა, ყრუ კვნესა. ვნახეთ, ანია პოზნიაკოვა თოვლში  
ღრმად წევს, მხოლოდ თავი მოუჩანს. თოვლიდან სასწრაფოდ  
ამოვათრით. ქალი გრძნობადაკარგული იყო, სულ გათოშილ-  
გაყინული. საკაცეზე დავაწვინეთ და კარავისკენ წამოვიღეთ.

საკაცე ცეცხლთან დავდგით. ანიას სახე სულ გალურჯე-

ბოდა, ხელები დაკრუნჩხვოდა, თვალები დაეხუჭა. მისი ნული  
სუნთქვალა ამტკიცებდა, რომ ცოცხალი იყო.

კარავში ტანია მოიჭრა. პოზნიაკოვას ჩექმეები გახანდა და  
ხელ-ფეხი თოვლით დაუზილა, კარგა ხანს სრისა. მერე ჯდება  
გახანდა და ტანი გაუთბო. ფეხები თბილად შეუხვია. პირისა-  
ხეზე ცივ წყალში გაწურული ტილო წაუსვა, ქუთუთოები აე-  
წია და თვალეში ჩახედა.

— ოჰ, დედავ ჩემო, მთლად გაყინულა! ალბათ თოვლში  
იწვა!

ანია ბარძაყში იყო დაქრილი. სისხლი ბევრი დაეკარგა.  
ტყვიას ხორცი დიდზე გაეფლითა. იქნებ ძვალაც ჰქონდა და-  
ზიანებული!

ტანიამ ექთანს ჭრილობა თბილი წყლით მობანა, ზედ მა-  
ლამო დაადო და შეუხვია.

პოზნიაკოვამ ქუთუთო ოდნავ ასწია, თვალის გახელა კი  
ვერ მოახერხა. ხელი აასავსავა, თითქოს ჰაერში რაიმეს ეძებ-  
სო, და უმაღლვე ძირს ჩამოუვარდა.

— ანია! ანია! — ჩასძახა ტანიამ.

პოზნიაკოვას თავი გვერდზე გადაუვარდა.

— აღროვე, ტანია, გათბეს, დაისვენოს!

პოზნიაკოვა მთელ ღამეს ბოდავდა, ლულულღებდა, კენე-  
სოდა, ვიღაცას ეძახდა. მხოლოდ დილით გამოახილა თვალი.

— სადა ვარ?.. წავიდნენ?.. მოჰკლეს?..

— ჩვენთან ხარ, ანია, ჩვენთან! აი, ეს ტანიაა! მე ვალოდა  
ვარ. ვერ მიცანი? აბა, დამაკვირდი!

ისე მომაშტერდა, თითქოს აქამდე არსად ვენახე. მერე კა-  
რავს მოავლო თვალი. ალბათ არ სჯეროდა, თავისიანებთან  
რომ იყო.

— გადავრჩი? ტყვედ არ წამიყვანეს? კაპიტანიც გადარ-  
ჩა? სად არის ასლანოვი?

ჩვენ ასლანოვი ვერც მკვდრებში ვნახეთ, ვერც ცოცხლებ-  
ში. რა უნდა გვეთქვა?

პოზნიაკოვა გონს მოვიდა და თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტად  
ლაპარაკობდა, მაინც გავიგეთ, რა შეემთხვათ.

ასლანოვის ჯგუფს ორი დაქრილი საკაციო მიჰქონდა. სხვე-

ბი თავისით მიკელანობდნენ. უცებ ფაშისტებმა ალყა და-  
არტყეს. დაჭრილებმა მტერს სროლა აუტეხეს. საკაცეზე და-  
კრული ერიაშვილიც კი ჩაება ბრძოლაში. ავტომობილთ მოტე-  
ლა იერიშზე ყვირილით წამოსული ათიოდე ფაშისტი. მტერმა  
უკან დახევა იკადრა, მაგრამ მალე კვლავ შემოუტია დაჭრი-  
ლებს. ანიას ავტომობილი ჰქონდა, წინ გახობდა, ხე იფარა და ავ-  
ტომობილი ააკაენა. დაიჭრა და თოვლში ჩაეარდა. დაჭრილმა  
დაინახა, რომ მისკენ საშველად წამოსული ასლანოვი უცებ  
ჩაიკეცა, დაჭრილ კაპიტანს ორმა ფაშისტმა სტაცა ხელი და  
გზის იქით გადაათრია. ერთი ფაშისტი ერიაშვილს მიეპარა და  
საკაცეზე დააკლა. ეს იყო და ეს, შემდეგ გონება დაკარგა.

აშკარა იყო, მტრებმა კაპიტანი ასლანოვი ცოცხალ-მკვდა-  
რი ჩაიგდეს ხელში და ტყვედ წაიყვანეს.

ფაშისტები თითქმის ერთ კვირას აღარ გამოჩენილან. და-  
ვისვენეთ.

სწორედ მაშინ იყო, ანია პოზნიაკოვას ყავარჯნები რომ  
გავუკეთე.

ერთ დღეს, როცა ცაზე მზე იჯდა და თოვლის ბზინვა  
თვალს გვჭრიდა, კვლავ დაგვესხა მტერი. ჯერ თეთრხალათი-  
ანი მშვერაკები გამოჩნდნენ, არემარე დაათვალიერეს და თა-  
ვისიანებს წინ წამოსვლა ანიშნეს. ფლატეზე ოცდაათამდე  
გერმანელი ამოვიდა.

ახლა ტყვიამფრქვევი კატელნიკოვმა სნაიპერ სპლიუხინს  
ჩააბარა და თვითონაც მის მახლობლად ჩასანგრდა.

აგრუხუნდა ხელყუმბარები. ექომ ხევებს გადაურბინა და  
შავი მთის კლდეებს შეასკდა.

მარჯვენა ფრთაზე ჩვენი ბიჭები იერიშზე გადავიდნენ და  
წინ წაიწიეს. ამ დროს ჩვენმა ჯგუფმა ცნობა მიიღო, მტერს  
მთავარი ძალა აღმოსავლეთით ჰყოლია ჩასაფრებული და  
ტყით დაფარული სერი უნდა დაიკავოთო. იქით გავეშურეთ.

ფაშისტები იმ დღესაც მოვიგერიეთ. მაგრამ შავ მთასთან  
ჩვენი ყოფნა აღარ შეიძლებოდა და გადავწყვიტეთ, კვლავ  
ზუიას ტყეში დავბრუნებულოყავით. დაჭრილი ანია პოზნიაკოვა  
საკაცით გავიდეთ მხარზე.

იმ დღეებში დიდმა მიწამ კვლავ გამოგვიგზავნა ძღვენი.

ულუფა გავინაწილეთ და დასასვენებლად ზევში დავბანაკდით, ულრან ტყეში კოცონები გავაჩაღეთ. ცეცხლმა თოვლი მიწამდე გააღხო. თოვლის ორმოები რაჭულ თონეებს დაეშვებოდა.

პოზივია ცეცხლთან დაყრილ შეშაზე წამოწვა და უმაღლეს მიეძინა. მისი ჯუბის კალთა ცეცხლისკენ იყო მიშვერილი. უცებ რაღაცამ იფეთქა და პოზივიას ჯუბიდან შავი ბოლი ავარდა. ირგვლივ საშინელი სუნი დატრიალდა. პოზივია დაფეთებული წამოხტა და ავტომატს ხელი დასტაცა. მერე დაინახა, ჯუბაზე ცეცხლი მიკიდიაო, სწრაფად გაიძრო და თოვლში ჩაავდო. ჯუბა ჩაქრა.

აიშალა ბანაკი, ყველამ თოფი მოიმარჯვა. ეგონათ, მტერი დაგვესხა მოულოდნელადო. ამო გამოდგა განგაში.

სულ უბრალო რამ მოხდა. პოზივია ხშირად თოფის წამალს ქალღმერთს ახვევდა და ჯიბეში ინახავდა, ცეცხლის დასანთებლად გამომადგებო. ჰოდა, ჯიბეში ჩადებული ღენთი აუფეთქდა ახლა.

ხალხს გული დაუშვნიდდა. ბევრმა გაიცინა კიდევ. პოზივიამ ულვაშებზე ხელი გადაისვა და თავი გააქნია, ეს რა მომხვიდაო.

ღილით ჩვეულებრივ განვაგრძეთ გზა. მზე უკვე აღნობდა თოვლს.

თვარაძე ძალიან სევდიანი მეჩვენა და ვკითხე:

— რა მოგივიდა, კაკო, ავად ხომ არ ხარ?

— არა, მე რა მიშავს...

— ცუდი ამბავი გაიგე რამე?

— ლადო მუშკუდიანი დაღუპულა...

— რას ამბობ?!.

— იალტა-ალუშტის ტყიდან მოვიდა ერთი, იმან თქვა...

მტერი რომ დასხმია თავს იმათ რაზმს, ლადოს კლდეზე ტყვიამფრქვევი აუტანია და იქიდან დაუწყია სროლა... ბლომად კი ჩაუკაფავს გერმანელები, მაგრამ ტყვია გამოლევია, ხელუშვებარებიც, და კლდიდან ჩამოფორთხება რომ დაუწყია, მაშინ მოსვლია მარცხი... დაქრილა და გადმოვარდნილა... იმავე კლდის ძირას დაუმარხავთ...



თვარაძეს ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. მეც მომწერია კურცხალი.

ჩვენს მახლობლად კლდე იდგა. თოვლი დნებოდა და კლდეს, ცრემლებივით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

უცებ წარმოვიდგინე, რომ ჩვენგან დაუტირებელ ლადო მუშკუდიანს ასეთივე კლდე დაჰყურებდა და ის კლდეც ამ კლდესავით ტიროდა. ის კლდე იყო მისი დარაჯიც, ჭირისუფალიც და ძეგლიც. იმ კლდეს უკვე ამიერიდან ლადო მუშკუდიანის სახელი ერქვა და ველარავინ წაართმევდა...

მუშკუდიანმა სისხლის უკანასკნელი წვეთი შეაღია იმ კლდის დაცვას, იქ ამოისუნთქა უკანასკნელად და კლდემ ამაგი არ დაუქარგა...

„იმედია, არც სამშობლო დაუქარგავს ამაგს!“

როცა მე ამას ვფიქრობდი, იმ დროს, ვიცი, ლეჩხუმის მთებშიც დნებოდა თოვლი. ცაგერის გაღმა, ჭილაზე, სოფელი ლასურიაში მზეს შეჰყურებდა და გაზაფხულს ელოდა. სოფლის იქით კი, ლეჩხუმის კლდეებს ყირიმის კლდეებივით ლოყებზე თოვლის ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ.

ტიროდნენ ყირიმისა და ლეჩხუმის კლდეები.

მათ არ იცოდნენ, რატომ იცრემლებოდნენ, ჩვენ კი ვიცოდით...

მაგრამ ჩვენ მართო ეს არ ვიცოდით... ვიცოდით ბევრი სხვა რამეც... ვიცოდით მთავარი რამ — რისთვის ვიბრძოდით და რისთვის ვკვდებოდით...

ჰოდა, ვიბრძოდით...

ტყეებში დანთებული პარტიზანთა კოცონები ღრუბლებში მოკიაფე ვარსკვლავებს ჰგავდნენ... ღრუბლებში ხომ ვარსკვლავები მუდამ იმედივით ბრწყინავენ!..

ერთი ვარსკვლავი ჭრებოდა, სხვა ინთებოდა...

ჩემს გვერდით მდგომი თვარაძე დიდხანს სდუმდა და დაფიქრებული ცას შესცქეროდა, მზიან ცას.

„ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ამ მზეს ხშირად ღრუბელი რომ არ ფარავდეს!..“

— ეჰ, სად წაიყვან სადაურსა!.. — ჩაილაპარაკა თვარაძემ

თავისთვის და ჩემსკენ შემობრუნდა: — ის ბიჭები მაინც სად-  
ღა დაიკარგნენ?

მივხვდი, რომელ ბიჭებსაც გულისხმობდა.

ჯგუფი, რომელსაც სანდრო ჩაჩხიანი გაჰყვა, რამდენიმე  
თვეა არ ჩანდა. იმ ბიჭების ამბავი არც ავად ვიცოდით, არც  
კარგად.

სად იყვნენ? რა მოუვიდათ?

მე და სანდრო ჩაჩხიანი ყირიმის ტყეებში ყოფნისას ჰირსა  
და ლხინს თანაბრად ვიყოფდით, ვიყოფდით ვაზნებს, პურს,  
შხეს, ღრუბელს...

და, აი, გადავწყვიტეთ, მაშინდელი ამბებიც გავიყოთ მოსა-  
ყოლად. რაც სტარი კრიმისკენ წასულ ჯგუფს თავს გადახდა,  
რაც შემდეგ ჩვენს პარტიზანულ რაზმში ამბები დატრიალდა,  
ამას უკვე ჩემი ძმადნაფიცი ვიამბობთ.

ԵՆԵՐԿՄ ԻՆՏԵՆՍԻՎ



ՅՆԿՆՃ ԱՆՆԱ  
ՃՆՑՆՅՅԵՂԿՆ



## უკულო თვითმზრინავი

ნუმც მინახია არწივი,  
შნო აღარ ჰქონდეს ომისა

ვ ა ე ა

საგანგებო დავალების მიღებისთანავე კალაის ტყიდან გავედით. ჯგუფში სულ ცხრა კაცი ვიყავით — ბეზნოსენკო, კრამარენკო, მერკულოვი, კრიხტინკო, ხავერიენკო, სანდეტოვი, ბუჩევსკი, ტრეტიაკოვი და მე. გზად ჩერმალიკის ბაღებში შევიარეთ, თოვლი გავჩხრიკეთ, ნაყარი ხილი ავკრიფეთ და ზურგჩანთებში ჩავიყარეთ. ღამე მთა სრედნიაზე გავათიეთ. მეორე დღეს დასაზვერავად სოფლები გავინაწილეთ, მტრის მიმოსვლის ამბები გავიგეთ, კვლავ სრედნიაზე მოვიყარეთ თავი და ცნობების გადასაცემად რაზმისაკენ გავეშურეთ. კალაის ტყეში ჩვენი რაზმის ნაბინავარი მინგრეულ-მონგრეული დაგვხვდა. ქოხის ერთი გვერდი ყუმბარას შეელეწა, მეორე მხარე დამწვარი ჰქონდა.

— მტრის ხელი ატყვია, — თქვა მიხეილ ბუჩევსკიმ.

ვასია კრიხტინკომ ყურები ჩამოყარა.

— ჩანს, დიდი ბრძოლა გადაიხადეს. ალბათ ბევრი დაიღუპა. ვაითუ... კრიხტინკო დააშტერდა იმ ადგილს, სადაც ტანია იძინებდა.

— ვინ იცის, ჩვენებმა საით გაუტიეს, — თქვა კუზმა მერკულოვმა, — სად უნდა ვეძებოთ?

იღუმალი საფოსტო ყუთი გამახსენდა. დანგრეულ ქოხს გავშორდი, დიდ რცხილასთან მივედი და ფულდუროში ხელი შევყავი. ქაღალდს წაეაწყდი და რაზმის პოვნის იმედი მომეცა.

ფულდუროდან ფურცლის ნაგლეჯი გამოვიღე. დავაკვირდი,



ბნელში ვერაფერი გავარჩიე. ქოხში დავბრუნდი. იქ ბიჭებს უკვე ცეცხლი დაენთოთ. ცეცხლს ფიჩხი დაეუმატეთ და ქოხი განათდა. ჩვენი აჩრდილები დაღეწილ კედელზე არიალდა და სასაცილოდ დაიმიანჭა.

ქალაღი ცეცხლთან მივიტანე და წავიკითხე:

„მტერი დაგვესხა თავს. მოვიგერიეთ. ჩვენი რაზმიდან არავინ დაღუპულა. შორს მივდივართ. კატელნიკოვი.“

ეს იყო და ეს.

კრიხტინკოს შუბლი გაეხსნა, ქალაღი გამომართვა და ხელახლა წაიკითხა.

— არავინ დაღუპულა... კარგია. წავიდეთ.

— სად წავიდეთ? ქარს ვსდიოთ ტყეში?

— აბა, აქ ხომ არ დავკუტლებით? ვეძებოთ სადმე, აი, თუნდაც ზუიას ტყეში. ჩვენებს თუ არა, სხვებს მაინც ვიპოვიო.

— ეჰ, რა კარგია სიყვარული! შენ ახლა სანამ ტანისას არ ნახავ, არც დღე მოგვასვენებ, არც ღამე.

ზუიას ტყისკენ წავედით. სუსხიანმა ქარმა დაუბერა და ნამქერი პირისახეში მოგვაყარა. მერე ქარბუქმა უფრო იმძლავრა. ღამის ერთმანეთი დაგვაკარგვინა. ფეხზე დგომა გაქირდა. ერთად შევქუჩდით და ზევიდან ლაბადაკარავი გადავიფარეთ. ქარბუქმა ჩვენი ლაბადაკარავიანად თოვლში გაგვხვია. ასე ვიყავით ერთხანს, ვიდრე ქარბორბალა არ ჩადგა.

ზუიას ტყეს ღამით მივუახლოვდით. ახლა აღარც თოვდა, აღარც ქარი უბერავდა. შორიდან კოცონები შევნიშნეთ. კოცონებთან ხალხი ფუსფუსებდა.

— შეჩერდით, — თქვა კუზმამ, — პარტიზანები აქ ამ დროს ცეცხლს არ დაანთებდნენ. ჯერ გავიგოთ, ვინ არიან და მერე მივუახლოვდეთ. თქვენ აქ მომიცადეთ, მე დავზვერაგ.

მერკულოვი წასვლას რომ აპირებდა, მახლობლად ორი გერმანელის საუბარი გაისმა. ისინი ჩვენსკენ მოდიოდნენ. ალბათ გუშაგები იყვნენ. შეგვნიშნეს. გვესროლეს. ჩვენც მივაყარეთ ტყვიები. ბანაკი აგანგაშდა. უკან გამოვბრუნდით. შორიდან დავიწყეთ შემოვლა. სადაც კი წავედით, ყველგან გერმანელთა გუშაგებს წავაწყდით.

ფაშისტებს ზუიას ტყისთვის ისეთი ალყა დაერტყათ, შეუშინებულად თავესაც კი გაუჭირდებოდა გაძრომა.

კრიხტიანო ისეთ გუნებაზე დადგა, დანა პირს აღარ უხსნიდა.

გათენებისას ერთი გამოქვაბული ვნახეთ და იქ შევიმალეთ. მთელ დღეს თოფის ბათქაბუთქი გვესმოდა. გადავწყვიტეთ. მტრისთვის ზურგიდან დაგვერტყა, მაგრამ გადავიფიქრეთ. ფაშისტები ტყეს ჭილყვაგებივით მოსდებოდნენ და ცხრა კაცი, ისიც ასე ცუდად შეიარაღებული, რას გავხდებოდით? ტყუილად თავს დავიღუპავდით და იმ ამოცანასაც ვერ შევასრულებდით, რაც გვევალებოდა.

გვეგონა, გერმანელები შებინდებისას იქაურობას გაეცლებოდნენ, მაგრამ ამჯერად ასე არ მოხდა. ღამით კვლავ ტყეში დარჩნენ და ყოველ ბილიკზე გუშაგები ჩააყენეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, ჰიტლერელები ღამით ტყიდან რომ არ წავიდნენ. ალბათ ნაბრძანები ჰქონდათ, პარტიზანები ალყაში მოიქციეთ და რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ, გაანადგურეთო.

თუ ჩვენი რაზმი აქ იყო სადმე, ალყის გარღვევისას, ვინ იცის, საით წავიდოდა. მისი მიგნება ჯერჯერობით გაგვიჭირდებოდა. ჰოდა, სტარი კრიმის ტყეში დაბრუნება გადავწყვიტეთ. მით უმეტეს, რომ იქ ბევრი საქმე გვქონდა. ფეოდოსიის იატაკქვეშელებთან კავშირი უნდა დაგვემყარებინა და მათი დახმარებით ტყვეები გაგვეთავისუფლებინა.

კრიხტიანომ იუარა:

— ამაღამაც მოვიცადოთ. გერმანელები სულ ტყეში ხომ არ იქნებიან? წავლენ და ჩვენს რაზმს ვიპოვით.

— ნუ გეშინია, ვასია, სადაც იქნები, ტანია თვითონ მოგნახავს. აქედან ჩვენი რაზმი იქნებ სტარი კრიმისკენაც წამოვიდეს.

კრიხტიანოს ეს ვარაუდი ჰკვავში დაუჯდა და გამოგვყვა. იმარეთის მახლობლად დავბანაკდით. პარტიზანმა ბელიაევმა ჩვენთან ნიკოლა ბონდარევი მოიყვანა. ბონდარევს დავავალეთ, კავშირი დაემყარებინა ფეოდოსიაში არსებულ არალეგარულ ორგანიზაციასთან და ხმა მიეწვდინა ბანაკში მყოფ



ტყვეებისათვის, ესწავლებინა გზა, როგორ უნდა გამოტყველ-  
ყვნენ ტყეში.

ჩვენ ლამამობით სოფელში შევედიოდით და ამბავს ვკით-  
ხულობდით. დათქმული გვქონდა, თუ იმართში გერმანელები  
არ იყვნენ და საფრთხე არ გველოდა, ქალები თეთრ პირსა-  
ხოცს გამოფენდნენ გარეთ, თუ ფაშისტები და პოლიციელები  
დარაჯობდნენ, შავ ტომარას გამოჰკიდებდნენ.

ერთ კუნაპეტ ღამეს, კაცს თვალთან თითის მიტანა რომ  
გაუჭირდება, ძლივს შევედიოდით სოფელში, ჩამტვრეულ ღობეზე  
ფრთხილად გადავაბიჯეთ და ნაცნობი სახლისკენ ფეხაკრფით  
წავედიოდით. ნიშანი უნდა გვენახა.

სახლს რომ მივუახლოვდით, უცებ ტყვეები მოგვყარეს.  
ვიღაცამ რამდენიმე მაშხალა დაჰკიდა ცაში და სოფელი განათ-  
და. ჩვენ უმაღვე გავიქეციოდით და სიბნელეში შევრგეთ თავი.  
ერთმანეთი მოვიკითხეთ, ბეზნოსენკო გვაკლდა. ტყეში რომ  
შევედიოდით, სტვენა მოგვესმა. მივხვდით, ჩვენიანი იყო და სტვე-  
ნითვე გავეპასუხეთ. მალე ბეზნოსენკო მოგვიახლოვდა. იცი-  
ნოდა.

— კინაღამ არ დაგვაკონსერვეს? ბელად გადავრჩით.  
ის ღამე კოზიგორაზე გავათენეთ.

მეორე ღღეს გავიგეთ, ვიღაცას უთქვამს, ღამღამობით პარ-  
ტიზანები შემოდღიან სოფელშიოდ. გესტაპოელებს იმართში სა-  
მოცი პოლიციელი ჩაუყენებღიათ. საექვო ოჯახები გაუჩნრევი-  
ათ. სამი ქალი და ბონდარევი დაუპატიმრებღიათ.

არაღეგარულ ორგანიზაციასთან კავშირის დასამყარებღად  
ფეოდოსიადი ბეზნოსენკო გავგზავნეთ. კარგი კოსტუმი ჩავა-  
ცვით, ცილინდრი დავახურეთ.

გამარჯვებული მობრუნდა: იატაკქვეშელებიც ვნახე და  
ტყვეებსაც შევატყობინე ყირიმის ტყვეებში პარტიზანთა არსე-  
ბობაოდ.

— იატაკქვეშელებს თავიანთი კაცი ტყვეთა ბანაკშიც ხომ  
არ ჰყავთ?

— აბა, როგორ იქნება! ერთი თარჯიმანიად, ტყვეთა ბანაკ-  
ში თავისუფღად შეღღის და გამოღღის.

მერე გავიგე, ის თარჯიმანი ბოლნისელი აშოტა ვართანოვი  
ყოფილა.

მალე რამდენიმე ტყვე მოვიდა ჩვენთან. სტარი კრიმის  
ტყეში ვაბნეულმა პარტიზანებმა თავი მოვიყარეთ და ახალი  
რაზმი ჩამოვაყალიბეთ. რაზმმა მეთაურად ხავრიენკო აირჩია,  
კომისრად — მე, განსაკუთრებული განყოფილების უფროსად  
სიზასი დაინიშნა. სამოც კაცამდე მოვგროვდით. ფეოდოსიის  
არაღეგარულმა ორგანიზაციამ უიარაღო ტყვეებისათვის თო-  
ფები გამოგვიგზავნა, ორიოდეჯერ სურსათითაც მოგვამარაგა.

ბევრ ახალბედა პარტიზანს ტყეში ცხოვრება გაუძნელდა.  
მართლაც, იმ ზამთარში ღლე და ღამ ცისქვეშ ყოფნა არ იყო  
ადვილი.

კუზმა მერკულოვი აქამდე სულ მკერდგაღეღილი დადიოდა.  
ძლიერი ქარბუქის დროსაც კი არ იბნევდა არც ფარაჯას, არც  
ხალათის საყელოს. ნამქერიით ევსებოდა ხოლმე უბე. ახლა,  
მობუზული ახალბედა პარტიზანები რომ დაინახა, მკერდი უფ-  
რო გაიღედა.

— არ გცივა, კუზმა? — ეკითხებოდნენ გაკვირებული  
პარტიზანები.

— ეს რა სიცივეა? — იცინოდა მერკულოვი.

— შენ, გეტყობა, კაცი კი არა, რკინა ხარ, თორემ ასეთ  
ყინვას როგორ უძლებ?!

— ეს რა ყინვაა... ყინვა ის არის, რომ გააფურთხებ და ძირს  
თეთრი კენჭივით გაგორდება.

შებინდებისას კუზმა ცეცხლს გააჩაღებდა, სულ გაშიშველ-  
დებოდა, ტანსაცმელს ცეცხლის ალზე მოატარებდა, ტანს თოვ-  
ლით დაიხეღდა, ჩაიცვამდა, ზის ქვეშ მიწვებოდა, მიიძინებ-  
და, და გათენებამდე გვერდსაც არ შეიცვლიდა ხოლმე. დილით  
კი ფარაჯიდან კალმახივით ამოხტებოდა, ხელ-პირს თოვლით  
დაიბანდა და გუნდაობას იწყებდა.

ახალბედა პარტიზანები პირდაღებულნი უყურებდნენ. ბევ-  
რი უკვე ველარ ბედავდა იმის თქმას, მცივაო.

მერკულოვი რაზმში სისუფთავის მეთვალყურედ დაენიშ-  
ნეთ.

— მეც თქვენისთანა ადამიანი ვარ, — ეუბნებოდა კუზმა





მობუზულ პარტიზანებს, — მაგრამ შევეჩვიე სიცივეს და ახლა ველარაფერს მაკლებს. წრთობაა საჭირო, მერკუ ნათლიღების ყინვების დროსაც კი, სიცივე ველარ შეგაშინებთ და იქნებ მდინარეშიც იბანავოთ. თანდათან უნდა შეეჩვიოთ, ყოველ დღით ტანი ცივი წყლით დაიზილოთ, ძალიან არ უნდა შეიფუთნოთ. საღამოზე აუცილებლად უნდა გაიხადოთ ფეხზე და ფეხსახვევები გაიშროთ. თუ კაცს ფეხი თბილად გექნება, თავი სულაც რომ გაგეყინოს, არაფერი მოგივა. დაწოლის წინ ფეხსახვევების გაშრობა ვისაც დაავიწყდება, ის თბილად ვერ დაიძინებს, გაიგეთ?

ბევრმა მიბაძა კუზმას და არც წააგო. მერკულოვს „ჯანმრთელობის მინისტრი“ შეეარქვეით.

გაიღია იანვარი. თებერვალს თბილი დღეები გამოერია.

— ბიჭებო, რა გახაროთ, — გვითხრა ფეოდოსიიდან მოსულმა ბეზნოსენკომ, — ფაშისტებმა ქალაქში ძაძაშემოვლებული დროშები გამოჰკიდეს...

— ჰიტლერი მოკვდა? — წამოიძახა რამდენიმე პარტიზანმა ერთად.

— ეგეც მალე მოხდება. ახლა სხვა რამეს გლოვობენ. სტალინგრადის ალყაში მოქცეული ჰიტლერელთა ჯარი ჩვენებს სულ გაუნადგურებიათ.

— მართლა?!

— გაისეირნე ქალაქში და ნახე, თუ ჩემი არ გჯერა!

ფაშისტების გლოვა ჩვენს გულში იმედისა და სიხარულის ზღვად შემოიჭრა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მტერს უკვე უჭირდა.

— მოდის, ბიჭებო, გაზაფხული! ხომ მოდის?

— მოდის, მოდის! გაზაფხულის მოსვლას რა შეაჩერებს!

იმ დღეს ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ: სტალინგრადში ჩვენი ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად, ოპერაცია ჩავეტარებინა.

— დავუმტკიცოთ მტერს, რომ არც ყირიმია მთლიანად მათ ხელში! სტარი კრიმიდან სალისკენ მიმავალ გზატკეცილთან ჩავსაფრდით.

ხუთი საზიდარი ბორბლების რიხინრიხინით მოგვიახლოვდა.



— ცხენები არ დახოცოთ, ტვირთის წასაღებად გამოგვადგება! — გასცა განკარგულება მეთაურმა.

ტყვია საზიდრებზე შესკუპებულ ჯარისკაცებს დავუშინეთ. ორიოდ ვარმიშის ტყისაკენ გაგვექცა, დანარჩენი დავხოცეთ. საზიდრები ტყისკენ შემოვაბრუნეთ, ვატარეთ, სანამდეც შეიძლებოდა, მერე ცხენები გამოვხსენით, საზიდრები დავცალეთ, ტომრები ღვედებითა და თოკებით ერთმანეთს გადავაბით, ცხენებს ავკიდეთ და ბანაკს მივაშურეთ.

გავიდა თებერვალიც.

მარტის სუსხიანი დილაა. აღმოსავლეთი ისე განათდა, გეგონებოდათ ცას ხანძარი მოედოო. პარტიზანები ცეცხლთან საუზმობენ.

მზვერავი ურუქბაევი მოიჭრა და ხაერიენკოს უთხრა:

— მტერი ალყას გვარტყამს.

— ჩუმაღ! ახალბედებმა არ გაიგონონ, დაფრთხებიან და აირევიან. — მეთაური მე მომიბრუნდა, — სანდრო, მთისკენ გაუძეხი ხალხს!

მალღობზე ავედით, ჩავსანგრდით და მტრის გამოჩენას დაველოდეთ. აქ მალე მოგვანო მტერმა და ალყაში მოქცევა დაგვიპირა. ამის საშუალება არ მივეცი, სროლა ავუტეხეთ და გზა დასავლეთისაკენ გავიკაფეთ. ოთხი კაცი დაგვიჭრეს. დაჭრილები ბრძოლის ველიდან გამოვიყვანეთ და ტყეს შევაფარეთ თავი. მტერმა ერთხანს გვდია და რაკი მახეში ვერ გაგვაბა, ჩამოგვშორდა.

დავბანაკდით ვაგზალნაიაში (ეს სახელი პარტიზანებმა პირობითად დაარქვეს ერთ ადგილს).

აქ კრიხტინკომ კვლავ დაიყინა:

— ჩვენი რაზმი უნდა მოვძებნოთ. ამ დაჭრილებს პატრონობა სჭირდება. იქნებ ზუიას ტყიდან დიდ მიწაზე გადაიყვანონ.

— მარტო მაგ დაჭრილების დარდი მაქვს, თუ?..

— მე ყველაფრის დარდი მაქვს!

— ბანაკიდან რომ კიდევ გვყავს ტყვეები გამოსაყვანი?

— იმათი გამოყვანა მერე უკეთესი იქნება, როცა დათბება კარგად.

— კარგი, წავიდეთ! — დაეთანხმა ხავრიენკო.  
შვიდი კაცი ზუიას ტყისაკენ გაუდგა გზას. მესამე ღელეს მსჯეუფი რაზმში დაბრუნდა.

— რა მოხდა? — ვკითხე ხავრიენკოს.

— ბრუსის მთაზე დიდი თოვლი დაგვხვდა, ძლივს ავედით. ერთმა ამხანაგმა სიარული ველარ შესძლო, ავად გაგვიხდა, წავყვანა არ შეგვეძლო, ჰოდა, უკან მოვბრუნდით. აბა, ამხანაგს ხომ არ გავწირავდით?

კრიხტინკომ კვლავ ჩამოყარა ყურები.

— თუ თოვლში სიარული არ შეეძლო, რას მოგვეყვებოდა? — მე შემომჩივლა ვასიამ თავისი გულის ხეაშიადი. — პარტიზანობა ზოგს ფაფის ჭამა ჰგონია! შერედა, არის პარტიზანობა ფაფის ჭამა?

— სულაც არა, — მივუგე მე სერიოზულად. — პარტიზანობა უფრო ხშირად ფაფის უჭმელობაა, ხის ქერქის ღლონაა.

— ეჰ, სანდრო, სანდრო, ხუმრობის გუნებაზე ვარ ახლა მე?

— მითხარი, რით გიშველო და დაგეხმარები! ნუ გეშინა, აგერ მალე გაზაფხულდება და მივაგნებთ რაზმს.

როგორ გგონია, ის ხალხი მე არ მენატრება?

ალყა რომ გამოვარღვიეთ, იმ მიდამოებში ზოგს კარდალა დარჩა, ზოგს ზურგჩანთა, ზოგსაც სხვა რამ. ბეზნოსენკომ მითხრა, წავიდეთ და ჩვენი ნაბრძოლი არე-მარე დავათვალიეროთო.

წავედით. შორიდან თვალი მოვკარიით, იმ ადგილას რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა. ფრთხილად მივუახლოვდით და მივაყურეთ. რუსულად ლაპარაკობდნენ.

— ეს პარტიზანთა ნაბრძოლ ადგილს ჰგავს, — თქვა ერთმა, — სადღაც ახლო იქნებიან. — აგერ ერთს კარდალაში საქმელი ჩარჩენია. ჩანს, მოულოდნელად დაესხნენ თავს და...

დავაკვირდით, ტყვეებს არ ჰგავდნენ. საბჭოური იარაღი ჰქონდათ.

— ჰეი, ვინა ხართ? — მიაძახა ხეს ამოფარებულმა ბეზნოსენკომ.

ისინი უცებ გაიქცნენ და ტყეში გაუჩინარდნენ.

— თქვენ თვითონ ვინა ხართ? — მოგვესმა ძახილი.



ხმა მეცნაურა, მაგრამ ვერ გავიხსენე, ვისი იყო.

— ჩვენ პარტიზანები ვართ! — გავძახე ომახიანად.

— სანდრო შენა ხარ? გამოდი საფარიდან!

— ვილაც ჩვენიანია, — ვუთხარი ბეზნოსენკოს, — შე ვალ და გავიგებ, ვინ არის. შენ აქ დარჩი, ავტომატს ძირს ნუ დაუშვებ. სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ტყიდან გავედი. იქითა მხრიდან ჩასკენილი ვაეკაცი გამომეგება. მწითურს ქერა თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ქუდი გვერდელად ეხურა.

კვლავ მეცნაურა, მაგრამ ვერ გავიხსენე, სად მყავდა ნანახი. მწითური კაცი შეჩერდა. მეც შევჩერდი.

— ვერ მიცანი?

— ვერა.

— ასე მალე დაგავიწყდი? ვასია ვარ, ბობროვი.

— უჰ, შენ რა გითხრა! — შევსძახე და მისკენ გაექანდი.

ისიც გამოექანა და გადამეხვია. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ვერ მოვზომეთ და კოცინასა ერთმანეთს ცხვირები მივართყით. სისხლი წაგვსკდა ორივეს.

ბეზნოსენკო საფარიდან გამოვიდა, საფარიდან გამოვიდა ბობროვის ხალხიც და ჩვენ შემოგვეჯარა.

— ეს რა მოგსვლიათ? — გაიცინა ბეზნოსენკომ, — თუ მეგობრები იყავით, ერთმანეთს რატომღა ჰკბენდით? — მათარას ხუფი მოხადა და მომაწოდა: — დაიბანეთ ხელ-პირი. უცხო აღამიანმა რომ დაგინახოთ, ერთმანეთის მოსისხლე მტრები ეგონებით.

სისხლი მალე შეწყდა, ცხვირები მოვიბანეთ და ორივეს გაგვეცინა.

— ეს რა მოგივიდა, ვასია?

— არაფერია, ძველი მეგობრები რომ ვართ, სისხლით დავამტკიცეთ. გახსოვს, გერმანელმა თივაზე რომ შემითრია, გატაცება რომ დამიპირა და გადამარჩინე?

— ეგ კი მახსოვს, მაგრამ, ერთი ეს მითხარი, აქ საიდან გაჩნდი? შენ ხომ დიდ მიწაზე თვითმფრინავით გადაგიყვანეს?

— მოვრჩი და დამაბრუნეს. ახლა დივერსიული ჯგუფის წევრი ვარ, სხვანაირი პარტიზანი.

— ვერ დაგაშინეს გერმანელებმა?

— გერმანელებს შინ ბავშვები ეყოლებათ და ისინი შეაშინონ. ვიდრე პირში სული მიდგას, რა მომასვენებს...

— თქვენს ჯგუფში ჩემი ნაცნობი სხვა ხომ არავინ არის?

— ამ ჯგუფში არა. ოღონდ გრიგორეენა დაუბრუნდა ურომს, ოღონდ რომელ დივერსიულ ჯგუფშია, არ ვიცი... ჩემზე წინ წამოვიდა. ქართველი ბიჭები თვითმფრინავიდან ჩამოსვლის შემდეგ აღარ მინახავს, სხვა ჰოსპიტალში წაიყვანეს... პო, მართლა, კოსტა გობოზოვი მოკვდა.

— რა მოუვიდა იმ უბედურს? თითქოს ფეხი ძალიან აღარ სტკიოდა...

— რა ვიცი... ჰოსპიტალში რომ მიიყვანეს, სამი უღუპო საჭმელი გაათავა... მეორე დღეს კი თვითონ გათავდა.

— იქნებ ნამშიერებმა კუჭმა იმდენ საჭმელს ველარ გაუტლო და...

— რა ვიცი, რა ვიცი!.. თქვენ რას შვრებით, სანდრო? ჩვენი ბიჭები როგორ არიან?

— ეს სამი თვეა ჩვენი რაზმის არაფერი ვიცი. რამდენიმე კაცი აქეთ გამოგვაგზავნეს, მერე რაზმი ველარ ვიპოვეთ. თქვენ სულ ეს ხუთი კაცი ხართ?

— არა, დიდი ჯგუფი ვართ. ხუთი კაცი პარტიზანების სანახავად გამოგვაგზავნეს. ხვალ ყველას თქვენთან მოვიყვან.

— პარაშუტებით ჩამოხტით?

— ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ... თვითმფრინავით დანაშნულ ადგილს რომ მოვალწიეთ, ძირს ვერავითარი ნიშანი ვერ შევამჩნიეთ.

— რა ნიშანი?

— ჩვენზე წინ წამოსულ ჯგუფს ცეცხლი უნდა დაენთო სტეპში. წრე დავარტყით. მტრის საზენიტო ბატარეამ შეგვნიშნა და რადისლავას მიდამოებში სროლა აგვიტეხა. თვითმფრინავს ჭურვი კუდში მოხვდა და წაატეხა. ჩვენ ერთმანეთს მივეჯახეთ, თვითმფრინავი შექანდა და მიმართულედა დაჰკარგა. მივხვდით, დაღუპვა გველოდა მთელ ეკიპაჟს, რადგან პარაშუტით ჩახტომა შეუძლებელი შეიქნა. თვლები გაგვიფართოვდა. ყველას თვალში შიში აკვივდა უხმოლ—

ვილუპებითო. თვითმფრინავში სიკვდილის ლანდი დაბარ-  
ხაცდა.

— არ შეშინდეთ! — მოგვაძახა მფრინავმა.

ჩვენ ერთმანეთის შეხედვა უფრო გვაშინებდა. ყველამ და-  
ხუჭა თვალი. ბედს მივენდეთ. ბედს, ამ უკულო თვითმფრინავს  
და გამოცდილ მფრინავს. საქესთან საბჭოთა კავშირის გმირი  
კოშუბა იჯდა.

თვითმფრინავი დაჭრილი ლომივით ღმუროდა და ვგრძნობ-  
დი, ფრთამოტეხილი არწივივით სადღაც მიექანებოდა. იქნებ  
ხრამში ჩასავარდნადაც. სიკვდილის ლანდი კვლავ ბარბაცებდა.

უცებ თვითმფრინავი რალაცას დაენარცხა და ღმუილი შე-  
წყვიტა.

წამით სამარისებური სიჩუმე გამეფდა. თვალის გახელის  
შეშინოდა.

— აბა, გადმოხტით, ჩქარა! — კოშუბამ თვითმფრინავის კა-  
რი გაგვიღო.

ერთ ამხანაგს ფეხი მოსტეხოდა. ლაბადაკარავზე დავაწვი-  
ნეთ. ოთხმა კაცმა აიკიდა ფეხმოტეხილი ადამიანი. საჭირო  
ნივთები გავზიდეთ, თვითმფრინავს ცეცხლი წავუკიდეთ და  
ტყვეს მოვაშურეთ. განთიადისას ყარაბურუნის მთის კალთებამ-  
დე მივალწიეთ. დავისვენეთ. დაღლილებს ძილმა წაგვართვა  
თავი. კაშუბამ გაგვადვიძა:

— ადექით ჩქარა! ჩვენს კვალს გერმანელები ძაღლებით  
მოსდევენ.

ზურგჩანთები ავიკიდეთ. ასია ოპარინამ რაციას წამოავლო  
ხელი. ოთხი კაცი ფეხმოტეხილს მიადგა.

— დამტოვეთ, წადით! — შეგვეხვეწა ფეხმოტეხილი. —  
ჩემი გულისთვის თავს ნუ დაილუპავთ ყველანი! წადით-მეთქი!

— მერე შენ მტრის ხელში დაგტოვოთ?

— ვიდრე შემეძლება, თავს დავიცავ, მერე კი... ნუ გეში-  
ნიათ!

ამ დროს მახლობლად სროლის ხმა გაისმა.

ალარ ვიცოდით, რა გვექნა. ფეხმოტეხილმა უცებ რევოლ-  
ვერი გაიძრო და ტყვია საფეთქელში დაიხალა. ეს ყველაფერი  
წამში მოხდა, რევოლვერზე ხელის აკვრაც კი ვერ მოვასწართ.

რასაც აღარაფერი ეშველებოდა, რა უნდა გვექნა? იარაღი და საბუთები ავართვით და გავიქეციით. ის საწყალი ისე მივატოვეთ, დაუმარხავად.

მტერი მოგვიახლოვდა, მაგრამ ვერ დაგვეწია, მთაზე ავასწართ. ღამე იქ გავათიეთ, დილით კი აქეთ წამოვედით ხუთა კაცი, იქნებ პარტიზანები ვნახოთ-მეთქი. სხვები იქვე გვიცდიან.

მეორე დღეს ბობროვმა თვრამეტი კაცი მოიყვანა ჩვენთან. პ. ტ. კაშუბას ეს ჯგუფი მთლიანად ავტომატებით იყო შეიარაღებული.

ერთმანეთს გავეცანით და გულთბილად გავესაუბრეთ.

კაშუბამ საათს დახედა და რადისტ ასია ოპარინას უთხრა. დიდ მიწას დაუკავშირდით. ასია ორ საათზე მეტ ხანს ეწვალა და ხმა არავინ გასცა. რაცია თვითმფრინავის დანარცხებისას დაზიანებულიყო.

კაშუბას მისი ამბები ვკითხეთ.

— მტერმა მესამედ ჩამომაგდო, მაგრამ ერთხელაც ვერ ჩამიგდო ხელში. ჩანს, ფაშისტებისგან სიკვდილი არ მიწერიდა. ეგ არის და ეგ მთელი ჩემი გმირობა. — მოკლედ გვითხრა გმირმა. — რაკი მტრები ფრენას არ მანებებენ, ახლა პარტიზანობასაც ვცდი, თქვენი საცრის პურსაც ვჭამ, პარტიზანულ პურ-მარილსა და ზიარებას მივიღებ.

ვუყურებდი კაშუბას და ვფიქრობდი: ამ პატარა კაცში ასე დიდი სული როგორ ეტევა-მეთქი.

თითქოს ჩემს ფიქრს გაეპასუხაო, ბობროვმა მითხრა:

— იცი, რა კაცია? არწივის სული აქვს, სულ ფრენა უნდა. მიწაზე ვერ ეტევა! ცხრაჯერ რომ ჩამოაგდონ ციდან, შეათედ ავა ცაში და ისევ იფრენს.

ძნელია, გარეგნობით განსაჯო, ვის როგორი სული აქვს!

მეორე დღეს ერთმა პარტიზანმა რაცია შეაკეთა და ასე დიდ მიწას დაუკავშირდა. კაშუბამ გადასცა: ცოცხალი ვარ, ვიმყოფები პარტიზანებთან ამა და ამ ადგილას. აქ არიან დაჭრილები. გვესაჭიროება სურსათი და მედიკამენტებიო.

მაღე საპასუხო რადიოგრამა მივიღეთ: თვითმფრინავს ელოდეთო.

თვითმფრინავის მიღება ბენოსენკოს დაევალა. რამდენიმე  
კაცი გავატანეთ.

ბენოსენკოს ოქროს ხევის მახლობელ ველზე აუნთია ცე-  
ცხლი. „უ-2-ს“ სურსათით და წამლებით სავსე ტომრები ჩა-  
მოუყრია ღამით. ამ ტომრების პოვნა ღამით ძნელი იყო და  
ბენოსენკოს გათენებისთვის დაუცდია. მტერს საბჭოთა თვით-  
მფრინავის გადმოფრენა გაუგია და ტყისკენ იმ ღამითვე წა-  
მოსულა.

განთიადისას სროლის ხმა მოგვესმა. იმ ადგილიდან ოთხი-  
ოდე კილომეტრით ვიყავით დაშორებული. ამხანაგების დასახ-  
მარებლად გავეშურეთ. იქ მტერი აღარ დაგვხვდა. მხოლოდ  
ბენოსენკო ვიპოვეთ — ხესთან იწვა უსულოდ. ავტომატი  
გვერდით ეგდო, ავტომატის სავაზნე კოლოფი დაცლილი იყო  
სულ. ირგვლივ ცარიელი ვაზნები ეყარა. ჩანს, ბენოსენკოს  
უკანასკნელ ვაზნამდე უბრძოლია და მერე მომკვდარა.

იქვე დავკრძაღეთ.

• •

კაშუბას დიდი მიწიდან აცნობეს, თვითმფრინავს გამოვი-  
გზავნით და აუცილებლად გამოიპყევით. დამავალა, თვითმფრი-  
ნავის დასაფრენი ადგილი შემირჩიეო. მე, კრიხტინკო და ბუ-  
ჩევსკი წავედით. ვნახეთ მინდორი აჯუბეის ხევის მახლობლად.  
ვაჩვენეთ კაშუბას. მოეწონა.

— აქ „უ-2-ის“ მთელი ესკადრილია დაჯდება.

ცუდი ამინდები დაიჭირა და თვითმფრინავმა ჩამოფრენა  
დააგვიანა.

ამინდის გამოკეთებისთანავე იმ მინდორს ვეწვიეთ. ირ-  
გვლივ გზები დავნალმეთ და გუშაგები დავაყენეთ. ხმელი ფიჩხი  
მრვაგროვით და თვითმფრინავს დაველოდეთ.

ციდან ტრახტრახი მოგვესმა. ეს ის თვითმფრინავი იყო,  
ჩვენ რომ ველოდით. ავანთეთ ცეცხლი რუსული „ტეს“ მსგავსად.  
მინდორზე ორი თვითმფრინავი დაეშვა. მფრინავებმა ახა-  
ლი გაზეთები მოგვიტანეს.

ერთ თვითმფრინავში კაშუბა და ორი დაქრილი ჩაჯდა, მე-



ორეში ბორტმექანიკოსი ბორია და დანარჩენი ორი დაჭრილი  
კაშუბას წერილები მივეცი და მშვიდობით მგზავრობა ვუ-  
სურვეთ.

— შენს თვითმფრინავს კული აღარასოდეს მოსწყვეტო-  
დეს. უკულო თვითმფრინავს უკულო ხარი სჯობს. არ დაგლე-  
პავს მაინც.

თვითმფრინავეები აგუგუნდნენ, მაგრამ ვერცერთმა ვერ  
მოახერხა წინ წასვლა და ფრთის აწევა.

იმ ცულ ამინდებში მიწას წყალი გულში გასჯდომოდა და  
თვითმფრინავის ბორბლები ეფლობოდა. პროპელერი ტრია-  
ლებდა და ტრიალებდა, მისი ქარი ბუჩქებს აწყდებოდა და  
მიწამდე ხრიდა. მაგრამ თვითმფრინავს კი ვერ შველოდა.

ოთხივე დაჭრილი გადმოვიდა. თვითმფრინავებმა ახლა  
ძლივს მოახერხეს აფრენა, თანდათან მალლა აიწიეს და მთის  
იქით მიიმაღლნენ.

ჩვენ დაჭრილები უკანვე დავაბრუნეთ.

ფაშისტებს ამ თვითმფრინავეების ჩამოფრენა შეუმჩნეველად  
და „აეროდრომის“ აღმოსაჩენად წამოსულან. ღამით იმ ადგი-  
ლიდან რამდენიმე აფეთქების ხმა მოგვესმა. შემდეგ გავიგეთ,  
გერმანელები ნალმებს გადასწყდომიან და შვიდი კაცი მოჰყ-  
დარა.

ესეც ჩვენი ხერი იყო. უკულო თვითმფრინავის ამბავს  
კარგი კული გამოება.

## „სულიკო“ უირიშის მთებში

თუ მტრისა ჯაერი შევქამო,  
სიკვდილო, მენაც მომკალი!

ვ ა ვ ა

სჯობს მონობაში გადიდკაცებულს  
თავისუფლების ძებნაში მკედარი!

ა კ ა კ ი

მარტმა თავისებურად იჭინჭყლა, მერე, მომბეზრებელი ქარი ჩაღვა და გაზაფულმა პირი გვიჩვენა. რილო-ქრილომ ააქრელა მთები. ზამთრის თეთრ საბანქვეშ ნამძინარევემა მიწამ ზმორებით გაიღვიძა. თვალი გაახილეს ყვავილებმა. ჩიტები საამოდ აჭიკჭიკდნენ. ჩვენ კი ჩიტებზე მეტად გავიხარეთ. გაზაფხული დიდი იმედია ყველასთვის, განსაკუთრებით კი სანგარში ჩამდგარი ჯარისკაცისა და ტყეში გასული პარტიზანისთვის. აპრილის მიწურულში ივანე მოკროუსმა ზუიას ტყიდან ჩვენთან თავისი რაზმი მოიყვანა. კვლავ შეეხვდით სტეფანე პოზიუაის, მარჩენკოს და სხვებს. გაიხარა ვასია კრიხტინკომ, ტანიაც მოკროუსის რაზმს მოჰყვა. მე და ლადო გოძიშვილი ერთმანეთს მაგრად გადავეხვიეთ, ოღონდ ცხვირები არ მიგვირტყამს და სისხლი არ გამოგვდენია.

— უირიშის აგარაკი მოგზდენია, სანდრო, გასუქებული მეჩვენები.

— რამ გამასუქა, შე ღმერთძაღლო, შიმშილით ვარ გასიებული.

— აქაც შიმშილობა იყო?

— ზოგჯერ. კაკო სად არის? არც კოლია კატელნიკოვი ჩანს. ცული ამბავი ხომ არაფერია?

— არა. კატელნიკოვი ზუიას პარტიზანული შენაერთის შტაბის უფროსად დანიშნეს. თვარაძეც იმასთან დარჩა. დიდი მიწიდან ნაღმმტყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო თოფები გამოგვიგზავნეს. ჰოდა, ის იარაღი კაკოს ჩააბარეს, ოცმეთაურად დანიშნეს. ასეა, ძმაო, თანდათან ვძლიერდებით! ახლა ჩვენი პარტიზანები ტანკებს უშიშრად ებრძვიან, როგორც რიგი და წესია, მაშ!

ჩვენი რაზმი მოკროუსმა ჩაიბარა. ასიამ კვლავ აამუშავა რაცია. დიდი მიწიდგან გვაცნობეს, თვითმფრინავით იარაღსაჭურველს და ტანსაცმელს გამოგვიგზავნითო. ტყე-ველიანი ადგილი შევარჩიეთ და დაველოდეთ ძღვენს. თვითმფრინავმა ტომრები უპარაშუტოდ ჩამოგვიყარა. ყველაფერი რაზმის შტაბს ჩავაბარეთ. ზოგს ახალი შარვალი მისცეს, ზოგს ხალათი, ზოგს საცვლები. ლადოს ჩექმები ერგო.

იმ ხანად სტარი კრიმისა და სულაკის ტყეში ჩვენი რაზმის გარდა სხვა პარტიზანული რაზმი არ იდგა. მტერთან პირისპირ შებრძოლებას ვერიდებოდით. უმთავრესად დივერსიულ ოპერაციებს ვატარებდით. ადგილსამყოფელს ხშირად ვიცვლიდით, მტერს რომ ეფიქრა, ბევრნი არიანო.

ვაფეთქებდით ხიდებს, ტელეფონის ბოძებსა და ლიანდაგს. ვაფუქებდით გზებს. ჯერჯერობით ესეც აშინებდა მტერს. ღამით ვფხიზლობდით და ვიკეთებდით საჭმელს, დღისით ხან ფხიზლად გვეძინა, ხან ვფუსფუსებდით. საჭმლის ჭამისას ერთ ხელში კოვზი გვეჭირა, მეორეში — თოფი. ყოველ წუთს ველოდით გაბოღმებული მტრის თავდასხმას.

დაზვერვას ახალ-ახალი ცნობები მოჰქონდა. სტალინგრადის ალყაში მოქცეული გერმანელების გამოსახსნელად ჰიტლერმა თურმე უამრავი სატანკო ჯარი გაგზავნა, მაგრამ ისინიც სასტიკად განადგურდნენ. იმ ჯარის ნარჩენი ახლა ყირიმში იდგა. ამ „უტანკო ტანკისტებითა“ და ჩრდილოეთ კავკასიაში დამარცხებული მტრის სალდათებით გაივსო ყირიმი.

რუმინელი ჯარისკაცები სოფელ-სოფელ დაეხეტებოდნენ და ფიქრს აღარ მალავდნენ: ანტონესკუს მკვდარს საფლავში

ალარ უჩერებდნენ და ცოცხალს — მიწაზე. აქამდე ეგონათ, ყირიმში ჰიტლერმა რუმინეთს აჩუქაო, მაგრამ ბოლოს მიხვდნენ, რომ ეს ფუჭი დაპირება იყო. ამიტომ გერმანიის დამარცხება ალარ სწყინდათ.

მამალივა, მალაკო,  
რუმინია დაღეყო.

ლილინებდნენ უდარდელად.

თავგზა აებნათ გერმანელებს. ჯარს ერთ დღეს რომ ფრონტზე გააგზავნიდნენ, მეორე დღეს უკანვე აბრუნებდნენ. მახეში მომწყვდეული თავკვივით აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ეგონათ, საბჭოთა კავშირს უცებ ჩავყლაპავთო, მაგრამ კბილები ფოლადზე შეამტვრიეს.

ბრახმორეული ფაშისტები ოჯახებში დაუკითხავად შედიოდნენ და რაც მოეწონებოდათ, ყველაფერი მიჰქონდათ. ნადარცვს გერმანიაში გზავნიდნენ. ახალგაზრდობას აპატიმრებდნენ, ვაგონებში პირუტყვივით ყრიდნენ და გერმანიაში სამუშაოდ ისტუმრებდნენ.

იმ ხანად ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი გამოიქცა ტყეში და პარტიზანებს შეუერთდა. მოხუცები და დედაბრებიც კი ტყეებს შეეხიზნენ. ყირიმის მთები ხალხით და რისხვით აივსო.

გერმანელები დაცარიელებულ სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ. თითქოს გრძნობდნენ, მათი განკითხვის ქამი რომ ახლოვდებოდა და შემოდგომის ბუზებივით იკბინებოდნენ. ჩვენ უკვე ალარ ვღელავდით და შესაფერის დროს ვარჩევდით, რომ მტრისთვის დიდი ზარალი მიგვეყენებინა.

ლადო გოძიშვილს იმ ხანად ქარები აწუხებდა და ხშირად „შინ“ ფუსფუსებდა. ჩხირკედელაობა თავიდანვე უყვარდა და ახლაც არასოდეს იჯდა უსაქმოდ. ხან ქალამნებს უკერავდა ამხანაგს, ხან დანას უღესავდა. დალაქობაში ხომ ბადალი არ ჰყავდა. სამართებელსაც მარჯვედ ატრიალებდა და მაკრატელსაც. ორიოდეჯერ გაფუჭებული შაშხანაც შეაქეთა. მოკლედ — ასი ხელი ჰქონდა. რუსები ამბობდნენ: ვალოდია ნა ვსე რუკი მასტერო. ერთხელ მოკროუსმა საათი გამოუგზავნა — გამოჩერდა და უშველე რამეო. ლადომ ბევრი იწვალა და ესეც გა-



აკეთა. მოადგნენ სხვებიც, მაგრამ ველარავის გაუკეთა. საათს რომ დაშლიდა და ააწყობდა, ხან ზედმეტი ნაწილი რჩებოდა, ხან აკლდებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, იმ ტყეში ვის რად უნდოდა საათი? დღე-ღამის ბრუნვას მზე აწესრიგებდა და ჩვენც იმ დღე-ღამის ბრუნვას მივსდევდით. კარგი ვარსკვლავთმრიცხველებივით ცას რომ შევხედავდით, დროს ზუსტად ვიგებდით, მუდმივად ცისქვეშ ყოფნამ ყველას გვასწავლა, ესა თუ ის ვარსკვლავი რა დროს ამოდიოდა. დღე ღამეს ცვლიდა, ღამე — დღეს და ასე მიდიოდა წუთისოფელი.

ინისში დიდი მიწიდან ალექსანდრე კულიკოვსკი გვეწვია. მალე დაგვიმეგობრდა ქართველებს. გულითადი ადამიანი იყო. „დიადია საშამ“ ვეძახდით.

მოკროუსმა საბრძოლო დავალების შესასრულებლად ორი ჯგუფი გამოყო. ერთის მეთაურობა კულიკოვსკის დაავალა, მეორესი — უზბეკ ბაზარს. ახლაც არ ვიცი, ბაზარი მისი გვარი იყო თუ სახელი. დიადია საშამ ოთხი კაცი წაგვიყვანა — კირსანოვი, ბონდარენკო, გოძიშვილი და მე. ფეოდოსია-სიმფეროპოლის გზატკეცილისკენ ავიღეთ გეზი. კირსანოვს ზურგმანთაში სანალმე კოჭები, ღენტის ზონარი და აფეთქებისათვის საჭირო სხვა მასალა ედო. რა თქმა უნდა, კარგად შეფუთვნილი. კირსანოვი დანალმვის ოსტატი იყო.

წინ ლადო მიგვიძლოდა. ამჯერად მხარზე ავტომატი ეკიდა და ქამარზე — რევოლვერი. გოძიშვილს მეტსახელად „ცოცხალ კომპასს“ ეძახდნენ. არ ყოფილა შემთხვევა, გზა აბნეოდეს. უკუნ ღამეშიც კი ისე თავისუფლად დადიოდა, როგორც დღისით. ყირიმის ტყის ყველა ბილიკი ხუთი თითივით იცოდა.

— ვალოდიას ამ ტყეებში გზა არ აებნევა, მგონი, ისიც კი იცის, რომელ ბილიკზე რა ჯიშის ხვლიკი დარბის! — იტყოდა ხოლმე მოკროუსი.

გზატკეცილს შეუმჩნევლად მიეუახლოვდით და მივაყურეთ. ღამის მყუდროებას არაფერი არღვევდა. ბუნებასაც თითქოს სული შეეკრა, ცაც არ სუნთქავდა.

კირსანოვმა და ბონდარენკომ ხიდი დანალმეს. ჩვენ ტოლის კოჭები ტელეფონის ბოძებს ჩავუწყვეთ ძირში და ღენტის ზო-

ნარი შევუერთეთ. მერე უკან გამოვბრუნდით. ლადომ ზონარს ცეცხლი მოუკიდა და ჩვენთან მოვიდა. ჩავწექით თხრილში. აფეთქდა ერთი, მეორე, მესამე... მერე ერთბაშად იგრიალა. ცამ დაიზუზუნა და ლამის მყუდროებას ანდერძი აუგო, ჰაერის ტალღამ თავზე გადაგვიქროლა და ტყე ააშრიალა.

რაკი ფეოდოსია-სიმფეროპოლის სატელეფონო ხაზი დავარღვიეთ, იქაურობას გავშორდით და ტყიან მთაზე ავედით. ჩვენ ვიცოდით, რომ გერმანელები ხაზის აღსადგენად გამოეშურებოდნენ და გვაინტერესებდა, მანქანით ხიდზე გადმოვლისას თუ აფეთქდებოდნენ.

ლოდინმა დრო გაწელა.

გოძიშვილმა ჯიბიდან ქისა ამოიღო და გაზეთის ნაგლეჯში თამბაქო გაახვია. ტალ-კვესის გაკვრა რომ დააპირა, კულიკოვსკიმ შეაჩერა:

— ვალოდია, რა დროს პაპიროსის მოწევაა?

— ვითომ რა დაშავდება?! ფაშისტებს ცა თავზე ჩამოექცათ და ჯერ არაფერი გაუგიათ, რაღა ჩემი ტალ-კვესის ჩხაქუნს გაიგონებენ?

ამ დროს მანქანის შორეული გუგუნე მოგვესმა. ეტყობოდა, ფრთხილად მოდიოდა. მისი ხმა ნელა გვიახლოვდებოდა. მერე სულ მიწყდა.

— მგონი, არ აფეთქდა, — შეექვდა მეთაური, — ნაღმი ხომ წესიერად ჩადეთ?

— ნაღმის უღვაშს ჭიანჭველამ რომ გადაუაროს, ფალია მაინც იფეთქებს, — მშვიდად მიუგო კირსანოვმა.

უცებ ცა ელვამ გაანათა. ტყემ დაიხუვლა. ფრინველებმა შეიფრთხიალეს და სადღაც გაფრინდნენ. ვიგრძენით, რომ მიწა შეირყა.

კულიკოვსკი ბავშვივით ატყლოპინდა, კირსანოვს გადაეხვია და სამჯერ გადაკოცნა.

ტყე მალე მიწყნარდა, დამშვიდდა ღამე, არემარემ ძილი შეიქცია.

გოძიშვილმა ტალს აბედი დაადო და კვლავ ჩამოჰკრა კვესი.

— ვალოდია, რა მოუთმენლობა შეგეყარა? ხომ გაგაფრ-

თხილე, აქ პაპიროსის მოწვევა არ შეიძლება-მეთქი? ვინ იცის რა ხდება? — ისევ დაუშალა კულიკოვსკიმ.

— რაც მოსახდენი იყო, მოხდა უკვე. ვინც ცოცხალი გადარჩა, ალბათ თანამებრძოლების თავებს აგროვებს. ვინ იცის, ნაღმმა სად მიყარ-მოყარა? ორიოდუ თავი, მგონი, ჩვენს ახლოსაც დაეცა... ხომ გაიგონეთ, რალაცამ ბრაგვანი რომ მოადინა? აქამდე ქვა ხომ არ გადმოვარდებოდა? ჰოდა, კბილებდაკრეჭილმა თავმა კიდევ რომ დაგვინახოს, რას დაგვაკლებს. იქნებ იმ თავს კბილებიც კი აღარ შერჩა.

— ეგრე ნუ იტყვი, ლადო, ეშმაკს თვალი არ უჩანს. გამარჯვებამ არ უნდა მოგიდუნოს სიფხიზლე, გაიგე? ახლა წავიდეთ! რომელი გზით დაგვაბრუნებ შინ? იმავეთი, თუ?..

— არა, იმავე გზით წასვლა აღარ შეიძლება... რაკი სიფრთხილეა, სიფრთხილე იყოს... ისეთი ბილიკით წავიყვანთ, გერმანელებმა კი არა, ქაჯებმაც ვერ გაიგონ ჩვენი გზაკვალი. — თქვა ლადომ და გახვეული პაპიროსი ქისაში ჩააგდო.

მეორე დღეს მზვერავეებმა ამბავი მოიტანეს:

— გერმანელებს ჰგონებიათ ტელეფონის ხაზი ახლად გამოსხმულმა დესანტმა მოშალაო. ჯავშნიან მანქანაში ოცდართი კაცი ჩაუსვამთ და გამოუგზავნიათ. მხოლოდ ერთი დაბრუნებულა უკან, ისიც დაჭრილი.

ჩვენ კი შევასრულეთ დავალება, მაგრამ ბაზარის ჯგუფი ჯერჯერობით არ ჩანდა.

მესამე დღეს იმ ხუთი კაციდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა, ისიც მარჯვენა ბეჭში დაჭრილი და ქანცგამოლეული.

— სხვები სადლა არიან? — ჰკითხა რაზმის მეთაურმა.

— სულს მოვითქვამ და ყველაფერს დაწვრილებით მოგყვებით. — დაჭრილი ქვაზე ჩამოჯდა.

ტანია მკრილობა მობანა და შეუხვია. ფაფა მოუტანა და თავისი ხელით აჭამა.

— ღამე ვიარეთ, — დაიწყო მოსულიერებულმა კაცმა, — ვჩქარობდით, გათენებისას უკან უნდა გამოვბრუნებულიყავით. ტყიდან შუალამისას გავედით და რკინიგზას მივუახლოვდით. ჩავწექით და დავუდარაჯდით. დავლანდეთ, ლიანდაგს ვილაც მოჰყვებოდა. ასანთი გაჰკრა და პაპიროსს მოუკიდა. გერმანე-

ლი პატრული იყო. გვერდით მეორე მოსდევდა. აშკარა იყო, რკინიგზას უვლიდნენ. პატრულები ჯიხურამდე მოვიდნენ და უკან გაბრუნდნენ. ალბათ ეს მათი სათვალთვალო უბანი იყო. ბაზარმა სამი კაცი იქვე დატოვა და მე მითხრა, გამომყევით. პატრულები ჩქამის გაუღებლად უნდა დაგვეხოცა. ხოხვით წავედით. მტერთან პირისპირ შეხვედრა ისე ადვილი არ ყოფილა, როგორც წიგნებში ჰყვებიან. ყოველი ძარღვი ამითრთოლდა, უჩვეულოდ დავიძაბე, თურმე ამ დროს თმაც კი ნერვიულობს. რამე რომ გაფაჩუნდებოდა, ვგრძნობდი, ბალანი მეჯავრებოდა და ქუდს მხდიდა. გული ხან ისე ხმაურობდა, მეგონა ამომვარდებამეთქი, ხანაც ისე მიყუჩდებოდა, ვფიქრობდი, სულ ხომ არ გამიჩერდა-მეთქი. ამ დროს მართლაც სჯობია, რომ უგულო იყო. ლიანდაგთან ჩუმად მივცოცდით, მიწას გავეკარით და დაველოდეთ, როდის ჩაგვივლიდნენ პატრულები, რომ ზურგში ჩაგვეცა გერმანული ხიშტი. ის ორი პატრული მალე დავადუმეთ სამარადისოდ. მერე სხვა ბიჭებიც მოგვეშველნენ და ლიანდაგქვეშ ნაღმები ჩავაწყვეთ. ამასობაში ირიყრაყა. იქიდან სირბილით გამოვიქეციით. დიდი გრუხუნნი გზაზე დაგვეწია. მატარებელი აფეთქდა. დავისვენეთ. უცებ ძაღლებს ყეფა მოგვესმა, წამოვცვივდით და იარაღი მოვიმარჯვეთ.

— არ შეგეშინდეთ, ბიჭებო! — გვითხრა ბაზარმა, — მომყევით! იქით ნასანგრალეები მეგულეხა!

გავყევით. სანგრები მართლაც ვნახეთ და ჩავსანგრდით ერთმანეთის მოშორებით, მტერს ბევრი ვეგონებითო.

ძაღლების ყეფა მოახლოვდა. რამდენიმე ფაშისტი გორაკზე გადმოდგა და ქოგრით მოგვაჩერდა. მერე ვილაყას რალაც ანიშნეს და ჩვენსკენ წამოვიდნენ. სამოცამდე გერმანელმა დაგვარტყა ალყა. ჩვენი სანგრების თავზე ტყვიები აზუზუნდნენ. ჩვენც ავაკაკანეთ ავტომატები. ახლა ჩვენი გამარჯვება ის იქნებოდა, თუ უკან უდანაკარგოდ დავიხვედით, მაგრამ ეს ყოველად შეუძლებელი იყო. ჰოდა, გადავწყვიტეთ უკანასკნელ ტყვიამდე გვებრძოლა. სამი ამხანაგი მოგვიკლეს, დავრჩით ორნი. კარგა ხანს ვიცავდით თავს. ბევრი გერმანელი გამოვასალმეთ სიცოცხლეს. ვაზნები გამომელია უკანასკნელი ყუმბა-



რა ვისროლე და კიდევ დავიჭერი. ვხედავ: გერმანელები ჩემს-  
კენ მოდიან. ბაზარმა ავტომატი დაუშინა. მერე, უცებ ავტო-  
მატი გადაავდო. ჩანს, ვაზნა გაუთავდა, უბეში რაღაც ჩაიღო.  
ხელები ასწია და გერმანელებისკენ თამამად წავიდა. ეჰ, რა-  
ტომ ერთი ტყვია არ შემოვინახე-მეთქი, გავიფიქრე. გერმანე-  
ლები ხელაწეულ ბაზარს ყოყინით შემოეჯარნენ — პარტიზანა-  
ცოცხლად ჩავიგდეთ ხელშიო. სწორედ ამ დროს ივრგვინვა  
და ბაზარის გარშემო ახორხოცებული გერმანელები მიწაზე  
პანტასავით დაცვივდნენ... მაშინ მივხვდი, რომ ბაზარმა უბეში  
ხელყუმბარების კონა ჩაიღო და თავისი სიკვდილი მტერს ძვი-  
რად დაუჯინა... თვითონ დაიღუპა, მე კი გადამარჩინა... ეჰ  
ბაზარის დაღუპვამ გული ჩამწყვიტა.

• •

იმ ზაფხულს კიდევ რამდენიმე ბრძოლა გადავიხადეთ.  
ერთხელ მტრის ალყაშიც მოვხვდით, მაგრამ მოხერხებულად  
დავუძვერით ხელიდან. ერთი პარტიზანიც არ დაგვიკარგავს.  
ზოგჯერ წინ მტერი იყო, უკან — ზღვა და ცისფერი სიკვდილი.  
სულთ არ დავცემულვართ, გვიპოვია ხსნის გზა. ფეოლოსი-  
დან მზვერავები გვატყობინებდნენ, ქართველების ერთი ჯგუფი  
ტყვეობიდან გამოსაქცევად ემზადება და ელოდეთო. ჯერ-  
ჯერობით არავინ ჩანდა. ზაფხულში რაზმის მეთაური მოკრო-  
უსი და კომისარი პოზივავი, ლუგავოს ბრძანებით, დიდ მი-  
წაზე გაიწვიეს. ვინც კი ქალაღის ნაგლეჯი იშოვა, ავტომატის  
დუგლუგზე დადო და ბარათის წერას შეუდგა. ვხედავ, ლადოს  
უცნაური ფანქარი უჭირავს ხელში და ისე წერს.

— ეგ რა არის, ბიჭო?! ფანქარია თუ ტყვია?

— ფანქარი არ მქონდა და... რა უშავს, ტყვიით დაწერილი  
არასოდეს წაიშლება!

— რა უცნაური კაცი ხარ ზოგჯერ!

წერილები დასტად შევკართ და მოკროუსს ჩავაბარეთ.  
დამშვიდობებისას ივანეს ცრემლი მოერია. თვალი პარაშუტის  
ნაჭრისგან შეკერილი ცხვირსახოცით შეიმშრალა. ყველას სა-

თითოდ ჩამოგვართვა ხელი, მამაშვილურად დაგვლოცა და წავიდა.

მალე მეგზურებმა რაზმში ვლადიმერ სტეფანეს ძე კუზნეცოვი მოიყვანეს — ჩვენი ახალი მეთაურიაო. კუზნეცოვს წითელი ვარსკვლავის ორდენი და რამდენიმე მედალი ჰქონდა მიღებული. ამ კაპიტანს აღრევე ვიცნობდი, ზუიას ტყეში ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმს მეთაურობდა. ბრძოლაში ნაცადი კაცი იყო და, გულახდილად რომ ვთქვათ, რაზმში მისი მოსვლა ძალიან გამეხარდა. ხელი მეგობრულად ჩამოვართვი.

ვოძიშვილმა ცალკე გამიხმო:

— ცუდად მაქვს, სანდრო, საქმე!  
— რა მოგივიდა, ბიჭო?  
— მე და ჩვენი ახალი მეთაური ერთად დიდხანს ვერ მოვძოვთ.

— რატომ? ცოტა ელამი თვალი აქვს, ეგ ხომ არ გაშინებს?

— თვალი რა შუაშია...

— აბა, უნდელი კაცი არ ჩანს და...

— აქ ტყეა, ძმაო. თუ კაცმა თავიდანვე აგითვალწუნა, უცებ ისე გაგიჭრობს სანთელს, კრინტის დაძვრასაც ვერ მოასწრებ...

— ლადო, შენ დღეს რაღაც არეულად ლაპარაკობ, გარკვევით მითხარი, რა ვინდა?

— კუზნეცოვს კარგა ხანია ვიცნობ.

— მით უკეთესი, ძველი მეგობრები ყოფილხართ.

— პირიქით, ძველი მტრები ვართ. შესაძლოა ახლა შური იძიოს.

— აქამდე არაფერი ვითქვამს...

— გეტყვი აგერ. ამ ზამთარს, ხომ იცი, როგორ გვშიოდა ხოლმე! რამდენჯერ თოვლქვეშ პანტა რომ ვეღარ მიპოვნია, ხის ქერქი გამიხრავს. ჰოდა, იმ დროს ოპერაციაზე წავედით. ცოტა ორცხობილა და ერბო ვიშოვე. სამშვიდობოზე რომ გამოვედით, კუზნეცოვმა ბრძანა: ვინც რა იშოვნა, ყველაფერი შტაბს ჩააბაროსო. ბიჭებმა ცოტ-ცოტა რამ არ ჩააბარეს. ჰოდა, არც მე ჩავაბარე ორცხობილა და ერბო. მაგან სხვას არაფერი უთხრა, მე კი მეორედ მიბრძანა, რაც ზურგჩანთაში გაქვს, ყვე-

ლაფერი ამოალაგეო. არ გავხსენი ზურგჩანთა. კუზნეცოვის  
ბრძანებით ორი პარტიზანი მეცა, ხელეზი გამიკავეს, იარაღი  
ამყარეს და თოკით ხეზე მიმაბეს. რაც ზურგჩანთაში მელაგას  
ამოიღეს შტაბს კი არ ჩააბარეს, იქვე გაინაწილეს და შეუ-  
მეს ჩემმა გამოთოკავებმა. მე ნამცეცოც არ დამიტოვეს. იმ და-  
მეს გუშავი დამიყენეს. მერე, ორ დღეს პატიმარივით მატარეს  
და ერთი ლუკმა არაფერი მომცეს. ალიოშა ხმელიოვს ჩუმად  
თავისი ულუფა საჭმელი რომ არ მოეწოდებინა, შიმშილით წა-  
ვიქცეოდი. ახლა მაგან იცის, მე ეს რომ მახსოვს, ბოღმა რომ  
მაქვს გულში და ეცდება თავიდან მომიშოროს ან ასე, ან ისე.  
ჩვენ რომ ასე ვსაუბრობდით, თითქოს მიწიდან ამოძვარო.  
კუზნეცოვი დაგვადგა თავს.

— ვალოდია, რატომ გამირბისარ ვანზე? — ჰკითხა გოძი-  
შვილს. — ის ამბავი აქამდე არ დაგავიწყდა?

ლადომ ხმა არ გასცა. კუზნეცოვმა გაიღიმა.

— ვალოდია, მოდი, გულწრფელად ვთქვათ, შეუცდომელი  
ვინ არის, მაშინ რალაც შენც დააშავე და მეც. მერე ვინანე და  
ბოღიშის მოხდაც კი დავაპირე, მაგრამ ველარსად შეგხვდი.  
შენისთანა კარგი პარტიზანი აქ ბევრი კი არა გყავს. ჩვენ აქ  
მტრებთან საბრძოლველად ვართ წამოსული, ერთმანეთთან სა-  
კინკლაოდ და საჩხუბრად კი არა. მოიტა ხელი!

გოძიშვილმა და კუზნეცოვმა ერთმანეთს ხელი მაგრად ჩა-  
მოართვეს.

მეთური რომ გაგვშორდა, ლადომ მითხრა:

— კარგი კაცი ყოფილა, ძმაო, რას ერჩი! ძალიან გულწრ-  
ფელად მითხრა ყველაფერი.

ნათქვამია: ხშირად მეგობრობა ჩხუბით იწყებაო. იმ დღე-  
დან ლადო კუზნეცოვს თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ  
ამოისვამდა.

• •

სამიოდე თვეში ჩვენს პარტიზანულ რაზმს ტყვეობიდან  
გამოქცეულ ქართველთა რამდენიმე ჯგუფი შემოუერთდა.  
მოგიყვებით მათ ამბავს.

ფეოდოსიის არალეგარული ორგანიზაციის აქტიური წევრი ნიკოლოზ პანტელი ტყვეთა ბანაკში შესვლას ხშირად ახერხებდა და აღამიანებს აკვირდებოდა. მან ადრევე შეამჩნია, რომ ალექსანდრე ხუნდაძეს ტყვეთა ბანაკში ყოფნას სახრჩობელაზე ასვლა ერჩია. მაგრამ მაინც ამოწმებდა.

— საშა, როგორ ხარ? — ჰკითხა ერთ დღეს.

— ჯოჯოხეთში როგორ უნდა იყოს კაცი! მამაჩემს ჩემთვის თითოც არასოდეს დაუკარებია, ცინგლიანი გერმანელები კი ისე მიქაპუნებენ მათრახს ზურგზე, თითქოს პირუტყვი ვიყო. გუშინ იმაზე მცემეს, ბარის ტარი რატომ გავიტყვადო.

— ძნელია, ძნელი, მაგრამ რას იზამ. იცი, ერთი შოფერი ყოფილა ქალაქში, ტყვე თუ სადმე შეხვდა, მანქანაში სვამს და ტყისკენ მიაქროლებს... პარტიზანებს ამრავლებს.

— ეჰ, ნეტავი შემხვდეს ის შოფერი. შენ ხომ არ იცნობ?

— ვნახოთ, იქნებ გავიცნო.

ეს იყო და ეს, იმ დღეს სხვა არაფერი უთქვამს. გერმანელმა რკინით მოჭედილი ჩექმების ბრახაბრუხით გაიარა.

მეორე დღეს ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

— კოლია, იცი, გუშინ ორი ტყვე დახვრიტეს.

— რატომ?

— ასე უთქვამთ, სტალინგრადში გერმანელთა უამრავი ჯარი გაუნადგურებიათ ჩვენებს და რამდენიმე გენერალიც დაუჭერიათ. კავკასიის მისადგომებთან წიწკა უჭამიათ. მალე ფაშისტებს ისეთი დღე დაადგებათ, თავგის სოროს დაუწყებენ ძებნასო. ვითომ ეგ ამბავი მართალია?

— ეგ ძველი სიმართლეა. მის მერე ჩვენებმა, კიდევ წამოიწიეს წინ. ხვალ ბაზართან მოსვლას მოახერხებ? ასე, ღამისათ საათზე.

— თუ სამუშაოდ გაგვიყვანეს.

— აბა, გელოდები... ვისაც ენდობი, წამოიყვანე.

მართალია, ყველას ვერ ენდობი. ზოგი ერთი ლუკმა პური-სა და ერთი თეფში „ბალანდისათვის“ ამხანაგს აბეზღებს, ტყისკენ უჭირავს თვალიო.



იმ ღამეს ძილი გაუტყდა ალექსანდრეს. ფიქრმა საღ არ წაიყვანა. ხან უგზოუკვლოდ ტყეში დახეტიალობდა და ბნელ ნელები დასდევდნენ, ხან თავისით ავიდა სახარხობელაზე და ყულფში გაყო კისერი...

დილით რომ აღგა, თავი უბრუოდა. ძლივს გაბარბაცდა ბარაკიდან და „ბალანდის“ მისაღებად რიგში ჩადგა.

ზუნდაძე ალექსანდრე, ხარებავა სავლე, აზანაშვილი მაქსიმე და მჭედლიშვილი ნიკა ფეოლოსიის ნავთსადგურში სამუშაოდ გაამწესეს. ეს გაიგო პანტელიმ.

— საშა, იქ გერმანელთა საზღვაო ფლოტის საზენიტო არტილერიის ცენტრალური საწყობია სარდაფში. იქ ინახება ტყვია-წამალი, ყუმბარები და ათასი სამხედრო საქურველი. იმის ზემოთ დიდი სახანძრო მილია. ის მილი თუ გაბურღა კაცმა, წყალი საწყობში ჩავა და ყველაფერს გაანადგურებს. აი შენ ბურლი, თუ მოგიხერხდეს... იცოდე, ეს საიდუმლო ორგანიზაციის დავალებაა.

ტყვეები მთელ დღეს სავსე ტომრებს ეზიდებოდნენ. გემს გერმანიაში გასაგზავნი ხორბლით ტვირთავდნენ.

ალექსანდრეს ასე გრძელი არასოდეს სჩვენებია დღე. რომ მოსალამოვდა, მილი გაბურღა და შვებით ამოისუნთქა.

იმ ღამეს ნავთსადგურშივე უნდა დარჩენილიყვნენ, რათა დილით ადრე შესდგომოდნენ მუშაობას. დაწვინენ და თავი მოიმიძინარეს. ზედამხედველი სადღაც წავიდა. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ფრთხილად წამოდგნენ და თავი სიბნელეში შერგეს.

ბაზართან მანქანა დახვდათ. იქვე იყო ნიკოლოზ პანტელიც.

— აბა, ჩასხედით ჩქარა. ნუ გეშინიათ, ამაღამ გზაზე არავინ გაგაჩერებთ. შოფერს ისეთი საბუთი აქვს, თითქოს ტყვეები სტარი კრიმში მიჰყავს სამუშაოდ. ყოველ შემთხვევისთვის იცოდეთ მისი ვინაობა — კოლიაა ბონდარენკო. აბა, კეთილად იარეთ!

შოფერმა მანქანა ტყის პირას შეაჩერა.

— აბა, ჩამოხტით. იმ მთისკენ წახვალთ! ნახვამდის!

ტყეში შევიდნენ. ბუნება ისე იყო გარინდებული, როგორც დიდი ჰეჰა-ქუხილის წინ იცის ხოლმე. მაგრამ ცას ამჯერად

საადროს პირი არ უჩანდა. ხეჩა-ხეჩა ვარსკვლავებით იყო მოჭედული.

— ბიჭებო, ეს ქოშები ძალიან ტყაპუნობს, ქვე გავიხადლოთ, — თქვა აზანაშვილმა.

დაუჯერეს. ახლა საჭირო იყო უხმაუროდ სიარული.

მთა ლანდად მოჩანდა. ეჩვენებოდათ, აი, აგერ შივალთ, აი, აგერო. მაგრამ მთა თითქოს ლტოლვილთა მიახლოებისას უფრო შორს გარბოდა.

— ნეტავი მალე გათენდეს! — ინატრა ნიკა მჭედლიშვილმა.

— ქვე ბალანდის რიგში მიგეჩქარება? — მიუგო აზანაშვილმა.

— პარტიზანებთან ღამით მისვლა არ გვარგია. იქნებ გერმანელების შემოგზავნილი ჯაშუშები ვეგონოთ და ტყვია დავვიშინონ.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, — დაამშვიდა ალექსანდრემ აზანაგები, — პარტიზანებს უკვე ეცოდინებათ, ჩვენ რომ მოვდივართ.

— საიდან ეცოდინებათ, შე კაი კაცო, დეპეშას ხომ არ გამოუგზავნიდნენ ფეოდოსიიდან?

მთის მწვერვალზე ავიდნენ და გათენებას დაელოდნენ. ხუნდაძემ ჯიბიდან პანტელის მოცემული ქაღალდი ამოიღო და გაშალა. ზედ რაღაც ხაზები და წერტილები იყო აღნიშნული. ვერაფერი გაუგო და ისევ ჯიბეში ჩაიღო.

ვარიერაჟისას გზა განაგრძეს. ისეთი ხშირი ტყე გაიარეს, იქ ძალღისთვის ძვალი რომ შეგეგდოთ, ვერ გამოიტანდა. სულ დაეკაწრათ ხელები და პირისახე. წვრილიანის ტოტებს იქით-აქით სწევდნენ და ისე მიდიოდნენ.

\* \* \*

ბობროვმა თოფის სროლით გვანიშნა, ტყეში უცხო ხალხი შემოვიდაო. გუშაგის დასახმარებლად გოძიშვილი, ბონდარენკო და მე წავედით.

ბობროვი ბორცვზე იდგა, იქით პატარა მინდორზე ოთხი კაცი იჯდა.

— ვინ არიან? — იკითხა ლადომ. და ავტომატი მოიმარჯვებოდა.  
— ასე ამბობენ, ქართველები ვართო. ორმა, ერთმა, ერთმა, ერთმა  
სული სულ არ იცის. აბა, ერთი დაელაპარაკე შენებურად.  
— ბიჭებო, ქართველები ხართ? — დაუძახა ლადომ შორი-  
დან.

— ქართველები ვართ, ქართველები! — ოთხივე წამოდგა  
და ჩვენსკენ გამოეშურა.

— შეჩერდით! ახლოს არ მოხვიდით! — შესძახა ლადომ და  
ავტომატი შემართა.

— ამ ულრან ტყეში ქართველი კაცი თუ შემხვდა, კოცნით  
ლოყებს დამიცვეთავს-მეთქი, ასე მეგონა და ეს ვილაცაა თოფს  
არ მიმიზნებს? ქვე რავარი ქართველი ხართ, შე კაცო? — წაი-  
ბურტყუნა რაჭველმა.

— საიდან მოდიხართ? — ვკითხე მე.

— ფეოდოსიიდან.

— ვინ გამოგაგზავნათ?

— პანტელიმ.

— საბუთი!

საბუთი წარმოგვიდგინეს. ერთმანეთს ძმურად გადავე-  
ხვიეთ.

\* \*

რაზმი თანდათან გამრავლდა. ასორმოცდაათ კაცამდე  
ავიდა.

კუზნეცოვმა მიხმო.

— ალიოშა, თვითმფრინავი იგვიანებს. ზვალისთვის ნამცე-  
ცი აღარაფერი გვაქვს. რალაც უნდა იღონო. შეარჩიე რამდე-  
ნიმე მარჯვე ბიჭი და...

ხარებავა, ბონდარენკო და ხუნდაძე წავიყვანე. ალიონზე  
ყარაბურუნის მწვერვალზე ავედით. იქიდან სოფელ კოკტებე-  
ლის არემარე ზელისგულივით მოჩანდა. ზღვისპირა საძოვრები  
ცხვრის ფარებს დაეფარა. გერმანულ ჯარისკაცებს ხელში კომ-  
ბლის მაგივრად თოფები ეჭირათ და ცხვარს ტყისკენ არ უშ-  
ვებდნენ. დაღამებამდე ჩვენი ტყიდან გასვლა შეუძლებელი

იყო. ფარეხში ღამით შევიპარეთ და ოთხასამდე სული თხა და ცხვარი ტყისაკენ გამოვირეკეთ. ზოგ თხას პატარა ზანზალაკი ეკიდა. ეს ზანზალაკები უსიამოდ წკარუნობდნენ. მოვხსენით. რაზმში მშვიდობით დავბრუნდით.

— ეს რა ფარა მოგირეკია? — გაიცინა გოძიშვილმა. — ყაზბეგით მეცხვარეობა დაიწყე? შენი სეხნია კი იყო...

— დავიწყე, რატომაც არ დავიწყე!? ახლა ამხანაგი მინდ, ვიშოვო, მოდი, რაც იქნება, იქნება, გახდი ჩემი მონამგლე!

— მაზარალეზ. ვერა ხარ კარგი მეცხვარე. შემოდგომაზე ცხვარს ბარად მიერეკებიან, შენ კი მთაზე ამოიყვანე.

— ჰო, კარგი, რაკი მონამგლეობაზე უარს მეუბნები, ხანჯალი ვალესე!

— მე გაუღესაც ხანჯალს არ ვატარებ.

— აბა, დაერიე ამ ცხვრებს და გაავლე მუსრი, თორემ, თუ დაკვლა ვერ მოვასწარი, იქნებ ჩაბარება დაგვჭირდეს უკანვე.

— ვითომ რატომ?! გერმანელებს ხელწერილით გამოართვი?

— აბა, ისე რას მენდობოდნენ.

— ასე დაკარგე გერმანელებთან ნდობა?

— რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

— მერე ამ ცხვრებს რომ მე მაკვლევინებ, თავს იზღვევ? გინდა პასუხისგებაში შენი ძმაკაცი მისცენ? კარგი, კარგი, როგორმე გადაგიხდი ამ პატივისცემას! — გაიცინა ლადომ, იშიშვლა ხანჯალ-ხიშტი, ჰედილას ხელი დაავლო, წუთში გამოლადრა ყელი და ძირს დააგდო.

ფარამ ზღავილი ასტეხა. მაგრამ გოძიშვილს ბიჭები მიეხმარნენ და ერთ საათში ყველას გამოსჭრეს ყელი.

ლადომ ბოლო ცხვარი გაატყავა, ხიშტი ქარქაშში ჩააგო და ხელის დასაბანად წყაროსკენ გაეშურა. წინ ტანია და ტყეში ახლად შემოსული ლიდა შევედჩენკო შემოხვდნენ.

— უი, ვალოდია, ეს რა მოგვლია?! — შეიცხადა ტანიამ. — პირისახე სულ სისხლით გაქვს მოსვრილი?!

— ამას „სისხლის პურისჭამა“ ჰქვია.

— თავი გაქვს გატეხილი?

— თავი მტერს გაუტყდეს... ნუ გეშინია, თქვენი მალამო



არ მჭირდება, ცხვრები დაეკალი და... აი, ეს ჯიგარი წაიღეთ და ერთი კარგი ყაურმა გამიკეთეთ!

— ყაურმა კაც ნადო დელატ? — იკითხა ლიდაშ.

— გულ-ღვიძლი წვრილად დაჭერით, ქვაბში ჩაყარეთ და ცეცხლზე დაადგით. კარვად რომ მოიხარშება, მერე ხახვი და მარილი დააყარეთ, თუ გეშოვებათ.

— წყალი რამდენი დავასხათ?

— არ დაგვლუპო, ლიდა, ამ ხორცს გარეცხვაც არ უნდა.

— აბა, სისხლიანს ხომ არ მოვხარშავ?

— ყაურმა იმით არის გემრიელი, ჯიგარი თავის სისხლში რომ იხარშება.

— ალიოშა, — მომიბრუნდა ტანია მე, — ვალოდია ხომ არ გვატყუებს?

— წყლის დასხმა ნამდვილად არ უნდა, გარეცხვა კი აუცილებელია.

იმ დღეს პარტიზანებს ცხვრის ხორცი თავზე საყრელად მჭონდათ.

ლიდა შეედინეკო რაზმში მოსვლისას ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა. უშიშარი ქალიშვილი იყო. ეს შეავგვრემანი, ტანმორჩილი და მკვირცხლი გოგო ბანაკში უსაქმოდ გაჩერებული არასოდეს დამინახავს. პარტიზანებს დახეულ ტანსაცმელს უკერავედა, ტანიას ეხმარებოდა და ხშირად სადილს ის გვიკეთებდა. ოღონდ ეს იყო, ოპერაციაზე არ უშვებდნენ ჯერ-ჯერობით.

ქალიშვილი წყრებოდა:

— მე ვიზე ნაკლები ვარ? მტერთან შებრძოლება შემიძლია და გუშავად დგომაც. აბა, ტყეში რისთვის შემოვედი?

ლადომ პირველად რომ ლიდა ნახა, თქვა მანდილოსანს პატივისცემა უნდაო, ნაგვიანევი ყვავილები დაკრიფა და თავი-გული მიართვა. ყველა ქალს უყვარს ყურადღება და ეს ამბავი ლიდასაც ესიამოვნა, ლადოს მადლობა გადაუხადა.

ერთ საღამოს, დაზვერვიდან მომავალი ლადო გუშაგმა შე-  
აჩერა:



— სდექ! ვინ მოდის?

— ზუმბა! ვალოდია ვარ. — გაიხედა, საგუშაგოზე ლიდა  
დგას. — ოჰ, გამარჯობა, ლიდა!

— გავიმარჯოს!

— როგორ ხარ?

— გაიარე!

— კულიკოვსკიმ კაცი ველარ იშოვა საგუშაგოზე დასაყენებლად?

— მე არ შემიძლია გუშაგობა, თუ?

— ბავშვი ხარ ჯერ, ღამით რომ რამემ შეგაშინოს, მეცოდები! — ლადომ გზიდან გადაუხვია და ლიდასკენ წავიდა.

— სად მოდიხარ, გზა აქეთ არ არის!

— დალლილი ვარ, ცოტას დავისვენებ შენს გვერდით. მომიყევი, რაზეში რა ახალი ამბებია.

— თუ ერთი ნაბიჯი კიდევ წამოგიდგამს წინ, გესვრი! — შესძახა ლიდამ და თოფის საკეტი გააჩხაკუნა.

გოძიშვილი ადგილზე გაქვავდა.

— ლიდა, რა დაგემართა, ხომ მიცანი ვინცა ვარ?

— გუშაგს უფლება არა აქვს, ვინმეს მასლაათი გაუბას. შეტრიალდი!

— ორიოდე სიტყვას გეტყვი!

— წადი, თორემ გესვრი!

— ხუმრობ თუ მართლა ამბობ!

— ერთი, ორი...

ვიდრე ლიდა სამამდე დაითვლიდა, ლადო შემოტრიალდა. რაზეში რომ მოვიდა, ეს ამბავი კულიკოვსკის უამბო.

— ეჰ, ვალოდია, ვალოდია, არ შეგონა, თუ ქალი შეგაშინებდა!

— რას იზამ, ზოგჯერ ჩათრევას ჩაყოლა სჯობს:

— ყოჩალი გოგოა ლიდა. მაგას ყველაფერი შეიძლება ანდოს კაცმა. აი, ახლაც, რომ ესროლა და მოეკალი, პასუხს არ აგებდა. კანონი, კანონია!

— პირდაპირ განგებამ ვადამარჩინა! — გაიცინა ლადომ.  
მე თაიგული მივართვი, ლილამ კი კინაღამ შუბლი ტყვეობის  
გამიხვრიტა! მოდი და, ენდე ამ წუთისოფელს!

\* \*

ირაკლი ნოზაძე ტყვეთა ბანაკიდან რამდენჯერმე გაიქცა,  
მაგრამ დაიჭირეს და უკან დააბრუნეს. დახვრეტას უპირებ-  
დნენ, სხვა ბანაკში მიმავალ ხალხს შეერია და გადარჩა. ჯერ  
ისლამ-ტერეკში მოხვდა, შემდეგ — სტარი კრიმის ბანაკში.

1943 წლის სექტემბერში გერმანელებმა ტყვეები ტყეში  
სამუშაოდ გარეკეს და უამრავი ზედამხედველი გააყოლეს. იქ  
ნოზაძე ტყის მცველს შეხვდა.

— ამ ულრან ტყეში მარტო რომ ხარ, პარტიზანების არ  
გეშინია? — განგებ ჰკითხა ირაკლიმ.

— ისინი მე რას შერჩიან!

— არიან კი ამ ტყეებში პარტიზანები?

— ვისაც უნდა, მიაგნებს.

ნოზაძემ გაიგო, რისი გაგებაც სურდა. ყარამან ბეკოშვილი,  
ლადო საქუაშვილი ბეგლარა ხაბეიშვილი და ვარლამ ქუთათუ-  
ლაძე გაიცალკევა.

— ეჰ, ბიჭებო, ტყეში ვარ და ჰაერი არ მყოფნის, სუნთქვა  
მეკვრის ხოლმე?

— რა დაგემართა?

— ტყვე კაცს რა უნდა მოუვიდეს, ასე გაძლება აღარ შე-  
მიძლია.

ერთი შოფერი გაიცვენეს, კოლია. ემტეესში ვმუშაობო, ასე  
თქვა. ის დაპირდა ბიჭებს, მე გაგაპარებთო. დაუთქვა ადგი-  
ლი. კოლიამ დანიშნულ ადგილას მოაყენა მანქანა, შივ რუმი-  
ნელები ისხდნენ.

— აბა, ჩაჯექით!

— მტრებთან გვაჯენ? — დაეჭვდა ირაკლი.

— სახიფათო ადგილებს მაგათთან ერთად გაგატარებთ,  
არავინ გაგვაჩერებს, მერე ეგენი ჩამოვლენ და თქვენ ტყის-  
კენ გაგაჭროლებთ. ჰა, ჩქარა, ნუ გეშინიათ.

სიმფეროპოლისკენ მიმავალ გზატკეცილს გაჰყვნენ. ყველა გზაჯვარედინი ისე გაიარეს, მანქანაში მხსდომნი არავის შეუმოწმებია, თუმცა შოფერს ყოველთვის სთხოვდნენ საბუთს. რუშინელები ჩამოვიდნენ. კოლიამ მანქანა მეოთხე სიჩქარით გააქროლა და ტყესთან შეაჩერა..

— აბა, ბიჭებო, ჩამოდით.

ხუთივე ტყვე მანქანიდან ჩამოხტა.

— აქეთ წახვალთ. პარტიზანებს ჯიქურ ნუ შეეჩებებით! უკვე დამე იყო. ირაკლი ბიჭებს წინ წაუძღვა ქოშების ტყლაპუნით.

ორიოდეჯერ ცაზე კუდიანმა ვარსკვლავმა გაიელვა. მთელ დამეს იარეს. მიღეულმა ნამგალა მთვარემ გარიყრაყისას ამოყო რქა და ვარსკვლავთა ჯარში გაერია. გრილმა სიომ დაუბერა. გათენდა. ლტოლვილებს, რაკი თავისუფლება იგრძნეს, ეს დილა სულ სხვანაირი ეჩვენათ.

— უპ, რა კარგია, ძაღლების ყეფა რომ აღარ მესმის! — თქვა ქუთათელაძემ.

— მე ნალიანი ჩექმების ბრახუნით ისე მაქვს თავი გაშოტენილი, ჯერაც არ გამომნელდა. ასე მგონია, მოგვდევენ! — თქვა საქუაშვილმა.

— ერთი მოვიდნენ, დედას ვუტირებ, დედას! — ბეგლარა ხაბეიშვილმა მუშტი მალა აისროლა. სწორედ ამ დროს მზე მოადგა და ჯერ მარტო ის მუშტი გაუნათა, მერე პირისახე. ბეგლარა ამ დროს ისე იყურებოდა, გეგონებოდათ, ახლა აქ რომ გერმანელები მოვიდნენ, მარტო ამ მუშტით დახოცავსო.

წიფლნარში შევიდნენ, ხის ქვეშ ფოთლები მიყარეს და ზედ დაწვნენ. სექტემბრის დღე ძილში გაეპარათ. ადგნენ, ტანსაცმელი დაიბერტყეს. ხევში ჩავიდნენ და ხელ-პირი დაიბანეს. ცოტა საგზალი ჰქონდათ, ის შეჭამეს.

— ეპ, ჩემო ყარამან, ვინ იცის, შენი ულუფა „ბალანდა“ ვის შეაჭამეს დღეს, შენ კი აგერ მშიერი დარჩი, — უთხრა ქუთათელაძემ ბეკოშვილს.

— ჩემი ულუფა „ბალანდა“ ახლა ჰიტლერს წაუღონ და თავზე დაასხან. მე იმ ძაღლიშვილების აღარაფერი მინდა... იქ

შემწვარ-მოხრაკულის ქამას, აქ ბალახი რომ ვძოვო, ეს მარ-  
ჩენია!

სამ დღე და ღამეს იარეს, ქოშებში ფეხისგულეები დასუბუ-  
გვით. პარტიზანებს ვერ მიაგნეს. პურის ნამცეცი აღარ ჰქონ-  
დათ. ბეკოშვილმა წითელქუდა ნიყვი იპოვა. გემრიელად მი-  
ირთვეს. მერე სხვა სოკოსაც შეეჭცნენ. არ უწყენია.

— ბიჭებო, იქნებ ამ ტყეებში პარტიზანები სულაც აღარ  
არიან და ჩვენ ტყუილად ვეძებთ? — თქვა ბეკოშვილმა. — ჩა-  
ვიდეთ სოფელში, ესეც გავიგოთ და ეგება პურიც ვიშოვოთ.  
ირაკლი, შენა ხარ უფროსი, გადაწყვიტე.

— ჰო, სხვა გზა არა გვაქვს!

სოფელში ღამით შევიდნენ და განაპირა ქოხს მიაღწენ.  
მარტოხელა მოხუცი დაუხვდათ.

— ძია კაცო, თუ იცით, სტარი კრიმის ტყეებში პარტიზა-  
ნები არიან?

— რა ვიცი შვილებო, გერმანელები ტყეებში ძაღლებივით  
დასუნსულობენ და მათ კვალს ეძებენ. სოფლებსაც აფორია-  
ქებენ, მაგრამ ვერ აგნებენ. თუ ვინმე პარტიზანი ჩაიგდეს ხელ-  
ში, ისე კვდება, არაფერს ამბობს. ვერც დაპირებებით ატყუ-  
ებენ, ვერც უღმერთო ტანჯვა-წამებით აღწევენ მიზანს. ქვასა-  
ვით სდუმს პარტიზანი. გერმანელები ისე ცოფდებიან, ჯაცის  
ცოცხლეულად შექმა რომ შეეძლოთ, კბილებით გაგლეჯენ,  
პარტიზანი კი მაინც სდუმს. ხშირად ვიგებთ: პარტიზანებმა  
გალმა მატარებელი გადააგდეს ლიანდაგიდანო, გამოღმა ავტო-  
მანქანები ააფეთქესო. ხიდებს ხომ ანგრევენ და ანგრევენ.  
ზოგჯერ სოფლებშიც შედიან და იქ მყოფ გერმანელებს ხოცა-  
ვენ. ტელეფონის ხაზი ყოველ კვირაში ფუჭდება. გერმანელე-  
ბი თავიანთ გუშაგებს ხშირად გაგუდულს პოულობენ. ყველა-  
ფერ ამის ჩამდენი ხალხი კი არსად ჩანს. სოფლებში მხოლოდ  
დედაბრები და მოხუცები ვართ დარჩენილი. ჩვენ რა უნდა და-  
გვაბრალონ, მიწაზე ძლივს დავლოლიალობთ. ამას წინათ გერ-  
მანელებმა ტყეში ზარბაზნებიც კი შეიტანეს და დაუშინეს  
იქაურობას. უკან რომ მობრუნდნენ, ოცდაათამდე დაჭრილი  
მოიყვანეს და გვითხრეს, ტყეში ერთი ცოცხალი პარტიზანიც  
არ დაგვიტოვებია, სულ გავეუფეთო.

— მერე, მართალია? — შეწუხდა ნოზაძე.

— გაგიგონია! პარტიზანებმა ორიოდე დღის შემდეგ უარესი ამბები დაატრიალეს. რკინიგზა ააფეთქეს და მატარებელი ხევში გადაჩეხეს. ღამით გერმანელებს ცხვრის ფარა წაართვეს... პარტიზანებს ტყეში რა გამოლევს. ამბობენ, თანდათან მრავლდებიანო. ღამ-ღამობით ჩვენების თვითმფრინავები იმ ტყეებს დასტრიალებენ თავს და პარაშუტებს ყრიან... თუ იქ პარტიზანები არ ეგულებათ, მტერს ხომ არ ჩამოუყრიან სურსათსა და სხვა რამეს? არიან პარტიზანები ტყეში, არიან, ოღონდ ძნელია მათი პოვნა.

ლტოლვილები იმავე ღამეს გამობრუნდნენ სოფლიდან და დაელოდნენ დიდი მიწიდან მოფრენილ თვითმფრინავებს, რომ დაახლოებით მაინც გაეგოთ, რომელ რაიონში იმყოფებოდნენ პარტიზანები.

დილაუთენია რაზმისკენ მოვეშურებოდით. თვითმფრინავმა იარაღი, წამლები და სხვა რამ ჩამოგვიყარა და ის მოგვეჭონდა. ტყის ბილიკზე ხუთი უიარაღო კაცი შევნიშნეთ. მივებარეთ და ალყა დავარტყით.

— ხელები მაღლა!

ერთმა მე შემომხედა და ქართულად მომამხა:

— ქართველები ვართ, არ გვესროლო! ტყვეობიდან გამოვიქეციით!

ეს ირაკლი ნოზაძე იყო.

— გამარჯობათ, ქართველებო!

ირაკლის ისე მოვეხვიე, ასე მეგონა ჯარში წამოსული ჩემი ძმა არჩილი ვიპოვე-მეთქი. საქართველოდან მოშორებით შენი მიწა-წყლის ადამიანი რომ შეგხვდება, ყველა ძმად მიგაჩნია.

ნოზაძე და მისი ამხანაგები მაშინვე დაგვეხმარენ, ტომრები წაგვალბინეს. სამაგიეროდ, რაზმში რომ მივედი, ჩვენც გამოვიჩინეთ მარიფათი.

დიადია საშამ განკარგულება გასცა, ახალ პარტიზანებს

კარგად ასვით და აჯამეთო. გოძიშვილმა ნატყვევარ ბიჭვინტყვევარი ცხვარი მოუხარშა. დიდი მიწიდან გამოვზავნილი ახლად მიღებული საცვლები დაეურთვეთ ყველას. კარგად  
გამხარულა  
გამხარულდა ყირიმის ტყე.

1943 წლის შემოდგომის წვიმა გერმანელებს ეღვრებოდა გულში. საბჭოთა ჯარის ახალ-ახალმა შეტევამ დააბნია ისინი. მიხვდნენ, კოვში ნაცარში ჩაუვარდათ. ფაშისტურმა ურჩხულმა სხვანაირად დაიწყო ბრდღვინვა. სითამამე მოაკლდა, და ბოროტება მიემატა. ყველაფრის ეშინოდათ და აღარავის ინდობდნენ. სულ ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს სიარული. ერთი კაცი საპირფარეშოშიც ვერ ბედავდა შესვლას. დიდი თვალეზი აქვს შიშს!

სოფლებში მოხუცსა და ბავშვს დაერივნენ, ყველას გერმანიაში დაუპირეს გასახლება. უამრავი ხალხი გამოიქცა ტყეში. ყირიმის მთები ლტოლვილებით აივსო.

კუზნეცოვის ბრძანებით, ვინც კი ახლომახლო ნახეს, ერთად დააბანაკეს. ჩამოყალიბდა ახალი პარტიზანული რაზმები. ახალბედებს ძველი პარტიზანები დაუნიშნეს მეთაურებად. რაც გაგვაჩნდა, ტყვია-წამალი თუ სხვა რამ, ერთმანეთს გავუნაწილეთ. რაკი იარაღი ყველას არ ჰყოფნიდა, როცა ერთი ჯგუფი ისვენებდა, მისი იარაღით მეორე ჯგუფი მიდიოდა სალაშქროდ. იარაღს არ ვაცდენდით.

ნიკოლოზ კატელნიკოვის მხარეს ახლა უკვე პარტიზანთა ერთი რაზმი კი არა, მთელი ბრიგადა მოქმედებდა. მისი მეთაური, რა თქმა უნდა, კატელნიკოვი იყო.

ჩვენთანაც ბრიგადა ჩამოყალიბდა. კულიკოვსკი თავის მეშვიდე რაზმსაც მეთაურობდა და ამ ბრიგადასაც უვლიდა. რადგან კუზნეცოვს უფრო მეტი საქმე გაუჩნდა. ყირიმის აღმოსავლეთით მოქმედი ყველა პარტიზანული რაზმისთვის უნდა ეხელმძღვანელა.

ვიზრდებოდით რიცხოზობრივად და მხნეობაც გვემატებოდა. ტყეში გასულ ხალხს ახლა ერთბაშად რომ გვეყვირა, ქარიშ-

ხალს გავაჩენდით, მთებს ფებს ავადგმევინებდით. გულმა სხვა-  
ნაირად დაიწყო ჩქროლვა.

სწორედ იმ ხანად დიდი მიწიდან გადმოსხმული ჩვიდმეტრი  
პარაშუტისტი შემოგვეერთდა.

21 ოქტომბერს ლაღო გოძიშვილმა სულაკის ტყიდან ნაღ-  
მები მოიტანა. ორმოცდაათ კილომეტრზე მეტი ფეხით გამოეფ-  
ლო და დაღლილ-დაქანცული მოსვენებას აპირებდა. აღმოსავ-  
ლეთის პარტიზანული ბრიგადების მეთაურმა ვლადიმერ  
კუზნეცოვმა უხმო. იქვე იდგა შტაბის უფროსი ქსენია კაჩა-  
ნოვი.

— ამხანაგო ვალოდია, მზეერავმა გვაცნობა, რომ ტყეში  
ლტოლვილთა ახალი დიდი ჯგუფი შემოვიდა. იმ ლტოლვილე-  
ბისაგან მეცხრე რაზმი უნდა ჩამოვაყალიბოთ. შტაბის უფრო-  
სად შენ გნიშნავთ.

— მეთაური ვინ იქნება?

— მერე შევარჩევთ. ახლა წავიდეთ და ვნახოთ ის ხალხი.  
შეამოწმე და ჩაიბარე რაზმი.

წავედით. ვილა არ ერია იმ ხალხში — ყავარჯნიანი მოხუ-  
ცი. თმბაბურძგნილი ბიჭუნა, ახალგაზრდობა, გერმანიაში გა-  
სავზავნად სადგურზე ნახირივით რომ მირეკეს. სამი ჩვილბავ-  
შვიანი დედაკაციც კი შევნიშნე.

— სანდრო, ეს სად მომიყვანეთ? — გაიოცა ლაღომ.

მე მხრები ავიწურე. გოძიშვილი ახლა კუზნეცოვს მიუბ-  
რუნდა.

— ამხანაგო მეთაურო, სიმინდის სათოხნელად ხომ არ უნ-  
და წავიყვანო? იარაღი არცერთს არა აქვს.

— მე მაქვს! — წამოიძახა ერთმა და ავტომატი ასწია.

— მეც მაქვს! — მეორემ ხელში შაშხანა შეათამაშა.

— მერედა, ამით დავამარცხებთ გერმანიას? — გაიცინა  
ლაღომ.

— ჯერჯერობით ეს უნდა იმყოფინოთ, — თქვა კუზნე-  
ცოვმა. — მალე დიდი მიწიდან იარაღს მივიღებთ და, უპირვე-  
ლეს ყოვლისა, ამ რაზმს შევიაარადებთ. გული არ გაიტეხო,  
ვალოდია, ერთი კვირის შემდეგ ისეთი რაზმი გეყოლება, შენ  
თვითონ ველარ იცნობ.



— ძნელია!

— ჩვენ სიძნელის არ გვეშინია, — საუბარში ჩაერთა ქვე-  
ნია კაჩანოვი. — თუ რამე გაგიჭირდეს, ჩემთან მოდი, ყველა-  
ფერს დროულად მოგიგვარებ. ამ ხალხის უპატრონოდ შიტო-  
ვება კი არ გვარგია. შეიძლება მტერმა ჩაიგდოს ხელში და გა-  
ანადგუროს. გასაგებია, ვალოდია?

— იყოს ნება თქვენი!

— ჰოდა, აგრე! ახლა დავჯდეთ ერთად და მეცხრე პარტი-  
ზანული რაზმის სია შევეადგინოთ. თქვენი გვარი, ქალიშვი-  
ლო? — მიმართა ერთს და რვეული მოიმარჯვა.

— სარბაში სოფიო.

— რუსი არ უნდა იყო.

— ბერძენი გახლავართ.

— თქვენი გვარი და სახელი მითხარით, — კაჩანოვი შეო-  
რე ქალიშვილს მიუბრუნდა.

— ვარვარიცა ქსენია.

ერთი კვირის შემდეგ დიდი მიწიდან იარაღი ბლომად მი-  
ვიღეთ.

მეცხრე რაზმი შეიარაღდა.

• •

ოქტომბრის ერთ დღეს აღმოსავლეთის პარტიზანთა ბრი-  
გადების შენაერთის მეთაურმა კუზნეცოვმა შტაბში მიმიხმო.  
კარავში სამოქალაქო ტანსაცმლიანი შუახნის კაცი დამხვდა.

— გაიცანით ივანე სმალკოვი, — მითხრა მეთაურმა. მოქა-  
ლაქემ ხელი ჩამომართვა.

— როგორც გადმომცეს, თქვენ ქართველი ბრძანდებით, —  
დაიწყო სმალკოვმა. — „აფხანაკო“ რას ნიშნავს რუსულად?

— ტოვარიშ.

— „კაცო?“

— ჩელოვეკ.

— მე ნოვო პოკროვკიდან ვარ. ჩემ სახლში რამდენიმე  
საღდათი ცხოვრობს. ისინი ხშირად ამბობენ ამ ორ სიტყვას.  
ახლა კი დავრწმუნდი, რომ ქართველები ყოფილან. ფაშისტე-

ბის ტანსაცმელში არიან გამოწყობილი, იარაღიც გერმანული  
აქეთ. მუშათა ასეული უნდა იყოს... — სმალკოვმა ამხედ-დამ-  
ხელა.

— საინტერესოა. მერე?

— ხშირად განცალკევდებიან და ჩურჩულებენ. ზოგჯერაც  
ცხარედ კამათობენ. ხანდახან ისე ბრაზდებიან, მგონია, ერთმა-  
ნეთს თავპირს დაამტვრევენ-მეთქი, მაგრამ მალე წყნარდებიან.  
უცხო თუ ვინმე დაინახეს, კამათს მაშინვე წყვეტენ. ამ ჯგუფს  
რალაც საიდუმლო უნდა ჰქონდეს — ისინი ან პარტიზანებთან  
გამოქცევას აპირებენ, ან რაიმეს აფეთქებას. ჩანს, გერმანე-  
ლები არ ეპიტნავენათ.

— მაინც რაზე ეტყობათ?

— გეტყვით აგერ. იმ ბატალიონში ერთი მხარბეჭიანი ვაყ-  
კაცია, ჩიჩიკო კასრაშვილი. იცით რას აკეთებს? როცა რკინი-  
გზის სადარაჯოდ აგზავნიან მის ჯგუფს, ყველა საგუშაგოდან  
გერმანელს ცვლის, ასე ვთქვათ, ათავისუფლებს, თავის ხალხს  
აყენებს, ქართველებს. მერე, საბარგო მატარებელი რომ ჩამო-  
ივლის, აჩერებს, აქაოდა, ამის იქით გზა ჯერ შეუმოწმებელია  
და გავლა არ შეიძლებაო. ბიჭებს ჩუმად ატეხვინებს ვაგონებს  
და ხან რა გამოაქვთ, ხან რა. ოღონდ ამ ნადავლს თვითონ კი  
არ იტოვებენ, მოსახლეობას ურიგებენ. ერთი თვის წინათ თეთ-  
რეული მოგვიტანეს. თეთრეულს სურსათი მოაყოლეს. მოკ-  
ლედ: გერმანელებს ძარცვავენ და ჩვენ ხალხს ზრუნვას არ  
აკლებენ. ყოველივე ამან მაფიქრებინა, რომ ისინი უმალვე  
პარტიზანების მხარეზე გადმოვლენ, თუ მათ როგორმე დავუ-  
კავშირდებით. მე შეიძლება არ მენდონ. მაგრამ თუ ვინმე  
თქვენთავანი გაბედავს... რა თქმა უნდა, ქართველი, მაშინ აქეთ  
იბრუნებენ პირს.

— ეს ნამდვილად კარგი ამბავი იქნება, თუ მოხერხდა.  
ჯერ ერთი, მტრის მხარეზე ბრმად გადასულ ჩვენ ხალხს დავი-  
ბრუნებთ, მეორეც — აქამდე ტყეში ყველა უიარაღოდ გამორ-  
ბოდა, ისინი კი იარაღსაც მოგვიტანენ... ახლა ჩვენ ყველაზე  
უფრო იარაღი გვჭირდება... მოდი, ისე გავაკეთოთ: მე დაგი-  
წერთ ბარათს, რა თქმა უნდა, ქართულად. თქვენ ამ ბარათს იმ  
ქართველებს გადასცემთ და თან ეტყვით, რომ ტყეში ქართვე-

ლი პარტიზანები შემხვდნენ და ეს ბარათი იმათ გამომატანეს.  
თქო. მოსინჯეთ, აბა, როგორ მოიქცევიან...

— მეც ასე მგონია, — კვერი დამიკრა კუზნეცოვმა.  
სმალკოვს ბარათი გავატანე.

მესამე დღეს ჩვენთან მოვიდნენ იმ მოხალისე ასეულის  
ჯარისკაცები ბორის ძაგნიძე და ვახტანგ პურიჭამიაშვილი.

— ჩვენ შეთქმულთა ჯგუფმა გამოგვგზავნა. დიდი ხანია  
ტყეში გვინდა გამოქცევა, მაგრამ ჯერჯერობით ასეულის  
მეთაური — აკაკი ქართველიშვილისათვის არაფერი გვითქვამს.

— ის რომ წამოვიდეს ტყეში, მთელი ასეული გამოჰყვება?

— რა თქმა უნდა...

— მაშინ, შეთქმულთა ჯგუფმა ისე უნდა იმოქმედოს, რომ  
მეთაური, ასეულს ტყისაკენ გამოუძღვეს. უნდა იჩქაროთ! ასეთ  
ამბავს გაჭიანურება არ უყვარს. მოდიოთ, ბიჭებო, მოდიოთ, მტერს  
მისივე იარაღით დავცხობ!

— აჩქარება არ შეგვიძლია, — თქვა ვახტანგმა, — ერთი  
ჩვენი ოცეული ამჟამად რკინიგზაზე გუშაგობს და ხომ არ  
მივატოვებთ! მერედა, ვნახოთ, აქედან მიბრუნებულებს ასე-  
ულში რა ამბავი დაგვხვდება! ჩვენ დილის ამოკითხვაზე არ ვი-  
ყავით და შეიძლება ესეც ძვირად დაგვიჯდეს... ისეთი ძალღი  
„სტაროსტა“ გვყავს, მტრისას!

— ქართველია?

— ზუსტად არ ვიცი, ვერ გავიგეთ, ნამდვილად რა  
გვარია, ხან იძახის წიწილოვი ვარო, ხან იძახის — წიწილა-  
შვილიო. იმან თუ გავიგოთ, პარტიზანებთან რომ ვაპი-  
რებთ წამოსვლას, უეჭველად დაგვაბეზღებს გერმანელებ-  
თან და დაგვღუპავს ყველას. აი, ახლაც მალე უნდა გავ-  
ბრუნდეთ უკან, თორემ თუ საღამოს ასეულში არ მივედით,  
გამოქცევის ამბავი ჩაგვეშლება, ამაღამვე დაგვხვრეტენ ორი-  
ვეს.

— იცით, რას გეტყვით? თქვენი ტყეში წამოსვლის ამბავს,  
ვიდრე წამოსვლის საათი არ დადგება, იმ ძალღ „სტაროსტას“  
ნუ გააგებინებთ. სხვა კი არაფერ არ დატოვოთ გაუფრთხილე-  
ბელი. ძალაუფლება შეთქმულმა ჯგუფმა უნდა აიღოს ხელში.

— ჰო, ჩვენიც ასე ვფიქრობთ. რაკი გზა ვისწავლეთ, დანარჩენ ამბებსაც მოვაგვარებთ. ნახვამდის!

— ოლონდ, იცოდეთ, ამ გზის სწავლა ბოროტად არ გამოვიყენოთ. ახლა ივანესა და ორ მზვერავს გამოგაყოლებთ და იმათ რომ რამე დაემართოთ, ჰიტლერი ველარ გიშველით!

— ექვიანი ყოფილხარ, — გაიცინა ძაგნიძემ.

— დროა ისეთი. აბა, კეთილ მგზავრობას გისურვებთ. ამ დღეებში გელოდებით!

— თუ „სტაროსტამ“ ჩვენი აქ წამოსვლა ვერ გაიგო და ცოცხლები გადავრჩით, ვნახოთ, რას გვეტყვის იასონ ბუჩუკური და ისე მოვიქცევით.

— იასონ ბუჩუკური ვინ არის?

— მერე გაიგებთ.

ვინ იყო იასონ ბუჩუკური? ვინ იყვნენ ეს ბიჭები? რა ხდებოდა ქართველთა იმ ასეულში, გერმანული თოფებით რომ იყო შეიარაღებული?

ვიდრე სხვა ამბებს მოგიყვებით, შორიდან გავიცნოთ ის ხალხი.

• •

პურიჭამიაშვილს შინაურობაში დავითს ეძახდნენ, ასე იცნობდა თავისი სოფელიც, მაგრამ ყველა საბუთში ნათლობის სახელი ეწერა, ვახტანგი და ჯარში ამ სახელით გაიცნეს.

ის სააღიაციო პოლკი, რომელშიც ვახტანგ პურიჭამიაშვილი იმყოფებოდა, 1942 წლის მაისში მტრის ალყაში მოექცა. პოლკის მეთაურმა ვახტანგს დაუტოვა ხუთი მენადმე, ერთი ავტომანქანა და ბრძანება: ჩვენ რომ აქაურობას გავშორდებით, რაც აეროდრომზე დარჩა — ტყვია-წამლის, ბომბებისა და ბენზინის საწყობები, ყველაფერი ააფეთქე და შემდეგ ავტომანქანით დაგვეწიეო. პურიჭამიაშვილმა ბრძანება შეასრულა. გზაზე ავტომანქანა გაუფუჭდა და ორი მებრძოლი მოუკლეს. ქვეითებს შეუერთდა. ტყეში შევიდა. იქ გერმანელები დაესხნენ თავს. გაიშართა ბრძოლა. მის ახლოს ჭურვი გასკდა. კანტუზიანს გერმანელი დაადგა თავს და ავტომატი დაუმიზნა. მალე

ტყვეთა ბანაკში შეაგდეს. იქ მოდიოდნენ უკრაინელი ქალები და ტყვეებს პურს ავწდიდნენ მავთულზღარითიდან. ერთ მოხუც ქალს ვახტანგიმ სთხოვა, იქნებ მავთულის საჭრელი მაკრატელი მიშოვო. ქალმა მოუტანა. ვახტანგიმ ამხანაგი იშოვა — პრიშჩეპა. ღრუბლიან ღამეს გაიპარნენ. გაიარეს ოცდახუთ კილომეტრამდე. ერთმა დედაბერმა შეუშვა ქოხში, ღამე გაათევინა, მცირე საგზალი გაუხვია და გზა დაულოცა. იხეტიალეს. მიაღგნენ სოფელს და გაიგეს, აქ „სტაროსტა“ ტყვეებს ამუშავებსო. რა მეტი ჩარა იყო, მიეკედლენ. მთელი მათი მოყვანილი ჭირნახული გერმანელებმა წაიღეს. ქერისა და შვრიის ჩალა ერთ ადგილას მოაგროვეს და ზვინებად დადგეს. შემდეგ მოიტანეს მავთული და ცალებად დაუწყეს შეკვრა. ერთი მოხუცი კაცის ცხენი მივიდა ზვინთან. გერმანელმა ტყვია ესროლა და გააფრთხოვია სული. გული მოუვიდა ვახტანგს. პრიშჩეპასთან ერთად იმ ზვინებს მიეპარა და ცეცხლი წაუკიდა. გერმანელებმა „დამნაშავეის“ კვალს ვერ მიაგნეს. ამ მხარეში მყოფი ყველა ახალგაზრდა დააპატიმრეს და ხარკოვის ციხეში ჩასვეს. ვახტანგიც იმ ჯგუფში მოჰყვა. ხარკოვიდან ქალაქ გადიაჩში გადაიყვანეს. იქ ტყვე ქართველებს შეხვდა. გადიაჩიდან ქართველ ტყვეთა ერთი ჯგუფი ერთხანს იქითაქეთ ატარეს, ხან რას აკეთებინებდნენ, ხან რას, ბოლოს სოფელ აკმანაიში მიიყვანეს, ყირიმის ნახევარკუნძულზე, და მუშათა ასეულად აქციეს. ბიჭები სულ ტყვეობიდან გაქცევაზე ოცნებობდნენ ცალ-ცალკე, მაგრამ ერთმანეთს ხვამიადს ვერ უმხელდნენ. მაშინ ყველას ვერ ენდობოდა კაცი. ვახტანგმა უნდობლობის ყინული გატეხა და გულისთქმა გივი კობიძეს გაანდო: რამე ვიღონოთო. გივი კობიძემ ვახტანგს ნიკო რობაქიძე წარუდგინა: ამასაც ჩვენი ჭია უღრღნის გულსო. ვახტანგმა ამ ჯგუფს ანტონ მესტვირიშვილი შემოუერთა. შეიქმნათანამზრახველთა ოთხეული. ამ ოთხეულმა გადაწყვიტა, რაიმე დივერსიული ოპერაცია ჩაეტარებია და ტყვეში გაქცეულიყო, პარტიზანებთან.

ასეულის განლაგებიდან არც ისე შორს გერმანელებს ჰქონდათ ცენტრალური საწყობი. იქ ინახავდნენ სურსათს და იარაღს. საიდუმლო ჯგუფმა საწყობის აფეთქება განიზრახა.

დაუქავშირდნენ მეზობელ სოფელში მყოფ ქართველთა ჯგუფს. შეისწავლეს საწყობის ადგილ-მდებარეობა და საგუშაგოების ადგილსამყოფელი. პურიჭამიაშვილის ჯგუფიდან საწყობის აფეთქება იკისრეს გივი კობიძემ და ნიკო რობაქიძემ. მეზობელმა ჯგუფმა თოდუა და სლესერი გამოყო. ისინი საწყობისკენ ღამით წავიდნენ. სხვები გულისფანცქალით ელოდნენ აფეთქების ხმას. ღამის პირველი საათი იქნებოდა, გივი, კობიძე მივარდა ვახტანგთან:

— ცუდად არის საქმე. თოდუა და სლესერი გუშაგს რომ კლავდნენ, იმ ოხერმა დაყვირება მოასწრო. გერმანელებმა სხვა საგუშაგოებიდან სროლა აგვიტეხეს. მე და გივი აქეთ გამოვრქეციეთ, თოდუა და სლესერი იქით გაიქცნენ. ვიღაცამ დაიკვნესა. ჩანს, ერთ-ერთი მათგანი დასჭრეს. თუ დაჭრილი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში, დავიღუპებით.

ექვი მართალი გამოდგა. გივი კობიძე და ნიკო რობაქიძე დააპატიმრეს. ბევრი უტრიალა ვახტანგმა, მაგრამ ვერ გაიგოს სად წაიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ანტონ მესტვირიშვილთან მივიდა მუშათა ბატალიონის მწერალი, გერმანელი ეფრეიტორი რუდოლფ შტეფანი და დამტვრეული რუსულით უთხრა:

— რობაკიდზე ი კობიძზე სკორო კაპუტ!

რატომღაც ანტონი გააფრთხილა, შენც და პურიჭამიაშვილიც ფრთხილად იყავითო.

ვახტანგმა ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა: ჩვენ რატომ უნდა დაგვსაჯონო?

რუდოლფმა ტუჩზე ხელი მიიღო და წავიდა.

მიხვდნენ შეთქმულნი, რომ ჩარხი უკუღმა დატრიალდა, მაგრამ ჯერჯერობით გაქცევა არ შეეძლოთ და ბედის განაჩენს იქვე დაელოდნენ.

კვირის თავზე გაიგეს: გერმანელებმა ოთხი ქართველი ზღვაში ნავით შეიყვანეს და იქიდან აღარ გამოუყვანიათო.

ასე დაიღუპნენ ბორჯომელი კობიძე გივი, ჩხარელი ნიკო რობაქიძე და ალბათ ის ორი ვაჟკაცი: გორელი სრესელი სერგო და თოდუა, 22 წლის ჭაბუკი.

ჩანს, იმ ბიჭებმა თანამზრახველნი არ გასცეს, თორემ სხვებ-  
საც ზღვაში ჩაყრიდნენ გერმანელები.

ვახტანგ პურიჭამიაშვილი და ანტონ მესტიერიშვილი ამ-  
ბავს ჩაუფიქრდნენ, მაგრამ გაქცევა კი არ გადაუფიქრებიათ.  
ახალი თანამზრახველების ძებნას შეუდგნენ.

• •

იასონ ბუჩუკური ქიმიკოსი იყო და სტუდენტებს პრაქტი-  
კულ მეცადინეობას უტარებდა ომამდე. შემდეგ ლაბორატო-  
რიის სინჯარების მაგივრად ხელში შაშხანა დაიჭირა. 1942  
წელს ქერჩის მწვავე ბრძოლებში მოხვდა. ყუმბარამ დამარხა  
და როცა გონს მოვიდა, ირგვლივ არავინ იყო. მხოლოდ გამა-  
ყრუებელი სროლა ისმოდა. აი, მაშინ ჩაიგდეს გერმანელებმა  
ტყვედ. იასონი გადიაჩის ბანაკში მოათავსეს.

მეორე დღეს ხედავს, ტყვეთა დიდ ჯგუფს სადღაც აგზა-  
ნიან.

— სად მიჰყავთ? — იკითხა.

— გერმანიაში სამუშაოდ.

იასონსაც იმ ჯგუფში უკრეს თავი. ვიდრე გერმანელი უნ-  
ტეროფიცერი სიას აღგენდა, იასონმა ხალხის არეულობით  
ისარგებლა და უკრაინაში დასარჩენ ჯგუფს შეუერთდა. გულ-  
ში გაივლო აქედან გაქცევას უფრო მოეახერხებო.

დარჩენილები სამუშაოდ გაანაწილეს. იასონი ბადრაგმა და-  
ნიშნულ ადგილას მიიყვანა. გაოცდა კაცი, ამას რას ვხედავო?!

მინდორში ასეული მეცადინეობდა. ბიჭები ქართველები  
იყვნენ, გერმანული ფრენჩები კი ეცვათ. მეთაურმა ფეხშიშვე-  
ლა ჯარისკაცები დაამწკრივა და მწყობრი ნაბიჯით გაიყვანა  
გზაზე. იასონი დააკვირდა: ზოგ ჯარისკაცს ფეხებზე სისხლი  
ეცხო. ზოგსაც ეტყობოდა, ფეხისგულები ჰქონდა დაბეჭილი,  
ნაბიჯს ძლივს აღგამდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ბადრაგს.

— მუშათა ასეულია. აბა, ტყუილად ხომ არ გაჰმევეთ და  
გასმევეთ?

იასონს ტანზე შემოფლეთილ-შემომდნარი წითელარმიელის

ხალათი ერჩია გერმანულ ფრენჩს, მაგრამ ძალით ჩააცვებს და  
რა ექნა?

„მთავარი ტანსაცმელი კი არა, ის არის, იმ ტანსაცმლის  
ქვეშ რა გული გიცემს,“ — გაბფიქრა იასონმა და ასეულს შე-  
ერია. — „იქნებ ამ ფრენჩით გაპარვა უფრო გამიადვილდეს“.

შებინდებისას იასონს ერთი ტყვე მიუახლოვდა:

— თქვენ მართლა ბუჩუკური ხართ?

— აბა, ტყუილი ბუჩუკური ხომ არ ვიქნები?!

— რა გაიკვირვე, შე კაი კაცო, აქ გვარგამოცვლილებიც  
არიან.

— მე ჯერ ეს არ დამჭირვებია.

— სადაური ხართ?

— თბილისელი.

— მთიული მეგონეთ.

— მთიულეთიდან ვარ წამოსული. ნაღვარევიდან.

— მეც ბუჩუკური ვარ, ვასო. ქიმბარიანთი თუ გაგიგო-  
ნიათ, იქიდან.

კარგა ხანს იმასლაათეს. მოჰყვნენ იქეთურსა და აქეთურს.

— ვასო, აქ ადგილობრივი მკვიდრი ვერავინ გაიცანი?

— ფრთხილად, იასონ! ხომ იცი, აჩქარებითა სოფელი არა-  
ვის მოუჭამიაო.

— რას ვჩქარობ?

— „მივიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლე-  
ტი“. მეც კი მინდა გაქცევა, მაგრამ ჯერ გზა არ ჩანს. ყველას  
ვერ ენდობი. ზოგი ისე დაგეშეს გერმანელებმა, სუნით ეძებენ  
ჩვენისთანა ხალხს. მტერ-მოყვარეს გარჩევა უნდა.

— ჰო, ეგ მართალია: შვიდეჯერ უნდა გაზომო და ერთხელ  
უნდა გადასჭრა. მაგრამ ძალიან სიფრთხილედ არ ვარგა.

— განსაკუთრებით ჩვენს მამასახლისს წიწილოეს ერი-  
დე. გველივით დაძვრება ყველგან. დაგიმართხვლებს და გერ-  
მანელების ლანძღვა-გინებას მოჰყვება. არ დაუჯერო და არ  
აჰყვე. ხალხსა ცდის, გაიგე?

იმ საღამოს სხვა არაფერი უთქვამთ.

ერთ დღეს გერმანელმა ოფიცერმა ასეულს ლექცია წაუ-  
კითხა. აქო და აღიდა გერმანელი ხალხი, მისი სიმდიდრე და



განსწავლულობა. ჩვენ ადამიანის მოყვარული ხალხი ვართ და ცხოვრების წესიერად მოწყობა ვიცითო. ჩვენთან ყველა გლეხსა ციკი მოსამსახურე ყავსო. ლექცია კვლავ გერმანელების ქება-დიდებათ დაამთავრა.

იასონმა ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— თუ ყველა გერმანელს მოსამსახურე და მოჯამაგირე ჰყავს, ის მოსამსახურე-მოჯამაგირენი ვინლა არიან?

მომხსენებელი წამით დაიბნა, მერე თავი ამაყად ასწია და მიუგო:

— ცოტა ბოგანოა დედამიწის ზურგზე?

ასმეთაურმა აკაკი ქართველიშვილმა ბუჩუკური ცალკე გაიხზო:

— თავს დაუკვირდი, ენა ნუ გისწრებს წინ... გერმანელებთან ფრთხილად იყავი!

ცოტა ხნის შემდეგ იასონს შეხვდა რუდოლფ შტეფანი და ჰკითხა:

— არ მოგეწონა მოხსენება?

— მომეწონა, — უგულოდ მიუგო ბუჩუკურმა.

— ნუ მატყუებ, ვიცი, არ მოგეწონა... სულ ტყუილები ილაპარაკა. აი, ზოგი გერმანელი როგორ ცხოვრობს! — რუდოლფმა ჯიბიდან სურათი ამოიღო და იასონს აჩვენა: — ეს ჩემი ქოხმახია. არაფერი მამადია...

იასონმა პირზე ცხრაკლიტული დაიდო, იქნებ მცდისო.

სადამოს რუდოლფი სამწერლოში მთვრალი შევიდა. იქ ბუჩუკური რომ დაინახა, ხელი ძმაცუცურად დაჰკრა ბეჭზე:

— შენ კარგი კაცი ხარ... შენი ბევრი ამხანაგიც კარგია... მე შენთან გულახდილი ლაპარაკი არ მეშინია...

— კარგი ადამიანი ყველგან არის, ჩვენთანაც და თქვენთანაც, — მიუგო ბუჩუკურმა.

— მართალია, მართალი... რა საჭირო იყო ეს სისბღისმღვრელი ომი? რა დააშავეს რუსებმა, გერმანელები თავს რომ დაესხნენ და სძარცვავენ? ჩვენ ვაიძულეთ საბჭოთა კავშირს ხელში იარაღი აედო... უჰ, ჰიტლერი, ძალღი ჰიტლერი!.. მე ვიცი, ჩემი ძმა რუსებთან არის... ის კომუნისტი იყო.. მე არა ვარ კომუნისტი... მაგრამ ჩემი ძმა მართალი გამოდგა... იცი,

იასონ, თქვენს „სტაროსტას“ უფრთხილდი, ყველას აბეზ-  
ლებს...

ბუჩუკური მიხვდა, რუდოლფის ეს მოკლე აღსარება გულ-  
წრფელი იყო და შებედა:

— ასმეთაური როგორი კაცია?

— ჯერ ვერაფერს გეტყვი... ეჰ, არავინ გაგვიგონოს! დავი-  
ძინოთ, დავიძინოთ!

1943 წლის აგვისტოს დამლევს ასეული სოფელ ნოვო-  
პოკროვკაში გადაიყვანეს, იქ გერმანული შაშხანები, ფარაჯები  
და ჩექმები დაურბეს.

— მუშათა ასეულს შაშხანები რად უნდა? — ჰკითხა ია-  
სონმა მოგვარეს.

— რა ვიცი... ამბობენ, რკინიგზას უნდა ვუდარაჯოთო...  
მერე შეიძლება ფრონტზეც გვიკრან თავი და ჩვენი ძმების მო-  
საკლავად გვასროლინონ ტყვია...

— მე მგონია, ამ თოფებს ჩვენ უფრო ადრე გერმანელების  
წინააღმდეგ შევაბრუნებთ, ასმეთაური თუ დავიყოლიეთ, მერე  
ყველაფერი ისე მოგვარდება, ჩვენ რომ გვინდა...

— იქნებ, მართლაც ასე სჯობდეს, — დაეთანხმა ვასო, —  
იარაღით გაქცევა უფრო ადვილია.

იასონმა გერმანული შაშხანა რომ დაიჭირა ხელში, თავზა-  
რა დაეცა, ამას რას ჩავდივარო, მაგრამ კარგად რომ ჩაუფიქრ-  
და, ეს ცუდ ამბად სულაც არ მოეჩვენა. იმედი გამონახა: ჩანს,  
გერმანელებს თავიანთი ძალღონე აღარ ჰყოფნით და ხავსს  
ეჭიდებიან, ტყვეებს აიარაღებენ და იმას კი ვერ გრძნობენ,  
ეს რისკი რა ძვირად დაუჯდებათო.

[ნათქვამია, გული გულს იცნობსო. იასონ ბუჩუკურმა გუ-  
ლისთქმა ვახტანგ პურიჭამიაშვილს გაანდო და მალე შეიქნა  
შეთქმულთა ჯგუფი. ამ ჯგუფში შევიდნენ ბორის ძაგნიძე,  
ანტონ მესტვირიშვილი, ვახტანგ პურიჭამიაშვილი, იასონ და  
ვასო ბუჩუკურები. ხუთ კაცს კიდევ ოთხი მიემატა: ტიტიკო  
ქასრაშვილი, ნოშრევან ონიანი, გიორგი ნოზაძე და ოცმეთაური  
სპირიდონ აფრიდონიძე. მალე ჯგუფი ოცდახუთ კაცამდე გაი-  
ზარდა. ისინი თავლაში თათბირობდნენ ხოლმე, ზოგჯერ ბო-

რის ძაგნიძის ბინასაც იყენებდნენ საამისოდ. იქ მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა მხოლოდ.

ჯგუფმა გადაწყვიტა, ასმეთაურთან მისულიყვნენ მოსკოლ-ლაპარაკებლად.

— მე მივალ, — თქვა იასონ ბუჩუკურმა.

სექტემბრის ერთ ღამეს იასონი ასმეთაურის ოთახს მიადგა და სამხედრო წესის თანახმად შიგ შესვლა სთხოვა.

— შემოდი. ღელვას გატყობ, რამ შეგაწუხა? ჩამოჯექი! იასონი მაგიდას მიუჯდა და უმაღვე დამშვიდდა.

— ბოდიშს ვიხდი, ასე გვიან რომ შეგაწუხებთ. ასმეთაურო, კარგა ხანია თქვენთან გულითადი საუბარი მწყალობია. ნათქვამია, დაფარული ეშმაკისააო. რაც გულში მიღვეს, უნდა გითხრათ. ოღონდ ერთ რამეს თავიდანვე გთხოვთ, თუ ჩემი ფიქრი არ მოგეწონებათ, თქვენც პირში უნდა მითხრათ გულწრფელად. მერე თქვენს რჩევა-დარიგებას მოვისმენ და იქნებ ის უფრო დამიჯდეს ჭკუაში. გამოცდილი კაცი ბრძანდებით და იმედია, გულდასმით მომიხმენთ და განსჯით ჩემს საქციელს.

— გულახდილ საუბარს რა სჯობს, ვისმენტ.

— ასეულის მეთაურო, — ისევ აღელდა ბუჩუკური, — თქვენ ამჟამად ასორმოცდაათამდე ქართველი ახალგაზრდის ბედი გაბარიათ. ამ ხალხის ამბავი რომ იცოდნენ შინაურებმა, ალბათ ბევრი დაგვეწყევლის, თავიანთი ძმების წინააღმდეგ ამხედრებულანო. ჰოდა, ასე არ გვარგია. რამე უნდა ვილონოთ, ეს სამარცხვინო ლაქა ჩამოვირეცხოთ და სამშობლოს პირნათლად დავუბრუნდეთ... — იასონმა ასმეთაურს შეხედა. ქართველიშვილი თავჩალუნული უსმენდა. ბუჩუკურმა უფრო თამამად განაგრძო: — თუ თქვენ იკისრებთ, მთელი ასეული გამოგყვებათ...

— სად გამოგყვება?

— ეს ხალხი ახლა გზადაბნეულია და კარგი მეგზური უნდა...

— რა გაწუხებს, იასონ, რა? თქვი პირდაპირ!

— ასეულს ტყისკენ გაუძეხი!

— ვინ დაგავალა მაგის თქმა?

— მხოლოდ ჩემმა სინდისმა, სხვამ არავინ... ვიცი, უცებ ამ ამბის გადაწყვეტა არ შეიძლება, დაფიქრდი და... როგორც შენმა სინდისმა და გულმა გიკარნახოს, ისე მოიქეცი. შენ პასუხს დაველოდები. იმედია, ეს საუბარი ჩვენში დარჩება. დამე ვშვიდობისა! დაველოდო პასუხს?

— წადი დაიძინე!

— დაველოდო პასუხს?

— წადი. ჰო, წადი და სხვასთან არავისთან წამოგცდეს, რაც აქ თქვი!

იასონი ისე წამოვიდა, ასმეთაურს ვერც ავი ზრახვა შეატყო, ვერც კეთილი ფიქრი.

გავიდა ერთი კვირა. ბუჩუკურისთვის ხელი არავის უხლია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველიშვილს იმდამინდელი მათი საუბარი საიდუმლოდ შეუნახავს, იასონი გერმანელებთან არ დაუბეზლებია. მაგრამ პასუხიც რომ არ გასცა? ორჭოფობს? იქნებ არ მენდობა?

გავიდა კიდევ ერთი კვირა, ორი... მერე, თვეც. ასმეთაური ისე ხედება ხოლმე ბუჩუკურს, თითქოს მათ საიდუმლოდ არც უსაუბრიათ. ბუჩუკურიც ისე დადის, თითქოს დაავიწყდა ის ამბავი.

„რომ არ გამცა, ეს კარგი ნიშანია, მაგრამ პასუხს რომ თავს არიდებს, ეს კი აღარ მომწონს!“ — ფიქრობს გულში.

ოცდარვა ოქტომბერს ვასო ბუჩუკური გახარებული მიიჭრა იასონთან და ჩაუჩურჩულა:

— მომილოცავს. ბორის ძაგნიძესა და ვახტანგ პურიჭამიაშვილს პარტიზანები უნახავთ. მათი ბარათი მოიტანეს. იქ ქართველებიც ბლომად ყოფილან.

შეთქმულებმა იათბირეს და გადაწყვიტეს, ტყეში ოცდაათი ოქტომბრის ღამით გავიდეთო. ყველას კონკრეტული დავალება მისცეს. ძაგნიძეს მთელი ასეული ღამით დანიშნულ ადგილას უნდა მიეყვანა. ვასო ბუჩუკურს ტელეფონის ხაზი უნდა მოეშალა. რაკი აფრიდონიძის ოცეული იმეამად ხუთიოდე კილომეტრით იყო დაშორებული ასეულის ძირითადი განლაგებიდან, აფრიდონიძისათვის ტყეში გასვლის დრო და საათი პური-

კამიაშვილს უნდა ეცნობებინა. ზოგსაც ასმეთაურის გადმოსა-  
ბირებლად უნდა ეზრუნა. შეუდგენენ სამზადისს.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, ასმეთაურმა იასონ ბუ-  
ჩუკურს, ბორის ძაგნიძეს და ვახტანგ პურიქამიაშვილს გამოუ-  
ძახა. ისინი ქართველიშვილის კაბინეტში შევიდნენ. ასმეთაურ-  
მა მაგიდას მუშტი დაარტყა და განრისხებულმა იღრიალა:

— ამოიღეთ სია, ვინ მიდის ამაღამ ტყეში?

— რა სია? — წყნარად მიუგო ბუჩუკურმა, — ჩვენ არავი-  
თარი სია არა გვაქვს.

— მაჩვენეთ სია!

— სიის შედგენა არ დაგვჭირვებია.

— რომელი ხართ ამ ამბის თავგადაცემა?

— მე! — მშვიდად მიუგო ბუჩუკურმა.

— მე! — წყნარად თქვა ძაგნიძემ.

— მე! — აულელვებლად დაუმატა პურიქამიაშვილმა.

— მაშ, სია არა გაქვთ?

— როცა მთელი ასეული მიდის, სიის შედგენა რა საჭი-  
როა? — იასონმა ასმეთაურს თვალეებში შეხედა. — მე ადრევე  
გითხარით, ასეულს სწორი გზით სიარული სწადია და წინ გა-  
უძეხით-მეთქი.

— აგიღერიათ თავი და არც იცით სად მიდისხართ!

— ძალიან კარგად ვიცი, ტყეში ქართველი პარტიზანები  
გველიან!

— იქნებ უფრო ადრე გერმანელებს წააწყდეთ! ამაღამ  
ყველა გზა ჩახერგილი აქვთ, თავიცი ვერსად გაძვრება!

— ძაგნიძემ რევოლვერზე წაივლო ხელი.

— მოიცა, ნუ ფიცხობ! გერმანელებმა სულაც არ იციან,  
თქვენ რომ ტყეში გაქცევა განიზრახეთ! თქვენი დარდი აქვთ  
სწორედ! ისე აწყობენ „აბლაყას“, პარტიზანების დასაპყრად!  
თქვენ კი გაებმებით მახეში! გონს მოდით!

— სიკვდილის რომ გვშინებოდა, ასეთ რამესაც ვერ გა-  
დავწყვეტდით! — უთხრა ბუჩუკურმა. — დაგვხვრეტენ, მეტ-  
ხომ ვერაფერს გვიზამენ?

— კაცმა უგზურად არ უნდა გასწიროს თავი! — ასმეთაურს  
განრისხება დაეტყო, სახე სისხლისფერი გაუხდა. მღელვარე-

გის დასაფარავად პაპიროსს მოუკიდა და კვამლი ხარზად ჩაყლაპა.

— გვატყუებ! — უცებ წამოიძახა ძაგნიძემ. — გინდა ასე გადაირჩინო თავი!

— ჰა, მესროლე და მომკალი! შენზე ნაკლები ვაქცაცი შევარცხვინე! მე სიკვდილის სულაც არ მეშინია! მალე დარწმუნდებით, რომ მართალი ვარ! იქნებ ამალამაც! რაც ირგვლივ ხდება, თქვენზე უკეთ ვიცი, როგორმე!

— მაშ გვითხარი, ვინ გაგვცა?

— ეგ არ არის თქვენი საქმე! მე ვალდებული არა ვარ, ყველას ანგარიში ჩავაბარო! — ქართველიშვილმა მეორე ოთახში გაიხედა: — სად წავიდა ნეტავი?

— ვის ეძებ?

— წიწილოვი იყო აქ!

— ფანჯარაა ღია, ალბათ გაიპარა.

— გირჩევთ, ამალამ ფეხი არსად გადგათ! — ქართველიშვილი კარისკენ წავიდა.

— შენ სად მიხვალ?

— როგორ, ვარეთ გასვლის უფლებაც აღარ მაქვს? — ეს თქვა და კარი მოაჯახუნა.

ძაგნიძემ გაიწია, ბუჩუკურმა შეაჩერა:

— სად მიხვალ, ბიჭო? კაცის ფერი აღარ გადევს?

— ის ძალღიშვილი „სტაროსტა“ ხომ გაგვეპარა, დავეწევი და ჩავაძაღლებ!

— ვაგიჟდი? ჩვენი გაქცევის ამბავს სულ ჩაფუშავ! ასეული დაილუბება!

— ისე მოვკლავ, ვერავინ გაიგებს! თუ არ მოვკალი, ნაღდად გაგვცემს და მაინც ხომ დავილუბებით?

— ვერ გაგვცემს!

— აბა, ახლა რა ვქნათ?

ითათბირეს და გადაწყვიტეს: რაკი ამალამ ვერ გავდივართ აქედან, ხვალ უსიკვდილოდ გავიქცეთო.

ძაგნიძე და პურიჭამიაშვილი ამხანაგების გასაფრთხილებ-

ლად გაეშურნენ, რომ წასვლა ხეალღამისთვის იყო გააღწე-  
ბული.

ასონი სამწერლოში იძინებდა ხოლმე ახლაც ფქ შევიდა და ტანგაუხდელად დაწვა. რა დააძინებდა, ფიქრის გრივალი უტრიალებდა გულში. თავისი თავი ხან საპყრობილეში წარმოიდგინა, ხან — სახარჩობელაზე. ერთხელ ისიც მოელანდა, თათქოს ხელ-ფეხშეკრული მიჰყავდათ პარტიზანებს და ასმეთაური დასცინოდა. მერე იმედიანი ფიქრი შეეშველა — ვითომ პარტიზანებმა იხსნეს. ფიქრს გზა არა აქვს, ყველგან დაღის, სიზმარივითაა!

შუალამე გადასული იყო, გერმანული საუბარი გაიგონა. იასონმა თოფი მოიმარჯვა და მიაყურა. სადღაც მახლობლად მანქანა გაჩერდა.

„ალბათ გაგვეცეს და გერმანელები ჩემს წასაყვანად მოვიდნენ,“ — გაიფიქრა ბუჩუკურმა და გასაქცევად მოემზადა, ფანჯარა გამოაღო. აი, გადახტება და ასეულს ფეხზე დააყენებს...

— ჰეი, იაზონ! გამილე კარი! — გაისმა რუდოლფის ხმა.

ბუჩუკურმა ფანჯარაში გაიხედა, ეფრეიტორი მარტო იყო. კარი გაუღო.

— ამ შუალამისას აქ რამ მოგიყვანა?

— ჩვენები მოვიდნენ მანქანით. აფრიდონიძის ოცეულს ეძებენ, სადღაც გაპარულა. ალბათ პარტიზანებთან წაივია. შენ რა, ხომ არ გეწყინა? მოლოდენე აფრიდონიძე, სოლდატი ტოჟე მოლოდენე. ტეპერ გრუზინსკი ნემეცკი სოლდატ პარტიზან. ნემეცკი ვინტოვკა ტოჟე პარტიზან. ნემეცკი ოფიცერ ვალევა სალომა.

კარგ გუნებაზე იყო შტეფანი. ბუჩუკურს ფიქრი გაუორდა. თუ აფრიდონიძის ოცეულმა ტყეში გაქცევა მოახერხა, ეს იმას ნიშნავს, რომ ასმეთაურს ტყუილი უთქვამს, გერმანელებს გზები სულაც არ ჰქონიათ ჩახერგილი. თუ მხოლოდ დანიშნულ ადგილას მოვიდნენ და უკანვე დაბრუნდნენ, გერმანელები ამას გაიგებენ და ალბათ მთელ ოცეულს შავ დღეს დააყენებენ! ასეა თუ ისე, გაქცევის ამბავი გახმაურდება და საბოლო-

ოდ ჩაიშლება. დიდი სიფრთხილე და თავდაკვირვებაა ახლა სა-  
ჭირო.

იასონს მთელ ღამეს არ სძინებია. დილით გაიგო, რომ აფ-  
რიდონიძის ოცეული დანიშნულ ადგილას მისულა, იქ გაუგია,  
რომ გაქცევა გადაიდო და უკან დაბრუნებულა, მაგრამ გერმა-  
ნელებს დაუპატიმრებიათ. მთელი ოცეული ბადრაგით მოიყვა-  
ნეს ნოვო-პოკროვკაში. ბუჩუკურმა ყველა გააფრთხილა; ასე  
თქვით, ტაქტიკურ მეცადინეობას ვატარებდით-თქო. დაკით-  
ხვისას ოცეულმა პირი შეჰკრა: ღამის ტაქტიკური მეცადინეო-  
ბა გვექონდაო. ოცეულს იარაღი დაუბრუნეს, მეთაური კი —  
არა. აფრიდონიძე ბადრაგით სადღაც წაიყვანეს. ერთმა თქვა.  
დახვრიტესო. რუდოლფმა თქვა, დასახვრეტად რომ მიჰყავდათ,  
გაიქცაო. ბუჩუკურმა რუდოლფის სიტყვა უფრო ირწმუნა.

— ჩანს, ქართველიშვილმა არ გაგვცა, თორემ ჩვენ დაგვა-  
პატიმრებდნენ, — უთხრა იასონმა ვახტანგ პურიჭამიაშვილს. —

— ჯერ სადა ხარ! იქნებ უკვე გაგვცეს და საღამოს დაგვა-  
პატიმრონ? გუშინ აქეთ წიწილოვისთვის თვალი არ მომიკრავს,  
სად დაიკარგა ის ძალღიშვილი? ასმეთაურმა რომ არ გაგვცეს,  
ის დაგვაბეზლებს. ალბათ წუხელ მოგვისმინა და მერე გაიქცა  
საჯაშუშოდ. ეტყობა, საკაიკაცოდ არ არის წასული. ფრთხი-  
ლად უნდა ვიყოთ. საღამომდე გვაცალონ და მერე, ვინც აქ გა-  
ჩერდეს, დედა შეერთოს ცოლად! ბიჭები ჩახმახზე დგანან! მეგ-  
ზურიც მზად არის. ისე, ასმეთაური, მგონი, მართალი გამოდგა.  
წუხელ გერმანელებს ყველა გზა შეკრული ჰქონიათ. აღარ ვი-  
ცი, მაგ კაცმა დაგვლუბა თუ გადაგვარჩინა. აფრიდონიძის ამბა-  
ვიც მაფიქრებს ცოტა, ვილაცას ხელი რომ არ შეეწყო, ისე სამ  
გერმანელს როგორ გაექცეოდა? ვერ გაიგებ, სად მარხია ძალ-  
ლის თავი!

ძალლის თავი სად ემარხა, ეს ვერ გაიგეს, მაგრამ შუადლი-  
სას გაიგეს უკეთესი რამ: „სტაროსტა“ ძველ სანგარში იპოვეს,  
ვილაცას ჩაუძალღებიაო.

— ალბათ იმიტომაც ვეღარ დაგვაბეზლა, — შვებით ამოი-  
სუნთქეს შეთქმულებმა:





— ნეტავი ვინ მოკლა?

გაიკითხ-გამოიკითხეს, მკვლეელი ვერ იპოვეს.

— თავს ნამდვილად არ მოიკლავდა, ძალი კი მიაკვდეს სულში!

ასმეთაურს ჰკითხეს:

— ვინ მოკლა წიწილოვი?

— ძალიან გადარდებთ წიწილოვის სიკვდილი?

— ძეგლი უნდა დაეუდგათ.

— მკვლელს თუ მკვდარს?

— ორივეს. ერთს შავი, მეორეს თეთრი. ვინც იყო, კარგდროს კი მოუკლავს.

აფრიდონიძის დაპატიმრების შემდეგ ყველა დაძაბული იყო: ვაითუ ტყეში ასეულის გასვლის ამბავი გამჟღავნდეს წინდაწინ და შეთქმულთა ჯგუფი დააპატიმრონო.

შუადღის შემდეგ გერმანელები სამჯერ მოვიდნენ ნოვოპოკროვკაში და ასმეთაურს რაღაც თათბირი გაუმართეს.

მაგრამ არავინ დაუპატიმრებიათ.

შებინდებისას შეთქმულთა ჯგუფმა კვლავ მოიყარა თავი.

— რა ექნათ?

— აფრიდონიძე მოკლეს თუ გაიქცა, ეს ნამდვილად არავინ იცის. ჩვენ რომ არას გვერჩიან ჯერჯერობით, ეს მოჩვენებითია. აფრიდონიძის ამბავს რომ მოინელებენ, ხვალ თუ ზეგ ჩვენ მოგვიბრუნდებიან. ამალამ უნდა გავასწროთ. მეგზური ვაფრთხილებულია უკვე!

დალამდა. ასეული წასასვლელად მოემზადა.

— რა ვუყოთ ასმეთაურს? — იკითხა ქასრაშვილმა.

პარტიზანებმა გვითხეს წამოიყვანეთო.

— მიუგო ძაგნიძემ.

ასეულის გასვლას ათი წუთიღა აკლდა, ძაგნიძე, პურიჭამიაშვილი და ქასრაშვილი მიადგნენ ქართველიშვილს.

— ამალამაც ჩახერგულია გზები?

— მოიცათ, ბიჭებო, — უთხრა ასმეთაურმა, — ჯარის წესდებას ნუ ივიწყებთ! დაემორჩილეთ მეთაურს!

— დიახაც რომ მეთაურს ვემორჩილებით.



— მერედა, რით გამოიხატება თქვენი მორჩილება? ყურსაც  
 კი აღარ მიგდებთ!

— ასეული მზად არის წასასვლელად. ჩვენ ახლა სხვა მეთა-  
 ური გვყავს.

— რაკი სხვა მეთაური გყოლიათ, მაშინ ვემორჩილები ბრძა-  
 ნებას, როგორც ჯარისკაცი. წავიდეთ!

\* \*

შემოდგომის მოლუშული დღე იყო. ღრუბლები ერთმანეთს  
 უხმოდ ეჯახებოდნენ. ხეებს ფოთლები სცვივოდა. კანკალებ-  
 და ფერგაცრეცილი ბუნება.

მზვერავმა ამბავი მოიტანა: ჩვენსკენ ასზე მეტი გერმანე-  
 ლი მოდისო, ცხენებით ტყვიამფრქვევები მოაქვთო.

კუხნეცოვმა მე გამომიძახა:

— შეიძლება ქართველები მოდიან, კარგად შეამოწმე! სის-  
 ხლი უბრალოდ არ დაიღვაროს.

გავეშურე. შორიდანვე ვიცანი ივანე სმალკოვი. გერმანულ  
 ტანსაცმელში გამოწყობილ ასეულს მოუძლოდა წინ. სმალკოვს  
 უკან მოჰყვებოდა მაღალი კაცი, შავგვრემანი, პირხმელი და  
 შავულვაშებიანი. სამხრეებზე ღაფაკვირდი და მივხვდი, ის იყო  
 ასმეთაური.

ქართველიშვილს მოჰყვებოდნენ ძაგნიძე და პურიჭამია-  
 შვილი.

გახარებული გავიქეცი:

— გამარჯობათ, ქართველებო!

— გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

— მართლაც რომ გამარჯვებულები მოვდივართ, გა-  
 მარჯვებულები! — მომვარდა ძაგნიძე და გადამეხვია. მერე  
 შავულვაშა კაცთან მიმიყვანა: — გაიცანი ჩვენი მეთაური! არც  
 ისეთი ცუდი ბიჭი ყოფილა, ჩვენ რომ გვეგონა.

მე და ქართველიშვილმა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.  
 მისი მწვანე მუნდირი შევათვალეერე, არ მომეწონა ქართველი  
 ვაჟკაცის ტანზე გერმანული მუნდირი, მაგრამ რას იზამ, ომი  
 თურმე აღამიანს ტანსაცმელსაც აცვლევინებს... ეს არაფერია,  
 მთავარია კაცმა გული არ შეიცვალოს... გულია მთავარი გული!

იმ დღეს ჩვენს პარტიზანულ ბრიგადას ას ხუთი ქართველი და ოცდაათი რუსი შემოემატა. ამ ხალხმა თან გერმანულმა რაღი მოიტანა.

ეს მოხდა პირველ ნოემბერს, ათას ცხრაას ორმოცდასამ წელს.

• •

კუზნეცოვმა ბრძანა, ამ ასეულისგან მეთერთმეტე პარტიზანული რაზმი ჩამოაყალიბეთო. ასეც მოხდა. ასმეთაური აკაკი ქართველიშვილი რაზმის მეთაურად დატოვა, მე კომისრად დამნიშნა, არკადი შარინოვი კი — შტაბის უფროსად. რაკი რაზმში ქართველები ყველაზე მეტი იყვნენ, ქართველთა პარტიზანული რაზმი ეწოდა. სალამოზე, კოცონს რომ მივუხდებოდით, ორი გუნდი ამღერდებოდა ხოლმე.

ერთი გუნდი ხმას აწერიალებდა:

ვდოლ პო ულიცი მეტელიცა მეთიოტ,  
ზა მეთელიცე მოი მილინკი იდიოტ.  
ტი პასტოი, პასტოი, კრასავიცა შაია...

მეორე გუნდი მტრედივით ლულუნებდა:

საყვარლის საფლავს ვეძებდი,  
ვეძებდი, დაკარგულიყო...

მერე, რაზმში ყველამ ისწავლა „სულიკო“ და ორი გუნდი შეერთდა.

კულიკოვსკიმ ამის გამო ჩვენს რაზმს „სულიკო“ დაარქვა და ეს სახელი ბოლომდე შეგვრჩა.

ამჟამადაც პარტიზანთა წიგნებში ჩვენს რაზმს ამ სახელით იხსენიებენ.

მაგრამ ქართველები მარტო ამ რაზმში როდი იყვნენ. ირაკლი ნოზაძე არ გამოუშვა კულიკოვსკიმ, ჩემი მარჯვენა ხელიაო, და იგი თავის რაზმში მეავტომატე ჯგუფის მეთაურად დანიშნა. ამ ჯგუფში მოხვდნენ ყარაიმან ბეკოშვილი, ლადო საქუაშვილი, ბეგლარა ხაბეიშვილი, ნიკა მჭედლიშვილი, მაქსიმე აზნანაშვილი და ნიკა ოძელაშვილი.

იასონ ბუჩუკური მეათე რაზმში გადაიყვანეს, ჯგუფის პოლიტხელად.

რაზმები სხვადასხვა ადგილას დავბანაკდით.

ჩვენ „ქართველების მიწური“ დავიკავეთ.

ვარსკვლავიანი ცა ხშირად სულგანაბული უსმენდა ყირიმის მთებში მოღუღუნე „სულიკოს“.

ეს სიმღერა ალბათ ახლაც ახსოვთ იმ ტყეებს, ოდესღაც პარტიზანთა კოცონებით განათებულ ტყეებს.

მიწა არაფერს ივიწყებს.



ქართული  
კომუნისტური  
პარტია

## ტყვიების ცაცხლით დამდნარი თოვლი

სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის  
ნეტა ვინ გატყვის ქებასა!

ვ ა გ ა

ოთხ ნოემბერს კუზნეცოვმა ყველა რაზმის მეთაური და კომისარი იხმო:

— დაზვერვამ გვაცნობა, რომ მტერი ჯართა გადანაცვლებას ახდენს. საჭიროა ყველა გზის ჩახერგვა. დაე, იგრძნოს მტერმა, რომ შვიდ ნოემბერს ჩვენ ახლა სხვანაირად ვდღესასწაულობთ, გმირული ბრძოლით. აქამდე ჩვენ უმეტეს შემთხვევაში თავს ვიცავდით, ამიერიდან იერიშზე უნდა გადავიდეთ.

თვითეულ რაზმს კონკრეტული დავალება მისცა. შეტევის ფრონტი ისე უნდა გაგვეშალა, რომ მტერი დაბნეულიყო და ჩვენი მთავარი ძალის ადგილსამყოფელი ზერ გაეგო. ოპერაციის მიზანი იყო მტრის ყურადღების დაფანტვა, რათა ჩვენს ჯარს საჭიროების შემთხვევაში შავი ზღვის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმა შესძლებოდა.

კულიკოვსკის რაზმს სალში ჩამდგარი მტრის ჯარის განადგურება დაევალა. მეცხრე რაზმის პატარა ჯგუფს, გოძიშვილმა სუდაკის ტყისკენ წაიყვანა.

„სულიკოს“ რაზმი ორად გაიყო. პირველ ჯგუფს ქართვლიშვილი წარუძღვა, მეორეს — მე. ჩვენი ამოცანა იყო სუდაკისა და სუუქსუს გზაზე გერმანელთა მიმოსვლა შეგვეჩერებინა.

მეთერთმეტე რაზმელებს გერმანული ტანსაცმელი არ გაუხდიათ, ასევე დავტოვეთ, რათა მათი „გერმანელობა“ გამოგვე-

ყენებინა. იმ დღეს მეც კი გერმანელი უნტეროფიცრის ფარა-  
ჯა ჩავიცვი და კისერზე გერმანული ავტომატი ჩამოვიკიდე.  
გზაზე გავედით და მარჯვე აღგილი ამოვიჩიეთ, დიდხანს  
დაგვიჩიდა ლოდინი, არავინ გამოჩნდა.

ქასრაშვილი ჭიჭიკო, გოგიშვილი ვალოდია და ტიკინაშვი-  
ლი გიგა დაზვერვაზე წავიდნენ. რაკი გერმანელ ჯარისკაცთა  
ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი სოფელ სუუქსუში თა-  
მამად შევიდნენ, რუმინელ და გერმანელ ჯარისკაცება შეერივ-  
ნენ და იქაურობა კარგად დაათვალიერეს, ამბავი ფრთხილად  
გაიკითხ-გამოიკითხეს და მშვიდად გამობრუნდნენ უკან.

— გერმანელები სუდაკისკენ წასასვლელად ემზადებოდ-  
ნენ, ალბათ მალე გამოივლიან. აქვთ ტყვიამფრქვევები, მანქა-  
ნები და ნაღმტყორცნები! — მოგვახსენა ქასრაშვილმა.

— როგორ აჯობებს დახვედრა, ჩავუსაფრდეთ, თუ?.. —  
ვკითხე ამხანაგებს.

— ვაჟაკურად შევხვდეთ, — თქვა ქასრაშვილმა. — გზაზე  
გავიდეთ და რომ მოგვიახლოვდებიან, მოულოდნელად ავუტე-  
ხთ სროლა. ასე უფრო დავაბნევთ მტერს.

სამ რიგად მოვეწყვეთ და სუუქსუს გზას გავყევით. ორიო-  
დე კილომეტრი რომ გავიარეთ, რამდენიმე მანქანა გამოჩნდა  
და გაჩერდა.

— ფრთხილობენ მამაძაღვლები! — ვთქვი მე. — ახლა უკან  
მიბრუნება ან გზიდან გადახვევა არ შეიძლება, ჩვეულებრივ  
წავიდეთ და გვერდით რომ ჩავუვლით, მაშინ დავხოცოთ. იცო-  
დეთ, დასწრებაზეა. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი ასტეხავს  
სროლას. რაც მთავარია, არ აღელდეთ.

მივუახლოვდით. ვხედავთ, წინა ორ მანქანაზე რუმინელები  
სხედან. თოფები გადაკიდებული აქვთ. უკანა მანქანებში გერ-  
მანელები არიან.

ძნელია მტერთა პირისპირ შეხვედრა. ბიჭები კი გავაფრ-  
თხილე, არ აღელდეთ-მეთქი, თავად კი გული ამიგანგაშდა. გა-  
რეგნულად მაინც მშვიდად დავიჭირე თავი და მანქანებს მი-  
ვუახლოვდი.

შუა მანქანის კაბინიდან გერმანელი ოფიცერი ჩამოხტა და  
ჩვენსკენ გამოეშურა. ჩვენ არ შევჩერებულვართ.

ოფიცერმა სამხედრო სალამი მომცა — ორი თითა გაშალა და ხელი მაღლა ასწია:

მერე რაღაც ჩაილაპარაკა, ალბათ საშვი მთხოვა, რომ მოსეირნობთ, ვინ ხართო.

გერმანულად პასუხის გაცემა მე არ შემეძლო, დაყოვნების დროც აღარ იყო, ერთი შევხედე, თვალი გავუშტერე და ავტომატის სასხლეტს თითი გამოვკარი. ოფიცერმა ვერაფერი მოასწრო, დაყვირების გარდა, უცებ ჩაიკეცა.

ონიანი ორ მანქანის შუა შევარდა და უმაღვე ავტომატი ააკაკანა. მანქანის ძარაში მდგომი ჯარისკაცები ერთმანეთს ზედახორად დაეყარნენ.

ქასრაშვილმა მეორე გერმანელი ოფიცერი გაავორა ძირს. ყველა პარტიზანმა ასტეხა სროლა. სეტყვასავით დაუშინეს ტყვია ხუთივე მანქანას. მერე ყუმბარების ბათქა-ბუთქი გაისმა. ჩანს გერმანელები და რუმინელები დაიბნენ, უცებ ვერ მიხვდნენ, გერმანულმუნდირიანი ხალხი რატომ ესროდა მათ. სამი მანქანა ცეცხლის ალში გაეხვია. ეს ყველაფერი უცებ მოხდა, ორიოდღე წუთში.

ვიდრე გადარჩენილი გერმანელები გონს მოვიდოდნენ, ჩვენ ტყეში შევცვივდით და ახლა იქიდან დავაყარეთ ტყვია უკანა ორ მანქანას. გერმანელებმაც ააკაკანეს ტყვიამფრქვევი. ხეების ტოტებში აწივლდა ტყვია.

სახიფათო ადგილს გავცდი. ხალხი შევამოწმე. ნოშრევან ონიანი გვაკლდა. დაღუპული გვეგონა. ყველა დამწუხარდა.

— აგერ მოდის! — წამოიძახა ქასრაშვილმა.

მივიხედეთ. ონიანი ბილიკზე მორბოდა. ორი გერმანული ავტომატი და სამი რევოლვერი მოჰქონდა. მწუხარება სიხარულად შეგვეცვალა.

— შენ რა, ნადავლის შესაგროველად დარჩი?

— ცოტნე დადიანს მტრის თავები მოჰქონდა და სარზე აცვამდა. მე რაც მომხვდა ხელში, ის წამოვიღე. ხომ არავინ გვაკლია?

— არა.

— ძალიან ვიყოჩაღეთ ღმერთმანი. თითქოს სიზმარი იყო ყველაფერი. არც დაჭრილია ვინმე?

— არა.

— ქვე გულის მოსვლა არ ვაცალეთ და, ტყვიას ისე ხომ არ გვესროდნენ? — თქვა რაჭველმა შაქრო ერაძემ და ბირველად თვითონ გაიცინა.

ბანაკში მშვიდობით დავბრუნდით. დაზვერვამ იმ დღესვე გვაცნობა:

— სუუქსუდან მომავალმა გერმანელებმა ორმოცზე მეტი კაცი დამარხეს. ოც კაცამდე დაჭრილი წაიყვანეს ორი მანქანით. დანარჩენი სამი მანქანა სულ დაიწვა. სუუქსუს გზაზე სხვას აღარავის გაუვლია.

გამარჯვებით დაბრუნდა ქართველიშვილის ჯგუფიც. მეთაურმა კუზნეცოვს მოახსენა: ტარაკტაშსა და სუუქსუს შუამდებარე ხიდი აფეთქებულიაო.

მხიარულად დაბრუნდა გოძიშვილის ჯგუფიც.

— მშვიდობით მოხველ, ლადო. რა მოინადირე?

— ლამის ორი საათი იქნებოდა, ავტომანქანების შენიღბული შუქი შევნიშნეთ. თითქოს ციციანათელები გვიახლოვდებოდნენ. ხან ქრებოდნენ, ხან ინთებოდნენ. მანქანები რომ მოგვიახლოვდნენ, ხელყუმბარები ვესროლეთ. იქაურობა განათდა. მერე ტყვია დავუშინეთ. მხოლოდ რამოდენიმე ფრიცი გაგვექცა სიბნელეში. მანქანები გავჩხრიკეთ. ორში ტყვია-წამალი აღმოჩნდა, ერთში არყით სავსე კასრი. არაყი წამოვიღეთ, მანქანებს ცეცხლი წავუკიდეთ.

— კარგ გუნებაზე ჩანხარ!

— ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეექვსე წლისთავს ვზეიმობ.

— ჩვენც გვაზეიმე, შე კაი კაცო.

— მოგიკვდეთ ჩემი თავი!

კონსერვის კოლოფები ჭიქებად ვაქციეთ და ერთმანეთს მივუჯახუნეთ:

— ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს! სულ ასე გაგვმარჯვებოდეს მტერზედ, როგორც დღეს გავიმარჯვეთ!

— ამინ!

ქართველი კაცი ყველგან პოულობს სუფრის გასაშლელ ადგილს... და, რა თქმა უნდა, დროსაც.



ერთი კვირის თავზე კუზნეცოვმა ახალი დავალება მოგვცა: შხამურზისა და სტარი კრიმის გზაზე ხიდები უნდა ააფეთქოთო. ერთად წავედით ორი რაზმი — მეათე და მეთერთმეტე.

შუბლშეკრული ცა დედამიწას კუშტად დასცქეროდა, თითქოს რაღაც მუქარა ედო გულში. ვარსკვლავები ღამის სათევალ ღრუბლებში მიმალულიყვნენ. ქარი ქროდა და ფოთლებს ამრიალებდა. საღღაც შორს, მანათობელი ტყვიები ცეცხლის წერტილებივით ერთმანეთს მისდევდნენ.

— ეპ, ვინ იცის, ეგ მანათობელი ტყვიები ახლა ვის უბნელებენ სიცოცხლეს! — ჩაილაპარაკა ვილაყამ ჩემს მახლობლად. ღამეში ვერ ვიცანი.

აღმოსავლეთიდან ყრუ გუგუნი ისმოდა. საღღაც მაგარი ბრძოლა იყო.

— ეტყობა, ჩვენები უკვე ქერჩს ურტყამენ... შეიძლება უფრო აქეთაც წამოიწიეს, — ვუთხარი ქასრაშვილს. — გვიხლოვდებიან თანდათან.

— ჩვენ რომ ამაღამ ხიდებს ავაფეთქებთ, შეიძლება ეს ხმა იმათაც გაიგონონ.

— გაიგონებენ, ნამდვილად გაიგონებენ.

მალე მეათე რაზმი ჩამოგვშორდა, სხვა გზაზე წავიდა. ჩვენ რომ დანიშნულ ადგილს ვუახლოვდებოდით, გრუხუნი გავიგონეთ. მივხვდით, მეათე რაზმმა უკვე ააფეთქა ხიდი. ჩვენი ასაფეთქებელი ხიდის გუშაგებმა განგაში გამოაცხადეს. წინ მზვერავეები გავუშვით.

იქაურობა მაშხალებმა დღესავეით გაანათა. მზვერავეები მალე მობრუნდნენ: ხიდის იქეთ და აქეთ, სანგრებში, ჯარისკაცთა მთელი ასეულია ჩასაფრებულიო.

იქ მთელი რაზმით ჯიქურ მისვლა ახლა ხელსაყრელი არ იყო. ქართველიშვილმა ქასრაშვილს დაავალა: ათი კაცი წაიყვანე, იქითა მხრიდან მოუარე და სროლა ასტეხე. გერმანელები პირს შენსკენ იზამენ და ჩვენ მოულოდნელად ზურგში დავცხებთო. ქასრაშვილის ჯგუფი გაწვა და ხოხვით წავიდა. ოციორდე წუთის შემდეგ ნელყუმბარების აფეთქების ხმა მო-

გვესმა. ავარდა მაშხალა. ჩვენს მხარეს გერმანელები სანჯრებიდან ამოცვივდნენ და მიწაყრილისკენ გაიქცნენ.

— ცეცხლი! — ბრძანება გასცა რაზმის მეთაურმა. რამდენიმე გერმანელი მიწაზე განერთხო, დანარჩენებმა კორდი გადაირბინეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ. ახლა იქითა მხრიდან გაისმა სროლა კვლავ ავარდა მაშხალა. გერმანელები ჩვენსკენ გამოიქცნენ. ისევ გავუხსენით ცეცხლი. მიწურებში შეიშალნენ. ნოშრევან ონიანი გაცოცდა და ჯერ ერთ მიწურში შეაგდო ხელყუმბარა, მერე — მეორეში. შვიდი გერმანელი დავატყვევეთ. მიტოვებული ირადი ავკრიფეთ. ქასრა-შვილმა ხიდი ააფეთქა და ტყეში დავბრუნდით. ჩვენი რაზმი ახლაც საღსალამათად გადარჩა. გერმანელი ტყვეები ორ ჩვენს კაცს ბრიგადის შტაბში გავატანეთ, ჩვენ კი მეორე ხიდის ასაფეთქებლად გავეშურეთ. იქ გერმანელთა დაცვამ დიდი წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია და მეორე ხიდი უფრო ადვილად ავაფეთქეთ. აღმოსავლეთის ცამ პირი რომ გახსნა, ქვემო შახმურზაში შევედით და შევისვენეთ.

გვეგონა, რომ მარჯვენა მხრიდან მეათე რაზმი გვიცავდა. უცებ გერმანელები მოგვიახლოვდნენ. ჩანს, იმლამინდელი ჩვენი ამბები გაიგეს და ბატალიონი დაგვადევნეს.

შემდეგ გავიგეთ, მეათე რაზმს მხოლოდ ერთი ხიდის აფეთქება მოუხერხებია, მეორესი კი ვერა. რაკი იქ წინააღმდეგობას წასწყდომია, უკან დაუხვევია ბრძოლით და თავი ტყისთვის შეუფარებია.

ჰოდა, ახლა გერმანელებმა ჩვენი რაზმის ალყაში მოქცევა დააპირეს. კუზნეცოვის ბრძანება მივიღეთ, მტერს ალყის შეკვრის საშუალება არ მისცეთ, ხალხს გაუფრთხილდით და უკან დაიხიეთო. რამდენიმე კაცი მტერს ტყვიას უშენდა და აფერხებდა, რაზმი კი, ტყეს შეფარებული, ფარული ბილიკებით იხევდა უკან. ზემო შახმურზაში ავედით. აქ ერთი მხრიდან პშირი ტყე გვიცავდა, მეორე მხარეს ღია მინდორი იდო და იქიდან გერმანელების მოსვლა შეუძლებელი იყო. მტერი უკან გაბრუნდა. ალბათ შეეშინდათ, მათში არ შეგვიტყუონ და იქ არ ამოგვეღიტონო. ბანაკში კვლავ უდანაკარგოდ დავბრუნდით.

იმ თვეში რამდენიმე ბრძოლა გადავიხადეთ. ჩვენს რაზმს ყველაზე სახიფათო დავალების შესასრულებლად აგზავნიდნენ. მაგრამ, ბედად, მხოლოდ სამი კაცი დაგვეღუპა და რთხი მსუბუქად დაიჭრა. ჩვენ გერმანული ავტომატები გვეჭირა ხელში და გერმანული სამხედრო ტანსაცმელი გვეცვა. მტერს მისივე იარაღით ვურტყამდით. რაზმი ხშირად ორად იყოფოდა, ერთი ჯგუფი საბრძოლველად ქართველიშვილს მიჰყავდა, მეორე — მე.

• •

ჩვენი პარტიზანული ბრიგადის რაზმები სტარი კრიმის ტყეებში სხვადასხვა ადგილას იყო განლაგებული. ყველა რაზმს თავისი სათვალთვალო უბანი ჰქონდა. საიდანაც მტერს ველოდით, მოდარაჯე ჯგუფები გვყავდა ჩაყენებული. მოდარაჯე ჯგუფს ჰყავდა ორი მეკავშირე კაცი. ისინი შტაბს ახსენებდნენ, რა მდგომარეობა იყო ირგვლივ.

გაგაკეთეთ თავდაცვის სიმაგრეები და სათადარიგო პოზიცია. თუ ერთ რაზმს მტერი თავს დაესხმოდა, იმ მტრისთვის მეორე რაზმს ზურგში უნდა ჩაეცა მახვილი. ასე ვუშველეთ იმ დღეებში ვახტინის მესხეთე რაზმს.

აცივდა. ცეცხლმა სითბო დაკარგა. ბუნებამ მოიწყინა. მოგვიახლოვდა ზამთარი. რაკი ტყეში ბევრი ხალხი შემოვიდა, ამ ხალხს სურსათიც ბლომად სჭირდებოდა, შოვნა კი ჭირდა. უამინდობის გამო დიდი მიწიდან ვერაფერს გვაწვდიდნენ.

მწვერავებმა ამბავი მოიტანეს: რაზალიევკაში რუმინელთა ოცეული მოსახლეობისთვის წართმეულ პირუტყვს და საომარი მასალის საწყობებს დარაჯობსო. იქ წასვლა მეცხრე რაზმის მეთაურმა ვლადიმერ გარადენკომ ითავა. სულ ხუთი კაცი წაიყვანა, მეტი კი არა. მეგზურობა ლადო გოძიშვილმა იკისრა. იქაურობა უკვე ხუთი თითივით იცოდა ძველმა პარტიზანმა.

ლამით წავიდნენ და დილით დაბრუნდნენ.

— როგორ არის, ლადო საქმე? — მივაძახე შორიდან.

— როგორც დაგიბარებია. ხუთი წავედით და ოცი მოვედით... თხუთმეტი რუმინელია.

— დაატყვევეთ?

— არა, ბიჭო, ვუხათრებდით.

ლადო მოკლედ მომიყვა, რაც თავს გადახდა:

— სოფელს რომ მივუახლოვდით, შევისვენეთ. იქაურობა ლამის წყვდიადში იყო ჩაფლული. ჭაჭანება არსაიდან ისმოდა. მერე გავიგეთ, გერმანელებს ძაღლებიც კი დაუხოციათ, ლამით გვიყეფენ და გვაშინებენო.

სოფლის განაპირას მდგომ სახლს მივადექით. იქ ჩვენი მესაიდუმლე გვყავდა. ჩაგვიკენჭა, რუმინელები ვის ოჯახში იდგნენ, მიგვასწავლა კიდევ — ახლა ალბათ ყველას გულიანად სძინავსო. სოფელში სულ თხუთმეტი რუმინელიაო. მივადექით ერთ სახლს, მასპინძელს ვანიშნეთ და კარი უხმაუროდ გაგვიღო. იქ სამ რუმინელს ეძინა. ჯერ მათი იარაღი ავიღეთ და მერე მძინარენი გავადვიძეთ. ჯიბის ნათურა რომ ავანთე, შეკრთნენ, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ადვილად დაგვემორჩილნენ. პირში პარაშუტის ხელსახოცები ჩავჩარეთ და წინ გავიგდეთ. მეორე სახლში ხუთი რუმინელი დავიჭირეთ. ისინიც კრინტის დაუძრავად დაგვნებდნენ. მესამე სახლში „სტაროსტა“ და რუმინელთა იმ ჯგუფის მეთაური შევიპყარით. ისინი საწყობთან მივიყვანეთ და ვათქმევინეთ, რომ გუშაგს კარი ვაღლო. გუშაგმა კარი გააღო თუ არა, სამი პარტიზანი შიგ შევევარდით და იქ მყოფი რუმინელები უცებ გავთოკეთ. ასე მოვაგროვეთ თოთხმეტი რუმინელი. ჩვენმა ბიჭებმა თავლა გააღეს, დაბმული ცხენები და ძროხები აუშვეს. ვაზნებითა და სურსათით გატენილი ტომრები ერთმანეთს თოკებით გადააბეს და ცხენებს აჰკიდეს. წამოვედით ტყვეებ-ნადავლიანად. უცებ უღარდელი სტვენა მოგვესმა. ორმა პარტიზანმა მეთხუთმეტე რუმინელი შეიპყრო. ცამ პირი რომ გაიხსნა უკვე ტყეში ვიყავით. რუმინელებს აქამდე კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდათ, ახლა კი აცახცახდნენ, პარტიზანები დაგვხოცავენო. ყარაბურუნის მთაზე ამოსვლისას ზოგმა ტირილიც კი დაიწყო. მხოლოდ ერთი რუმინელი მხნეობდა და სხვებს მრისხანედ ელაპარაკებოდა, ჩანს, უწყრებოდა, სულით ნუ დაეცით, ყველას ნუ აჩვენებთ თქვენს ლაჩრობასა და მშიშარობასო. თხუთმეტივე

რუმინელი ბრიგადის შტაბში მივიყვანეთ. სულ ეს არის ჩვენი წახანდელი ამბავი.

— კარგი ამბავია, ჩემმა მზემ.

• •

დაზვერვამ ამბავი მოიტანა: ბარაკოლიდან გერმანელები უამრავ პირუტყვს გერმანიაში აგზავნიანო. მეთერთმეტე რაზმის პარტიზანთა ერთი ჯგუფი სოფელში შეიჭრა, მეორე ჯგუფი სოფლის გარეთ დადგა, რათა მტერს სოფელში შესული პარტიზანებისათვის ალყა არ დაერტყა. გაიმართა ბრძოლა. მტერი სოფლიდან უთავბოლოდ გაიქცა. ერთი ჯგუფი სოფლის განაპირას ჩასაფრებულ პარტიზანებს გადააწყდა. პარტიზანებმა სროლა ასტეხეს. რამდენიმე ფაშისტი ძირს დაეცა, სხვებმა თავს გაქცევით უშველეს.

დილით იმ ჯგუფებმა რაზმში ასამდე სული პირუტყვი მოიყვანეს.

— ერთ საოცარ ამბავს გეტყვით, — თქვა დიადია საშამ. — ერთ-ერთი პარტიზანული რაზმი კარგა ხანს ალყაში იყო. ჰოდა, გაუჭირდათ დაუბანლად ყოფნა. როგორც კი ალყას თავი დააღწიეს, ერთ მინდორზე თოვლი გაადნეს და დიდ ორმოში დააგუბეს. მერე იმ ორმოს ირგვლივ დიდი ცეცხლი გააჩაღეს და „აბაზანაში“ დაიწყეს ტანის ბანა. კარდალებით ისხამდნენ ცეცხლზე შემთბარ წყალს. ირგვლივ ყინავდა, ისინი კი ამას არაფრად აგდებდნენ. იყო ერთი ხორხოცი და სიცილი. ამ დროს დაზვერვამ მეთაურს მოახსენა, მტერმა ალყა დაგვართყაო. გამოჩინდნენ თოფმომარჯვებული რუმინელები. პარტიზანებს ჩაცმის დრო სადღა ჰქონდათ, მხოლოდ თოფებს წამოავლეს ხელი და ხევისკენ გაიქცნენ, რათა ხეებს ამოჰფარებოდნენ.

უცებ რუმინელებმა პირი იბრუნეს და მოჰკურცხლეს. ცხრამთას იქით გაიქცნენ. პარტიზანები აბანოს დაუბრუნდნენ. ის კი უკვირდათ, ეს რა ქნა მტერმაო. ერთი კვირის შემდეგ გაიგეს. თურმე რუმინელებმა ხელთოფიანი ტიტველი ხალხი რომ დაინახეს, იფიქრეს, ამ ქაჯებთან ჩვენ რას გავხდებით, შუა

ზამთარში ტყეში ტიტლიკანები დარბიანო, და გაეცალნენ იქ-  
ურობას. აი, ნამდვილი სასწაული ეს არის.

მეორე დღეს ბარაკოლს კვლავ დავესხით თავს, რადგან იქ  
მტრის რამდენიმე ბატალიონი დაბანაკდა. ვინც ჩვენ გაგვექცა,  
თურმე სადღაც ტბაში შესულა და მთელ ღამეს იქ გაუთევია.  
მეორე დღეს ტბაში შვიდი კაცი დამხრჩვალნი უპოვიათ.

ვახტინის რაზმი სოფელ იზიუმოვკას დაესხა თავს. „სული-  
კოს“ რაზმმა სტარი კრიმიდან იზიუმოვკისაკენ მიმავალი გზა  
ჩახერგა, რომ იზიუმოვკაში ჩაყენებულ გერმანელებს სტარი  
კრიმიდან ვერავენ მიშველებოდა.

ვახტინმა იზიუმოვკას შეუტია. მტერმა სტარი კრიმისაკენ  
დაიხია. აქ გზაზე ჩვენ დავხვდით. ისინი კვლავ უკან გაბრუნ-  
დნენ და ვიდრე ჩვენები სოფელს აიღებდნენ, თვითონ ააფეთ-  
ქეს ბენზინის საწყობები და ოცდათვრამეტი მანქანა დაწვეს.  
მტერი უკვე იძულებული ხდებოდა თავისი ხელით გაენადგუ-  
რებინა საკუთარი ავლადიდება. ესეც ჩვენი ხეირი იყო.

იმ ბრძოლაში მტერმა ხალხიც ბლომად დაკარგა.

ერთი მკვდარი გერმანელი ვნახე, ორი უცნაური მედალი  
ეკიდა

— ეს რა არის? — ვკითხე ქასრაშვილს.

— ერთია რუსული ზამთრის გადატანისთვის მიცემული  
ჯილდო, მეორე „პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლის“ მედალი.

— კაცო, რუსული ზამთრის გადატანის ჯილდოც დააწე-  
სეს გერმანელებმა?

— როგორც ხედავ, დაუწესებიათ.

— უბედური! ეს ზამთარი კი ვეღარ გადაიტანა, თორემ  
ასეთ მედალს კიდევ დაჰკიდებდნენ. პარტიზანებთან ბრძოლაში  
ერთი მედალი კი მიუღია, მეორე კი ვეღარ მოასწრო. ამის  
ცოდვა მიეცეს ჰიტლერს.

— ძალიან ბევრი ცოდვა აიკიდა იმ ოხერმა ჰიტლერმა. ნე-  
ტავი ადრე ჩაძალღებულიყო.

— მართლაც! — კვერი დავუკარი მე.



დაზამთრდა. გახშირდა ქარი და ნამქერი. ლაბადკარავი იყო  
ჩვენი მფარველი. გაბუნია გიორგი და მიქაძე ანდრო ახლაც  
არ იშლიდნენ სიმღერას. მართალია, მათ ღიღინს ზოგჯერ ქა-  
რი იტაცებდა, მაგრამ არც ამას უშინდებოდნენ. ხუნდაძე  
ალექსანდრე ავადმყოფებს უვლიდა. ლაშქარაშვილი მიხეილი,  
ზედმეტსახელად კინტუას რომ ვეძახდით, კრიდა და კერავდა.  
თერძობა ემარჯვებოდა, ამიტომ ოპერაციებზე იშვიათად და-  
დიოდა. მეკოშკიშვილი ვანო ხვნას ნატრობდა, ტიკინაშვილი  
გიგა — მეცხვარეობას. ხომასურიძე ნიკა დოლის ცხენივით  
დარბოდა რაზმებს შორის — შუამავლობა ჰქონდა მინდობილი.  
მოკლედ — ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა.

ერთხელ ოპერაციიდან დაბრუნებულმა დავით მუმლაძემ  
გამიხმო ცალკე:

— ამხანაგო კომისარო, ტყვია გამითავდა და უცებ გერმა-  
ნელი წამომადგა თავს. ქართველიშვილი რომ არ მომშველებო-  
და, ნაღდად მომკლავდა.

— ჩემო დავით, ერთმანეთს თუ არ დავეხმარეთ, ქვეყნად  
უფრო მეტი ცოდვა დატრიალდება. ეს ძველი ჭეშმარიტებაა.

ბოლო დროს რუმინელებს აღარ ვარბევდით, რადგან ისინი  
ისედაც გვბარდებოდნენ ტყვედ.

დეკემბერში სუდაკის გზაზე გავედით. ორ ჯგუფად გავიყა-  
ვით. ქასრაშვილმა ერთი ჯგუფი გზის იქით ჩაასაფრა, ჩვენ  
აქეთ, ტყეს შევაფარეთ თავი. გერმანელი ჯარისკაცებით სავსე  
ოთხი მანქანა მოგვიახლოვდა. ჩვენ ხელყუმბარები ვესროლეთ,  
ქასრაშვილის ჯგუფმა ავტომატების ცეცხლი გახსნა. ვიდრე ამ  
ოთხ მანქანას ვანადგურებდით, თურმე გერმანელთა სხვა ბა-  
ტალიონმა შეგვნიშნა, მანქანები შორს გააჩერა და იერიშზე  
წამოვიდა. მახსოვს, ამ ბრძოლაში ჯიქიას მახლობლად ყუმბა-  
რა დავარდა. არ დაიბნა ბიჭი, ვიდრე ის ყუმბარა გასკდებოდა,  
დაავლო ხელი და უკანვე გასტყორცნა გერმანელებისკენ.  
მტერს ალყის შეკვრის საშუალება არ მივეცით. ტყის სიღრმი-  
სკენ დავიხიეთ ბრძოლით. ფაშისტებმა სამოცამდე კაცი და-  
კარგეს, ჩვენს რაზმში კი ერთიც არ დაღუპულა, მხოლოდ ლაშ-  
ხია დაიჭრა.

ოცდარვა დეკემბერს მტერმა დიდძალი ჯარი შემოიყვანა ტყეში. აჯუბების ხევიდან ქვემეხები დაგვიშინა. მთელ დღეს კრუხუნებდა ჭურვი და კაკანებდა ტყვიამფრქვევი. მაგრამ გერმანელები წინ არ წამოსულან. მივხვდით: ეს მხოლოდ დაზვერვა იყო. მტრის ხრიკებს მივეჩვიეთ. მართლაც, ოცდაცხრა დეკემბერს ტყე ფაშისტებით აივსო, ყოველი მხრიდან შემოგვიტყეს. გაყინული დილა თოფის ხმამ შეაცაცაბა. მერე აღმუვლდა ზეცა, მიწამ ზანზარი დაიწყო.

რამდენიმე წუთში ბანაკი სულ დაცარიელდა, ყველა პარტიზანი ცეცხლის ხაზზე გავიდა და ჩასანგრდა.

ამ ბრძოლაში პირველად გამოვიყენეთ ახლად მიღებული ყუმბარმტყორცნები. დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. თოვლი პევრგან გააწითლა სისხლმა.

ჩვენც და მეცხრე რაზმსაც მოხერხებული ადგილი გვეჭირა. მტერს კარგად ვხედავდით მთიდან, ისინი კი ადვილად ვერ გვაჩინევდნენ. ამ ბრძოლაში მარტო დავით ჩოგოვაძემ ოცზე მეტი ფაშისტი დაადღუმა სამუდამოდ. მეტყვიამფრქვევე დავით ჯენტურიძე ტყვიამფრქვევს შაშხანასავით იჭერდა ხოლმე ხელში და ზეზე მდგარი ესროდა მტერს. გედევანიშვილი ხეზე ავიდა და იქიდან ისროდა ავტომატს. მართლაც რომ თავგანწირულად იბრძოდნენ ბიჭები. თავზარდაცემული მტერი უკან გაბრუნდა. ქასრაშვილი თავისი ჯგუფით გაედევნა.

— ნულარ მისდევ, — უთხრა ვასო ბუჩუკურმა, ხომ ხედავ, როგორ მოჰკურცხლეს?

— რა იცი, იქნებ შემოგვიბრუნდნენ?

— ახალი წელი მოდის, ვის უნდა ამ დღეს საფლავში მწოლარე შეხვდეს? — გაეპასუხა პურიჭამიაშვილი.

— ერთი გერმანელი ისე გარბოდა, ქუსლს კეფაზე ირტყამდა. — ჩაერია საუბარში ონიანი.

— მეორეს ქუდი დაუვარდა და იმის აღებაც კი ვერ მოახერხა. — გაიცინა ნასკრებნიკმა.

— მაშ, გერმანელებს უნდათ ახალ წელს მშვიდად შეხვდნენ, არა? — იკითხა ჯგუფის მეთაურმა. — ვნახოთ, ვნახოთ. ნეტავი, ჩიჩილაკიც ხომ არ ნებავთ?

საღამოს ყველა რაზმის მეთაურმა კუზნეცოვისთვის ანგა-



რიშის ჩასაბარებლად ბრიგადის შტაბთან მოიყარა თავი. ჩვენს რაზმში სამი კაცი იყო მკვდარი და რამდენიმე მსუბუქად დაშავებული. ამ თათბირზე გადაწყდა, რომ გერმანელებისთვის ახალი წელი ჩაგვეშხამებინა.

ახალწლის შემოლოცვის ქაშს, ოცდათერთმეტი დეკემბრის ღამეს სტარი კრიმის მახლობლად პარტიზანების ერთი ჯგუფი ჩასაფრდა. რიგრიგობით ისროდნენ წითელ მაშხალებს და ხელყუმბარებს. ხან ტყვიამფრქვევს ააკაკანებდნენ, ხან — აეტომატს.

როგორც შემდეგ გავიგეთ, ამას სტარი კრიმში ჩაყენებული ჯარი დაუფრთხია, ფაშისტები არეულ-დარეულან. განგაში გამოუცხადებიათ და სტარი კრიმის გარშემო გათბრილ სანგრებში ჩამდგარან. თურმე მთელ ღამეს ესროდნენ უხილავ მოწინააღმდეგეს, ესროდნენ ტყვიამფრქვევსა და მაშხანას, ქვემეხსა და ნალმმტყორცს. ასე უბრძოლიათ დიღამდე. მერე დაუნახავთ, რომ იქ არავინ იყო. ახალწლის დილით ისედაც დაქრილებით გადატვირთულ ჰოსპიტალში გერმანელებს უამრავი ფეხმოყინული ჯარისკაცი მიუყვანიათ.

— მტერი ყოველთვის ტყვიით კი არ უნდა მოკლა, ზოგჯერ ასეც უნდა დაამარცხო! — თქვა ქასრაშვილმა.

ოპერაციიდან დაბრუნებულმა კულიკოვსკიმ უამრავი ნადავლი მოიტანა. სადღაც ერთი კარგი ჩიბუხიც ეშოვნა.

— მე ახლა ორი ჩიბუხი მაქვს, — უთხრა კუზნეცოვს, — ეს ვის ვაჩუქო, არ ვიცი.

— ვინც ამ დღეებში ყველაზე უკეთ იბრძოლა.

— მაშინ, გოძიშვილს ერგება.

კულიკოვსკიმ ეს ჩიბუხი მეცხრე რაზმის შტაბის უფროსს ლადო გოძიშვილს საზეიმოდ გადასცა.

— გმადლობთ, — უთხრა ლადომ შინაურულად, გმადლობთ, დიადია საშა, ოღონდ... მოგხსენებათ, ცარიელ ჩიბუხს ბოლი არ გამოსდის და...

— ეჰ, აღუვსებელია კაცის გული, — გაიცინა კულიკოვსკიმ და ჯიბიდან ქისა ამოიღო. — ჰა, ესეც მიჩუქნია. ოღონდ

ერთი რამ იცოდე, ეგ ჩიბუხი სულ შენი კი არ არის. ხვალ ვინც უკეთ იბრძოლებს, იმას უნდა გადასცე, გაიგე?

პარტიზანი  
განმანათლებელი

— გარდამავალი დროშაა თუ ჩიბუხი?

— ორივე.

იმ დღიდან ის ჩიბუხი ხელიდან ხელში გადადიოდა.

\* \* \*

იანვრის შუა რიცხვებში ყირიმის პარტიზანული მოძრაობის შტაბის განკარგულება მივიღეთ, ჩვენი ორი ბრიგადა — კულუკოვსკისა და კატელნიკოვის, ერთმანეთს უნდა დაახლოებოდა. სტარი კრიმის ტყიდან ჯერ სუდაკის ტყეში გადავედით, შემდეგ ყარასუბაზრისკენ ავიღეთ გეზი. იმ მიდამოებში ჩვენ გველოდა ნიკოლოზ კატელნიკოვის პარტიზანული ბრიგადა. ირგვლივ უკვალავი თოვლი იდო. ხან ერთი ჯგუფი მიდიოდა წინ, ხან — მეორე. ამინდს კარგი პირი არ უჩანდა. თოვდა და თოვდა. ბილიკებზე გამოშვებულ თოვლიან ტოტებს ხელით ვწევდით განზე. დამით სიარული შეუძლებელი იყო.

გაიცა ბრძანება: შეისვენეთო.

პარტიზანებმა ლაბადაკარეები გადაიფარეს და ცისქვეშ გაათიეს ღამე. დილით რომ გავიხედე, პარტიზანების ღამესათვეი ადგილი დათოვლილ ჩირგვნარს ჰგავდა. პარტიზანები ამ თოვლიდან ისე წამოდგნენ, თითქოს არაფერიო.

პარტიზანთა ერთ ჯგუფს დაჭრილები მოჰყავდა. ამ ჯგუფს მოჰყვებოდა ექიმი პროფესორი სუხარევი. ეს ოთხმოცი წლის მოხუცი თურმე ფეოდოსიაში გერმანელებმა დააპატიმრეს. შემდეგ წინადადება მისცეს, ჩვენს ჰოსპიტალში იმუშავეო. ვერ დაითანხმეს. აწამეს კარგა ხანს. გამოექცა ფაშისტებს და ტყეში შემოვიდა. აქ დღე და ღამ დაჭრილებს დასტრიალებდა თავს. ოპერაციებს ღია ცისქვეშ აკეთებდა, კოცონის შუქზე. თვითონ იმედიანი კაცი იყო და დაჭრილებსაც აიმედებდა. ყველა პატივს სცემდა. ადგილის შეცვლისას პარტიზანებს მხოლოდ სუხარევი მიგვყავდა ცხენით.

სუხარევს ეხმარებოდა ექიმი ნინა სერგეენა ნევეროვა. ხშირად წამალზე უფრო ავადმყოფს ამ გულტკბილი ქალის

კეთილი სიტყვა უხდებოდა. ნინას ეხმარებოდა მისი და, ვალია. პროფესიით ინჟინერი, რომელიც აქ ექთანად მუშაობდა. ნინას იმ თოვლიან ღამეს ყველაზე უფრო დაჭრილების მეთვალყურეებს გაუჭირდათ. ისინი ძლივს მოარღვევდნენ თოვლს. ზოგი დაჭრილი საკაცით მოჰყავდათ. ნინა ნევეროვას სულ შემოაგჟა ფეხსაცმელები და მაინც თავდაუზოგავად მოჰყვებოდა დაჭრილებს და საკუთარ ულუფასაც კი უნაწილებდა.

თილით ერთი სამახსოვრო ამბავი მოხდა. სადაც მეცბრე რაზმის პარტიზანები ისვენებდნენ, დიდი ხის ქვეშ ჩოჩქოლი შეიქმნა. ქალი აკივლდა და თოვლზე გულწასულივით დაწვა. მერე გმინვა დაიწყო და დაიგრიხა. რაზმის ქალებმა ლაბადაკარავები გაშალეს და მკვნესარე ქალი ზედ დააწვინეს, მერე იმ ადგილს ლაბადაკარავები შემოათარეს. სად იყვნენ და სად არა, უცებ იქ გაჩნდნენ ნინა და ვალია. ისინი სახელდახელოდ გაკეთებულ კარავში შევიდნენ. ორიოდ შეკივლება კიდევ გაისმა. შემდეგ კარავიდან გამოვიდა ტანია ოლენკო და ლაღო გოძიშვილს ახარა:

— მომილოცავს ვალოდია! რაზმს ახალი წევრი მოემატა. ლაღომ სიცილით გადაუხადა მადლობა:

— ვაჟია თუ ქალი?

— ვაჟი.

— აბა, კარგი მებრძოლი დადგება. ნათვლა როდის უნდა გადავიხადოთ?

— სანამ დაიბადებოდა, მანამდე მოვნათლეთ — „პარტიზანი“ დავარქვით.

რაზმის იქ დიდხანს გაჩერება არ შეიძლებოდა. მელოგინე ქალი თავის ჩვილიანად გზას გაუყენეს. ნინა სულ იმ ქალს ახლდა და უვლიდა. მგონი, თავისი ჯუბაც კი დაუთმო.

ის ბიჭი ალბათ საცოლუ ვაჟკაცი იქნება ახლა.

\* \*

იმ საღამოს კვლავ შევისვენეთ. ისეთი ბნელი ღამე ჩამოწვა, თულა გათენდებოდა, აღარ გვეგონა. თეთრი წყვლიანი გამეფდა ირგვლივ.



— ცეცხლი უნდა დავანთო, — მითხრა ქასრაშვილმა.  
სხვებმაც კვერი დაუკრეს.

— შერე, გერმანელებმა ტყვია რომ დაგვაცაaron?

— აქ ტყვიას რა უნდა, ახლა გერმანელები ჯობია რომ  
სცემონ, გარეთ არ გამოვლენ, — თქვა მეტყვიამფრქვევე ცი-  
ლინდრიშვილმა.

— ტყვიით სიკვდილი მიჩვენია ამ სიცივეში ყოფნას, —  
თქვა კანკალით გრიქოლიშვილმა.

— ცეცხლს უნებართვოდ ვერ დავანთებთ, მეთაურებს და-  
ვეკითხები.

მაღე ის არემარე მსხვილი ვარსკვლავებით მოქედილ ცას  
დაემსგავსა.

ზოგი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გაშრობას შეუდგა,  
ზოგმა სასმელად თოვლი გაადნო. ზოგსაც კოცონთან მიეძინა.

ალმოსავლეთიდან რიყრაქმა გამოიხედა და წყვილილ რამეს  
საკინძე შეხსნა. ლანდად გამოჩნდა თეთრი მთები. ავიშაღეთ  
და მწვერვალისკენ გავწიეთ. ისევ თოვა დაიწყო. თოვაში სია-  
რული ჩვენთვის ახლა ერთი რამით ხელსაყრელი იყო — ეს  
თოვლი ნაკვალევს ფარავდა და თუ მტერი გამოგვედევნებოდა,  
კვალი მაღე დაეკარგებოდა. მოდი და გაიგე, რა არის ცუდი და  
რა არის კარგი!

ვერ გვიშველა თოვლმა. შუადღისას მტრის მზვერავები  
შეგნიშნეთ. ისინი უმაღვე გაბრუნდნენ.

— თავისიანებს მოიყვანენ! — თქვა აკაკი ქართველიშვილმა  
და ეს ამბავი კულიკოვსკისა და კუზნეცოვს მოახსენა.

გავმაგრდით სხვადასხვა ადგილას. მტერმა ყოველი მხრი-  
დან შემოგვიტია. ქურვები და ყუმბარები დაგვიშინა. ალბათ  
სამთო ქვემეხებით იყო შეიარაღებული. ბრძოლამ კარგა ხანს  
გასტანა. იმ ღამეს ცეცხლი ვერ დავანთეთ, ფეხზე გავათენეთ.  
გათენებისას ბრძოლა განახლდა. კულიკოვსკის რაზმი ხელჩარ-  
თულ ბრძოლაშიც კი ჩაება. ეტყობოდა, მტერს დიდძალი ხალ-  
ხი ჰყავდა, იარაღიც ბლომად ჰქონდა, ნაირნაირი. ფრონტზე  
დამარცხების ჯავრის ამოყრას აქ ფიქრობდნენ, ჩვენთან ბრძო-  
ლაში. ბევრგან შეიღება თოვლი წითლად.

ნინა ნევეროვა საველე საავადმყოფოში მოყვანილ ახალი

დაკრილების მოვლას ვეღარ ასდიოდა. როცა ფეხსაცმელზე  
სულ შემოეფლითა, ზედ ჩერები შემოიხვია და თოვლში ინე-  
დაიწყო სირბილი. რა ექნა, ყველა შველას ითხოვდა.

ნიკა მკედლიშვილი ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს სუხარე-  
თან და ნევეროვასთან. დატრიალდნენ ექიმები და კაცი სიცო-  
ცხლისკენ შემოაბრუნეს.

წყაროსთან მისასვლელი გზაჯვარედინი ხელიდან ხელში  
გადადიოდა.

გოძიშვილის რაზმს სტრატეგიული უბანი ეკავა. წყაროდან  
მწვერვალისკენ მიმავალ სერს იცავდა. თუ მტერი იმ მწვერ-  
ვალს ჩაიგდებდა ხელში, იქ სამთო ქვემეხებს აიტანდა და ყვე-  
ლა პარტიზანულ რაზმს მარჯვედ დაუშენდა ჭურვებს. გოძი-  
შვილმა ოციოდე პარტიზანით შესძლო ორასამდე გერმანელის  
მოგერიება.

ჰაერი თბილი სისხლის სუნით გაიჟღინთა.

მეხუთე რაზმის მეთაური ვახტანგი დაიჭრა ფეხში, მაგრამ  
ბრძოლიდან არ გამოვიდა. ერთმა მუჭა პარტიზანებმა მომძ-  
ლავრებულ მტერს ზურგი არ უჩვენეს.

კუხნეცოვმა იერიშზე გასვლის ბრძანება გასცა. იერიში  
ერთდროულად დაიწყო ყველა რაზმმა. მტერი შედრკა და უკან  
დაიხია. ოთხი-ხუთი კილომეტრით წინ წავიწიეთ. ფაშისტებმა  
თოვლში ჩაფლული ნალმტყორცნები, დაზვის ტყვიამფრქვე-  
ვები და ვაზნებით სავსე ყუთები მიატოვეს და გაიქცნენ. ნალ-  
მტყორცნები დავაზიანეთ და ისე მივატოვეთ. სხვა ნადავლი  
წამოვიღეთ.

ასე მიიღია ჩვიდმეტი იანვრის უმზეო დღე. სველი ტანსა-  
ცმელი სხეულზევე შემოგვეჭირხლა. აქ გაჩერება არ შეიძლე-  
ბოდა, წავედით ყარასუბაზრისკენ.

ნიკა მკედლიშვილი საკაცით წავიყვანეთ. ძალიან უმადლოდა  
ნინა ნევეროვას, მაგ დალოცვილმა ქალმა გადამარჩინაო. ნინა  
შემდეგაც არ აკლებდა ზრუნვას ნიკას და ეს მომაკვდავი კაცი  
ერთ თვეში ფეხზე დააყენა, მერედა, რა პირობებში, როცა არც  
წამლები იშოვებოდა, არც სხვა რამე. ნიკა კვლავ საბრძოლო  
მწყობრში ჩადგა. ვინ მოთვლის, ასეთი დაკრილი რამდენი მო-  
არჩინა ნინამ!

ბნელი ტყე და თვალგაუვალი ღამე, უკვალავი თოვლიანი გზა, ყინვა, ქარბუქი, აღმართ-დაღმართი — ყველაფერი ეს, ერთ-ერთად თავმოყრილი, დაბრკოლებად გველობებოდა წინ, მაგრამ ასე თუ ისე, დავძლიეთ.

ყარასუბაზრის ტყეში კატელნიკოვის ბრიგადას შევეუერთდით. მტერმა არც იქ მოგვასვენა. მთაში ეგერები შემოგვისია. ფაშისტებმა ყველა გზა გადაგვიჭრეს. დიდი მიწიდან რადიო-გრამა მივიღეთ:

„ალუშტის ტყეში მაკედონსკის პარტიზანებს ორ დღეს მტრის ორი-სამი დივიზია ებრძოდა. შემდეგ, გაუგებარი მიზეზით დივიზიები ბრძოლიდან მოხსნეს. გაურკვეველია, რა მოხდა. დაუკვირდით მტრის მოძრაობას, შესაძლოა მტერმა ეს დივიზიები თქვენს წინააღმდეგ საბრძოლველად გადმოისროლოს“.

გერმანელებს ახალი მაშველი ძალა მოუვიდათ. შემდეგ ყოველდღე ემატებოდათ ჯარი. ასე გაგრძელდა თითქმის ერთ კვირას. მივხვდით, რომ ის დივიზიები აქ მოვიდნენ.

ყოველ დილას ქვემეხები და ნაღმტყორცნები გვადვიებდნენ გრუხუნითა და ღმუილით. ჭურვების დანაცემ ადვილას თოვლში შავი ორმოები ჩნდებოდა. შორიდან ეს ორმოები ლაქებს ჰგავდა, ... ჭურვების სკდომის ხმა სადღაც შორს, კლდეებს ასკდებოდა და ცას აყრუებდა. კვამლის ფარდები წამისწამ ჩნდებოდა და იფანტებოდა. მკერდდაღალული მთა-ბარი მძიმედ ხუნეშოდა და გმინავდა. ზანზარებდა დედამიწა. ფოლადის ცეცხლის გრივალი მძვინვარებდა ირგვლივ.

— ყიუუუუ! ყიუუუუ! ყიუუუუ!

ჭურვის ნამსხვრევებმა სტვენით ვადამიქროლა თავზე.

თავი რომ ავსწიე, დავინახე, ათიოდე ნაბიჯის დაშორებით პირშავი ორმო იყო. ის ორმო სიკვდილივით მიყურებდა, ხელმოცარული სიკვდილივით.

მე კი გადავრჩი, მაგრამ... იმ ბრძოლებში ჩემს მახლობლად დაიღუპნენ ციხისელი მაკარა და გვანცელაძე პეტრე. ხუთი კაცი დაიჭრა.

უკეთეს დღეში არც სხვა რაზმები იყვნენ. ირაკლი ნოზაძის ჯგუფი ავტომატების ჭავაზნე კოლოფების გატენას ვერ აუ-

დიოდა, მისი მებრძოლები ერთმანეთის მოშორებით იყვნენ. რათა მტერს უფრო ბევრად მოსჩვენებოდა. ირაკლი ნოზაძე ყველას უთვალთვალებდა. ოძელაშვილი ნიკა ხშირად იცვლიდა ადგილს და მტერს უმოწყალოდ ხოცავდა, მაგრამ ფაშისტები არ ილეოდნენ. მოიწევდნენ და მოიწვევდნენ წინ. ნაკას პატრონტაში ჯვარედინად ეკიდა, ჩანს, ვაზნები გაუთავდა, ორივე პატრონტაში მოიხსნა და მოიხროლა. ათიოდე გერმანელი მის საფართან ძალიან ახლოს მოვიდა.

— რუს სდავაისა! რუს სდავაისა!

— მე თქვენი დედა!... — ოძელაშვილმა ზედიზედ ისროლა ორი ხელყუმბარა და შვიდივე გერმანელი ადგილზე გააცივა. მარჯვნიდან გერმანელთა სხვა ათეული შემოესია და ტყვია დაუშინა.

— რუს სდავაისა ვ პლენ!

ოძელაშვილმა ერთი ხელყუმბარა გასტყორცნა. ორი გერმანელი გამოსალმა წუთისოფელს. ამ დროს მის გვერდით ქურვი დაეცა და ნიკა მძიმედ დაიჭრა.

გერმანელები კი კვლავ მოიწვევენ მისკენ.

— რუს სდავაისა ვ პლენ!

ირაკლი ფორთხვით წავიდა, დაჭრილ ამხანაგს მივეშველებიო. ნიკა ოძელაშვილმა ავტომატის ლულა ნიკაპქვეშ მიიღო და სასხლეტს თითი ჩამოჰკრა. ნოზაძე ქვას ამოეფარა და ოძელაშვილისკენ ფორთხვით მომავალ გერმანელებს ავტომატი დაუმიზნა.

— ტრა, ტა, ტა, ტა, ტა!

გერმანელებმა თავი თოვლში ჩარგეს. მერე არცერთს აღარ აუწევია თავი. ირაკლი კვლავ გახობდა და ოძელაშვილთან მივიდა. ნიკას ნიკაპი და მარჯვენა ყბა სულ აგლეჯილი ჰქონდა.

— თავი მოიკალი, შე ღმერთძალლო?

— რა ვიცოდი, თუ ასე დროულად მომიშველებოდა ვინმე! ორი ტყვიადა მქონდა დარჩენილი, გერმანელები კი ჩემსკენ მობობლავდნენ. შენ ხომ იცი, მე ტყვეობას სიკვდილი მერჩია. ჰოდა, დაჭრილს სხვა რა უნდა მელონა, უკანასკნელი ტყვიები ჩემთვის მქონდა შემონახული.. წამებით სიკვდილს ასე ვამჯობინე... არ დამძრახო, ირაკლი... თბილისში მისვლა თუ გელირ-

სოს, მიდი ჩვენებთან და ყველაფერი უთხარი... არ ვნანობ, ასე რომ მოგვკვდი... — ირაკლი ნოზაძის ხელა ხელი ჩაავლო, როგორც დამშვიდობებისას იციან, და სული დალია.

მის ირგვლივ ავტომატის უამრავი ცარიელი ვაზნა ეყარა. იმ ვაზნებს ჯერ კიდევ დენთის სუნი ასდიოდა. თუმცა, იმ დროს დენთის სუნი რაღას აღარ ასდიოდა, დენთისა და სისხლის სუნით იყო გაყდენილი ყველაფერი — ცა, მიწა, ხე, ქვა და თოვლი.



იმ ოღეს ფოლადის ცეცხლის გრიგალი კიდევ რამდენჯერმე დაგვატყდა თავს. პარტიზანებს ღია ჭრილობები უჩანდათ და მაინც იბრძოდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ტყვია-წამალი შემოგველია. ხუთ დღეს ულუკმაპუროდ ვიყავით. მაინც ვახერხებდით მტრის მოგერიებას. იყო რაღაც იღუმალი ძალა, ჩვენ ასე რომ გვაძლებინებდა, ვიცოდით, რისთვის ვიბრძოდით და თავს რისთვის ვწირავდით. თვითუფს ასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, იმ გახელებული ბრძოლის ქამს ასივეს სამშობლოსთვის უყოყმანოდ გასწირავდა.

კუზნეცოვმა ბრძანება გასცა: ყველა რაზმმა დამოუკიდებლად იმოქმედოს და მტრებს თავი დაადწიოს რაც შეიძლება მცირე ზარალით. ასე უფრო დავაბნევთ მოზღვავებულ მტერსო.

ალყიდან ღამით უნდა გავსულიყავით.

შებინდებისას სროლა შეწყდა. ჩანს, მტერიც დაიღალა. ბუნება დამშვიდდა.

საკვირველია ბუნება, ზოგჯერ რა მალე ივიწყებს ყველაფერს!

ღამის თორმეტ საათზე „სულიკოს“ რაზმი მეწინავედ წავიდა. წინ მზვერავები გაუშვიტ, მზვერავებს მეავტომატეები მიჰყვნენ. ბრიგადის შტაბი ჩვენს რაზმს გამოჰყვა. გეზი სოფელ ჩერალოვისკენ ავიღეთ. ხევ-ხევ დავეშვიტ და გზას მივუღალეთ.

— იქ გერმანელების პატრულები მიდი-მოდიან! — მოგვახსენა მზვერავმა. — სქელი ჯუბები აცვიათ, თუ ვიყოჩაღებთ...



— რა თქმა უნდა, აქ უბრძოლველად არავინ გაგვიშვებს, —  
თქვა ნოშრევან ონიანმა და ავტომატი შეათამაშა. — მაგათი  
სამყოფი ტყვია კიდევ მაქვს.

— ტყვია ახლა უნდა დავზოგოთ. გერმანული ხიშტი ჯუბას  
ტყვიაზე ნაკლებ კი არ ვასკრის, — თქვეს სხვა ბიჭებმა. თქვეს  
და აასრულეს კიდევ. ფხიზელი პატრულები კრინტის დაუძრავად  
დაფინეს ძირს, მძინარენი კი ძილშივე გაათავეს. მათი ია-  
რალი და ვაზნები ჩვენ დავირიგეთ.

ალყიდან მარჯვედ გავედით. მაგრამ უმაღვე დაერწმუნ-  
დით, რომ იმ მიდამოებში ჩვენი დიდხანს დარჩენა შეუძლებე-  
ლი იყო და კვლავ სუდაკის ტყისკენ ავიღეთ გეზი. იქ ორიოდ  
პატარა ბრძოლა გადავიხადეთ და ისევ ძველ, თავდაპირველ  
ადგილს დავუბრუნდით, სტარი კრიმის ტყეს.

\* \*

ფაშისტები არ გვასვენებდნენ, მაგრამ არც ჩვენ ვასვენებ-  
დით. გავიგეთ: გერმანელები ძელმიწური საცეცხლე წერტე-  
ბისა და სხვა სიმაგრეთა ასაგებად ტყიდან ხის მასალას ეზიდე-  
ბიანო. როცა ისინი დატვირთული ალალებით ბრუნდებოდნენ,  
ქართველმა პარტიზანებმა გზა გადაუჭრეს მათ და ალყა დაარ-  
ტყეს. იმ დღეს ორასამდე გერმანელი მოვსპეთ, გავანადგურეთ  
უამრავი საზიდარი და ერთი ავტომანქანა. ხელთ ვიგდეთ  
მტრის თოფ-იარაღი და ოთხასამდე ცხენი. ამ ნადავლმა სული  
მოგვათქმევინა.

\* \*

ლიდა შვედჩენკომ მოსვენება არ მისცა არც ბრიგადის მე-  
თაურ კულიკოვსკის, არც ჯგუფის მეთაურ ირაკლი ნოზაძეს,  
გერმანელებთან პირისპირ შესახვედრად მეც გამიშვით ხოლ-  
მე, სხვაზე ნაკლები რითა ვარო. დაიყინა და ვერ გადაათქმე-  
ვინეს. ერთხელ წავიდა, ორჯერ... მერე გათამამდა და მტრის  
ზურგში ისე დადიოდა, თითქოს აგარაკზე დასეირნობსო. ერთ-  
ხელ საგანგებო დავალება მიიღო შტაბისგან და წავიდა. აღარ  
დაბრუნებულა. შემდეგ გავიგეთ: სოფელში რომ შესულა, გერ-

მანელ პატრულებს გადაჰყრია. ერთი მოუყლავს, მაგრამ სხვებს  
ველარ გაქცევია და გმირულად დაღუპულა.

ქართული  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

\* \*

საგანგებო დავალებით ქართველი ბიჭებიც შედიოდნენ  
ხოლმე მტრის ზურგში.

მწვერავებმა გვაცნობეს: გერმანელებმა ერთი პარტიზანი  
დაჭრილი შეიპყრეს, დაჰკითხეს და რაკი არ გამოტყდა, აწა-  
მეს — ყურები დააჭრეს, ცხვირი მოთალეს. მაინც არ გამო-  
ტყდა, არც თავისი სახელი თქვა, არც პარტიზანები გასცა.  
გერმანელებმა ვზის პირას ჩამოაბრჩვეს, რომ ყველა გამვლელს  
დაენახა. ყელზე აბრა ჩამოჰკიდეს. ზედ შავი ასოებით ეწერა  
„პარტიზან“. ნამდვილად ქართველი იყო, მაგრამ გვარი და სა-  
ხელი ვერც ჩვენ გავიგეთო.

იმ ხანად რამდენიმე ქართველი პარტიზანი დაგვეკარგა  
უგზო-უკვლოდ.

— ლაზარეიშვილი ნიკო იქნებოდა ან ჯაშიაშვილი შალი-  
კო, — თქვა თედო კაკალაშვილმა.

— იქნებ სარდანაშვილი იყო, ან ლაშხია, ან სხვა ვინმე, რა  
იცი? — გაესაუბრა მეტყვიამფრქვევე ცილინდრიშვილი.

— ასეა თუ ისე, ამ ბოლო დროს ძალიან შემოგვეჩვია სი-  
კვდილი, — ჩაილაპარაკა ნოშრევან ონიანმა და ჩაიხვნეშა, —  
თმს კი ჯერ ბოლო არ უჩანს.

\* \*

ერთ დღეს კატელნიკოვი ვნახე, დაღვრემილი იჯდა.

— ნიკალაი კუზმიჩ, რამ შეგაწუხა?

— არ ვაგიგია? თვარაძე დაიღუპა.

— სად? როგორ? — გავშტერდი კაცი.

კარგა ხანია აკაკი თვარაძე არ მენახა, მისი ამბავი კი მეს-  
მოდდა, მტერს შავ დღეს აყენებსო. როცა კატელნიკოვს ბრი-  
გადა ჩააბარეს, თვარაძე მთავარ შტაბში დაიტოვეს იამპოლსკიმ  
და ლუგავოიმ. ზუიას ტყეში ბატარეა ჩააბარეს.



და აი, ამ გაზაფხულის პირას უცებ მისი დაღუპვის ამბავი გავიგე.

ეს თურმე ასე მოხდა:

ზუიას ტყეში პარტიზანებს დიდძალი ჯარით დაესხა თავს მტერი. თვარაძის ბატარეა რამდენიმე დღეს უმოწყალოდ მუსრავდა ფაშისტებს. ბოლოს მტერმა მთელი ბატარეა მწყობრიდან გამოიყვანა. თვარაძე რაზმის კომისრად გადაიყვანეს.

ეს რაზმი ზუიას ტყიდან იალტის ტყისაკენ დაიძრა ღამით. საჭირო იყო ალყის გარღვევა და გასვლა. ეელაუს ზეგანზე ურიცხვი მტერი შენიშნეს. თუ პარტიზანული რაზმი ახლა მტერს პირსპირ შეხვდებოდა, უეჭველად დაიღუპებოდა მთლიანად, რადგან მებრძოლებს ვაზნები თითზე ჩამოსათვლელად ჰქონდათ.

— თქვენ წადით, უშიშრად იარეთ. მე აქ მარტო დავრჩები და მტერს შევაკავებ. ოღონდ ვაზნები დამიტოვეთ.

რაზმი გაუშვა, თვითონ კი მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდა.

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ რაზმს ორმხრივი სროლა შემოესმა. კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები და ავტომატები. ეს სროლა კარგა ხანს გაგრძელდა. რაზმი უხიფათოდ მივიდა დანიშნულ ადგილზე. ელოდნენ ერთ დღეს, ორ დღეს... არ გამოჩნდა თვარაძე. ეელაუს ზეგანისკენ მზვერავთა ჯგუფი გაგზავნეს. მზვერავებმა ორ ლოდშუა ნახეს ადგილი, სადაც თვარაძე უნდა ყოფილიყო ჩასაფრებული. იქ თოვლში კაცის ნაწოლი ჩანდა. ირგვლივ ეყარა უამრავი ნასროლი ვაზნა. აქედან თვარაძე ფორთხვით წასულა, კვალს სისხლი ეცხო. ჩანს, გერმანელებს კარგა ხანს ებრძოლა, გზა ჩაუხერგა მათ და უკანაც დაახევინა, მაგრამ ბრძოლაში თვითონაც დაიჭრა. ერთხანს დაჭრილი იქვე იწვა, შემდეგ ფორთხვით წავიდა იმ ბილიკისკენ. თავისი რაზმი რომ გაისტუმრა. დაჭრილმა თითქმის ნახევარი კილომეტრი ფორთხვით გაიარა, მერე ღრმა თოვლში ჩავარდა და იქიდან ამოსვლა ვეღარ შეძლო, სისხლდაცლილმა სული განუტევა.

რამდენი გერმანელი მოსპო, ამის დადგენა არ მოხერხდა. მაგრამ ბევრი კი უნდა დაეხოცა, თორემ გერმანელები ისე

უკან არ დაიხვედნენ. ისინი დიდ ზარალს რომ არ დაეფრთხო, თვარაძეს აუცილებლად დაიჭერდნენ, როცა დაიჭრა, იმ ღამეს მთელი რაზმი გადაარჩა, მხოლოდ მისი კომისარი დაიღუპა, თავისი რაზმის სიცოცხლეს შეეწირა გმირულად. ერთი მოკვდა ასის ნაცვლად.

თვარაძე ეელაუს ზეგანზევე დაასაფლავეს და საფლავს წარწერა გაუკეთეს.

იამპოლსკიმ თვარაძის დაღუპვა რომ გაიგო, გულმდუღარედ იტირა. მერე საფლავიც ინახულა.

ეპ, რა არის ომი! ქართველმა ბიჭებმა კი ვერ ინახულეს გულითადი მეგობრის საფლავი!

• •

მზე მოლონიერდა. პირმზითები შეშრა. რილო-ჭრილომ მოხატა ფერდობები. აქა-იქ ყოჩივარდამ ამოყო თავი, ენძელამ მზეს შეხედა და ფურისულამ თვალი გამოაჩინა.

— ესეც ასე, — თქვა ბილიკზე მიმავალმა გოძიშვილმა და მთა-ბარს გახედა.

— რას ამბობ, ლადო?

— ეს ზამთარიც ტყვიის ცეცხლში შემოგვადნა. ვნახოთ რას მოგვიტანს გაზაფხული!

— ჯერჯერობით ყვავილები მოაქვს... ოღონდ ვისთვის. ეს არ ვიცი...

## თოფის ლულაში ჩადებული თაიგული

ბოროტსა სძლია კეთილმან, —  
არსება შისი ვრძელია!

შოთა

1944 წლის გაზაფხულმა ყირიმის ნახევარკუნძულზე განლაგებულ გერმანულ ჯარს სისარული ვერ მოუტანა. ახლა ფაშისტები ძველებურ ფხას ველარ იჩენდნენ, გაბედულება ლალატობდათ, პარტიზანებთან ბრძოლას თავს არიდებდნენ, თუმცა ქალაქებში ისევ წინანდებურად თარეშობდნენ და ხალხს აწიოკებდნენ.

კუზნეცოვმა თათბირი გამართა. გადავწყვიტეთ, მტერს ჩვენ თვითონ დავსხმოდით თავს, ორივე ბრიგადა — ნიკოლოზ კატელნიკოვისა და ალექსანდრე კულიკოვსკისა. ოცდაექვსი მარტის საღამოს სტარი კრიმისკენ გავილაშქრეთ. ძირითადი ჩვენი მიზანი იყო სამხედრო ობიექტების დარბევა-განადგურება. სტარი კრიმში ისე მოვახერხეთ შესვლა, ერთი ტყვია არავის უსვრია. შემდეგ ცა წითელმა მამხალამ გაანათა და ქალაქის ქუჩებში სასტიკი ბრძოლა დაიწყო. პანიკამ არივ-დარია გერმანელები, აღარ იცოდნენ, სად გაქცეულიყვნენ.

ვახტინის რაზმი თავს დაესხა შენობას, სადაც იმყოფებოდა კომენდატურა, საველე ჟანდარმერია და პოლიცია. იქვე იყო სურსათის საწყობები.

ჩვენს რაზმს კონკრეტული მითითება ჰქონდა, სტარი კრიმის ქუჩებში გარმიშის მთიდან უნდა შესულიყო, იქ გაენადგურებინა გერმანელთა ორი ტანკი და გაეტეხა ციხე, სადაც ჩამწყვდეულნი იყვნენ საბჭოთა ადამიანები, ასე ვთქვათ, პოლიტიკური პატიმრები.

ასევე კონკრეტული დავალებები ჰქონდათ სხვა რაზმებსაც. ისინი ამ გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ.

როგორც კი ბრძოლის დაწყების ნიშნად ჩვენებმა წითელი მაშხალა ისროლეს, ქალაქში შევიჭვრით. ავაფეთქეთ „ვეფხვად“ წოდებული ორი ტანკი, ბენზინის საწყობი და მანქანების სადგომი. ყველა საექვო შენობის ფანჯრებში ხელყუმბარები შეეყარეთ და ფაშისტებს გარეთ გამოსვლის საშუალება არ მივეცით. შემდეგ მივაღიქით ციხეს, გუშაგები დავხოცეთ და კარები შევღეწეთ. გავათავისუფლეთ ორმოცდა ექვსი პოლიტიკური პატიმარი. მათ შორის აღმოჩნდა ნიკოლოზ პანტილის დედა, რომელსაც გერმანელებმა თურმე დახვრეტა მიუსაჯეს და ჩვენ რომ არ მიგვესწრო, უეჭველად აასრულებდნენ განაჩენს.

პატიმრებს მეგზური მივუჩინეთ და ტყისაკენ გავისტუმრეთ.

ბრძოლამ მთელ ღამეს გასტანა.

იაშვილმა მესერზე გადასვლა დააპირა. სწორედ ამ დროს მოუხსწრო მტრის ტყვიამ და მესერს უსულოდ გადაეკიდა. თვალში დაიჭრა ლეო ბარაბაძე.

გათენებისას ბრძოლის დამთავრების ნიშნად მწვანე მაშხალა ავარდა ცაში.

ყველა რაზმი ტყეში დაბრუნდა.

\* \*

სოფელ სუბაშში დაბანაკებულ მტრის ჯარის გასანადგურებლად გაიგზავნა „სულიკოს“ რაზმის ერთი ჯგუფი, რომელსაც ნასკრიბნიკი მეთაურობდა. ჯგუფი მესამე დღეს უნდა დაბრუნებულყო. გავიდა ექვსი დღე, არსად გამოჩნდნენ. ნასკრიბნიკის ჯგუფის ამბის გასაგებად თვითონ რაზმის მეთაური ქართველიშვილი გაეშურა, თან ქასრაშვილის ჯგუფი წაიყვანა.

წასულებმა ვერ გაიგეს კარგი ამბავი. ჯგუფი თურმე დიდძალ მტერს გადააწყდა და უთანასწორო ბრძოლა მოუხდა. იმ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ ჯგუფის მეთაური და მიხეილ შელია. იასონ ბუჩუკურს ხელყუმბარის ნამსხვრევი წვივში

მოხვდა. მსუბუქად დაიჭრა ირაკლი ნოზაძე. იყვნენ სხვა დაკრილლებიც. ქართველიშვილმა ნასკრიბნიკი და შელია ტყეში დაკრძალა სამხედრო პატივით, დაკრილები კი რაზმში მოიყვანა.

აპრილის დასაწყისში გერმანელები აწრიალდნენ. ხშირად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს. ორიოდჯერ ჩვენც შემოგვიტოვეს, მაგრამ ვერაფერი დაგვაკლეს და ისევ თავიანთ ბუნაგში შეიმაღლნენ.

რვა აპრილს დიდი მიწიდან თვითმფრინავით სურსათ-სანოვავა და ტყვია-წამალი მივიღეთ. მალე რადიოგრამაც მოვიდა: „მტერმა დატოვა აკმანაის პოზიცია. საბჭოთა ჯარი შეტევას იწყებს. მტერს არ მისცეთ უკან თავისუფალი დახევის საშუალება“.

— გამარჯვება კარზე მოგვადგა! — წამოიძახეს გახარებულმა პარტიზანებმა.

ყველა რაზმმა აჯუბების ტყეში მოიყარა თავი. ამოცანა გავაცნეს: ქერჩიდან და ფეოდოსიიდან გამოქცეულ ჰიტლერელებს სიმფეროპოლის გზატკეცილზე უნდა დავხვედროდით და გაგვენადგურებინა ისინი. იმავე დღეს ჩვენი და მერვე რაზმი იზიუმოვკისკენ წავიდა, მეოთხე რაზმი სტარი კრიმისკენ გაეშურა.

მტერი გაბოროტებული იყო და უკანდახევისას გზაზე სივდილსა და ხანძარს სტოვებდა. სწვავდა სოფლებსა და ქალაქებს, ხალხს ხოცავდა, ხანძრის ჩამჭრობსაც კი აღარ სტოვებდა სადმე.

მზვერავეებმა გვაცნობეს: გერმანელები ტანკებით, ავტომანქანებით და საზიდრებით გამორბიან. ქვეითებს ყველაფერი გადაუყრიათ და ქანცგაწყვეტილები ფეხებს ძლივს მოათრევენო.

გადავწყვიტეთ, გზა იზიუმოვკასთან გადაგვეჭრა. ჯენტურნიძემ მარჯვე ადგილი ამოირჩია და ტყვიამფრქვევი ისე დააყენა, რი.მ ირგვლავ სროლა შესძლებოდა. სხვები გზის აქეთ და იქით ჩასაფრდნენ. იმ დღეს, თითქოს განგებ, სხვა რაზმის ქართველებიც ჩვენთან იყვნენ. ბოლო დროს, მსხვილი ოპერაციების ჩატარებისას ყველა ერთად ვიყრიდით თავს.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია, გამოჩნდა გერმა-

ხელებით გატენილი მანქანების ქარავანი. ვიდრე კოლონა არ გაგვისწორდა, ჩუმად ვიყავით. მერე ერთბაშად ვიქუხეთ. ავტომატების, შაშხანების ხელყუმბარების, ტყვიამფრქვევების და „პარაბელუმის“ სროლის ხმა ერთმანეთში აირია. აღრიადლდნენ გერმანელები. ზოგი მანქანიდან გადმოხტა, ეგონა, ასე ვუშველი თავსო, მაგრამ სად გაიქცეოდა?

ქარავანი შუაზე გაწყდა. ზოგი მანქანა უკან გაბრუნდა, ზოგი წინ გაიქცა. უმეტესობამ ადგილზე მიასვა ფეხი. გზაზე უამრავი რამ დარჩა, გერმანელთა ცხედრებით გაივსო იქაურობა. ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა.

უკან გაბრუნებულმა მტერმა თურმე ბატარეა საბრძოლო მდგომარეობაში დააყენა და ის-ის იყო ჩვენთვის ქურევები უნდა დაეშინა, ვახტინის რაზმი დაესხა თავს და მთელი ბატარეა დაატყვევა, შემდეგ კი ქვემეხთა ლულები შეაბრუნებინა და ტყვეებს უბრძანა, იქით ისროლეთო. გერმანელებმა გერმანელებსვე დაუშინეს ქურევები.

ასეთია ომი.

იმ დღეს ფაშისტების სისხლმა გააწითლა დიდი გზა, მაგრამ უზარალოდ ვერც ჩვენ გადავრჩით. მკერდგანგმირული დაეცა ბუჩუკური ვასო და ხელში შეაცივდა გერმანული მოკლე შაშხანა. მუმლაძე დავითი თავის ავტომატს დააკვდა. ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად იყო თექვსმეტი წლის ბიჭი უდოვიჩენკო ვიტია, ძალით წაგვართვა ავტომატი, მეც მინდა ბრძოლაო. ხელყუმბარამ დაუცხრილა მკერდი. მანგლისელ ვორონოვს ხელყუმბარამ მუცელი სულ გაუფატრა, ცეცხლის ხაზიდან გაიყვანეს ჩვენმა ბიჭებმა, მაგრამ საღამომდეც ვერ მიატანა სული.

— ჰიჰიკო, მიშველე! — დაუძახა ქასრაშვილს ონიანმა.

ქასრაშვილი მეგობრისკენ გაიქცა და ორმოში ჩაგორებულ ნოშრევანს სასწრაფოდ გახადა ფარაჯა. ონიანს მკერდი ჰქონდა გაგლეჯილი. ზურგზე მოიღო და დაფარული ადგილას გაიყვანა.

— ნუ გეშინია, ნოშრევან, სამშვიდობოს ვართ გასული. ჭრილობის შეხვევას შეუდგა.

— აღარ მინდა. — მიმქრალი ხმით უთხრა მძიმედ დაჭრილ-



მა, — ნუ მაწვალე, ეტყობა, მაინც აღარაფერი მეშველებს ვაი! უუუჰ! ჩემი მიწა-წყლის უნახავად სიკვდილი არ მინდოდა, მაგრამ რას იზამ... ომიდან ყველა ხომ ვერ დაბრუნდებოდა შინ! ჭიჭიკო, არ დამივიწყო, ბიჭო!.. მე ორი სახელი მქვია, — ნოსრევანი და გრიგოლი... ყოველშემთხვევისთვის იცოდე... ხომ ამოვიყარე მტრის ჯავრი, ისე ხომ არ ვკვდები... შინ რომ დაბრუნდები, ჩემს მაგივრადაც აკოცე ქართულ მიწას... პირშერცხვენილი აღარა ვარ, არა... საფლავში ამ ტანსაცმელს ნუ ჩამატან... მე თვითონ ვერ მოვესწარი ამის გახდას... — მომაკვდავმა გერმანულ ტანსაცმელზე დაისვა ხელი, მერე მკლავი უღონოდ ასწია, ხელი ქასრაშვილის მაჯას ჩაავლო და ორიოდ წუთს აღარ გაუშვა. უცებ შეთრთოლდა.

ქასრაშვილი შეცბა. იგრძნო, ონიანის თითები თანდათან მოეშვა. ცოტაც და, მკლავი მოწყვეტით ჩაუვარდა. გათავდა კაცი.

იმ ბრძოლაში დაიჭრნენ აზნაშვილი მაქსიმე და ორჯონიკიძე ზურაბი. პურიქამიაშვილს ფეთქებადი ტყვია მოხვდა მკლავში. ვიდრე პროფესორ სუხარევაძემდემიალწვედა, ჭრილობა საშინლად გაუმიზღვდა. პროფესორი იძულებული გახდა კაცისათვის მკლავი ძირში მოეკვეთა. ვახტანგმა თავისი თვალთ დაინახა, მისი მკლავი სადაც დამარხეს.

იმ საღამოს აპრილის მზე ისე ჩავიდა, გეგონებოდათ შეშინებული გარბისო. ამ უმოწყალო სისხლისღვრის ყურება არ უნდოდა აღბათ.

მთვარე არ ამოსულა, მაგრამ იქაურობას დღესავით ანათებდა ფაშისტების მიერ მიტოვებული ცეცხლმოკიდებული მანქანები.

რამდენიმე მანქანა ფაშისტებმა დაუზიანებლად მიატოვეს. ჩვენ იმ მანქანებით წავედით ტყეში და დაჭრილებიც წავიყვანეთ.

მეორე დღით კუზნეცოვმა სტარი კრიმში წასასვლელად თვრამეტი კაცი აირჩია. ამ ჯგუფში მოხვდნენ ვახტინი, გოძიშვილი, ნოზაძე, ჯენტურიძე და სხვები. მეც მხვდა ეს პატივი. მანქანით გავემგზავრეთ.

გზატყეცილზე გასვლისთანავე გერმანელთა მანქანა მოგვიახლოვდა. ჯენტურიძემ ტყვიამფრქვევი ბეჭზე თოფივით მიი-

ლო და მანქანას ტყვია სეტყვასავით მიჰყარა. ჩვენც დავუშინეთ. მანქანა უმაღვე გაჩერდა. ერთი ფაშისტიც ვერ გაგვემცინა. ნახევარი კილომეტრიც არ გვექონდა გავლილი, გერმანელთა მეორე მანქანა შემოგვხვდა. მანქანა აღრევე გაჩერდა. ძირს ჩამოხტა ორი ოფიცერი. ერთმა მანქანის ქვეშ შეძრომა მოასწრო და სროლა დაგვიწყო. ტყვიამ ყურისძირში გამიზუზუნა. მეორედ რომ უნდა ესროლა, ირაკლი ნოზაძემ არ დააცალა, მიწაზე მიაქედა ავტომატის ჯერიტ. სიცოცხლეს გამოვასალმეთ მეორე ოფიცერიც. მანქანაზე საზენიტო ტყვიამფრქვევი იდგავხედავთ: გერმანელი ჯარისკაცი მის ქვეშ შემძვრალა და სროლას აპირებს. გოძიშვილმა შუბლი გაუხვრიტა და ძირს დააგდო. ოფიცრებს იარაღი აეყარეთ, და წასვლა დავაპირეთ.

მოემზადეთ! — გაისმა ამ დროს კუზნეცოვის ხმა. — ავტომანქანების კოლონა მოდის. ჩაუსაფრდით.

ორ ჯგუფად გავიყავით და ვზის ორივე მხარეს ჩავსაფრდით.

— ამხანაგო მეთაურო, — მიმართა ჯენტურიძემ კუზნეცოვს, — ნება მიბოძეთ, გერმანელების საზენიტო ტყვიამფრქვევი ვისროლო.

— მიდი, ოღონდ ფრთხილად.

ჯენტურიძემ გერმანელების მანქანის ძარაზე შეხტა, ტყვიამფრქვევს ლულა დაბლა დააწევინა და ცეცხლი გახსნა. ჩვენც დავიწყეთ სროლა.

გერმანელებმა მანქანები გააჩერეს და სროლითვე გვიბასუხეს, მერე, ეშმაკმა უწყის, რა იფიქრეს, მანქანები მიატოვეს და სადღაც გაიქცნენ. ეს მანქანები სტარი კრიმისკენ მიდიოდნენ, ისინი იქ, რა თქმა უნდა, ველარ მივიდნენ.

ამ შესლის დროს კუზნეცოვი ხელში დაიჭრა, მაგრამ ჭრილობა შეიხვია და უკან არ გაბრუნდა, კვლავ ჩვენ გამოგვეყვა.

დადგა ყირიმის მიწა-წყალზე მოკალათებულ ჰიტლერელთა განკითხვის ქამი.

სტარი კრიმი გერმანელებისაგან გავწმინდეთ. მაგრამ ისევ იყო დარჩენილი მათი უკანასკნელი მხეცობის კვალი. ერთ ეზოში ქალი და ჩვილი ენახე ხიშტით დახოცილები. ამ ჩვილს მაინც რაღას ერჩოდნენ ის უღმერთოები? მეორე სახლის ლუ-



მელიდან დამწვარი ბავშვი გამოიღეს, მესამე სახლიდან თავგა-  
ჩეხილი მოხუცი გამოიტანეს....

ეს იყო 1944 წლის 12 აპრილს.

ცამეტი აპრილის დილით კი...

სტარი კრიმს შემოესმა ტანკების მძლავრი გუგუნი და მუხ-  
ლუხების დგანდგარი.

გუგუნი ქალაქს მიუახლოვდა, მუხლუხების დგანდგარი  
რახრახად იქცა.

ზოგი ტყისაკენ გაიქცა: ალბათ, რაც გერმანელებს ფეოდო-  
სიაში ჯარი ჰყავდათ, სულ ერთად იხევს უკან და აქაურობას  
მიწასთან გაასწორებენო. ხალხის უმეტესობამ კი ძველ სანგ-  
რებსა და მიწურებს მიაშურა, სულ არ დაკარგა იმედი. პარ-  
ტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები მოვიმარჯვეთ  
და ქუჩების გასწვრივ, ფანჯრებში ჩავსაფრდიით.

მზვერავმა დურბინდით გახედა გზას.

— ჩვენები მოდიან, ჩვენები! ტანკებს ვარსკვლავები ახა-  
ტია, წითელი ვარსკვლავები.

პარტიზანები ქუჩაში გამოვიდნენ. ახალა შევნიშნე: ყვე-  
ლა პარტიზანს ქუდზე ირიბად წითელი ლენტი ეკრა.

მალე ხალხიც გამოეფინა ქუჩებში.

წითელვარსკვლავიანი დამტვერილი ტანკები მძლავრი გუ-  
გუნით შემოვიდნენ სტარი კრიმის ქუჩებში.

ხალხი მხიარულად მიეგება ჩვენს ჯარს.

ერთ ტანკზე ჩამომჯდარ ჯარისკაცს შაშხანის ლულაში თაი-  
გული ჰქონდა ჩადებული, აპრილის ყვავილთა პატარა თაიგუ-  
ლი. ეს პირველად ვნახე ჩემ სიცოცხლეში.

რამდენიმე ტანკს კოშკურაზე აყვავებული ხეხილის რტო-  
ები ეყარა, ალბათ შენიღბვის მიზნით. ერთი რუხფარაჯიანი  
ჯარისკაცი ტანკიდან ამოვიდა, კოშკურაზე დაგდებული ალუ-  
ბლის თეთრად გაპენტილი რტო აიღო და ხალხს გადმოუგდო.

ირგვლივ მიმოვიხედე. აპრილის მზე უხვად იფრქვევდა  
სხივებს და ომგადანდილი ბალები აყვავებას იწყებდნენ, რათა  
ყვავილთა სურნელებას დარჩენილი დენტის სუნი საბოლოოდ  
გაექრო.

ნამდვილი გაზაფხული სამი წლის შემდეგ მხოლოდ იმ

დღეს დავინახე. პოდა, მომეჩვენა, რომ ეს გაზაფხული, ფარა-  
ჯიანი გაზაფხული, წითელვარსკვლავიან ტანკში იჯდა და ისევ  
შემოვიდა სტარი კრიმის ქუჩებში.

— დღეს გაიქცნენ გერმანელები აქედან? — იკითხა ერთმა  
ტანკისტმა.

— არა, გუშინ... ქალაქი პარტიზანებმა გაათავისუფლეს.

— მაშ, უნდა ვიჩქაროთ... წინ დიდი გზა გვიდევს. მშვი-  
დობით!

წინა ტანკი დაიძრა. მეწინავეს სხვები მიჰყვნენ. კვლავ აგუ-  
გუნდა მიდამო.

— მშვიდობით!.. ბედნიერად იარეთ! გამარჯვებით დაგვი-  
ბრუნდით!..

ტანკში ჩამჯდარმა ფარაჯიანმა გაზაფხულმა გზა განაგრძო.

• •

გაზაფხულმა გზა განაგრძო, ფარაჯიანმა გაზაფხულმა...

ჰიტლერის ჭირი მოიშორა ჯერ ყირიმმა, მერე მთლიანად  
საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყალმა. ბოლოს დადგა ნანატრი დღე,  
დამთავრდა ომი.

რისთვის ასტეხეს ფაშისტებმა ეს ომი, რა მოიგეს? ვერა-  
ფერი. შერჩათ მხოლოდ სიკვდილი, ჭრილობები და დასახიჩ-  
რებული პირისახე.

ჰიტლერელთა ემბლემა — სვასტიკა, ჯვარს ჰგავდა. მათ  
შავ ზრახვებსაც ჯვარი დაესვა.

ყირიმში თარეშის ჯილდოდ ბევრ გერმანელს აქაური ხის  
ჯვარი ერგო.

დიდი ხანია შავ ზღვას აღარ ერთვის კაცის სისხლი და ვაე-  
ბის ცრემლი. კვლავ დამშვენდა ყირიმის აგარაკები. აქ მთვარ-  
იან ღამეში ისევ სეირნობს ბედნიერი ხალხი. ხეთა სიმყუდრო-  
ვეში შეყუყულები ქალ-ვაჟი ერთმანეთს კოცნის... და გალობს  
დიდი სიცოცხლე.

მაგრამ ეს ბედნიერება ციდან არ ჩამოვარდნილა... ამის-  
თვის ჩვენმა ხალხმა ბევრი გაჭირვება და უბედურება გადაი-  
ტანა...



ომის წლები, ნატყვიარი წლები, ჩვენ ახლაც გვახსოვს...

ომზე დიდი უბედურება არაფერი არსებობს ქვეყნად... ხლისა და ცრემლის ისეთი ზღვა დააყენა, აქა-იქ ჯერაც არ ამომშრალა...

ფაშისტების ბარბაროსულმა და მხეცურმა მოქმედებამ გვაიძულა ტყეში გავსულიყავით და თითქმის ორწელიწად ნახევარს ნადირივით უსახლკაროდ გვეცხოვრა, დარსა და ავღარაში ღია ცისქვეშ გვეთია ღამე. მაგრამ იმ ყოფაშიც ჩვენ არ დავიკარგავს ადამიანობა, კაცური სინდის-პატიოსნება, მომავლის დიდი რწმენა და გულის სითბო. ჩვენ იმ ჯოჯობეთურ პირობებშიც ნამდვილ ადამიანებად დავრჩით და სწორედ ამით გავიმარჯვეთ. ადამიანმა აჯობა მხეცსა და ნადირს.

გერმანელმა ჯარის სარდალმა ყირიმში, ფონ მანშტეინმა მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა გულახდილად— პარტიზანები მრისხანე ძალას წარმოადგენდნენო. მტერმაც კი ვერ დამალა ჩვენი ვაჟკაცობის ამბავი.

ჩვენ სიკვდილივით შევიძულეთ საბჭოეთის მიწა-წყალზე შემოჭრილი მტერი და არ შევარჩინეთ ვერაგობა. დღე და ღამ ერთო შურისძიების ცეცხლი, არ ქრებოდა პარტიზანული ბრძოლის ვარსკვლავები, ვერავითარი ღრუბელი ვერ ფარავდა ამ ვარსკვლავებს, რადგან ეს ვარსკვლავები ხალხმა აანთო... მთელი ხალხი აღსდგა მტრის წინააღმდეგ... ეს იყო ქეშმარიტად სახალხო მოძრაობა. სუფთა სინდისის ადამიანები სამშობლოს დასაცავად თავდადებით იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ.

მაგრამ ომი უმსხვერპლოდ ვის მოუგია? იმდროინდელ ჭრილობათა ყრუ ტკივილი ახლაც იჩენს ხოლმე თავს, დიდი ხნის შემდეგ. სული სავსეა იმ ტკივილით... და ზოგჯერ სიამაყითაც, ბევრმა ჩვენმა ადამიანმა მტრის წინაშე ქედის მოხრას თავის განწირვა რომ ამჯობინა.

დიდი მსხვერპლი მოითხოვა ომმა, დიდი.

ამბობენ: ყირიმის მიწა-წყალზე იმდენი თავდადებული მებრძოლის საფლავია, კაცმა სულ ქუდმოხდილმა უნდა იაროსო. ასეა ქეშმარიტად.

აქ იმდროინდელ ობელისკს მრავლად შეხვდებით, ბევრი მებრძოლიც უძეგლოდ მოკვდა, იმ დროს ყველასთვის ძეგლის

დადგმა ვერ მოასწრეს... მაგრამ მათი ძეგლი ახლა ჩვენს გულში დგას... მათი ხსოვნა მარადიული ცეცხლივით გვინთობს გულში... ეს ცეცხლი არასოდეს განელდება.

ვისაც სამამულო ომში ჩაუჭრა სინათლე. მისი თვალეების შუქი კვლავ ანთია იმ ბრდღვიალა და მრავალფერი სალუტის სიკაშკაშეში, ყოველ ცხრა მაისს რომ ინთება.

ბევრი რამ ახსოვთ ყირიმის კლდეებსა და მიწას, ტყეებსა და გზებს, ბილიკებსა და გზაჯვარედინებს, მდინარეებსა და სოფლებს, ქალაქებსა და ალიზის ქოხებს... ბევრი რამ ახსოვს ზღვასაც... ყველაზე მეტი კი მაინც მიწას ახსოვს: მიწა გაპოხილია ოფლით, სისხლით და ცრემლით.

იმ მრისხანე ეამს, ვინ მოთვლის, რამდენ ქართველს შევხვდით და დავშორდით, შემდეგ კი მისი ასავალ-დასავალი აღარ გამოიგია...

ყირიმის მიწაზე ბლომად არის დაქცეული ქართული სისხლიც, მიწაში ყრია ქართველ ჭაბუკთა ძვლები, დამარხულია ბევრი ქართველი ვაჟკაცის უღვაში... ზოგმა ძმა დამარხა, ზოგმა შეგობარი, ზოგმაც თავისი ხელი და ფეხი...

ყირიმის მიწა-წყალზე ბლომად არის უცნობ საბჭოთა ჯარისკაცთა და პარტიზანთა საფლავებიც. იქ ჩაწოლილ მებრძოლებს დღესაც ელიან საქართველოსა თუ სომხეთში, შუა აზიისა თუ ბალტიისპირეთში, აზერბაიჯანსა თუ ბელორუსიაში, უკრაინასა თუ ციმბირში, ოსეთსა თუ ჩუვაშეთში... ყველგან, ყველგან... აქ ხომ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის შვილები იბრძოდნენ! არავისი სისხლი არ დაჰკლებია ყირიმის მიწას!

მიყრუებულ ქოხში შევიდმა კაცმა სამშობლოს ერთგულების ფიცი რომ დავდეთ, ის ფიცი მტკიცედ შევასრულეთ. ამ ფიცის თანაზიარი გავხადეთ ბევრი სხვაც. ქართველები ყირიმის მთებში თოფით ვიცავდით არა მარტო საქართველოს, — მთელ საბჭოთა მიწა-წყალს. ვიცავდით ყველა ერთად და ცალცალკე.

დიდი მსხვერპლი მოითხოვა ომმა! ზოგჯერ ის დღეები რომ დამესიზმრება, გულამოგარდნილი ვიდვიძებ... ომის გახსენება მაფორიაქებს და მზარავს. სიზმრებსაც კი ასე შემორ-

ჩა ის საშინელი დრო. მაგრამ დავიწყებაც ძნელია. იმ დღეებს  
რა დამავიწყებს — ტყეში შესვლისას დამარხული ჩემი ქვეშე-  
ხის ნომერიც კი მახსოვს — 434.

ომზე დიდი უბედურება არაფერი არსებობს ქვეყნად... და  
აქამდე კაცობრიობამ მაინც ვერ შესძლო ამ ჭირის მოშორე-  
ბა — დედამიწაზე ჯერჯერობით არც ერთი დღე არ თენდება  
ისე, სადღაც და, კაცი კაცს თოფს რომ არ ესროდეს... სადღაც  
და, ომი არ იყოს.

ჰოდა, ვნატრობთ, თოფის ლულაში ადამიანმა ტყვია კი არ  
ჩადოს, არამედ ყვავილების თაიგული... რაც მსოფლიოში საო-  
მარი იარაღია, ყველაფერი სახნისად გადადნეს... რა ბედნიერი  
იქნებოდა უიარაღო მსოფლიო, უთოფო მსოფლიო!

ახლა, ყოველმა საბჭოთა ადამიანმა, ომგადახდილმაც და  
ომისუნახავმაც, კარგად იცის, რომ ატომურმა ენერგიამ შეიძ-  
ლება დედამიწა სიკეთით აავსოს, მაგრამ შეიძლება სულაც  
დადუბოს კაცობრიობა. გააჩნია, ვინ როგორ გამოიყენებს ამ  
ენერგიას. ჩვენ გვინდა ატომის უჩვეულო ძალა ადამიანის სა-  
კეთილდღეოდ დაიხარჯოს.

ყველა გაახარა მოსკოვის ხელშეკრულებამ — აიკრძალა  
ატომური იარაღის გამოცდა ცასა და ზღვაში. ჩვენ აღარ გვეში-  
ნია, რომ ატომური აფეთქება მოწამლავს ჰაერსა და წყალს.  
ხალხი თამამად იბანავებს მდინარეში, ნავით გაისეირნებს  
ზღვაში. ბოსტნეულს ეჭვის თვალით აღარ შევხედავთ: ატომის  
სენი ხომ არ სჭირსო. ჰოდა, გეწადია, ეს კეთილი საქმე ბო-  
ლომდე იქნეს მიყვანილი. ომზე დიდი უბედურება არაფერი  
არსებობს ქვეყნად...

ვნატრობთ: დენტის კვამლმა აღარასოდეს აამღვრიოს ცა:  
დაე, ზოგჯერ გაჩნდეს ღრუბელი და ატყდეს ჭექა-ქუხილი,  
ამ ჭექა-ქუხილს მეცნიერება მოუვლის ისე, რომ ცამ ხალხი არ  
დაახარალოს... ჩვენ არ გვეშინია ციდან წამოსული დიდი წვი-  
მისაც კი, ოღონდ ტყვიის წვიმა ნუ მოვა, ყუმბარები ნუ ჩამო-  
ცვივდება...

ჩვენ ვიცით, რა მოაქვს ომს! ვინ მოთვლის, ხალხის მხრებ-  
სა და გულზე რამდენმა ომმა გადაიარა! გარდასულ ომის ამ-  
ბებსაც მხოლოდ იმიტომ ვიგონებთ, რომ კიდევ ერთხელ

ვიგრძნობთ მისი საშინელება და უფრო მტკიცედ ვიბრძობით/  
მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ომებში დაღუპული ხალხი საფლავიდან ერთბაშად რომ  
წამოდგეს, დედამიწაზე არ დაეტევა! ვინ მოთვლის, ჩვენს  
თვალწინაც რამდენი დაეცა! მათი დავიწყება არ შეიძლება!

მამ, კვლავ მოვიგონოთ ის ადამიანები, ომის დროს ჩვენს  
გვერდით რომ იბრძოდნენ და აღრე წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

ხშირად მგონია, რომ ისინი ჩვენს მაგივრადაც დაიხოცნენ,  
ჩვენ კი მათ მაგივრადაც ეცოცხლობთ.

ჩვენ ხომ ერთი დიდი სიყვარული და ერთი დიდი სიცო-  
ცხლე გვქონდა!

მათი ხსოვნა კვლავ გვინთვია გულში, როგორც მარადიული  
ცეცხლი, სიცოცხლის უკვდავების ცეცხლი!

მიწას არაფერი ავიწყდება, არც ხალხს.

თბილისი, 1964 წელი, თებერვალი.



## შ ი ნ ა ბ რ ს ი

### ლადო გომიშვილი

ღრუბლებში მოკიფე ვარსკვლავები . . . . .	3
ყვარჯენი . . . . .	5
ზღვა აბოზოქრდა . . . . .	12
ცეცხვად ედოლოდ . . . . .	23
ფიცო ტყეში . . . . .	35
ცეცხლში გახვეული ქოხი . . . . .	57
გვლიანი ბილიკები . . . . .	79
მწვადი ქალაშნისა და მწვადი ირმისა . . . . .	117

### სანდრო ჩაჩხიანი

ფარაჯიანი გაზაფხული . . . . .	139
უკვდო თვითმფრინავი . . . . .	141
„სულიკო“ ყირიმის შთებში . . . . .	155
ტყვიების ცეცხლით დამდნარი თოვლი . . . . .	198
თოფის ლულაში ჩადებულ თაიგული . . . . .	222

რედაქტორი ბ. შირცხულავა

მხატვრები: }  
                  } ო. ქოჩიაძე  
                  } ა. სლოენსკი  
                  } ი. ჩიკვაძე

მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე

ტექნიკური რედაქტორი ე. ჭიჭინაძე

კორექტორი ლ. არჩვაძე

ბელმოწერილია დასაბეჭდად 8/IX-64 წ. ქილადის  
ხომა 84 X 108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. ნაბეჭდი თაბახი 12,09. სააღრ.-საგა-  
მომც. თაბახი 10,25.

უე 03797. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 533.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.  
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ლაдо Георгиевич Годзишвили  
სანდრო ვასილევნიჩ ჩაჩხიანი

Документальный очерк  
(На грузинском языке)

Издательство  
«Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5,  
1964

378/1



საქართველოს  
საქართველოს